



ღუარა სონდია

ნიკო
სამარაშვილის
პოეზია

ლუარა სორდია

ნიკო სამადაშვილის
პოეზია



გამომცემლობა „ენივერსალი“
თბილისი 2021

ნატრომში შესწავლილია მეოცე საუკუნის ქართული მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, სულინენინდისაგან ხელდასხმული, ნათელზოლვისა და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებული პოეტის-ნიკო სამადვილის ესთეტიკური პრინციპები, მისი რელიგიურობა, ობიექტურობა, დინების წინააღმდეგ სელა, მომავლის წინასწარმეტყველური ჭვრეტა, მარადიული ლეთაებრივი ცნობიერების — „აკაძას ქრონიკის“ მართებული წვდომა.

მონოგრაფიაში წარმოჩენილია პოეტის საღვთო და საღვთისმშობლო სახის-მეტყველება, დაინტერესება ქრისტიანული მისტერიებით, ქურუმთა, მოგვთა სიბრძნით, მისტერიული სკოლებით, როგორც საღვთო სიბრძნის სავანით.

პარალელურად ხაზგასმულია პოეტის გატაცება ბუდიზმით, შემხვედრი წერტილების ძიება ქრისტიანულ სარწმუნობასთან, რაც ფართო თვალსაწიერის დასტურია.

ფილოსოფიური ლირიკიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ბედისწერის რუკის“ უცდომელი წაკითხვა პოეტის მიერ, წუთისოფლის ამაოების მხილება და მარადისობის იდეალების ერთგული მსახურება, სიცოცხლის საიდუმლოებების შეცნობასთან ერთად, პადესის სამყაროსკენ მიმართული ყოვლისმთლელი მზერა, გარდაცვლილი ადამიანის ცოდვა-მადლის ლეთაებრივ სასამართლოზე განსჯის შემდეგ წმინდა სულის „ცათა ცაში“, მარადიულ სავანები დამკვიდრების, სააქაოსა და მიღმურ სამყაროს შორის განუწყვეტელი კავშირის არსებობის რწმენა.

მაღალმორალური ცხოვრება, ზეცით მომადლებული ნიჭი სულის ფრთად ექცევოდა პოეტს და მთელი ჰლანეტის, კოსმიურის მოხილვის, ასტრალური მოგზაურობის უნარს ანიჭებდა.

„ფერისცვალებას“ ავტორი „ისსტორიული ცავისი თანამედროვე ტირანული ეპოქის ოპოზიცია, „ისსტორიული ცავისი წლების“ პირუთვნელ მსაჯული.

პოეტი იზიარებდა მესახისტურ იდეას, რომ საქართველო მარიამ ლეთის-მშობლის ნილხვედრი ქვეყანაა, რომ ქრისტეს კვართი დაფლულია მცხეთაში. ეს თვალსაზრისით განუმტკიცებდა ერის მარადიულობის რწმენას.

ეთანმებოდა ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების მოსაზრებას, რომ ქართველები ბიძლიური ქალდევლების შთამომავლები არიან.

ნიკა სამადაშვილის პოეზია დასავლური და აღმოსავლური კულტურების შემოქმედებითი სინთეზირების წიმუშია, შემთხვევითი როდია, რომ ქართველ თუ უცხოელ ისტატა რემინისცენცია მრავალგზის იჩენს თავს ამ ავტორის თავისებურებათა გაცნობიერებისას, რაც მომავალი კვლევების პრეროგატივია.

მონოგრაფია განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგის სპეციალობის ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების და საერთოდ პოეტის შემოქმედებით დანწერესებული მკითხველებისთვის.

რედაქტორი: ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თამარ პარბაქეძე

რეცეზენტები: ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნინო ვახანია
ფილოლოგის დოქტორი, პროფესორი მარინე ტურავა

თავი I ესთოფიკის საკითხები

შერისხული ბედის სიმღერა.....	5
ცრემლის შუქი, დარდის გალობა.....	16
სიზმრების მწველი ბურუსი.....	29
ჭკუაზე შერყევა — ბედნიერება.....	38
აკაშას ქრონიკა	49
და პოეტების ნახირი ბლავის	62
ხსოვნა ანთებულ მკერდში გალობდა	69

თავი II ნიკო სამადაპვილის რელიგიური თვალსაწირი

ის ჰეგავდა ღმერთის გლოვის აფიშას	75
ბუდა საკია — მუნის ციკლი	96
ჩაფიქრებული, როგორც მისანი	111

თავი III ფილოსოფიური ლირიკის ზოგიერთი პრობლემა

ბედისწერის რუკა	131
წუთისოფელი და მარადისობა	141
ბედნიერების კონცეპტი	150
სიკვდილის პრობლემა — „ვიცი, სულ მალე დავიღუპები“.....	163
ჰადესის სამყარო	176
ასტრალური მოგზაურობა	191

თავი IV სახისმეტყველობის საკითხები

ბიბლიური პარადიგმები.....	215
და ყორნებივით ჩხაოდნენ წლები	222
ვინც გრიგალების სიმღერებს მოჰყვა	228
ნისლშემოსილი	243

V თავი ეპოქის კონტურები

სისხლით დასვრილი ვერაგი წლები	248
უნდობლობა ყველა უნდობის.....	253

თავი VI ეროვნული გადასახედი

ჩემი სამშობლო არის სიმღერა	262
და საქართველო მაინც მეძახის	277
რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....	288

თავი I

ესთოფიკის საკითხები

შერისცული პედის სიმღერა

ნიკო სამადაშვილის შემოქმედება სრულიად ახალი სიტყვაა არა მხოლოდ მეოცე საუკუნის ეროვნული მწერლობის ფარგლებში, არამედ ზოგადსაკაცობრიო მასშტაბითაც. მისმა პიეზიამ არა მხოლოდ ტოტალიტარული ეპოქის კატაკლიზმები, ბოლშევიკური ტირანია ამხილა, არამედ უკიდეგანო, კოსმიურ განზომილებაში, ასტრალურ სამყაროში მოარული ადამიანის სულის საიდუმლოებებს გვაზიარა, ქვესკნელ-ზესკნელის მარადიულ, ჯერაც ამოუხსნელ გამოცანებში შეიჭვრიტა. მსოფლიოში ცნობილ ყველა რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას ჩაუდრმავდა, საერთაშორისო მასშაბებით ცნობილ, პლანეტის გამორჩეულ მოაზროვნეთ შეეხმიანა არა როვორც შეგირდი, არამედ განსაკუთრებული ინტელექტითა და ინტუიციით მომადლებული შემოქმედი.

ტრაგიკული, მრავლისმთქმელი და შთამბეჭდავია ამ იობივით ტანჯული, ქრისტესავით ჯვარცმული პიროვნების ცხოვრების გზები, სულის ბიოგრაფია. მამით ობოლს, მამაპაპეული ფუძის დამკარგავს, დედისგან გაუცხოებულს, სიყვარულში იმედგაცრუებულს, უპოვარს, არსებობისთვის ბრძოლაში ჩაბმულს, თბილისის უნივერსიტეტის გამორჩეულ სტუდენტს, გამოცდაზე უმაღლესი შეფასების მიღების შემდეგ, შიმშილით მისავათებულს გული წასვლია. სიღატაკემ ჩამოაშორა ის დედა უნივერსიტეტის, იძულებული გახადა ჯერ მოანგარიშის, მერე ბულალტერ-რევიზორის მონოტონურ, დამქანცველ საქმიანობას შესდგომოდა. ბედმა ესეც არ აკმარა. ორჯერ იყო დაპატიმრებული ჯერ ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით, მერე როვორც ბულალტერ-რევიზორი, რადგან უსინდისობა, მექრთამეობა არ იკადრა. ისე გარდაიცვალა, რომ პოეტური სიმწიფის პერიოდში დაწერილ

მის არცერთ ლექსს დღის სინათლე არ უხილავს. საკუჭნაოს-მაგვარი ბინა იყო მისი ოჯახის თავშესაფარი.

მეფისტოფელის საუკუნის, ტირანით, სისხლიანი ბოლ-შევიზმის ეპოქის შვილის თვალწინ თამაშდებოდა უსაშინლესი ტრაგედიები: მართალი სიტყვის დევნა, სიმართლის მსახურთ ხელზე მარყუჟი, ფეხზე რკინის ბორკილები უქერდათ, გაბე-დულთა ხვედრი იყო ციხე, ტერორი, დაშინება, ფსიქიატრიული რეპრესიები. მოლალატის ბრალდებით განირეს უნიტიერესი პაოლო იაშვილი, რომელმაც ამ ვანდალიზმისადმი პროტესტის ნიშნად თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. დახვრიტეს ლირიკული შედევრების ავტორი — ტიციან ტაბიძე, ჩვენშიც და უცხოეთშიც აღიარებული უპირველესი პროზაიკოსი, წინასწარმეტყველური ინტუიციით მომადლებული მიხეილ ჯავა-ხიშვილი, გამოჩენილი რეჟისორი სანდრო ახმეტელი, ტერენტი გრანელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოამწყვდიეს.

ტერორის ქვეშ, დევნა-შევიწროების პირობებში უხდებოდათ მოლვანეობა გალაკტიონ ტაბიძეს, კონსტანტინე გამ-სახურდიას. გრიგოლ რობაქიძე იძულებული იყო 1931 წლი-დან უცხოეთში ეძია თავშესაფარი.

ეპოქის უბდურებათა თვითმხილველი იყო ნიკო სამა-დაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ის არაფერს ბეჭდავდა (უფრო სწორად, არ უბეჭდავდნენ), ავი თვალი მის მოუთვი-ნიერებელ, დაუმონებელ სულს ზვერავდა, რათა სიკვდილის მუქარით ჩაეკლა პოეტის თავისუფლებისმოყვარეობა.

მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, უპოვარი ნიკო სამადაშვილი ზედმინევნით ეზიარა ჩვენი ისტორიული წარსუ-ლის უმთავრეს პერიპეტიებს, ეროვნულ-უცხოურ კლასიკურ მწერლობას, გაბედულად ამხილა ღმერთისუარმყოფელი ეპო-ქის ტრაგედიები, გაითავისა დასავლურ-აღმოსავლური სიბ-რძნე, მთელი მსოფლიოს მიერ გავლილი სულიერ-ფიზიკური გზები, რამაც შესაძლებლობა მისცა, მოექებნა ახლებური გა-დასახედი, შეექმნა სრულიად განსხვავებული გონის სასწაუ-ლები, უკიდეგანო თვალსაწიერის შედევრები.

ნიკო სამადაშვილი იყო შერისხული, დევნილი, რეპრესი-რებული, მაგრამ სძლია გაუგონარ წინააღმდეგობებს და თავი-სი სულის გამოქვაბულში, სანთლით აცრემლებულ მღვიმეში შეთხზა ისეთი ჭეშმარიტი ქმნილებები, რომლებშიც შეიძლება მოვიძიოთ რეალიზმის, ექსპრესიონიზმის, პოსტმოდერნიზმის, სიურეალიზმის ნიშნები, იდეალისტური ფილოსოფია თუ ეგ-ზისტენციალური გოდება, შეხმიანება მსოფლიოს გამოჩენილ მოაზროვნებთან. უსასრულო სილრმე, საოცარი მაღალმხატვრულობა დაანათლა არსთავანმრიგემ მის რელიგიურ-ფილო-სოფიურ ლირიკას.

ნიკო სამადაშვილის ლექსების მთელი ციკლი ეძღვნება მის დევნილობას, შერისხულობას. მიუხედავად გაუგონარი ტანჯვა-ნამებისა, პოეტი მაინც რჩებოდა თავისი იდეალების ერთგული.

როგორც თვითონ აცხადებს, პოეტი იყო „ბედის ნაბიჭვარი“ (გული და ჯანდები), „პოეზის გერი“ (ისევ ვლოცულობ), „ჩანიხლული“ (ფერისცვალება), „გზებშერისხული“, „თვალფდასხმული“ (საღამო და განწყობილება), „ლტოლვილი, განდევნილი“ (პოეტის ლოცვა), „ჯვარცმული“ (ჩემს ვახტანგს) „სიცოცხლეჩამარებული“, „მხარმოკვეთილი“, ნაწამები, უპატრონო (მზრუნველი თვალი), „ავდორების თავსხმით“ განამებული (შიმშილი), „ტყვეემნილი“, „ბნელი საკნის“ ტყვე (ჩემს ვახტანგს), ხეპრეთა, რეგვენთა მიერ მიზანში ამოღებული (სამიკიტნოში), სიყალბის რიდეაფარებული (რა საოცარი ყოფილა ყოფა), „ჩანიხლული“, „პირაკრული, სულშეხუთული“ (რევიზიის დროს). „გარიყული“ (სესხი), აბუჩად აგებული (ის ისვენებდა ხშირად იმ სახლთან).

პოეტის თანამდევი იყო „ტყის ჭინკა“, „ჭოტის კივილი“ (აგარაკი) „ყვავები“ (ფერფლი), აყმუვლებელი ძალები, ჭირისუფლად მოვლენილი მგლები (ბექა).

ნიკო სამადაშვილმა შექმნა უტყუარი სურათი იმ დროს, „როს საუკუნე სამინე თვალებს არ აშორებდა სისხლიან ღელეს“ (ნეტავი რაზე დარდობდა კაცი).

პოეტის მთელი შემოქმედება არის სისხლიანი ტირანების, ნადირის ინსტინქტებით მცხოვრებ უკეთურთა მხილება: „...ამოუსვრიათ სისხლში დინგები, ნადირებივით შეჭამენ ლექსებს“ (კამარების შეჭმუხვნა).

პრინციპული, სიმართლის ერთგული, მაღალი ზნეობის ნიკო სამადაშვილი შორს განუდგა ძალაუფლებისმპყრობელ ჯალათთა პოლიტიკას, რისთვისაც იწვნია ციხე, დევნა, რისხვა: „ის არ ცეკვავდა ფეხის ცერებზედ, არც ყურს უგდებდა ეპოქის ჭიდილს“ (ლვინის სარდაფში).

მისი ზარი უხმობდა შერისხულ მლოცველებს, მოგვებს, რათა ემხილებინათ ირგვლივ გამეფებული ავდარი: „რეკავ იდუმალ ზარებს... შენი მრევლი შერისხულ მლოცველთა ხროვა, იწყება ჭმუნვა მორთხმულ მოგვების და შორიახლო ავდრების გლოვა“ (სიზმრების ნაღვერდალი).

ნიკო სამადაშვილის პოეზია შერისხული ბედის გამოწვევა იყო: „მე ვიცი მხოლოდ შერისხული ბედის სიმღერა, გადაზნექილი სივრცეების ელვა შარაზე“ (მე ვიცი).

უბინაო, ქუჩას შეფარებული, რისხვის და ტყვიის მომლოდინე ცრემლიანი პოეტი გვამცნობს: „...გარიყულ პოეტს მტკვრის ნაპირზე მიხდება წოლა ... დავალ, თვალებში ჩამჭედვია რისხვა და ტყვია, შევალ ოჯახში სხვილ ცრემლებით ჩაუქრობელი“ (სესხი).

სიყალბეზე, სიცრუეზე ორიენტირებულმა ხელისუფლებამ, რომელმაც მძევლად აქცია სიმართლის მღალადებელი ნიჭიერება, ნიკო სამადაშვილს ათქმევინა: „...მე შუაღამის მძევალი მქვია... ძვლებზე ლექსების სარეცხი მოჩანს, თან აფრიალებს ჩემს ლექსებს ქარი... მეყასპედ ჯობდა, რომ ვგდებულიყავ, ანდა მეარღნედ ოჩას დუქანში. მე გრიგალების მძევლად ვიყავი და ლექსს მაჭრიდნენ ტანზე დუქარდით“ (გამიშვით).

მგოსნის გაუძლის ხვედრზე ღალადებს შემდეგი სტრიქ-რონები: „ჩემი სამშობლო მექცა კატორდად, ხელფეხზე მადევს მძიმე ბორკილი, ეს პოეზია დე დარჩეს ოხრად, თუ ჩა-

მასვენეს მე გათოკილი. თუ არ მაღირსეს, მემღერა ჩარად, პირი ამიკრეს, სული შეხუთეს და კუბოს ფული თუ არ გაგვაჩნდა, დედა ეძებდა გადაყრილ ყუთებს. მე მათხოვრებმა დამასაფლავეს“ (რევიზიის დროს).

ასე წარმოესახა პოეტს თავისი გასვლა ამ ქვეყნიდან (გვახსენდება ერთი მოგონება, რომლის მიხედვითაც, ტერენტი გრანელი არა კუბოთი, არამედ გაზეთებში შეფუთული დაასაფლავეს ხელისუფლებისაგან შერისხულთათვის განკუთვნილ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე).

სატანური ხელისუფლება მედროვეთ, თავისი ავკაცობის თანაზიართ ორდენ-მედლებს ჰკიდებდა მკერდზე, განცხრო-მით აცხოვრებდა, ხოლო ნიჭიერთ, გულმართალთ ქუჩაში ტოვებდა: „...ნუთუ ბოსელშიც არ გვქონდა წილი, ლოცვებს ვთვლით, მაინც ვუბედურდებით“ (ფრესკები ჩონგურზე).

პატიმრობა, ჯვარცმა არ ასცდა „გზებშერისხულს“: „მე ბნელ საკანში ღამეებს ვთვლიდი... როგორ ჯვარს ვეცვი, სულ გამნარებით“ (ჩემს ვახტანგს).

ჰიპერბოლა სულაც არ არის ეს განაცხადი: „და მაჯა-ჯია სისხლის პერანგი“ (გადამეყვლიფა გული დარდებით).

ნიკო სამადაშვილი არა მხოლოდ პიროვნულ, არამედ პლანეტარულ ტრაგედიებს უღრმავდებოდა, მას გათავისებული ჰქონდა შექსპირის ჰამლეტის სატკივარი, რომელსაც მამის აჩრდილმა მისი ოჯახის საზარელი საიდუმლოება გაანდო, ის კი ჩაფიქრებული შურისძიების მომენტის დადგომამდე სიგიჟეს თამაშობდა.

„...დანიის პრინცი ჭორაობდა, ხან კინკლაობდა, მთელი პლანეტა ღრიალებდა სისხლში გასვრილი“... (სამხარზე).

სისხლიანი კოშმარებით ცნობილი დროის მახასიათებელი სტრიქონებია ლექსში „კარების გაჯახუნება“: „გული გადმოღვრის თვალებიდან სისხლის სქელ ლავას. არსად, არასდროს მე არავინ არ მეყოლება და ჩემს მკვდარ სხეულს ჩემი ხელით დავასაფლავებ“.

არა „მზიანი ღამე“, არა „ცისფერი ღამე“, არამედ ჯოჯო-

ხეთური შავი ღამე იდგა მისთვის: „და ისევ ღამე, კუნელის ფერი, შავი, ბუღრია, ვით ჯოჯოხეთი“ (ფრესკები ჩონგურზე).

სულის უხილავ ლაპირინთებში მოგზაურ პოეტს ჩასაფრებიან ჯალათები, აშფოთებს ფსიქიატრიული რესპესიების მუქარა, არც სხვა ერის თავისუფლებისათვის მებრძოლი და უსამართლოდ აღსრულებული ბაირონის მაგალითი ავიწყდება, მისი გაუმჯდავნებელი ნიჭის ასპარეზი კი მხოლოდ სამიკიტნოა, ვერ ახერხებს უკეთურობასთან შეგუებას და ზოგჯერ ყველაფერი ფასს კარგავს მის თვალში: „...მგზავრი სულს ღაფავს დიდ სიცივეში და ჯალათები სადლაც ბრაზონები. მეც მიყვებოდნენ უხილავ ამბებს, ზოგი ჩამოწვა, ზოგიც ამაღლდა, რამდენი გიუი ბოძზე დააბეს და ბაირონიც სადლაც ჩაძალლდა. ხედავ, სამშობლომ დედა გიტირა, თავი გიტიცა სამიკიტნოში, ვიღაც ტინგიცა გაგატრიზავებს და დაგფლითავენ საქართველოში. კმარა შესდექი, მოეშვი წერას, ხმაც შეიცვალე, სახის იერიც, რა მიქარვაა ეს ბედისწერა, იქნები ვირი თუ მეცნიერი?“ (უჯიშო ხიდან გამოთლილი ხარ).

განუკითხაობის ეპოქაში გრიგალებისგან განამებულია პოეტი, გაუფასურებულია მისი ჭეშმარიტი პოეზია, სიკვდილშიც ვერ ხედავს გამოსავალს და სურვილი ებადება, მისი სამარეც დარჩეს მიუგნებელი: „...განუკითხავად მარტო მოვკვდები... საკუთარ კუბოს მე გავასვენებ. ნუ მოიგონებ ნამებულ პოეტს, ვინც გრიგალებმა დაანაფოტეს, ვის სიმღერებზე ნარი დაამყნეს, ლექსების მეფე დასცეს და გარყვნეს, ნუ მომიკითხავ, დამწყევლეს მგონი, ჩემს სამარესაც ვეღარ იპოვნი“ (უკანასკნელი ზარების რეკვა).

უნიჭიერეს პოეტს არ ჰყავდა მსმენელი, არ ჰქონდა აუდიტორია: „გადასწევ ფარდას და სცენის ნაცვლად თავის ამოჰყოფენ არაგვის ქვები“ (გაგელვიძება დატანჯულ პოეტს), „ირგვლის ბუღონები ჭორი და ქვები“ (ნუთუ სიკვდილსაც აღარ ჩამაცეცხლებენ), წერდა პოეტი და, მართლაც, ქვასავით უგრძნობელი იყო მაღალი იდეალების ფერდამნახავი საუკუნე.

გაუძლოს დარდებს უსულო საგნებთან განდობით განმუხტავდა: „ვეკამათები კენჭებს გზადაგზა, სიცოცხლეს მაინც რა არ სჯობია, რომ არ დასაქცევ დედამიწაზე ბედნიერებაც დასაგმობია“ (აქერცლილი მინიატურები). მის თვალებში „დარდის კენჭებს“ ჰქონდათ ბინა (სძინავთ ჩიორებს).

ტერენტი გრანელი სიახლოვეს გრძნობდა ყვავთან („ახლა ეს ყვავი ჩემთან ახლოა, ახლა ეს ყვავი კაცივით დადის“).

ნიკო სამადაშვილი ნატრობდა, ჩიტი მაინც ყოფილიყო მისი მსმენელი: „ნეტავ იცოდე კითხვა, ჩიტუნავ, წაგიკითხავდი „მგოსანს განწირულს“, ყურს მიუგდებდი ჩემს ფიქრთა ტუტუნს, ფრთებს ჩამავლებდი სახრევადაწნულს“ (შეხვედრა).

ტერენტი გრანელი „ძვირფას ხეს“ ეყრდნობოდა, რჩევას ეკითხებოდა, ნიკო სამადაშვილის ნუგეში იყო შთაგონების ბელურები და ნაძვები, რომლებიც თითქოს ტოტებს უქნევდნენ: „დამე ჩემს გულში ბელურებს სძინავთ... ვდგავარ მარტყა, ჩემი ნაძვები მიქნევენ ტოტებს და ბრუნდებიან“ (მარად).

„ჰანგებით მდიდარი“, „მარადისობის კოშკების“ პატრონი ნიკო სამადაშვილი (შდრ. გალაკტიონის „სიზმარეთის კოშკები“ „ეფემერაში“) „სახრეგადაწნული“ იყო, გულღვიძლი „ხანჯლით ამოეფატრათ“ თითქოს და ჩიტს უზიარებდა თავის სატკივრებს.

შეუცნობლობა, გაუგონარი უყურადღებობა იყო მისი ხვედრი, სულიერი ავდარი დამდგარიყონ და ვერავინ ხედავდა „ფიქრების წარღვნას“: „თვალიც ვერ მოჰკრეს, ისე შეწყდა ფიქრების წარღვნა და ტალღებიდან აქოჩრილი ქარის პერანგი. ვიღაც მომნახავს, ჩემი ცოდვით ჩაიფერფლება, მაგრამ ავდრები კრინტის დაძვრას არ დამაცდიან“ (სიმღერები გამოქვაბულიდან).

„ცრემლისფერი ამინდები“ იდგა ნიკო სამადაშვილის თანამედროვე საქართველოში. გალაკტიონს ასევე ანამებდა „ავდრის მოლოდინი“, „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი“, „აცხადებდა ტერენტი გრანელი.

ნიკო სამადაშვილმა მშობლიურ გარემოში მხოლოდ

შიმშილი, შეუბრალებლობა, დაუნდობლობა იწვნია, დრომ ღრუბლით შემოსა, ავდრები აწვნია: „...ჩემმა თბილისმა მა-შიმშილა, ბოლო მომიღო, არ შემიბრალა, არ დამინდო, არ შე-მიბრალა. სულ ღრუბლების ქვეშ მივდიოდი დაღონებული, ავდრების თავსხმამ ამიტაცა და შემიყვარა“ (შიმშილი).

ამა ქვეყნის სისხლიანი ნადირებისთვის არ ფასობდა „ლექსის ბაჯაღლო“, ვერ ამჩნევდნენ „მღვიმეების სან-თლებს“, მზად იყვნენ „სისხლით მოსვრილი დინგებით“ შეე-ჭამათ ლექსები, მხოლოდ „ზეცის ზეცა“ (ბიბლიის მიხედვით, ცათა ცა, ღმერთების, წმინდა სულების სავანე) იყო იმედი: „... რა ჭირად უნდათ ლექსის ბაჯაღლო, ან მღვიმეების სან-თლების მწუხრი ... ამოუსვრიათ სისხლში დინგები, ნადირე-ბივით შეჭამენ ლექსებს. ზეცაზე ზეცა გადაფრინდება, თურ-მე ამისთვის ჩამოგათესლეს“ (კამარების შექმუხვნა).

თავისი დროის გაუგონარი გულგრილობით გამწარებუ-ლი პოეტი ამბობდა: „გვერდს მიხვევდა ტიალი ანმყო“ (აი, დე-დასა).

დუშმანისგან ჯვარცმული, გზებჩაკეტილი, ქუჩებში ძი-ლისა და უპატრონო ძალლივით ძუნძულისთვის გამეტებუ-ლი, პირქვედაცემული პოეტი ყვავის ცხოვრებას შენატრო-და, სიკვდილი ელანდებოდა, რადგან ფეხზე წამოდგომის იმედი არ ჰქონდა პირქვედაცემულს: „...როგორ როკავდა ჩემს ლოგინზე დუშმანის ჩრდილი... უნახავი შიში დამჩემდა, ქრისტეს ჯვარივით ჩემს ლექსებზე გადაზნექილი. სივრცეე-ბიც დაკეტილია... მომბეზრდა... ქუჩებში ძილი და ძალლივით ყველგან ძუნძული. ყვავის ცხოვრება არ სჯობიან ამ ჩემს მწარე ხვედრს?.. თითქმის ყოველდამ ბნელ სიზმრებში სიკ-ვდილსა ვხედავ... პირქვე დაცემულს ქარიშხლებიც ვერ ამა-ყენებს“... (დასასრული).

პოეტის თითქმის ყოველ ლექსში დასმულია პიროვნე-ბისა და საზოგადოების, შემოქმედისა და ხელისუფლების მი-მართების პრობლემა და ცხადი ხდება, რომ საზღვარი არა აქვს ამა ქვეყნის სათავეში მოქცეულ ტირანთა უსულგულო-

ბას, უსამართლობას: „...სამშობლოსაგან გული წყდებოდა, საქართველოში გრძნობდა სიცივეს. ისე აწამეს, ისე ჩაწიხლეს... ო, ერთხელ ხელიც კი სტაცეს მკვდრებმა... ის დადიოდა მწირი, დევნილი, კარსაც არავინ უკაცუნებდა, ის მთების იქით გადაიხვენა“...

პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელის, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის მიერ შექმნილ ეპოქის შევპნელ სურათს კი-დევ უფრო ამუქებს ნიკო სამადაშვილის სტრიქონები: „მე კი სამშობლო მექცა კატორლად, ხელფეხზე მაღევს მსხვილი ბორკილი, ეს პოეზია დე დარჩეს ოხრად, თუ ჩამასვენეს მე გათოკილი“ (იმ ხეხილებზე ჰყვაოდა ბედი).

ნიკო სამადაშვილი არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ეპოქალურ ტრაგედიებს ამხელდა, ქვეყანას „საძალეთს“ ადარებდა: „უკან სიცოცხლე ძალლივით მომდევს, სად შევაფარო თავი საძალეთს“ (მონასტერი ჩანს მთაზე ნისლივით).

გალაკტიონი შთაგონების ქარს „მძლავრ ძმას“ უწოდებდა.

ნიკო სამადაშვილს ქარბუქი-შთაგონება ეგულებოდა თავის პატრონად: „მე კი არავინ არ მიპატრონებს, შენ შემიბრალებ, ძმაო ქარბუქო“ (გზად დაგასვენეს სამრეკლოს ჩრდილში).

პოეტი ძალზე ხშირად წარმართებს უწოდებდა ქვეყნის სათავეში მოქცეულ არარაობებს, რადგან ისინი წარმართებივით კერპებს ქმნიდნენ თავიანთი თავისაგან და მასებს აიძულებდნენ თაყვანისცემას: „...ხარხარებდნენ ნაძვის ძირში ის წარმართები, მე რომ მლანძლავდნენ. მე გავატარე ბედი ტირილში და ჩემის ტანჯვით მაინც ვერ გაძლენ... ო, ღმერთო ჩემო, რას მოვესწარი, ვინ მომაცილებს ამდენ მარნუხებს“ (წუხელის შეგხვდი).

„ლექსის მეუფეს“ აწამებდნენ „წიხლით, ფურთხებით, „შიშველ ფეხებით“ სისხლში დგომას აიძულებდნენ (ო, რა მწარეა).

სისხლით გაუმაძლარი ნადირების სადიზმს საზღვარი

არ პქონდა და თუ ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენი ფანრით ეძებდა კაცს, ნიკო სამადაშვილი ასკვნიდა, რომ ასეთ ვითარებაში ვერ იპოვნიდა ადამიანს: „მხოლოდ ეს გული ეგდოს რიყეზე, ვით სისხლიანი ქრისტეს პერანგი... მივალ, გიტოვებ გულს ქერქდაგლეჯილს, ლოკე და ლოკე მდუღარე სისხლი. და როცა იქით გაავდარდება, სადაც ეგდება ნეშტი პოეტის, შენ ამიყვავე ჩემი დარდები და ის წარწერა: „კაცს ვერ ვპოვებდი“ (ლოცულობს ყველა).

ღირსეულ შვილებს სამშობლო დედინაცვლად, დამლუპველად ქცეოდათ: „გავჩნდი განგებ, რომ დავლუპულიყავ ჩემს დედინაცვალ საქართველოში“ (განკითხვა).

ანამებდა საშინელების მოლოდინი: „... ირგვლივ დარდები შემომაშენეს, თვალის სინათლეს მწუხრნი კენკავენ, ჩემო ლიახვო, ალბათ მე და შენ სამშობლოს იქით გადაგვრეკავენ“ (ლოცოლობს ყველა).

აედევნებოდა „ქორების ჭორი“, „ბრბოს შემოტევა“, „ძახილი“: „ვის გაუვარდა ქარში კალამი?“ (პირქვედამხობილ ღამეებს უმზერ).

ცილისნამებით, შეუბრალებლობით ცნობილ ეპოქაში საშინელი ხილვები ევლინებოდა: „ჩამაძალლებენ, ალბათ, სადმე ხრიოკ ბორცვებთან, ლექსის ფარაონს ჯიბგირობას დამაბრალებენ“ (გადახვეწილი შადრევანი) (შდრ. ტიციან ტაბიძე: „... მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოვეწია, ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძალლებენ“ — „სერგეი ესენინს“).

მაგრამ იმედს უნერგავდა იმის რწმენა, რომ ბოროტების უფლებები განუსაზღვრელი როდია: „... ლამეები შენზე ინადირებენ, მაგრამ კარგო, ვერ დაგიჭერენ. მოქნეულ ქამანდს გაუსხლტები და აორთქლდები“ (ნაწყვეტი).

გზადმოკლული ქედნის სახეში რომ წარმოიდგენდა საკუთარ თავს, ეიმედებოდა ბოროტეულთა განკითხვის დადგომა და სამართლიანი მსჯავრი: „უამთა სიავეს მგზავრი ას-ცდება, მოვა, დახედავს მკერდის ნიუარებს, მიცნობს, შეკრთება, შევეცოდები და ტანში ცივად შეაჟღრიალებს“ (გან-

კითხვა).

ზეცით მომადლებული ნიჭით შექმნილი ლექსების მარადიულობაში აჯერებდა „შუქის“ მოვლინება: „შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს“.

დავით წაინასწარმეტყველი ღმერთს უწოდებს შუქს: „უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი — ვის შევუშინდე?“ (ფს. 26/27,1).

ლექსში „ლია ბარათი“ ნიკო სამადაშვილი ასეთი განუმეორებელი სახეებით გამოხატავს თავისი დიადი ქმნილებების მარადიულობის რწმენას: „.... შენი სხეულის უდაბურ ნანგრევს ქუხილის შუქი ეცემა ღამე. ქარი ნავიდან აგლეჯილ აფრებს მოაქვს და ტანზე ნელა გაფარებს“.

ქუხილი საღვთო სახელია, ასევე შუქიც.

აფრა სულინებინდის სიმბოლოა „შატბერდის კრებულის“ მიხედვით. ნავი, გემი არის ეკლესიის მეტაფორა.

ლექსში ვლინდება იმის იმედი, რომ ღმერთი („ქუხილი“, „შუქი“), აფრა — სულინებინდა (ნიჭთა მომმადლებული სამების მესამე წევრი) არ გასწირავს, მხსნელად მოევლინება პოეზიის რჩეულს.

ეს იყო ერთადერთი ნატვრა, რაც აუხდა უფლისგან ხელდასხმულ პოეტს.

ცრემლის შუალი, დარღვის გალოპა

მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში დარღვის, ცრემლის, სევდის მომღერლები იყვნენ დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ტერენტი გრანელი.

გამორჩეული ნიჭის პოეტები არა მხოლოდ პირად უბედობაზე, არამედ საქვეყნო პრობლემებზე, ფილოსოფიურ, ზოგადსაკაცორიო სატკივრებზე პერიდებდნენ და ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით ეს მოტივი სრულიად დამაჯერებელი და მისაღები იყო, რადგან პროგრესულ საფიქრალს უვლენდა და თაობებს, გამოსავლის ძიებაში ეხმარებოდა.

მთელი მსოფლიოს გენიოსებიც, ჰომეროსიდან დაწყებული, სევდის, დარღვის ბილიკებით მიისწრაფოდნენ ცხოვრების მიზნის საძიებლად.

ალბათ, არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ თვით საკაცობრიო მასშტაბითაც ძნელია მოიძებნოს ნიკო სამადაშვილის ტოლფარდი ცრემლის მღვიმეში დავანებული პოეტი, ელემენტარულ საარსებო პირობებს მოკლებული, შემოქმედებითი სარბილიდან განდევნილი, მსმენელს, აუდიტორიას დანატრებული სიტყვის ოსტატი, რომელსაც სიცოცხლეში არაფერი დაუბეჭდავს და, ამის მიუხედავად, ორჯერ იყო დაპატიმრებული.

დარღვი, სევდა, ჭმუნვა, ცრემლი ნიკო სამადაშვილმა ესთეტიკურ რანგში აიყვანა და პოეტურ ფენომენად აქცია. ამასთან ხაზგასმით მიგვანიშნა დიადი იდეალებისათვის ჯვარცმის აუცილებლობაზე, ტანჯვის სიკეთეზე, როგორც სულის თვალის ახელის ერთ-ერთ ფაქტორზე. ეს არ იყო მატერიალური შეჭირვების გამო ამოთქმული გოდება (მინიერი, პირადული, პრაგმატული ბედნიერება არათუ არ უძებნია, საერთოდ მიუღებელი იყო სიტყვისთვის, მაღალი იდეალებისთვის შეწირული მოგვისთვის).

მრავალნაირ კონტექსტში მოაქცია სევდა-მწუხარება ავბედითი დროისგან უსამართლოდ იგნორირებულმა პოეტმა.

დიდების, უკვდავების ძიება როდი იყო მისი სევდის მიზეზი: „ვერ იშორებდი სევდის კრაზანებს, როცა დიდებას უმზერდი მტრულად, როცა არ სწუხდი უკვდავებისთვის“ (სი-ლუეტი) (1, 139).

„ბუერა სევდაა“ პოეტის თანამდევი: „...იქამდე, სანამ დათეთქვილ ტუჩებს არ გალხობიათ ბუერა სევდა, შენ ძუ-ძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს და ღვთისმშობელი აკვანს გირწევდა“ (ჩემს ორეულს) (1,154).

„ბუერა დარდია“ ლექსში „ეხლა კი“ (2, 135).

„ალისფერი დარდებია“ ლექსში „ოდესლაც ახლობელს“ (1,203).

პოეტისთვის ბედისწერას დაუნათლავს სევდა, თითქოს მისი არსებობა ბედის მიერ არის სევდით ნაკურთხი: „ქრებოდა ბედი, ნაკურთხი სევდით, მარადისობის ყელმოლერება“ (ერეკლე ტატიშვილი) (1,126).

მოუშორებელი „სევდის კრაზანებია“ „სილუეტში“ (3,67).

ძვლებამდე გამტარი სევდაა ლექსში „გის ავტოპორტრეტი“: „...ძვლებს უკეთებ სევდის ზედადგარს“ (1,61).

სევდა არა სინათლისკენ, არამედ „ქარაფ ქვესკნელისკენ“ უჩვენებდა გზას: „...ვერ გავიკაფე გზა სინათლისკენ... ღმერთო, რა სევდა გადამეკიდა, ნეტა რად მივდევ ამ ქარაფ ქვესკნელს“ (აღსარება) (1, 18).

მრავალნაირი ეპითეტით არის მოაზრებული დარდი: „უკან სიცოცხლე ძალლივით მომდევს, სად შევაფარო თავი საძალლეთს. თვალებში ჩადგა ქარის ვედრებაც, რა მეშველება დარდებით ნალლეტს“ (1, 140).

პოეტის ძვლებიც კი დარდით გამოხრულია: „... და ძვლები დარდით გაიმჭვარტლება“ (წუთისოფლიდან უკვდავებამდე) (2,74).

„უკურნებელი დარდი“ განთიადისკენ მიმავალ გზას კეტავდა: „დარდი მკორტნიდა უკურნებელი... თითქოს სხეული დაეხრათ ჭიებს. ღამეს მოვცილდი, ტიალ უკუნეთს და განთიადებს ვერ დავენიე“ (ის კიდევ წერდა ლექსებს) (1,26).

დარდი შხამიან ლენცოფასავით ედება ძვლებს: „ჩაგენინდება ძვლებში დარდი, როგორც ლენცოფა“ (გული და ჯანღები) (2,70-71).

ბედისგან მოვლენილი „დარდის კენჭებია“ თვალებშიც: „შრიალებს ბედი, ბედი მწარე და სასაცილო... ზღვირთივით თვალებს გარეთ მიაქვთ დარდის კენჭები“ (სძინავთ ჩიორებს) (1,82).

„დარდების ლაქაა“ გულში: „გულს ულონებდა დარდებია ლაქა“ (ჩაეფლათ მაინც) (1,83). „დარდების ჭილი, განცდების ზვარია“ პოეტის გულის „ხუროთმოძღვარი“ ლექსში „სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფურიძეს“ (3, 69-70).

ცხოვრებისგან მოვლენილი შფოთვა და დარდია ლექსში „ბალახი როცა ამოვა“ (3, 77):: „...დაგეკვებება შფოთვა და დარდი“.

გაუძლისი „ბუერა დარდის“ პატრონი პოეტი ცხოვრების ცოდვად მიიჩნევს თავის მდგომარეობას: „ეგ შენი ცოდვა ედოთ იმ მიწებს, ვინც ჩაგინინდა ბუერა დარდი“ (ეხლა კი) (1, 167).

„დიდი დარდების თოში“ „ბინდის ძახილია“ პოეტის უსამართლო ხვედრი (სძინავთ ჩიორებს) (3,82).

ფიზიკურად განსხეულებულია დარდი ლექსში „ღია ბარათი“ (3, 106-104).

„დარდის ხვითქებში განურულ პერანგს თონესთან მიშრობს შეშლილი დედა“, ასეთ გასაგნებელ სახეს იღებს დარდი ლექსში „შეხვედრები სამხარზე“ (2,144).

„.... იქ მკერდის ნალდით როდი ხდიდი დარდების ყავარს“, წერს ერთგან, „დარდის ლოლუებია“ „მთვლემარეცისკარში“.

უსაშველო, გაუნელებელი დარდი ათქმევინებს: „გადაიღლება გული დარდებით... მე ქვეყნად გავჩნდი მწუხარებისთვის“ (ჩემს ნუკრიას) (1,40).

პოეტს დაჰკვებებია „შფოთვა და დარდი“, „სულშემხუთველი ძეძვივით დარდი და ჯოჯოხეთის პირქარი ქროლა“ (დამშვიდობება და სინანული) (2, 126).

ნიკო სამადაშვილი კარგად ხედავდა, რომ სიყალბე-
სიცრუეზე ორიენტირებულ, სისხლიან ეპოქას სჭირდებოდა
არა სიმართლე, დარდის მიზეზების ძიება, ჭეშმარიტების
მსახური პოეზია, არამედ მოვლენათა შელამაზება, ჯოჯოხე-
თის სამოთხედ წარმოჩენა: „უამი ჩვენს ირგვლივ რას იყურ-
ყუტებს, რა ჭირად უნდა დარდების თხრილი“ (ცაცხვის ხე)
(1, 39).

სხვაგან სევდა-დარდს ენაცვლება ჭმუნვის გამოყენე-
ბით შექმნილი სახეები.

პოეტი გვევლინება, როგორც „ჭმუნვის სარქალი“ : „მე
კი სიცოცხლე ჩაძმარებული ბნელ ფიქრებს ვმნყემსავ ჭმუნ-
ვის სარქალი“ (თელა და ჩიტი) (1, 20-21).

ლექსში „დაითენთა“ (1, 58) ისევ ცრემლიანია უკუნეთში
მოხვედრილი „ჭმუნვის სარქალი“: „... მღვრიე ცრემლები ხრჩო-
ლავდნენ ყელი... უკუნეთს შერჩა ჭმუნვის სარქალი“...

ქაოსის, ქვესენელის ხილვების მოძალება და „ჭმუნვის
ბებერაა“ ლექსში „ორნი“ (2, 86): „გულზე ამოგდის ჭმუნვის
ბებერა“.

ჭოტების კივილი, ყვავების ჩხავილი, „ჭმუნვის ზარები“
ისმის ლექსიდან „ფერფლი“ (1, 72).

ავბედით ეპოქას თითქოს „ჭმუნვის რთველში“ მიუწვე-
ვია პოეტი: „ეს ჭმუნვის რთველი სიცოცხლე დამდევს“ (მე
ვიცი ფიქრი და გარინდება) (1, 148).

ჭმუნავს არა ბრბო, არამედ ჭმუნავენ ქვეყნის გულშე-
მატკივარი, ავის და კარგის გამრჩევი მოგვები, ჭმუნავენ გა-
უძლის ვითარებაზე, პოლიტიკურ ავდრებზე: „...იწყება ჭმუნ-
ვა მორთხმულ მოგვების და შორიახლო ავდრების გლოვა“
(სიზმრების ნაღვერდალი) (1, 143).

დამდგარიყო „სუსხიანი ავდრები“, „ცრემლისფერი
ამინდები“, „უნდობლობა ყველა უნდობის:“ „ჩემი ფუტურო
ძვლების მერქანში სუსხიან ავდრებს შეთქმულებივით უთე-
ნებიათ. აქ ცრემლისფერი ამინდებია. სახეს ჩააკვდა უნდობ-
ლობა ყველა უნდობის“ (სტრიქონების ქარაფი. ციალა თო-

ფურიძე) (3, 69-70).

უკურნებელი დარდით დაკორტნილი პოეტი ამაოდ ცდილობდა გაცლოდა ტიალ უკუნეთს, ვერ ახერხებდა გან-
თიადისკენ გზის გაკაფვას: „დარდი მკორტნიდა უკურნებე-
ლი... თითქოს სხეული დაეხრათ ჭიებს, ღამეს მოვცილდი,
ტიალ უკუნეთს და განთიადებს ვერ დავეწიე“ (ის კიდევ წერ-
და ლექსებს) (1,26).

ერთგან ნიკო სამადაშვილი დარდების აყვავებაზე სა-
უბრობს და ამაში იგულისხმება ამ გრძნობის ესთეტიკურ კა-
ტეგორიამდე ამაღლება: „...კაცს ვერ ვპოვებდი. შენ ამოყვა-
ვე ჩემი დარდები და ის წარწერა: „კაცს ვერ ვპოვებდი“ (ლო-
ცულობს ყველა) (1,235).

ნიკო სამადაშვილი სისხლნარწყევია ამ სიტყვის პირდა-
პირი გაგებით: „.... მეც ვწერდი ლექსებს, მე სისხლნარწყევი“
(დაშვებულ ფარდებს გაამტერებს შენი ალვის ხე) (1, 141).

ამიტომ არის პოეტისთვის გასაგები და ახლობელი წი-
ნამურის ტრაგედია და ამბობს: „ჩემი ცხოვრება წამებული
წინამურია“ (წინამური) (1,142).

„კამკამა ცრემლებს“ არა გაგებას, არამედ წყევლას
აგებებენ: „ის კამკამებდა, ვით ცრემლის გუბე, ისმოდა წყევ-
ლა შეშლილ ქოშებით“ (სამიკიტნოში) (2, 166).

სიცილ-ხარხარით ბოროტების მთესველ დროებას არ
სჭირდებოდა ბალდახინებზე, ცრემლზე ყურადღების გამახ-
ვილება: „...რა ღვთის წყრომაა, ბალდახინებს წინ რომ მიუძ-
ღვი, სულ წირპლიანი დიაცივით რომ იცრემლები“ (ლეოს წე-
რილი) (3,43).

„გულქვა საწუთო, ყინულივით ცივი ქვეყანა“ ვერ ხე-
დავდა ობიექტური ვითარების გამო ცრემლდადენილ ადამი-
ანებს (უკულმართმა) (1,99).

არ ჩანდა გამოდარების, გათენების ნიშნები: „.... ღამე
ტირილით გამოიხურა და გათენებას ვეღარ მიაგნო“ (მარა-
დისობის უარყოფა) (1,97).

უსაზღვრო იყო უკეთურთა გულგრილობა სხვათა ტან-

ჯვა-ტირილისადმი. „...მე გავატარე ბედი ტირილში და ჩემი ტანჯვით მაინც ვერ გაძლენ“ (წუხელის შეგხვდი) (1,25).

კამკამა იყო პოეტის ცრემლის გუბე, რის გამოც უკეთურ-თა წყევლას იმკიდა: „ის კამკამებდა, ვით ცრემლის გუბე, ისმო-და წყევლა შეშლილ ქოშებით“ (სამიკიტნოში) (2, 166).

„ცრემლგანუწული“ პოეტის ფურცლებიც ცრემლიანია, და შვილისთვის დატოვებული ანდერძი-მრავლისმეტყველი: „...ჩემი ფურცლები, შედუღებული ცრემლების კირით... იგ-რძნობ... ძველი ქარებით წაქცეულ კანდელს და ბაღებს უკან სახლს გადანგრეულს. ვინც ჰგავდა თოვლზე გადაღვრილ ღვინოს, ვინც გულს ჩასტირა და ჩაისეტყვა“ (თამაზის) (3, 65).

„ბედით გვემული“ პოეტი გვიმხელს: „შენ გაწამებდნენ წიხლით, ფურთხებით... სისხლში იდექი შიშველ ფეხებით. ლამე გისტენდა წამოდი, წამო!“ (ო, რა მწარეა) (3,12).

მაგრამ არავის ენანებოდა „ნისლად დამდგარი ცრემ-ლი“ (ელდა) (3,48).

მოდიოდა „ლამე კუნელის ფერი, შავი, ბუღრია, ვით ჯო-ჯოხეთი“ (ფრესკები ჩონგურზე) (3, 77). ლამის გაბატონება იწვევდა „კვნესა-ვარამს“ (ქარებს შორის) (1,26).

აშკარა იყო „ღრუბლის ნაკვეთი, უკაცო ქვეყნის გარიუ-რაჟთან შეანჩხლებული“ (გათხრები) (3,85).

აღარ იყვნენ გადაგვარებულთა შორის „მღვრიე ცრე-მლების“ დამნახავი და გულთან მიმტანი ადამიანები (დაი-თენდა) (1,58).

„მწუხარებისთვის“ გაჩენილი, „მწუხარე არის“ ოსტა-ტი ბოგანოდ ექციათ: „...ის ბოგანოა... და გამაგონებს მწუ-ხარ არიას“ (არავის ერჩის) (1,41).

„ქართან შრიალებს“ პოეტის „კამკამა ცრემლები“ (წარ-წერა) (1, 168)(მდრ. გალაკტიონთან ოცნება შრიალებს; ტ. გრანელთან ცრემლი შრიალებს).

ბედით გვემულის სახეზე ცრემლი ხავსივით კვალს ტო-ვებს (დაუსაბამობის ხილვა) (1,43-44).

პოეტს ელანდება „სველი პანაშვიდები“, ესმის „ქვეს-

კნელთ გალობა“ (შეხვედრები დღის ბოლოს. ვასო მურვანიძე) (3, 123).

უკეთურთ, მცხოვრის ხატის მქირდავთ, სახე „შავგვრემანი ფიქრით“ ჰქონდათ ამოთხუპნული, ანუ სახეზე ეწერათ შავი ფიქრის კვალი: „ეს ის კაცია, მაცხოვრის ხატს როცა ქირდამდა, შავგვრემან ფიქრში მთელი სახე ამოთხუპნული“ (სინათლის მიმოქცევა) (1, 241-242).

პოეტი ნატრობს, „წყევლისფრად სავსე უსაზღვროება-საც“ მოერიოს ლმობიერების ცრემლი და გადაარჩინოს მართალი მრევლი: „თუ მოგერიოს ოდესმე ცრემლი, წყევლისფრად სავსე უსაზღვროებავ, გადამირჩინე თუ გინდ ის მრევლი, ვინც ალავლენდა ჩემს მყუდროებას“ (გზათ-ვალალობა) (1, 54-55).

„ქაოსთა გროვა, ქვესკნელი“, „დარდების ძეძვი“, „ჯოჯოხეთის ქარების ქროლვაა“ ირგვლივ (დამშვიდობება და სინანული) (2, 126).

„ჯანღი უკუნის“ ცეკვა ჯვარცმაზე დიდ სატანჯველს უმზადებდა პოეტი: „... რომელი ჯვარცმა შეედრება ამ ჩემს წამებას“ (ჩემი დღე) (1, ი18-19).

დანაშაულებრივი ძალების ბატონობის უსულგულოეპოქაში განწირული პოეტი ქარბუქს უწოდებდა ძმას: „... მე კი არავინ არ მიპატრონებს, შენ შემიბრალებ, ძმაო ქარბუქო“ (გზად დაგასვენეს სამრეკლოს ჩრდილში) (1, 102).

ნიკო სამადაშვილის ლექსში „მონასტერი სჩანს მთაზე ნისლივით“ (1, 140), ცხოვრება განზოგადდება, როგორც საძალლეთი, სადაც თავის ქალას ქარები აგორავებენ, ხოლო ლექსებით გამოხრულ თავის ქალაში ხვლიკი იპოვის ბინას და რამხელა ტკივილიანი ირონიაა იმაში, რომ ეს ქვეწარმავალი იქნება ლექსების „დამფასებელ-მაქებარი“: „უკან სიცოცხლე ძალლივით მომდევს, სად შევაფარო თავი საძალლეთს. თვალებში ჩადგა ქარის ვედრებაც, რა მეშველება დარდებით ნაღლეტს, დამბლადაცემულს ლექსების ჭამით, სისხლში ლექსები ხშირად ბორგავენ, ასე მგონია ჩემს თავის ქალას

თითქოს ქარები აგორავებენ. ლექსი ჩამექცა ტვინში სისხლივით, ტვინი გამოხრეს ტიალ ლექსებმა, თავის ქალაში შეძვრება ხვლიკი და მოუნდება ლექსების ქება“ (მონასტერი სჩანს მთაზე ნისლივით“ (1, 140).

„შავი ფიქრებით გალიცლიცებულია“ ნიკო სამადაშვილის პოეზიის ლირიკული პერსონაჟი ლექსში „უდაბურ ტყეში მივალ, ღამეა“ (1,197-198).

„ფიქრების თოშია“ „გულთამხილავში“ (1, 12).

ნიკო სამადაშვილი საუბრობს „დარდების სითბოზე“ (ორნი) (2, 86), დარდების აყვავებაზე.

ნამების, ჯვარცმის თემა ქრისტეს ჯვარცმას მოაგონებს და დარწმუნებულია, რომ მისი დარდებიც აყვავდებიან, კაცობრიობის გზამკვლევად იქცევიან და ავდარს დარი (აზრების დარი) შეცვლის, დაცემას ამაღლება შეენაცვლება ამ უკაცო ქვეყნის საგულისხმოდ: „.... მხოლოდ ეს გული ეგდოს რიყეზე, ვით სისხლიანი ქრისტეს პერანგი... და როცა იქით გაავდარდება, სადაც ეგდება ნეშტი პოეტის, შენ ამიყვავე ჩემი დარდები და ის ნარჩერა: „კაცს ვერ ვპოვებდი“ (ლოცულობს ყველა) (3, 95).

თითქოს ცრემლებს შუქი აქვს, რომელსაც ხელენიფება დასაბამთან სინათლის მოვლინება: „.... თუგინდ დასაბამს ცრემლების შუქით გადაინათებს“ (მზრუნველი თვალი) (3, 71).

„შუქს ცრემლების ტალღა იძლევა“ (ჩემი ფეხის ხმა მთვარისკენ ნაკამასევი (1, 143).

„ცრემლები თეთრად ყვავიან“ (გარეთ, ციოდა) (2, 115).

წმინდა ცრემლები უკვალოდ არ იკარგება, ის გალობს, სამყაროს ანათებს, მტრედებს მოუვლენს სულიწმინდის მაცნედ და ასტრალური მოგზაურობის ძალას იძლევა: „მე გადმოვრბოდი, ცრემლი გალობდა, ხან ქარიშხლების სვეტებს ვეყუდე, ხატებთან ენთო უბინაობა და კამარებში მტრედების ბუდე“ (გადმორბენა სამყაროსკენ) (2, 169-170).

გალაკტიონი აცხადებდა: „მე მივყვებოდი მწუხარებას

შეყვარებული და ქარვისფერი“. ის ცრემლებით რწყავდა თავისი სულის ყვავილებს და ამით ანიჭებდა შთამბეჭდაობას: „ო, იმ ცრემლებით ირწყვებოდა ჩემი ვარდები...“

ქართველი პოეტის უცხოელი წინამორბედებიც ასე ფიქრობდნენ. „ყოველგვარი მშვენიერების უმადლესი გამოვლინება მუდამ ცრემლს ადენს მგრძნობიარე მკითხველს. ამიტომაც მელანქოლია ყველაზე უფრო კანონზომიერია პოეტური ინტონაციებიდან“, ნერდა ედგარ პო „კომპოზიციის ფილოსოფიაში“ (4, 209).

გულწრფელი ცრემლები, უმაღლესი განცდები, სხვათა თანაგრძნობა უზენაესთან დგომის გზად ესახებოდა ვაჟა-ფშაველას: „... ვისაც არ მოგწონთ ტირილი, ის ნუ დაჯდებით ჩემთანა, მტირალის სტვირის პატრონი ფეხს როგორ გავწვდი თქვენთანა, მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა“ (სიმღერა) (5, 231).

„სევდის ტრიუმფატორი“ იყო ტერენტი გრანელი, ლექ-სი მისი „გული და სისხლი“ იყო, მისთვის ორგანული იყო „ჯავრით თრობა“.

ნიკო სამადაშვილის პოეზიის შთამბეჭდაობის მთავარი მიზეზი მის გულწრფელობა-ბუნებრიობაში, უსამართლობის გამო დასევდიანებაში, პირად თუ თანამოძმეთა გულისტკივილის გაზიარებაშია და დარდით, ცრემლით გულგასენილი პოეტი მკითხველის თანაგრძნობას იმსახურებს.

გალაკტიონს ევლინებოდა ქვეყნის უსამართლობით, შურისძიებით ატანილი ადამიანების გამო დანაღვლიანებული იქ ღმერთი (ქრისტე, მიმღერე რამე).

ქრისტე ჭმუნავს ნიკო სამადაშვილის ლექსშიც. „უკანასკნელ ქრისტიანებში“ უღმერთობას, ნერგევისპირას მყოფი ტაძრის, რჯულდაწყვეტილი ქართველების ხილვით შემკრთალია მაცხოვარი: „ძლივს ვამშვიდებდით შემკრთალ მაცხოვარს, რჯულდაწყვეტილი ექვსი ქართველი. დაუსუსნია ბზის ბუჩქი ჭინჭარს...“

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელში“ უკიდურესი ასკე-

ტიზმით შეპოჭილი სასულიერო პირები სერიოზულად კამა-თობენ იმაზე, იცინოდა თუ არა ქრისტე.

კონსტანტინე გამსახურდია შეგვაგონებს: „ტკივილები, ტკივილები იწვევენ სიხარულშემოსილ შვებასა და ხელოვნური სილალის დაწაფებას. ტკივილებზე და სისხლის ნაკვალევზე იზრდებიან ხელოვნების გულლაღელი ორქიდეები“ (ფრაგმენტები ტრიოლოგიდან: ხელოვნება, სიტყვა, ხატი, მუსიკა) (6, 14).

გალაკტიონის „ყრმა მეოცნებე და გენიოსი“ მოკვდავთავის დაწესებულ საზღვრებს სცილდება „საკუთარ ძლიერ სიმღერის გრძნობით“, ხოლო „ამგვარ გრძნობებს ქმნის მხოლოდ წამება“ (რაა ეს გრძნობა?) (7, 9).

პოეტების მეფე ცრემლებით რწყავს თავის „სულის ვარდებს“, „ნრფელი ცრემლით“ ქმნის ნამდვილ ხელოვნებას, ცრემლით ცდილობს „მიწით გმობილი წინასწარმეტყველის“ გაცოცხლებას (შორი ალერსი) (8, 97).

ტანჯვით იკაფავს გალაკტიონი ეკლიან გზას, მისი ცრემლი კი „ციურ ცვრად“ ეპკურება არემარეს: „მსურს რომ ვიტანჯო და ვივალალო, ცრემლი ციურ ცვრად არეს ვაპკურო, გზა ეკლიანი ცრემლით გავკვალო“ (ყველაფერს ამბობს ობლის საფლავი) (8, 19).

„ლურჯა ცხენების“ ავტორის გამორჩეულობის საიდუმლო მის დრამატულ განცდებშია საძიებელი: „როდი მიყვარს გულისტქმა თუ ნაღველს არ ერევა, ათას ხმაში ჩემი ხმა ამ ხმამ განაცალკევა“ (მალე ფერგადამლილი) (8, 410).

გოეთესთვის მიუღებელი იყო „ამომშრალი თვალები“, რომელთაც „ქვეყანა მკვდარი ეჩვენებათ“...

„ჩემთვის წამება სიხარულია და მიხარია, რომ ვიტანჯები, წერდა „სევდის ტრიუმფატორი“ ტერენტი გრანელი, რადგან მისი ხვედრი იყო „მძიმე მიზანი“.

ჩინური ფილოსოფიის მიხედვით, მთავარია ტანჯვა არა საკუთარი პრობლემების გამო, არამედ საქვეყნო ტკივილებია ფასეული უზენაესი მეუფის გადასახედიდან: „ყოვლადბრძენი

ამიტომ ამბობს: „ვინცა გაცოდვილდა მთელი ქვეყნის ცოდვით: განინამძღვრდა ცისქვეშეთში, ვინცა დაიტანჯა მთელი ქვეყნის ტანჯვით: გამუფდა ცისქვეშეთში“ (9, 232).

„ყოველგვარი მშვენიერების უმაღლესი გამოვლინება მუდამ ცრემლს ადენს მგრძნობიარე მკითხველს, ამიტომაც მელანქოლია ყველაზე უფრო კანონზომიერია პოეტური ინტონაციებიდან“, წერდა ედგარ პო „კომპოზიციის ფილოსოფიაში“.

ბიბლიური იობის ტანჯვა გვევლინება, როგორც „გამოცდა, როგორც ამაღლება, უზენაესი განვითარების პირობა... სრულყოფილება და ტანჯვა ძალზე ხშირად ემთხვევა ერთმანეთს“.

„ტანჯვასა და სულიერებას შორის კავშირია... ტანჯვა არ წარმოადგენს ცალკეული პიროვნების შეცოდების შედეგს. ყველაზე ამაღლებულს კაცობრიობა უკავშირებს ტანჯვას“, წერდა შტაინერი (10, 98-99).

„ტანჯვა დაკავშირებულია ადამიანის ბუნების სიღრმესთან...“

„ტკივილისგან იბადება ცნობიერება.“

„.... ცოცხალს ტანჯვა თუ არ შეეძლებოდა, ცნობიერება ვერასოდეს ნარმოიქმნებოდა“, წერს შტაინერი (10, 109-110).

შემოქმედებას, სიყვარულს, მაღალ ცნობიერებას ტანჯვას უკავშირებს შტაინერი: „როცა სხვათა ტანჯვას გარდავქმნით ჩვენს საკუთარ, მაღალი ცნობიერების სამყაროში, მაშინ... იბადება შემოქმედება და ბოლოს, სიყვარულიც ტანჯვისგან ნარმოიშობა“ (10, 114).

„ადამიანური ბუნების გაკეთილშობილების, ამაღლების წყარო ტკივილშია.“

„ტანჯვისაგან იბადება ცოდნა. ცოდნისგან იბადება შემეცნება. ტკივილი ისევე, როგორც ბევრი რამ, შეიძლება მხოლოდ მისი ნაყოფით შევიმეცნოთ“ (10, 117).

ტანჯვა, ტკივილი, ავადმყოფობა მშვენიერების შექმნასთან არის კავშირში: „ტანჯვის, ტკივილის და ავადმყოფობის

გარეშე სამყაროში არანაირი მშვენება არ იქმნება“ (11, 77).

„სიხარულისა და მწუხარების შეგრძნება, შვება და ტანჯვა... წაიყვანენ სამშვინველს სწორი გზით... გადაიქცევიან მის „თვალებად“ და „ყურებად“, ასკვნის შტაინერი (11, 163).

„.... ხელდასხმული, ინიციაციას ზიარებული... ხდება „სიბრძნის მოწაფე“. შემმეცნებელი ჰპოვებს ახალ სამმობლოს. იგი ხდება შეგნებული მკვიდრი ზეგრძნობადი სამყაროსი“, ასეთია ანთროპოსოფიის ფუძემდებლის შეგონება (თეოსოფია) (12, 165).

ასეთ კრიტერიუმებს მხოლოდ სულიერი მიდისგან გაპრძნობილნი, მარადიულთან ნაზიარები კლასიკოსები აკმაყოფილებენ.

ნიკო სამადაშვილი იყო „უზენაეს მეუფესთან“ ნაზიარები „სიტყვის მეუფე“.

დამოწმებანი

1. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 2004
2. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ., 2010
3. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, შემდგენელი მზია სამადაშვილი, „ინტელექტი“, თბ., 1989
4. ედგარ პო, კომპოზიციის ფილოსოფია, ესეები, თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, „მერანი“, თბ., 1989
5. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. 2, პოემები, ლექსები, თბ., 2011
6. ქართული ლიტერატურული ესსე, XX ს. 20-იანი წლები. შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო მანანა ხელაიამ, „მერანი“, თბ., 1986
7. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 1, პალიტრა L, თბ., 2011
8. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 1, თბ., 1993
9. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983
10. რუდოლფ შტაინერი, შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები. როზენკრონიცერობა და თანამედროვე ხელდასხმის პრინციპი. ტანჯვის წარმოშობა. ბოროტების წარმოშობა. როგორ გავიგოთ ავადმყოფობა და სიკვდილი. მთარგმნელი ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ., 2014
11. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭე, მთარგმნელები ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ., 2014
12. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების სფეროში. თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, თბ., 1970, რედაქტირებულია 1995 წელს.

სიზმრების მნველი პურუში

ნიკო სამადაშვილის შემოქმედება ყურადღებას იქცევს მრავალმნიშვნელოვანი სახე-ცნებებით. ასეთია სიზმარი, ზღაპარი, არაკი, ბალადა, თქმულება, ლანდი, ზმანება, რომელთა დიდი ნაწილი პოეტურ ფანტაზიას, ხილვებს, მხატვრულ გამონაგონს უკავშირდება.

ანალოგიური გაგებით მიმართავენ ამ ცნებებს მწერლობაში.

შარლ ბოდლერი ბრძენის სიზმრებისგან განასხვავებდა პოეტის სიზმრებს, სტეფან ცვაიგი დოსტოევსკის შემოქმედების უმთავრეს მახასიათებელად წინასწარმეტყველურ სიზმრებს მიიჩნევდა, ალექსანდრ ბლოკი მხატვრულ გამონაგონს არამიწიერ სიზმარს უწოდებდა.

გრიგოლ რობაქიძის განსაზღვრებით, „ხელოვნური სინამდვილე ზღაპარია, მითი, ლეგენდა. ხელოვანი თვალღია სიზმარშია გახვეული“.

კონსტანტინე გამსახურდია საუბრობდა „ზმანებისა და მითის ჯადოზე“, ურომლისოდაც იწყება მწერლის კრიზისი.

უოტ უიტმენი პოეტის სიზმარს, ზმანებას უკეთებდა აქცენტს, ტერენტი გრანელი თავის შემოქმედებას „დედამიწის სიზმრად“ მოიხსენიებდა, გალაკტიონი „ოცნება-სიზმრად“.

მინიური ცხოვრების სიზმარეულობაზე, ილუზორულობაზე ამახვილებდა ყურადღებას აღმოსავლური (ჩინური, ინდური, კორეული) პოეზია (აღმოსავლური პოეზია, თარგმანი თამაზ ჩხერიმელის, თბ, 1981).

ანალოგიური მოსაზრება გვხვდება ფრანგულ, რუსულ, ამერიკულ (ედგარ პოლ) პოეზიაში.

ასეთი განცდა უცხო როდია კონსტანტინე გამსახურდიასთვის: „განა ჩვენი სინამდვილე სიზმარზე უსიზმარესი არ არის?“ („დიონისეს ლიმილი“).

სიზმარში სიზმარზე საუბრობდნენ ედგარ პო, უოტ უიტმენი, გალაკტიონი.

„ის, რაც წარსულში მოხდა, ფაქტიურად სიზმარში მოხდა. აი, რატომ ამბობენ, რომ მთელი ცხოვრება სიზმარია, მხოლოდ თქვენ არა ხართ სიზმარი, სიზმრის მაყურებელი შეუძლებელია სიზმარი იყოს. სხვა შემთხვევაში სიზმარი არ იარსებებდა“, წერდა ბპაგვან შრი რაჯნეში (1,258).

ამ მოსაზრებას ეხმაურებოდა ტერენტი გრანელი: „და სიცოცხლე სიზმარია ღამის“ (სიჩუმეა და ქარიშხალს ვუცდი, ტ.I ,1991, გვ.144).

რუდოლფ შტაინერი „სულიერი კულტურის კარიბჭედ ფანტაზიას“ მიიჩნევდა.

„მე ვჭვრეტდი კაცობრიობის უძველეს სულიერ შემეცნებას, რომლის მახასიათებელია სიზმარეული მდგომარეობა... შუა საუკუნეებში ადამიანმა მიაღწია ცნობიერი სამშვინველის ფლობას. მას აღარ ჰქონდა მეტად შემეცნებითი სიზმრები“, წერდა შტაინერი (2, 412).

„სულის შემეცნების ამოცანაა მღვიძარე ცნობიერების, შემეცნებადი ნების საშუალებით იდეის განცდა მიიყვანოს რეალურ სამყაროსთან... ნახევრად მღვიძარე, ნახევრად სიზმარეული ძველი სულიერი შემეცნების საპირისპიროდ — ეს გახლავთ სრულიად ცნობიერი მისვლა სულიერ სამყაროში“, ასკვნიდა შტაინერი (2,413).

ანთროპოსოფიის ფუძემდებლის აზრით, „პირველდან-ყებითვე არსებობდა ინსტინქტური ნათელმხილველობის ერთგვარი სახეობა, სიზმარეული ნათელმხილველობა“ (2,261).

„ხელოვნებაც ხომ თავდაპირველი სიზმრისეულ-ხატებ-რივი სულის განცდიდან ამოიზარდა“ (2,423).

„სიზმარი არის სიმბოლური... სიზმარში შეიძლება მთელი ისტორიების დანახვა“ (3,116).

„შინაგანი მდგომარეობაც ასევე პოულობენ სიმბოლურ ასახვას სიზმრებში... განსაკუთრებული შინაგანი სენსიტიურობის მქონე ადამიანებთან... სიზმარი მოქმედებს, როგორც წინასწარმეტყველება“ (3,117).

„საკუთარი სიზმრების მეშვეობით ადამიანი შემეცნე-

ბას იძენს. სიზმრებში ასევე შეიძლება გადმოიცეს ზენა სამყაროთა ზეგავლენები. შთაბეჭდილებები ზენა სამყაროები-დან სიზმრებს ჰგავს“.

სიზმრის მნიშვნელობას, ცხოვრებასთან მის კავშირს ხაზს უსვამს შტაინერი და იმოქმებს ეფისონის სიზმარს: „ერთხელ ედისონს ესიზმრა, როგორ გაეკეთებინა ვარვარა ნათურა. მან დაიმახსოვრა ეს სიზმარი და ნამდვილად გააკეთა ისე-თი ნათურა, როგორიც მას ესიზმრა. მთავარი ისაა, აქვს თუ არა სიზმარს რამე მნიშვნელობა ცხოვრებისთვის“ (3,118).

ადამიანს „ძილში ეხსნება სინამდვილის არსი და მაშინ მას შეუძლია სიზმრები ამ სინამდვილზე შეამოწმოს“ (3,119).

რუდოლფ შტაინერი ახსენებს ფრანცისკო ასიზელის წინასწარმეტყველურ სიზმარს, რომელშიც ინიციაციის გზაზე შემდგარ ყმანვილს ესიზმრა იარაღი, ფარი და მოქსმა ვიღაცის ხმა: იარაღი, სიზმარში რომ იხილე, გულმოწყალების, თანაგრძნობისა და სიყვარულის მშვინვიერ-სულიერი იარაღია, ფარი კი ნიშნავს ცნობიერებას, რომელიც მოწყალების, თანაგრძნობისა და კაცთმოყვარეობისადმი მიძლვნილ შენს ცხოვრებას ამა სოფლის სიძნელეებისგან დაიცავს და დაიფარავს“ (4,33).

თალმუდის მიხედვით, სიზმარი წერილია და თუ არ გაშიფრე, ეს იგივეა, წერილი მიიღო და არ წაიკითხო.

„სიზმარი ფანტაზიის ნაირსახეობაა, ფანტაზია, რომელსაც უფრო ღრმა კავშირი აქვს პიროვნების ძირეულ არსთან ან მის ინტიმურ საიდუმლოსთან, ვიდრე ფხიზელი ცნობიერების დროს აღნიშნავს ადამიანი საკუთარი თავის შესახებ... ამდენად, სიზმარი, როგორც ლაკმუსის ქაღალდი, ამჟღავნებს პიროვნების რეალურ არსს“ (5,174).

მუდმივად შთაგონების ექსტაზში მყოფი ნიკო სამადაშვილი მშფოთვარე სიზმრებს ხედავდა, ლოცვას აღავლენდა, ლანდებს დასტრიალებდა, ზარები ჩაესმოდა, ნარმავალი წუთისოფლის მიღმა იხედებოდა: „ყოველ ღამე სიზმრებში ვარ, გულს ლოცვებით ვატიალებ, საყდარი ჩანს, ზარებია და მეც

ლანდებს დავტრიალებ. სადღაც მნათე ზეცის თაღს რეკს, წუთისოფლის კარგა გაღმით, ქაოსები გზებს კენკავენ, ასე ხდება ყოველ ღამით“ (მილულვა) (6,61).

პოეტის „სხეულის საგიჟეთში გამომწყვდეული“ ლექსე-ბი სიზმრებს (ფანგაზია-გამონაგონს) უკავშირდება: „ ორმო-ცი წელი დაფრენილი ლექსების გუნდი, ჩემი სხეულის საგი-ჟეთში გამომწყვდეული... მიყვარდა მაშინ... სიზმრების ცქე-რა“ (ძალო ეკატერინეს) (788-89).

არ ტოვებდა „ზმანება“, „ფიქრების ზვინი“, მისთვის ორგანული იყო „ლანდებთან ბაასი“ (ფერიცვალება) (6,362).

„შემოქმედების ურთულეს გზებზე გასული, მოწოდე-ბით პოეტი, წმინდანივით ლოცულობდა, „მბჟუტავ სიზმრებ-თან“ ათენებდა, ამასთან აცნობიერებდა, რომ მხატვრული სიტყვის საზღაური გულის სისხლი უნდა ყოფილიყო (მანიას. მარიამ ამანათაშვილს, ნ.ს.მეუღლეს) (6,46).

„თალზი სიზმრების დაყრილი ბარათები“ სევდიანი გან-წყობილების უზუსტესი არეკვლაა (გიშერი) (6,45).

პოეტი — მგზავრის „სულის ფარანი“ მიენათებოდა „წარმავლობის ოხერ მარანს“, „დარდების ჭილი“, „განცდე-ბის ზვარი“ იქცეოდა ბალადად და „გულის ხურათმოძღვარი“ ხდებოდა: „...სიზმრების ნიშზე ანთებული მგზავრის ფარანი, წარმავლობის ოხერ მარანთან ნაირ ფიქრების მწველი ჭრი-ჭინი, დარდების ჭილი, განცდების ზვარი. ეს იყო, ესაა ჩემი ბალადა, ჩემი გულის ხურათმოძღვარი“ (სტრიქონების ქარა-ფი. ციალა თოფურიძეს) (6,64-66).

საგულისხმო ქვეტექსტის შემცველია ფრაზა: „მიყუ-რებს ქარი... ჩიფრიფებს რაღაც დაბურულ ზღაპარს“ (წავალ, მოვაცდები, ვინ მომიგონებს) (6,123).

წმინდა წერილის მიხედვით, შთაგონების მომნიჭებე-ლია სულიწმინდა, ხოლო მუზის გამოცხადება საღვთო ნია-ვის, ქარის მოვლინებასთან ასოცირდებოდა როგორც შუა საუკუნეების ესთეტიკაში, ისე შემდგომ პერიოდებშიც.

ნიკო სამადაშვილის ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერ-

თი მთავარი პრობლემა წარმავლობის და მარადიულობის დაპირისპირებაა და სწორედ ამ საკითხის მახასიათებელია „წარმავლობის დიდი ზღაპარი“: „...და მწვანე შუქზე გიბუტ-ბუტია წარმავალობის დიდი ზღაპარი“ (საით, ვინ იცის) (5,217/218).

„წარმავლობის ღრენას“ „ზმანება“ ანუ ხილვა ახლავს (5,257).

„სიოს არაკი“, „სიზმრების კოცნა“, „ცისფერ აისებში“, „სამხარზე დარგული სიზმრები“, „სიზმრების მწველი ბურუ-სი“, „სიზმრების ნაღვერდალი“, „შეხერაზადას სიზმრები“, „ჭორფლიანი ქონგურების სიზმრები“, „ზმანება ზამთარში“, „სიზმარი და ბოდვა მგოსნების“ ისევ და ისევ მის მხატვრულ გამონაგონზე, შთაგონების პროცესზე მიუთითებს (აგარაკი, გულთამხილავი, სახლი ნარიყალაზე, გახსენება, ნაფოტები).

ლექსში „გიოს ავტოპორტრეტი“ (5,61) აქცენტირებულია „ქარიშხლების ჯილაგი“, ზღაპრების დისკო, სიგიჟე და აშკარააა, რომ ამ შემთხვევაშიც შემოქმედებითი პროცესის თავისებურებაა წინ წამოწეული: „...ხან ქარიშხალების ჯილაგი მოგდევს... სადღაც ელავს ზღაპრების დისკო. შენი სიჩუმე და გარინდება ზურგშექცეული გიუს ხმა არის“.

ნიკო სამადაშვილი ხაზს უსვამდა სულიერი სიფხიზ-ლის, ხილვის, სმენის აუცილებლობას, რაც პოეზიის გადარჩენის აუცილებელი პირობად ესახებოდა: „ნუ ჩათვლემ ძმაო. აქ არის ხილვა, ზარების სმენა და პოეზიის გადარჩენა“ (აქ არის ღამის მაჯისცემა) (6,231).

მართლაც, წარმოუდგენელია ჭეშმარიტი შემოქმედება ნათელხილვის, ნათელსმენის გარეშე.

ნიკო სამადაშვილი ხედავდა დაუსაბამოს, მთის კონცხის იქით მიმავალ მგზავრებს, მიღმურ სამყაროს, ხედავდა სულს, ესმოდა ღმერთის გაფრენის ხმა, ტბების ტირილი, ოკეანის სიმფონია, ბეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი...

არ სცილდებოდა „სიზმრების მწველი ბურუსი“ (იტყვი-ან, კაცი რაზე ლოთობდა) (6,107), „სიზმრების ნაღვერდალი“

(ერეკლე ტატიშვილს) (7,102-103).

ერთგან ამბობს: „...გახსოვს, სამხარზე სიზმრებს რომ ვრგავდით, ძუძუს რომ ვწოვდით ცისფერ აისებს“ (6,206).

ლექსში — „მარიამს. მეუღლეს“ (5,163) „დედის ბალა-დას“ ბურტყუნებს ქარი.

თავისი პოეზიის რელიგიურობას გამონაგონზე, ზღა-პარზე აქცენტირებით ასე წარმოაჩენს: „ვერხვები სწოვდნენ შენს ზღაპრებს ძუძუს“ (იცი, რა იყო ჩემი სიზმარი?) (6,159).

ვერხვი სიცოცხლის ხის სიმბოლოა, პოეტი ხაზს უს-ვამს, რომ მისი ზღაპარი, გამონაგონი რელიგიურ თემას უკავშირდება.

სიზმარში სიზმრის ნახვაზე ამახვილებდნენ ყურადღე-ბას ედგარ პო, უოტ უიტმენი, გალაკტიონი.

ნიკო სამადაშვილის პოეზია ამ თავისებურებითაც იქ-ცევს ყურადღებას: „წუხელის შენი სიზმარი ვნახე, ხშირი ბა-ლები, ბოდვა მგოსნების, გადაბურული პალმებით ღამე და ოდნავ სველი კვიპაროსები. მე ვნახე შენი სიზმრების ღამე“ (ჩემი სიზმარი) (6,104).

პალმები, კვიპაროსები სიცოცხლის ხის სიმბოლოებია, ხო-ლო მიწიერი ბალი ხალხის, ქვეყნის, ზეციური ბალი-სამოთხის.

პოეტს ცხოვრებისგან ზურგშექცეული, კაცობრიობას-თან გაბუტული, „ბნელი ფიქრებით შემოკვართული“ ვაიშე-მოქმედი წარმოესახება, როგორც „ბოსლის ობობა“, „ხრიოკი ქედი“, „ცრემლებით მოქსოვილი ქარის თქმულება“, რომე-ლიც ვერ ასრულებს ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის ფუნ-ქციას და ეფემერულია (სიმართლე) (6,179).

მეცნიერები განასხვავებენ „განცდილის, მომასწავე-ბელ, წინასწარმეტყველურ სიზმრებს“ (9,56).

განცდილზე მიმანიშნებელი სიზმარია ნიკო სამადაშვი-ლის ლექსში „შეხვედრები დღის ბოლოს. ვასო მურვანიძეს“ (6,123): „...სიზმრებში ხვდები შენს სიყმანვილეს“.

განცდილის მაუნყებელი სიზმარია ლექსში „შენ რო მოკვდები, მაშინ შეირყევი“ 96,49): „დევნილ სიცოცხლეს

ბნელ სიზმრების ჯანყი მაღავდა“.

ლექსის ადრესატი მართლაც დევნილი ერეკლე ტატიშ-ვილია და პოეტი უცდომელი ფსიქოლოგიური ალლოთი მია-ნიშნებს, რომ დევნილი, გარიყული ადამიანი ბუნებრივად ავ-ლენს სიზმარში ჯანყის, დაუმორჩილებლობის გრძნობას.

კარლ გუსტავ იუნგის მიხედვით, „სიზმრები შეიძლება წარმოადგენდეს სურვილების ან შიშების მანიფესტაციას, შეიძლება მოიცავდეს გარდუვალ ჭეშმარიტებას, ფილოსო-ფიურ დებულებას, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, გეგმებს, ანტიციპაციას, ირაციონალურ განცდებს, ტელეპატიურ ხილვებს“ (10,305).

ნიკო სამადაშვილის ლექსი „დასასრული“ (6,122) წინას-წარმეტყველური სიზმრის ნიმუშია: „თითქმის ყოველდამ ჩემს სიზმრებში სიკვდილსა ვხედავ. პირქვე დაცემულს ქა-რიშხლებიც ვერ ამაყენებს“.

მართლაც, ქუჩაში უგონოდ დაეცა პოეტი და მერე არც ამ-დგარა, რაც ბუნებრივად ინვეს ასევე ქუჩაში დაცემული და სი-ცოცხლეს განშორებული ედგარ პოს ალსასრულის ასოციაციას.

ქართველი პოეტის ლექსში „დამშვიდობება და სინანუ-ლი“ (5,211-212) სხეული წარმოჩნდება, როგორც „ფუტურო“, გულის სიზმარი კი მოიხსენება გოლგოთასთან, აქვე „ქვეს-კნელის წყლები“ ფიგურირებს: „ფუტურო სხეულს გულის სიზმარი შერჩება, როგორც გოლგოთას თხრილი. თვალს შე-გავლებენ ქვესკნელის წყლები“.

სხეულის ეპითეტი „ფუტურო“ (ეს ეპითეტი მრავალ-გზის გვხვდება მის პოეზიაში) ხაზს უსვამს სხეულის წარ-მავლობას, გულის სიზმართან გოლგოთის მოხსენებაც არ არის შემთხვევითი, რადგან პოეტს თავის ჯვარცმაზე, წამე-ბაზე მრავალგზის გაუსვამს ხაზი და ის მართლაც იყო ლექ-სისთვის, არსებობისთვის ჯვარცმული.

ამ ლექსის ამოსავალია პოეტის მიერ ცხოვრებაში გა-დატანილი ჯოჯოხეთური ტანჯვა და, განცდილთან ერთად, წინასწარმეტყველური განჭვრეტაც არის მომავლის, რადგან

ჯვარცმას ყოველთვის ენაცვლება აღდგომა, გოლგოთას-გა-ლილეა.

ზიგმუნდ ფროიდის მიხედვით, „სიზმარი ოკულტიზმს უკავშირდება. ხშირად სიზმარი განიხილება, როგორც მის-ტიკური სამყაროს კარიბჭე... ბევრისთვის იგი ითვლება ოკულტურ ფენომენად... მას არაერთი ძაფი აკავშირებს ბნე-ლით მოცულ საგნებთან.“

„...ოკულტიზმის სამყაროში ყველა ნიშანი, სასწაული, წინასწარმეტყველება და სულის გავლენა ახლებურად წარ-მოჩნდებიან... რელიგიები... მასში ხედავენ, ზეადამიანური ძალების ზემოქმედებას და დასაბუთებას“.

„ტელეპატიის ფენომენი შეიძლება სიფხიზლეშიც ხდე-ბოდეს... ძილის მდგომარეობა ტელეპატიური ცნობების მი-ღებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ჩანს“, წერს ფრო-იდი (11,260).

ნიკო სამადაშვილი ძალზე მისტიკური პოეტია, მისთვის ორგანულია „მისტერიებით თრობა“, მისტერიების თანხლე-ბა, „ანთებულ სანთლების წინ მისნობა“, „სამყაროს გაღმა“ გასვლა და „მისანივით“ ჩაფიქრება (სად არის, სადა?) (5,55) (ასე მარად) (3,134).

ელენე ბლავატსკაია განასხვავებდა წინასწარმეტყვე-ლურ, ალეგორიულ, ადეპტების მიერ გამოგზავნილ, რეტ-როსპექტულ, გამაფრთხილებელ და უნესრიგო, ქაოტურ სიზმრებს (საიდუმლო დოქტრინა) (12) .

პოეტი ყოველთვის „სამყაროს მიღმა“, ხილულის მიღმა არსებულ საიდუმლოებებს უღრმავდებოდა, ხედავდა სხვა-თათვის უხილავს, განგების ჩრდილს, ესმოდა დუმილის ხმა, აღწევდა ჩვეულებრივთათვის მიუღწეველს, ხედავდა მიცვა-ლებულებს, ებაასეებოდა სულებს, ესმოდა „ქარის იდუმალი ზღაპარი“, ევლინებოდა წინასწარმეტყველური ხილვები.

დამოწმებანი

1. ბჳპაგვან შრი რაჯნეში, ტანტრა. უდიდესი შეცნობა. თარ-
გმანი მერაბ ხერგიანის, „საუნჯე“, 1991წ.
2. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი
კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“
თბ.1994
3. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭეს-
თან, მთარგმნელები: ლ.ბაბლუანი, ა.კვარაცხელია,
თბ.2014
4. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება,
გიორგი ნიშნიანიძის საერო რედაქციით, წინასიტყვაობი-
თა და კომენტარებით, თბ. „ხომლი“, 1994.
5. ნოდარ სარჯველაძე ფსიქოლოგიური საუბრები, თბ.1995
6. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, თბ.2004
7. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ.2010
8. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, თბ.2006
9. რევაზ ნათაძე, რა არის სიზმარი, თბ.1948
10. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძ-
ვლები, სიზმრები , თბ.1966
11. ზიგმუნდ ფროიდი, ფსიქოანალიზი, მთარგმნელი და რე-
დაქტორი ვიტალი კაკაბაძე, თბ.2009
12. ელენე ბლავატსკაია, საიდუმლო დოქტრინის კომენტა-
რები, ბლავატსკაიას ლოჟის თეოსოფიური საზოგადოე-
ბის შრომები, საიდუმლო დოქტრინის I ტომის სტანსების
განხილვა. გამომცემელი და მთარგმნელი ვაჟა ნარიმანი-
ძე, თბ.2011

ჭკუაზე შერყევა — ბეჭისერება

ჭეშმარიტი შემოქმედის ინტერესის საგანია ხილული თუ მიღმური სამყარო, მიწა და ზეცა, სული და ხორცი, სიკე-თე და ბოროტება, არა ეფემერული, არამედ მარადიული სიბ-რძნე, რისთვისაც აუცილებელია ჩვეულებრივ მოკვდავთათ-ვის დაწესებული საზღვრის გადალახვა, ძიება საგნის მიღმა, ოცნების მიღმა, ბედს იქით. წარუვალი სიბრძნის და მხატ-ვრული ინდივიდუალობის მიგნება განსაკუთრებულ ძალის-ხმევას, გულისა და გონების შესაძლებლობათა გამძაფრებას, „გულის სისხლს“, მსხვერპლს მოითხოვს. ამიტომ შემოქმე-დება ჯვარცმის ტოლფარდი ტანჯვა და ტკივილია, ხოლო იმ ხელოვანთ, რომლებსაც ხელეწიფებათ საუკუნეობრივი, მა-რადიული ჭეშმარიტებების მოხელთება, ზეკაცს, ღმერ-თკაცს, დემონს უწოდებენ.

ინგლისში ბაირონს დემონად მოიხსენებდნენ, გალაკ-ტიონი გოეთეს სატანასთან აიგივებს (დადებით ჭრილში) და პოეტობას დემონური, გენიალური ნიჭის მახასიათებლად მი-იჩნევს.

შარლ ბოდლერისათვის „მშვენიერი ეშმაკი“ აღმატებუ-ლი ნიჭის სინონიმია, ამიტომაც საუბრობს მასთან წილნაყა-რობასა და გალმერთებაზე „ბოროტების ყვავილების“ წინა-სიტყვაობაში.

ანალოგიური კონტექსტში ახსენებენ ცნებებს; გიუი, შეშლილი, გადარეული, ხშირად ერთმანეთის იდენტურად გაიაზრება დემონი და შეშლილი.

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილის ცნებას და შეშლილ დემონს უწოდებდა ბეთხოვენს: „საჭიროა მოკრძა-ლება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცულნი და ვერც კი მივმხვდარ-ვართ, საიდან ამობრწყინდება მზე“ (1, 102).

გენიალობასა და სიგიჟეს შორის შეხვედრის წერტი-

ლებს პოულობს და სიგიჟეს გამორჩეული ნიჭის აუცილებელ თვისებად გაიაზრებს ჩეზარ ლომბოზო (2).

ლომბოზოს წიგნში სპეციალურად არის მოძიებული გენიალურ მოაზროვნეთა გადახრები, რაც დევნის მანიაში, შიშში, მტრების მოლანდებაში, არყოფილის ნამდვილივით განცდაში, ჰალუცინაციების მოქარბებაში გამოიხატება. ამ კუთხით „არანორმალურებად“ მიიჩნევიან კაცობრიულ აზრთა საჭეთმცყრობელები: დიკენსი, დოსტოევსკი, რუსო, ნიცშე, გოეთე, ტოლსტიო...

ლომბოზოს გარდა, არსებობენ სხვა მოაზროვნები, რომლებიც ჩხრეკენ ნიჭიერთა „ავადმყოფობის“, პათოლოგიური გამოვლინებების ფაქტებს და კატეგორიულ ტონს ანიჭებენ თავიანთ ნააზრევს, თითქოს შეშლილობის გარეშე არ არსებობს გენიალობა (ბლეზ პასკალი, ერნსტ კრეჩმერი, მაქს ნორდუ).

გამოჩენილ ადამიანთა დეპრესიების, თვითმკვლელობებისადმი მიღრეკილების, თვითმკვლელობების, შიზოფრენიკობის მაგალითები მართლაც არსებობს...

ხელოვნება ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავ იუნგის, მიხაილ ზოშჩენკოს და სხვა ანალოგიურ მოაზროვნეთა მიერ გაგებულია, როგორც ფსიქოთერაპია, სუბლიმირება, შინაგანი წუხილის, ტკივილების, ნევროზების გადატანა და განმუხტვა მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ ხილვებში..

გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი ძალზე ხშირად შეშლილს, გიუს, გადარეულს აღმატებული გრძნობის სინონიმად გაიაზრებდნენ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ედგარ პოს „გული მამხილებელი“.

გრიგოლ რობაქიძე შემოქმედ ადამიანთა გაღწევას ჩვეულებრიობის საზღვრებიდან „ლვთაებრივ შეშლილობას“, ჰიერომანიას უწოდებდა (მცველი გრაალისა).

მაგრამ უცნაური, რეალურისმაგვარი ხილვები და ათასგვარი ხმების გაგონება ექიმების მიერ შეშლილობად აღიქმებოდა.

ტოტალიტარულ სახელმწიფოში ბევრ შემოქმედს ანა-
მებდა შეშლილად გამოცხადების შიში.

გიუი, შეშლილი თავის ოდიოზურ შინაარსს იძენდა დიქტა-
ტორულ სახელმწიფოში და ამ სახელით ინათლებოდნენ თავი-
სუფლად მოაზროვნები, სიმართლის მსახურნი, ამ დიაგნოზს
უსამდნენ პოლიტიკურად არასანდო შემოქმედთ, მეცნიერთ.

„უსამართლო სოციალურ საზოგადოებაში თავისუფ-
ლებისაკენ სწრაფვა უკეთეს შემთხვევაში უცნაურობად, სი-
გიუედ ითვლებოდა. ფსიქიატრიული რეპრესიები საქმით გა-
ნამტკიცებდა მასაში მოაზრულ ვერსიას იმის შესახებ, რომ
ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლე-
ბისათვის, სულით ავადმყოფია“ (3,49).

ტერენტი გრანელის უსამართლო ხვედრზე, ზემდგომ-
თა მიერ ამოჩემებული პოეტის სულით ავადმყოფად გამოც-
ხადებაზე ძალზე დამაჯერებლად გვიყვება რევაზ მიშველა-
ძის „ტერენტი გრანელი“ (4, 11-12).

სხვაგვარ მოაზროვნეთა „მკურნალობისთვის“ საბჭოთა
კავშირში ხელისუფლების დავალებით აკადემიკოსებიც ირ-
ჯებოდნენ, რასაც გვამცნობს რევაზ მიშველაძის ნოველები:
„მკურნალი“, „მე ვარ“, „როდემდე?“ (5, 358-373).

ტერენტისადმი ჩასაფრებულ დამსმენებზე, მის იძულე-
ბით მკურნალობაზე საუბრობენ სერგო უვანია (წითელი სა-
ტანა, ხელნაწერი), ბექა ლაშხია ხიბლელი (6, 10), გივი ცქი-
ტიშვილი, კალე ბობოხიძე (ხელნაწერი).

ტერენტის შეშლილობის მოსაზრებულ აბათილებს პოე-
ტი მურმან ჯგუბურია, რომელიც „გენიოსს და შეშლილს“
უწოდებს პოეტს (მომავალი კოსმოდრომების პოეტი).

ტერენტი გრანელის უდიდესი მოამაგე, პოეტი, მკვლე-
ვარი, მთარგმნელი და ტერენტის რამდენიმე კრებულის რე-
დაქტორ-გამომცემელი ლერი აღიმონაკი სპეციალურად
ეხება ამ პრობლემას და უარყოფს ტერენტის სულით ავად-
მყოფობის ვერსიას (8, 119).

ტერენტი გრანელის დის შვილიშვილმა, პროფესორმა

მამანტი როგავამ სილრმისეულად შეისწავლა ეს პრობლემა და გვიჩვენა, როგორ შექმნა სურამის ფსიქიატრიულ კლინიკაში საგანგებოდ გაგზავნილმა მოუთვინიერებელმა „გიუმა“ ტერენტი გრანელმა რვაასი გენიალური სურათი, რომელიც ევროპის უდიდესი მხატვრების ნამუშევრებს გაუწევს მეტოქებას, როგორც პროფესიონალურ დონეზე ამტკიცებს გამოჩენილი მხატვარი და მწერალი რეზო ადამია (10).

„დამისთევის პოეზიაში“ ასეთ მართებულ განაცხადს აკეთებს თემო ჯაფარიძე: „ნორმალურად წოდებული ჩვეულებრივი ცხოვრების წრიდან გადასულობა, ერთგვარი არაკლინიკური შეშლილობა დამახასიათებელი გახდა ჩვენი ეპოქის ხელოვანთათვის. რემბო, ვერლენი, მეშჩანური თვალსაზრისით, ავანტურისტებად აღიქმებოდნენ. ამადეო მოდილიანს „დაწყევლილი მხატვარი“, „დაცემული ანგელოსი“ შეარქვეს, ვინსენტ ვან გოგს შეშლილად მოიხსენიებდნენ. კრიტიკული აზროვნებისთვის სჯიდა თითქოს ყოფიერება სერვანტესს, უცნაურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს უქმნიდა“.

„ნიკო სამადაშვილი „განწირულ პოეტს“, „გიუ პოეტს“ უწოდებდა თავის თავს. ყოფიერებით დაუკმაყოფილებლობა, მუდმივი ფორიაქი, ბორგვა მიუსაფრობის მიზეზი გახდა მისთვის... მაინც უკომპრომისო იყო... ელდანაცემი ექსპრესიებია მის პოეზიაში“ (11,565).

პოეტის „შეშლილობის“ მიზეზი იყო „დალენილი ზეცა“ (გალაკტიონი ამბობს „ზეცის ნგრევაო“), ანუ უარყოფილი რწმენა. მაგრამ მის ნიჭს, უმაღლეს ზნეობას იფარავდა ჩვენი ზეციური დედა: „რად სჩანდა ზეცა ღრუბლიანში გადალენილი, ან შეშლილ პოეტს ღვთისმშობელი რას დაჰყვებოდა“ (12,54).

ურუანტელის, შიშისმომგვრელი იყო მისი „ცრემლებით შედუღებული“ სტრიქონები, ჩვეულებრიობის წრიდან გასვლას, „გადარევას“ რომ აგრძნობინებდა მკითხველს: „...ჩემი ფურცლები, შედუღებული ცრემლების კირით. იგრძნობ ჯერ ნელთბილ შიშის ურუანტელს, დაბურულს, დახშულს და გადარეულს“ (თამაზის) (12,28).

გვაგონდება გალაკტიონი: „და ურუანტელით, ისე, ვით
ბავშვი, შენ საუკუნე გიცქერის შიშით (დღიურ პროზიდან) (13,196).

პოეტის „გონების შერყევა“ უკავშირდება სულიწმინ-
დის — შთაგონების ქარის მოვლინებას, რომელიც „ზღა-
პარს“, რეალურის ამსახველ გამონაგონს აწვეთებს მის სმე-
ნას: „...შერყეულივით მიმაქვს გონება, მიყურებს ქარი. ჩიფ-
ჩიფებს რაღაც დაბურულ ზღაპარს“ (ნავალ, მოვკვდები, ვინ
მომიგონებს) (11,123).

ხილულის მიღმა, „მსოფლიოს უკან“ მაყურებელი, ას-
ტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული პოეტის
ძალისხმევა, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების
გაღმა გასვლა თვით ავტორის მიერ მოხსენებულია შეშლი-
ლობად: „შორეულ გზებზე დასველდება ის მოგზაური,
მსოფლიოს უკან შეშლილივით რომ ჩაიარა“ (ხელის გაშვერა
მტკვართან) (11,94).

მთვარის რადიუსზე მავალი პოეტი წერს: „გონდაკარ-
გული მივეხეტებიო“ (ჩემი ფეხის ხმა მთვარისკენ მარადისო-
ბის ნაკამარევი) (11,143).

„საგიუჟეთის“ მკვიდრია „ღვინომორეული პოეტი“ (სუ-
რათის გადაღება) (11,84). „დაკარგული“, „ღიმშეშლილი“,
„გადარეული“ გრძნობის აპოლოგეტია მისი პოეზიის ლირი-
კული პერსონაჟი.

„მწუხარება“ (12, 6-7) აქცენტს უკეთებს ლექსით გადა-
რევას: „ისედაც ლექსით გადარეულებს, ის აწვებოდა სულ
ზედმეტ ტვირთად“.

თავისი გონებაშეზღუდული ოპონენტების მოსაზრებას
უარყოფს ლექსი „ჩემს ორეულს:“ (14,129-130): „...ავადმყო-
ფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, ტანზე გამონაყარი“.

„დაკარგული გრძნობის“, „გადარეული გრძნობის“,
დამსხვრეული იდეალების ქომაგობაა ნიკო სამადაშვილის
პოეზია „...და შენ იქ ნახავ დაკარგულ გრძნობას, გრძნობას
ღიმშეშლილს და გადარეულს“ (ნიკო იაშვილს) (11,210).

„შმაგი სიცოცხლეა“ ჭეშმარიტი შემოქმედების საწინდარი, სვლა დინების წინააღმდეგ, რასაც მოსდევს შერისხვა... პოეტი თავს აფარებს მოგვებს, მისი იდეალია „ფერმკრთალი სიგიჟე“, ლოცვა, დაფერფლვა მაღალი აზრებისთვის და ფასკუნჯივით აღდგომის რჩმენა: „...რეკავ იდუმალ ზარებს... შენ რომ მრევლი გყავს, ისე ამოდის, როგორც შერისხულ მლოცველთა გროვა, იწყება ჭმუნვა მორთხმულ მოგვების და შორიახლო ავდოების გლოვა“, მიმართავს პოეტი ერეკლე ტატიშვილს, რომლის მახასიათებელია „ფერმკრთალი სიგიჟე“, ხელებში გველი (სიბრძნე), თვალებში ფასკუნჯივით აღდგომისთვის დაფერფლვისა და ფასკუნჯივით კვლავ განახლების რჩმენა (ერეკლე ტატიშვილს) (14,102-103).

„ქარიშხლების ჯილაგი“, „ზღაპრების დისკო“, „გიუის“ გარეგნული სიდინჯე და გარინდებაა პოეტის ხვედრი (გიის ავტოპორტრეტი) (12,120).

„შერყეული გონება“, „ფიქრების რეტია“ პოეტისთვის უზენაესისგან მომადლებული (მოვკვდები, წავალ, ვინ მომიგონებ((11,155).

„40 წელი ლექსების გუნდი“ მისი „სხეულის სიგიჟეთშია გამომწყვდეული“ (ძალო ეკატერინეს) (12, 88-89).

ისევ და ისევ „ტვინშერყევაა-სიბედნიერე“, რაც შემოქმედებას უკავშირდება: „გული დაგწყდება, მეგობარო, რომ ვერ იხილავ, შენი ფარეშის ტვინშერყევას — სიბედნიერეს“ (მოგონება და სინანული) (11,239).

ბედის მიერ აბუჩად აგდებული პოეტი არ წყვეტდა ლოცვას, ისევ „ჭკუაზე შერყევა“ იყო მისი „ბედნიერება“: „...ის აღავლენდა ლოცვებს ბინდისას: ჩაჰკლა აბუჩად ბედის აგდებამ. იმას ჭკუაზე შერყევა ქვეყნად მიაჩნდა რაღაც ბედნიერებად“ (ის ისვენებდა ხშირად ამ სახლთან)(12,16).

ნიკო სამადაშვილისთვის, როგორც ტერენტი გრანელისთვის, „ლექსი მისტერიაა“, „ქარებშეშლილ ლამებში“ მოვლინებული: „მისტერიები დაგყვებოდნენ ამორძალებად. თვალი გეჭირა ქარებშეშლილ ლამებისკენ“ (საუკუნის ნახე-

ვარზე მეტი გავიდა) (11,269).

პოეტის ზარების რეკვა ხატისგან შეშლილი მნათეს ზარების ხებს ედრება: „...ისეთი გზნებით რეკლი დიდ ზარებს, როგორც ხატისგან შეშლილი მნათე!“ (გენია და სამრეკლო) (14,52).

ლექსი კონსტანტინე გამსახურდიას ღმერთსმონატ-რებული მნათე ოქროპირის მიერ ზარების შლეგურ დარისხებას, სამრეკლოს წაქცევას და ყველასგან მივიწყებული, უჩინარი მეზარის დაღუპვის ასოციაციას იწვევს (ზარები გრიგალში).

ნიკო სამადაშვილი მიწაზე მოვლენილ ყველა გრძნობას განადიდებს „სიგიურებთან“ ერთად: „ამინ ყველაფერს, რაც მიწაზე ჩამოუყრიათ — ბედნიერება, სინანული, ტანჯვა, სიგიჟ“, (სინათლის მიმოქცევა (10, 241-242).

„ზარების გიჟი“ (ნაცარი) (13, 28) გაოცებული შესცერის „შეშლილ სარანგებს“ ლიახვის ნაპირები) (13, 112).

„ფერისცვალების“ ავტორი მიესალმება „ჭუაშემცდარ ქვეყანას“, „საგიურეთში გაცნობილ პოეტს“. ერეკლე ტატიშვილს საგიურეთს უკავშირებს, დადებითი გაგებით, რა თქმა უნდა (შეხვედრები დღის ბოლოს) (13, 123).

„შთაგონების ყრუ აგარაკში“ ჩაესმის „ბეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი, კლავიშთა მწუხრი“, ხედავს სვეტგაბზარულ კოშკს, ევლინება ქარის ბალადა, სიზმრები, განგების ჩრდილი, ანუხებს „მკვდარი კანდელი“, „გული შეშლილია“, ანუ მუზის მოვლინებით აფორიაქებული, საზღვარს გადაცდენილი (თამარის მღვიმე) (13, 136).

ტერენტი გრანელი თავის აღსარებას ანდობდა „ძვირფას ხეს“, ნაძვებს, ირგვლივ მხოლოდ ყვავებს, ჩიტებს, ლოდებს ხედავდა.

ნიკო სამადაშვილი პალმებს, ვერხვებს, ბეღურებს ემუსა-იფებოდა, ლოდებზე მოკალათებულს მთების ტირილი, ოკეანის სიმფონია ჩაესმოდა: „... ლოდებზე იჯდა გიჟი პოეტი, ტიროდა მთების ყრუ გარემოცვა“ (ვერცხლისფერი ოცნება) (13, 263).

„შეშლილია თვალები“ (მანიას), „შერყყულია ხელები“ (და-

უსაბამობის ხილვა) (264-265), „ზარების“ გიუია“ პოეტი (ნაცარი) (13, 28), „შერყეულია კლავიშთა კდემა“ (მე ვიცი) (10, 231).

„მარტო სწევს კუბოს გიუი პოეტი“ (შენ დაგასვენეს სამრეკლოს ჩრდილში) (10, 102), „გადარეულია სიყმაწვილე“, „შეშლილ ქოშებით“ ცეკვავენ „ნარმავლობის ტიალ ყორეს-თან“ (სამანი) (11, 122), „საგიუეთია ქვეყანა“ (ნაფოტები) (11, 23), შლეგია ქარბუქი, ცაცხვი შეშლილივით იქნევს ტოტებს (დამასაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს) (11, 156).

ნიკო სამადაშვილი კარგად ხედავდა, გიუად რომ აცხა-დებდა ათეისტური, ტოტალიტარული ეპოქა მოუთვინიერე-ბელთ, რომ არც ბაირონს რგებია კარგი ხვედრი: „რამდენი გიუი ბოძზე დააბეს და ბაირონიც სადღაც ჩაძალლდა“ (უჯი-შო ხიდან გამოთლილი ხარ) (11, 31).

შეშლილია ბერი, თბილისის ლაჟვარდების გაგიუებაა შთაგონების მომმადლებელი (შემოდგომა, სტვენა თბილის-თან) (10, 127, 161), „შმაგია სიცოცხლე“ (10, 211), შვილის დარდით შეშლილია დედა (ლია ბარათი) (12, 106-107), „შეშ-ლილია ბილიკები“, „შეშლილია თვალები“ (მანიას (11, 16) „შეშლილი მნათე“.

„გზებგადამცდარი“ ნიცშეს ხმა ჩაესმის პოეტს: „ქუჩებ-ში მარტო და გაცრეცილი გზებგადამცდარი ნიცშე ბლაოდა“ (მოგონება) 14, 30).

„სიზმრების ნაღვერდალში“ (10, 149-150) ისევ დალუპუ-ლი ნიცშეს“ სახელი ფიგურიორებს: „... შენი საკანი ან ზღვის ლამეა, ან დალუპული ნიცშეს თვალები“.

„საგიუეთში“ (ხელოვანთა სფეროში) ჰყავს პოეტს ძმო-ბილები (აქერცლილი მინიატურები) (12, 50).

„გიუი ბოდლერი“ (გიუი პოზიტიური გაგებით) დასცინის ვაიპოეტს (ოდესლაც ახლობელს) (11, 203).

„შეშლილების კუნტრუში“, ანუ ულირსთა, დიდებით შეშლილთა ღრიანცელი ჩაესმის პოეტს: „რა შეშლილების კუნტრუში მეფობს“ (11, 159).

„კარების გაჯახუნებაში“ (11, 209) გიუი ღმერთები

დასევიან საწყალ ბეთხოვენს“.

ჩონგურის ხმაზეც „შეშლილი ღმერთის“ ცეკვაა ნიშან-დობლივი: „დაუკრავ ჩონგურს და ეს ოხერი, დიდხანს იცეკ-ვებს შეშლილი ღმერთი“ (ფრესკები ჩონგურზე) (11, 78-99).

„შეშლილია ბილიკები“, „ღმერთიც გაგიუდა და გადი-რია... იმას ფიქრების რეტი დაესხა“ ნათქვამია ლექსში „თეთ-რი ვარდები ამოგიტანე“ (11, 55).

„შეშლილ ღმერთან“ გვიწევს შეხვედრა ლექსში „სამი-კიტნოში“. „შეშლილი ღმერთის ბნელი ნაფეხურებია“ ხსოვ-ნების, ცრემლების, სიზმრების ჭრილში: „ხსოვნების ნარი დარეკილ მგზავრებს, მიპქონდათ, როგორც უილბლო მგზავ-რებს. ვინც შეშლილ ღმერთის ბნელ ნაფეხურებს ჰკრეფდა, ვით გზაზე მოკლულ ბეღურებს. ვინც მარტო იყო, ფიქრით მდიდარი და ცრემლზე შერჩა შენი სიზმარი“ (იცი, რა იყო ჩე-მი სიზმარი?) (10, 15).

„ციურ ნაკვალევს მისდევს შეშლილი ღმერთი ბუტბუ-ტით“, ნათქვამია ლექსში „გადამხათ დღეებს უტევს ქარბუქი“ (11, 100).

„საკია-მუნის შეშლილი სტვენა“ იყო ნიკო სამადაშვი-ლის „გულის ხუროთმოძღვარი“ ლექსში „ციალა თოფური-ძეს“ (11, 10-11).

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელში“ სასულიერო პირები სერიოზულად კამათობენ იმაზე, იცინოდა თუ არა ქრისტე. ისინი საგანგებოდ მალავენ არისტოტელეს პოეტიკის მეორე წიგნს, რომელიც ამართლებს სიცილს. ამ გონიერაშეზღუ-დულთა ქმედებით ცეცხლს მიეცემა ბიბლიოთეკა, სადაც ინახება სიცილის გამმართლებლი წიგნი .

გალაკტიონი ხაზს უსვამს „მომავლის ჩრდილის“ — ქრისტეს მჭმუნვარებას: „ახლა თავს მადგას მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის“ (მიმღერე რამე) (13, 11).

პოეტების მეფის ლექსში ქრისტე ჭმუნავს მიწაზე გამე-ფებული უღმერთობის, საღვთო სიყვარულის, საღვთო სიბ-რძნის უგულებელყოფის გამო.

ნიკო სამადაშვილის ლექსში ღმერთის „გადარევის“ მიზე-ზია „შეშლილი ბილიკები“ „... შეშლილი ბილიკები... ღმერთიც გაგიჟდა და გადირია“ (თეთრი ვარდები ამოგიტანე) (1, 155).

ირგვლივ „ქარბუქია“, უკეთურობა, რაც აღაშფოთებს ღმერთს და „ციურ ნაკვალევს მისდევს შეშლილი ღმერთი ბუტბუტით“ (გადამხათ დღებს უტევს ქარბუქი) (11, 100).

„შეშლილ პოეტზე“ როდი არიან ღმერთი და ღვთისმშობელი განრისხებული, პირიქით, ზეცა დალენილი და ღრუბლიანია, ანუ ურნმუნოებაა ირგვლივ, მაგრამ „შეშლილ პოეტს“ ღვთისმშობელი დაჲყვება (ბინდი) (12, 54).

გენიალურ ბეთხოვენს „გიუი ღმერთები“ დასევიან (კარების გაჯახუნება) (11, 209).

ჩონგურის ხმაზე ცეკვავს „შეშლილი ღმერთი“ (ფრესკები ჩონგურზე) (10, 78-99).

„შეშლილი ღმერთია“ ლექსში „ბალახი როცა ამოვა“ (11, 77).

„უკანასკნელ ქრისტიანებში“ უღმერთოთა ქილიკით „შემკრთალია მაცხოვარი“ (უკანასკნელი ქრისტიანები) (12,9).

ნიკო სამადაშვილი პოეზიასთან, მუსიკასთან, ხელოვნებასთან მიმართებაში შეშლილს ყოველთვის პოზიტიურ ჭრილში მოიხსენებს, მისთვის სათაყვანებელი ნიცშე და ბოდლერი „შეშლილად“ იწოდებიან, ხოლო ვაიშემოქმედს ენას უყოფს „გიუი ბოდლერი“ (ოცესდაც ახლობელს“). მის პოეზიაში შეშლილია ღმერთი, შეშლილია საკია-მუნი, რომლის სტვენაც ჩაესმის პოეტს.

ანუ „შეშლილი“ აღმატებული ნიჭის, აღმატებული გრძნობის სინონიმია როგორც პოეტებთან, ისე ქრისტიანულ ღმერთთან თუ ბუდა საკია-მუნთან მიმართებაში, მაგრამ „შეშლილების კუნტრუში“, „შეშლილ ქოშებით“ აცეტებულთა ადრესატები არიან ვაიშემოქმედნი, ფსევდოპოეტები (ფიქრი) (11, 125).

ხოლო ჭეშმარიტი შემოქმედი, „პოეზიისგან თვალნაცემი, შერისხულივით დაწრიალებდა შეშლილობისა და ზმანების გაუვალ ჭირხლში“ (მთვლემარე ცისკარი) (15, 24).

დამოწმებანი

1. ალ. ალშვანგი, ბეთხოვენი, აკაკი გელოვანის თარგმანი,
თბ., 1958
2. ცეზარ ლამბრიზი, Гениальность и помешательство, М. 1895
3. ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, თბ.,
1995
4. რევაზ მიშველაძე, ტერენტი გრანელი, თბ., 2004
5. რევაზ მიშველაძე, რჩეული სამ ტომად, ტ. 1, „მერანი“,
თბ., 1991
6. ცისფერი სიშორე, თბ., 1998
7. გაზ. „ვერსია“, 5-11 ნოემბერი, 2001 წ.
8. ლერი ალმონაკი, გრანელის ლანდი, თბ., 1998
9. მამანტი როგავა, სულის ბორკილები, თბ., 2013
10. რეზო ადამია, უკვდავებაა სიკვდილში, „საქართველო“,
თბ., 2011
11. თემო ჯაფარიძე, ღამისთევის პოეზია, ნიკო სამადაშვილი,
„ფერისცვალება“, თბ., 2004
12. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ., 2010
13. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“,
თბ., 197
14. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ., 2006
15. ნიკო სამადაშვილი, შეხვედრები და სინანული, „მერანი“.
თბ., 1995

აკაშას ქრონიკა

აკაშა არის მარადიული ღვთაებრივი ცნობიერება.

აკაშა ზემგრძნობიარე სულიერი არსია, რომელიც
მთელ სივრცეს ავსებს.

„ადამიანის ცნობიერება ... ღვთაების სხივია“ (ელენე
ბლავატსკაია) (1,94,97,177).

იოგების მოსაზრებით, აზრი არის ისეთივე მოვლენა,
როგორც სინათლე ან ელექტრობა. აზრი დაინახება. მის გა-
მოსხივებას ნათელმხილველისთვის აქვს ღრუბლის თავისე-
ბურად შეფერილი ფორმა. ის მსგავსია თხელი ორთქლისა და
რეალურია, როგორც ჰაერი ან მრავალრიცხოვანი გაზები.

ზოგიერთები აზრს ადარებენ სინათლის ტალღებს,
სხვები — სურნელოვან ყვავილს.

ადამიანი სისტემატურად ასხივებს აზრს ტალღებს. აზ-
რის ტალღები განსხვავებულია, სხვადასხვაგვარია მათი გა-
მოსხივება. ადამიანში იღვიძებს მისი ჭური შესატყვისი აზრი.

აზრების ასტრალური სამყარო სავსეა უფორმო აზრე-
ბით. არსებობს დიდი მარაგი აზრების სამყაროში დაგროვი-
ლი ენერგიის და ადამიანებს, საჭიროებისამებრ, შეუძლიათ
გამოიყენონ ის (2,187).

აზრი სინათლეზე ჩქარია. იგი საგნებშია. თქვენ შეიძ-
ლება ფიქრობდეთ აქ, ამერიკაში კი ხდება თქვენი აზრის მა-
ტერიალიზება. აზრების სფერო ჰაერივით გვერტყმის გარს.
ყოველი აზრი წარმოადგენს ტალღას, რომელსაც შეუძლია
აზრის გადაცემა. ტალღები გადიან კედლებში, მთებში, ხეეუ-
ლებში. ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია აზრების დაჭრა
წარსულიდან, რადგან აზრები არ კვდებიან. საგანი არის აზ-
რი, აზრი არის საგანი (რაჯნეში, „ტანტრა“, „უდიდესი შეც-
ნობა“) (3,270,272).

აზრი სტიქიის მსგავსია, შემეცნების ზდისას ადამიანი
ასხივებს სინათლეს. ყოველი აზრი და მოქმედება ბადებს
ფლუიდურ დენს. აზრის ქსოვილი დაურღვეველია, მას კავ-

შირი აქვს უხილავ და ცეცხლოვან სამყაროსთან. იგი მოქმედებს ცხოვრებაზე, გავლენას ახდენს კარმაზე. ის საფუძველია არსებობის. საგნებს შეუძლიათ მოძრაობა აზრით, ფსიქიკური ენერგიით. ასეა უსხეულო სამყაროში. „ფიქრის ქუსილი“ არაა ჰიპერბოლა.

ამიტომ გვმოძღვრავს ელენე რერიხი: „იფიქრეთ აზრზე, როგორც ცხოვრების რეალურ ფაქტორზე“ (4,137).

ბიბლიაში უპირველეს ლირებულებად მიიჩნევა სიბრძნე, რომელიც მხოლოდ ღვთისმოსავ ადამიანებს ებოძებათ.

წმინდა წერილში გარჩეულია საღვთო და ეშმაკეული სიბრძნე, წუთისოფლის მთავართა წარმავალი სიბრძნე და უზენაესის მარადიული სიბრძნე.

არსებობს აზრი, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით არის ჩადებული სრული ინფორმაცია სამყაროსა და ცოცხალ არსებათა შესახებ. ადამიანი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელენიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გასვლა და ჩვეულებრივი თვალისა და სმენისთვის უხილავ-მოუსმენებლთან ზიარება.

აღმოსავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება. ზეგანვითარებულ, წმინდა სულის ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კავშირს მიწიერ და ზენარულ სივრცეებთან, დედამიწის იონოსფეროსთან.

ამ ასპექტით ყურადღებას იქცევს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური სამყაროს მხატვრული, რელიგიური, ფილოსოფიური თხზულებები.

ლაო-ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მარადიული სათნოებით ავსილი ადამიანები იქცევიან სამყაროს ხილულ ველად“ და ვინც ველია სამყაროსი, მარადიულ დეს ეუფლება“ (5, 99, 197).

„ბჟაგავად-გიტაში“ არის სპეციალური თავი: „ველსა და

ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა“, რომელშიც ნათებამია: „კურთხეულმა ბრძანა: „ეს სხეული, კაუნტეა, ველად იწოდება, ხოლო რომელი მას საცნაურყოფს — ბრძენთა მიერ ველის მეცნაურად იწოდება. ველის უფალი კი ღმერთია“ (5,90).

რაჯენეშის „ტანტრას“ მიხედვით, საინფორმაციო ველს „მიღების დაბლობი“ ეწოდება და მასთან მიახლების საწინდარია ზნეობრივი სინმინდე.

ოკულტისტების აზრით, ადამიანს აქვს უნარი, იგრძნოს ფიზიკური გრძნობისათვის მოუწვდომელი. ყველა ფიზიკურ გრძნობას აქვს შესატყვევისი ასტრალურში. ასტრალური ორგანო მოქმედებს, როგორც ტელესკოპის ლინზა და ადიდებს გამოსახულებას. ზოგს შეუძლია დაინახოს რამდენიმე მილიდან, სხვებს- ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ზოგიერთებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვა პლანეტების ამბებს.

მეოცე საუკუნის უდიდესი მოძღვრება „აგნი იოგა“, „ცოცხალი ეთიკა“ ანუ „სინათლის მოძღვრება“ გამოყოფს ნათელმხილველობისა და ნათელსმენის შვიდ სახეობას.

მიწაზე ადამიანს ესმის ცხრა ხმა, ასტრალურ სამყაროში — თოთხმეტი.

ელენე რერიხმა თვით გაიგონა უზენაესის ხმა შამბალაზე და ჩაწერა იგი.

ვანგას ესმოდა ციური ზარის ხმა, ესაუბრებოდა „წარმოგზავნილებს“, ირწმუნებოდა, რომ ნანახი ჰყავდა ქრისტე, ორფეოსი, ნოეს კიდობანი. ესაუბრებოდა გარდაცვლილებს, ხედავდა ასტრალულ სხეულებს, სულს, უცხო პლანეტებს (6,81).

ამ მხრივ უჩვეულო მოვლენა იყო ყველა დროის უდიდესი წინასწარმეტყველი ნოსტრადამუსი.

წარსულს, მომავალს ერთნაირად ჭვრეტდნენ დანტე, გოეთე.

ამ ჭრილში საყურადღებოა რილკეს, ათანას ფეტის, ვლადიმერ სოლოვიევის, ალექსანდრ ბლოკის შემოქმედება.

ანალოგიური მონაცემებით იქცევს ყურადღებას დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ტერენტი გრანელის შემოქმედება.

ანრი ბერგსონი განასხვავებდა ცოდნის ორ სახეს: რაციონალურს და ინტუიციურს, ამასთან, უფსკრულს არ ხედავდა მათ შორის.

კარლ გუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინაგრძნობის უნარს და მის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში.

ამ პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ გიორგი გურჯაიევი, რუდოლფ შტაინერი, იოანე დამასკელი, ნეტარი ავგუსტინე.

შტაინერის აზრით, „ადამიანს ძალუძს წარმავალი საგნებისა და მოვლენების მარადიულ პირველწყაროებს ჩასწვდეს... წარმავალი ისტორიიდან ადამიანი წარუვალში აღნევს, თუმცა ეს ისტორია დაწერილია ჩვეულებრივისგან სრულიად განსვავებულ დამწერლობით.

თეოსოფიაში მას „აკაშა-ქრონიკას“ უწოდებენ... ვინც სულიერ სამყაროში აღქმის უნარი გამოიმუშავა, მასში მიმდინარე მოვლენებს მათს მარადიულ ასპექტში შეიმეცნებს... მის თვალწინ გადათამშდება ადრე მომხდარი მოვლენები. ამგვარი ცოცხალი დამწერლობის წამკითხველ ხელდასხმულთ შეუძლიათ გარეგნულ ისტორიაში აღბეჭდილზე გაცილებით შორეულ წარსულში ჩაიხედონ.

„...საჭიროა აკაშა-ქრონიკას თვალი გავადევნოთ იმ შორეულ პერიოდში, როდესაც თანამედროვე დედამიწა არსებობას შეუდგა“.

„...აკაშა-ქრონიკას კვლევა... ძალზე მიუახლოვდა იმ კოსმიურ კატასტროფას, როდესაც თანამედროვე დედამიწა არსებობას შეუდგა“ (7,8,93).

„ყველაფერი რაც „აკაშა-ქრონიკაშია“ მოთხოვილი,

წარმოდგენილია სურათ-ხატებით” (8,126).

ამჟამად დედამინაზე მცხოვრები ადამიანი შედგება ფიზიკური სხეულის, ეთერული ანუ სიცოცხლის სხეულის, ასტრალური სხეულის და „მეს-სგან“ (7,171).

„აკაშა-ქრონიკა“ მდებარეობს ეთერული წრის საზღვართან. ის შეიცავს ყველაფერს, რაც ნაფიქრია. აკაშა-ქრონიკას მიღმა ძევს ყველაფერი, რაც აზრებში ჯერ კიდევ არ გაფორმებულა... ყველა ახალი აზრი, ყველა ახალი შეგრძნება და ა.შ. არუპას რეგიონიდან მოდის“ (8,174).

IV საფეხურის შემდეგ სულიერი სამყაროს მიჯნაა, ამ მიჯნას „აკაშა-ქრონიკა“ ეწოდება. ყველაფერი, რაც კი ადამიანს ოდესმე მოუმოქმედებია, თუნდაც ეს არ იყოს მონიშნული ისტორიულ წიგნში, ჩანერილია მარადიული ისტორიის წიგნში დევახანის (ანუ სულიერი სამყაროს) მიჯნაზე, რომელსაც „აკაშა-ქრონიკას“ უწოდებენ, სადაც შეიტყობთ იმას, რაც რომელიმე ცნობიერ არსებას ოდესმე მოუმოქმედებია დედამინაზე.

ათვლის წერტილად კეისრის შესახებ რაიმე წვრილმანის აღქმაა საჭირო ისტორიიდან, საუკუნეების შემდეგ მის გარშემო ჩნდება სურათები იმისა, რაც კეისარმა გააკეთა: ნათელმხილველი ხედავს არა მარტო აბსტრაქტულ ნაწერს, არამედ მის თვალწინ ჩაივლის ყველაფერი, როგორც ჩრდილოვანი სურათები, ნახატები... კეისრის ფიქრებსაც აჩვენებს „აკაშა-ქრონიკა“, რომელიც ნამდვილად ასახავს იმას, რაც მოხდა... ასე შეუძლია ხელდასხმულს მთელი საკაცობრიო წარსულის წაკითხვა, მაგრამ მან ჯერ კითხვა უნდა ისწავლოს... „აკაშა-სურათები მართლაც ცოცხალი ქმნილებებია. ეს გასაოცარია, მაგრამ ფაქტია“ (8,25).

„მრავალი ათასწლეულის წინ ძველი ინდოეთის ბრძენები სამყაროსეულ მეხსიერებას „აკაშა-ქრონიკას“ უწოდებდნენ, ხოლო მასში შეღწევას „აკაშა-ქრონიკაში“ კითხვას. ეს

უკანასკნელი სულიერი კვლევის უმაღლეს მიღწევას განეკუთვნება“, აღნიშნავს ოტო ფრენკლ ლუნდბორგი (9,33).

რუდოლფ შტაინერი მრავალგზის უბრუნდება ამ პრობლემას: „დედამიწის მახლობელი ეთერული პლანი, ერთგვარი სულიერი არქივია, ეთერული მატიანე, სადაც უზუსტესი სახით-ფორმის, ფერის, სუნის, ბგერისა და ა.შ. შენარჩუნებით შემონახულია სამყაროს შემოქმედებისა და დედამიწის ევოლუციის ყველა მოვლენის, ასევე ადამიანის ყველა მოქმედების აზრისა და გრძნობის მიკროინფორმაცია. მხოლოდ განვითარებულ ნათელმხილველურ ცნობიერებას ძალუძს „აკაშა-ქრონიკის“ ზუსტი ამოკითხვა“ (10,280).

„აკაშა-ქრონიკას“ კითხვა, საუკუნეების წინ მომხდარ მოვლენებში წვდომა მხოლოდ ხელდასხმულთ, მარადიულთან ნაზიარებთ ხელენიფებათ.

ადამიანს ძალუძს წარმავალი საგნებისა და მოვლენების მარადიულ პირველწყაროს ჩასწვდეს... წარმავალი ისტორიდან ადამიანი წარუვალში აღწევს. თუმცა ეს ისტორია დაწერილია ჩვეულებრივისგან სრულიად განსვავებული დამწერლობით. თეოსოფიაში მას „აკაშა-ქრონიკას“ უწოდებენ. არახელდასხმულზე შესაძლებელია, „აკაშა-ქრონიკამ“ ფანტაზიის შთაბეჭდილება მოახდინოს... ვინც სულიერ სამყაროში აღქმის უნარი გამოიმუშავა, მასში მიმდინარე მოვლენებს მათს მარადიულ ასპექტში შეიმეცნებს. მის თვალწინ გადათამაშდება ადრე მომხდარი მოვლენები. ამგვარი ცოცხალი დამწერლობის წამკითხველ ხელდასხმულთ შეუძლიათ გარეგნულ ისტორიაში აღბეჭდილზე გაცილებით შორეულ წარსულში გადაიხედონ (7,17).

გრიგოლ რობაქიძე ამ საკითხში ზედმიწევნით იცნობდა როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ მოძღვრებებს. მისი „ჩაკლული სულის“ ერთი მონაკვეთი დასათაურებულია, როგორც „აკაშას ქრონიკა“, რაც გვარწმუნებს, რომ მწერალი უცდომლად ხედავდა არამხოლოდ გამოვლენილ ფაქტებს,

არამედ მომავლის ნიშნებს, რომელთა განჭვრეტა-შეცნობა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია: „რაც ხდებოდა, ყველაფერი იწერებოდა, ოღონდ არა ღიად, არამედ საიდუმლოდ, როგორც ინდოელთა აკაშა. იწერებოდა ხეზე, ქვაზე, ძაღლის დინგზე, ადამიანის შუბლზე, მთის ფერდობებზე, ტალღებზე, ხავსზე, მძორზე. საიდუმლოდ ყველაფერი იწერებოდა ყველგან, მაგრამ ვინმეს რომ გაეშიფრა და წაეკითხა ეს იდუმალი ნაწერები, პროტესტის ქარბორბალა ავარდებოდა, დარწმუნებით იტყოდნენ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა და, რაც უფრო უცნაურია: თვით აღმომჩენი დაუწყებდა თავს დარწმუნებას, რომ ეს ყოველივე მისი გზააბნეული ფანტაზიის წარმოსახვაა“ (7, 117-118).

გალაკტიონი უცდომლად კითხულობდა ქვეცნობიერის ფიქრებს.

გრძნობდა „ახალი სხივის, მისწრაფების, ფიქრის, ოცნების“ მოვლინებას: „... ამოდის ელვარება ახალი სხივის, მისწრაფების, ფიქრის, ოცნების“ (ქალაქთა ბნელთა).

„ფიქრი ისვრიან უნელებელ ელვათ ტბორებას“ (თვალებით თვალში) ფიქრებთან ფრეგატი, ცისარტყელა და „იმედების ხატი“ ბრწყინავს (წყნარი ზღვა).

ცეცხლით გაალებული ფიქრი ფრთას ისხამს, გულის ცეცხლი ფიქრის ველურ ცხენებს მიაქროლებს. ფიქრი ისრის ფრთით მიფრინავს.

ფიქრი განიცდება, როგორც სინათლე, შადრევანი, ზვავი, ბორანი, მორები, „ხავერდოვან ფიქრებად მიდის ფიქრთა დინება“.

ფიქრი პერსონიფიცირებულია. პოეტი ხედავდა ფიქრებს: „ფერდობებს ფიქრის ღვარი და თქეში“ ასხია, ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი, დედამიწას გარინდებულს მოხვევია ფიქრით სამოსი, დაფიქრებულია ცათა უფსკურლი, აზრი, სიზუსტის გამო, საათის ციფრებლატს ჰგავს.

პოეტისთვის ორგანულია „ფიქრით თრობა“.

გალაკტიონს ჯერ გაუმჟღავნებელი, სიჩუმის ხმები ეს-

მოდა: „ვისმენ მიდამოს თავგადასავალს, სიჩუმებში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს“ (ქარიშხლის შემდეგ) (8,111).

პოეტის ფიქრი არის „საგარიურაჟო, საგანთიადო“...

ასევე „ხევში მიმოპერის ნელი ნიავი, ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით, ჰკრებს ცის ლაუგარდი ფიქრთა შადრევანს“...

ფიქრი სუნთქავს, ფიქრი იღვიძებს, ფიქრები უხმოდ კა-მათობენ, ფიქრი არხევს ოცნების აკვანს, ფიქრები კვდება ნისლში და ქარში, ფიქრი ლურსმანივით ბასრია, საუბარია ფიქრის კისერზე: „და ისევ ისე არხევდა კისერს ფიქრი კე-თილზე, ფიქრი ბოროტზე“...

„სინამდვილეზე უფრო ძლიერი ფიქრი“ სინათლეს არ-ხევს, გენიოსის ფიქრს ხელენიფება „დღეთა ჩვენთა შემობ-რუნება“, ბინდის გაფანტვა, „ველური ფიქრის ბასრი ბრჭყა-ლები“ კი გულს საშინელებით ასებს.

ფიქრი ფრთამომსხვრეულია, ფიქრი უგულო და მანკიე-რია, საუბარია ფიქრთა მტვერზე, ფიქრთა ნისლზე, ჯვარე-დინ ფიქრზე.

„რჩეული ფიქრი“ საკაცობრიო მასშტაბებს იძენს, ფიქ-რთა ოკეანე დაფნით მშვენდება, ფიქრებს ჩადრი ახურავს. პოეტი ახვევია „რჩეულ ფიქრთა ჯარი“, „იდუმალ ფიქრთა ჯაჭვანყვეტილი“. „ფიქრების ვალსი“ მიგვანიშნებს, რომ პო-ეტის ფიქრი ქვეცნობიერიდან, მუსიკიდან იბადება (არსებო-ბის გული).

უნიკალური სმენის პოეტს ფიქრის ფორმით შემოსვის იდუმალი პროცესი ესმის: „აშრიალდება ფიქრთა სამოსი“.

საუბარია „ფიქრთ შემფარავ კარავზე, აწამებს „მწყურ-ვალებათა ფიქრი ობობა“, იპყრობს „ფიქრი ნათელ ფრენის“.

ფიქრი ხან ტაძრად შენდება, ხან ჩამავალ მზეს აედევ-ნება, ხან მტვრად და ნაცრად იქცევა.

ზოგჯერ სახეზეა „მწარე გათიშვა ფიქრთა და სინამ-დვილეს შორის“, ხან „ცეცხლად ღელავენ ნაპერწკლები მშობლიურ აზრთა“ (არაგვის ქარი) (8,639).

ტერენტი გრანელთან ფიქრი შრიალებს, ცრემლი შრია-

ლებს.

ნიკო სამადაშვილი იყო ნათელმხილველი, ნათელმსმენი, ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული. ხედავდა სხვა ზეცას, ცათა ცას. ის იყო „მისტერიების ჟამთა მფლობელი“.

ქარში კითხულობდა აზრებს: „საზარელ ამბებს ყვიროდა ქარი“ (სასუფეველში რეკდნენ დიდ ზარებს“ (9,104).

პოეტს ესმოდა ხის მოთქმა — ქვითინი, შორეული, ბნელი გრიგალების ხმა: „ხე შრიალებდა, ხე მოთქვამდა, ხე ქვითინებდა და შორს ფეხის ხმა მოისმოდა ბნელ გრიგალების“ (ხე შრიალებდა, ხე მოთქვამდა, ხე ქვითინებდა) (9,105).

„ფიქრების ჩრდილს“ ხედავდა: „შენი ფიქრების ჩრდილთა გოგმანი მტრედის სიზმრებში მომიპარია“ (ხე ეკლესიის მათხოვარს ჰეგავდა) (10,114).

„ჭეშმარიტება სიტყვებს ჩრდილივით მოჰყვება... შეუმწეველი ჩრდილები, სიტყვებს რომ მოჰყვება, ცნობიერდებიან“, წერს რაჯნებში (3,260).

პოეტი ქვებზე სხვათათვის დაუნახავ, ავისმომასწავებელ „წარწერას“ ამჩნევდა. „.... დაიკარგეო, ქვებზე ელამს ცუდი წარწერა“ (ჩემი დღე) (9,18-19).

ერთმანეთს ეხმიანებოდა სიზმრები, ლოცვა, ამღვრეული ნათელი და იქვე სისხლიანი დანით დაწერილის გაელვება: „...მბჟუტავ სიზმრებთან ლოცვა წმინდანის და ამღვრეული ნათელი ირგვლივ. იქვე წარწერა სისხლიან დანით: „ჩემს ნაკვალევზე ნულარ გაივლით“ (მანიას) (9,16).

პოეტი ნიჭს „კარმიდამოზე დადებულ თრთვილივით“ აღიქვამდა: „შენს კარმიდამოს თრთვილივთ ედოს პოეტის ნიჭი“ (ლია ბარათი) (9,74).

ლაუვარდებში ხედავდა დიდ ფიქრთა გუნდებს: „და ლაუვარდებში შენ დიდ ფიქრთა გუნდნი დაპერიან“ (რაც იყო, იყო) (9,172).

თითქოს მშობლიური შემოგარენის ქვებიც ინახავს ბარათაშვილის ლალადს, ყველა ხე — ეკატერინე ჭავჭავაძის ლა-

ლატს: „აქ ყველა ხის ქვეშ ჩუმად მარხია ბარათაშვილის გულ-ნროველი გზების ღალადი. აქ ყველა ხესაც ეხლაც ასხია ეკატე-რინე ჭავჭავაძის მკუხე ღალატი“ (ჩემი გულთამხილავი) (9,243).

ლექსში „ლოცულობს ყველა“ (9,235) ანუხებდა ნოს-ტალგია ნამდვილ ადამიანებზე და ეიმედებოდა თავისი დარ-დების აყვავება, ანუ, სატკივრიანი სათქმელის გაუკვდავება: „...კაცს ვერ ვპოვებდი. შენ ამიყვავე ჩემი დარდები და ის წარწერა: „კაცს ვერ ვპოვებდი“. .

„მთის კონცხიდან“ „სამყაროს იქით მიმავალ მგზავ-რებს“ ამჩნევდა (ფერისცვალება) (9,62).

„ბინდების გაღმა“ „მარადისობის ჩუმ უდაბნოს“ ჭვრეტდა (ფილტვების სიყვითლე) (9, 64).

გარდაცვლილი პოეტის მარადიული სიტყვები ქარში ესმოდა: „.....ცხედარი ქარში სიტყვას ამბობდა და ყვავილები მიჰქონდათ ქარებს“ (მარადისობის უარყოფა) (9,254).

ერთ ლექსში „მთების გადასწვრივ ყვირიან გზები“ (9,250).

ესმოდა „წლების ზუზუნი“, ღმერთის გაფრენის ხმა, გზების, ქარის ყვირილი, „ათასწლეულების ხმა“ (ალიონამ-დე) (9,90).

„გუბე-გუბე“ „განგების ჩრდილი“ ელანდებოდა (თამა-რის მღვიმე) (9,68).

მისი ერთი ლირიკული პერსონაჟი „ფიქრების ზვინში“ აცნობიერებდა თავის სათქმელს: „ის ვულკანივით სულ გუ-გუნებდა და წინ ეფინა ფიქრების ზვინი“ (გახსენება) (9,188).

ხეხილებზე დავანებულ ფიქრებს, ბედს უკულმართი დრო ემტერებოდა, სულის ვარდებს ძეძვები ჯაბნიდა: „... იმ ხეხილებზე ყვაოდა ბედი, ბედი, რომელიც ჩანიხლეს გზებზე, ვიყავი მუდამ მგოსანი — ყბედი და ვაწყდებოდი სულ მუდამ ძეძვებს“ (9,41).

შეუცნობლობის ნისლი ებურა, ქვებზეც გამანადგურე-ბელ წარწერას კითხულობდა: „ნისლები მოვლენ მთიდან ბუზღუნით, დაიჩოქებენ და დამწყევლიან. დაიკარგეო, ქვებ-

ზე ელამს ცუდი წარწერა“ (აღსარება) (9,18).

ფილოსოფიურ ლექსში „დაჯდება მარტო“ (9,215) სანუთროს ქინქლებად მიიჩნევდა მავანთ და საფლავებზე შემხმარ ხალხის წუნუნს კითხულობდა: „ჩვენ ქინქლებივით დავტრიალებთ ვერაგ საწუთროს და საფლავებზე შემხმარია ხალხის წუნუნი“.

ნიკო სამადაშვილი „შაირების ჭავლის ლივლივზე“ საუბრობდა, ფიქრის შრიალი ესმოდა: „ტყე აშრიალდა, აშრიალდნენ ჩემი ფიქრები“ (10,119).

მაცხოვრის უარმყოფელის სახეს „შავგვრემან ფიქრში ამოთხუპნულს“ უწოდებდა: „ეს ის კაცია, მაცხოვრის ხატს როცა ქირდამდა, შავგვრემან ფიქრში მთელი სახე ამოთხუპნული“ (სინათლის მიმოქცევა) (10,241-242).

მარადისობის ხელდასხმულად მიიჩნევდა უმადური თანამედროვეებისგან უგულებელყოფილ, უსამართლოდ დასჯილ ერეკლე ტატიშვილს: „მარადისობის პაპანაქება შენ მოგიხმობდა უცნაურ მეკვლეს, წუთისოფელი როცა გაქრება, ვიღაც გიპოვნის ბატონ ერეკლეს“ (ერეკლე ტატიშვილს) (9,17).

ნიკო სამადაშვილი ხაზს უსვამდა ერეკლე ტატიშვილის სიყვარულს ბუდა საკია-მუნისადმი, ნიცშეს ზარატუსტრა-სადმი, მას წარმოაჩენდა, როგორც ცეცხლთან (საღვთო სახელია) მავედრებელს, მლოცველს, თანამედროვეობისგან, ოფიციოზისგან დაუფასებელს, მისი დალუპვის დამჩქარებელს და საყვარელი მოძღვრის ბედისწერას თითქოს კარზე დაწერილს ხედავდა: „....შენი ცხოვრება ზარატუსტრას ფერხული იყო, მუხლმოყრილ ცეცხლთან განწირული კაცის ვედრება. კარზე გეწერა: ილოცებს დიდხანს, მაგრამ მაინც დაიღუპება, აქ დაიბადა, საიქიოში ძლივს დაბერდება“ (ჩემ გივი ერეკლეს ძე ტატიშვილს. ავტოგრაფზე მინაწერი: ჩემ ერეკლე ტატიშვილს) (9,42)

ასე განჭვრიტა პოეტმა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებში გზამკვლევი ერეკლე ტატიშვილის თითქოს

კარზე დაწერილი ტრაგიკული ბედი...

ლექსში „ბარათი“ (10,106-107) პოეტური ნიჭი მატერიალიზებულია თრთვილის სახეში: „... შენს კარმიდამოს თრთვილივით ედოს პოეტის ნიჭი“.

პოეტი წარმოჩნდება, როგორც „გრიგალების მძევალი“, „შუალამის მძეველი“, ხოლო „ძვლებზე ლექსების სარეცხი მოჩანს, თან აფრიალებს... ლექსებს ქარი“ (გამიშვით) (10,106).

„როცა ქარია და ხეებზე სხედან ლექსები“, ასე უკავშირდება ერთმანეთს შთაგონება და პოეტის სათქმელი (10,231).

შთამბეჭდავი იდეების გავრცელების არეალი ისევ სიმაღლესთან ასოცირდება: „ჩემი ლექსები ხეზე შეფრინდნენ, მათი უივილი სადღა არ ყრია, მთელი მსოფლიო მართლაც ბინდდება, ქვეყანა მხოლოდ ბაყლებს უპყრიათ“ (გადამეყვლიფა გული დარდებით) (10,154).

ნიკო სამადაშვილის „ფიქრების დიდი ხმელეთი“, „ფიქრების წარლვნა“, „ფიქრების თოში“, „ლექსის ბაჯაღლო“ შეუმჩნეველ-შეუცნობელი იყო ცალთვალა მეფისტოფელის საუკუნეში, მაგრამ პოეტს ეიმედებოდა მომავალი: „...თვალი ვერ მოჰკრეს, ისე შეწყდა ფიქრების წარლვნა და ტალღებიდან აქორილი ქარის პერანგი. ვიღაც მომნახავს, ჩემი ცოდვით ჩაიფერფლება“ (სიმღერები გამოქვაბულიდან) (10,258).

გალაკტიონი აცხადებდა: „ზეცაზე სწრია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“ (ეფემერა).

მარადიულ ცათა ცაში, ღმერთების სამსჯავროზე გამარჯვებული ეგულებოდა „ფერისცვალების“ ავტორს თავისი ცხოვრება და პოეზია: „...გაივლის დრო და დიდი ხნის მერე ღმერთი იტყვიან, ნიკო გვეწვია, შემოქვევა ცის უწვდენ მერქანს ჩემი ცხოვრება და პოეზია“ (გაივლის დრო და) (14,213).

ეს არის ობიექტური განაცხადი.

დამოწმებანი

1. ელენე ბლავატსკაია, საიდუმლო დოქტრინის კომენტარები, მთარგმნელი ვაჟა ნიუარაძე, თბ. 2011
2. Рамачарака, Основы миросозерцания Индийских иогов, Питербург, 1913
3. ბჰაგვან შრი რაჯნეში, ტანტრა, უდიდესი შეცნობა (საუბრები ტილოპას მაჰამუდრას სიმღერაზე), თარგმნა მერაბ ხერგიანმა, „საუნჯე, 1931, №3)
4. E. Perikh, Мозайка Агни иоги, в двух книгах, книга I, тбилиси, 1990
5. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, თბ. 1983
6. პანტელეი ზარევი, ვანგა, თბ. 1991
7. გრიგოლ რობაქიძე, ჩაკლული სული, შერისხულნი 15 ტომად, ტ. II, თბ. 1994
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
9. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, თბ. 2004
10. ნიკო სამდაშვილი, ქართული პოეზია, თბ. 2010

„და პოეტიკის ნახირი გლავის“

ნიკო სამადაშვილის იდეალი იყო „სიტყვის ბაჯაღლო“, „ფიქრების დიდი ხმელეთი“, „შთაგონების გუდამაყარი“, „ბახტრიონივით მაღალი ოცნება“, მაგრამ ტოტალიტარულ ეპოქას სიმართლის ერთგულება, მართალი სიტყვის მსახურებმა კი არა, უნიჭო, შავის თერთად წარმომჩენ ვაიშემოქმედთა არმია სჭრიდებოდა, არა დინების საწინააღმდეგოდ, „ქარის პირდაპირ“ სვლა, არა თემიდას ერთგულება, არამედ ტირანული ხელისუფლების გულის მოგება-მსახურება იყო ხელშეუხებლობის გარანტია.

„ფერიცვალების“ ავტორს არათუ წარსულის, ანმყოს ობიექტური შეფასება, არამედ მიღმურში ჭვრეტა, კოსმიური პრობლემების გათავისება, „წარმავლობის“, წუთისოფლის გაღმა ყურება, „სამყაროს ნისლმოდებული კალთების შეშრიალება“, სიკვდილ-სიცოცხლის დაფარული საიდუმლოებების წვდომა ესახებოდა ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მისიად.

ისე იცხოვრა, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არაფერი დაუბეჭდავს, მიუხედავად ამისა, ორჯერ იწვნია პატიმრობა.

პოეტი ირონიას ვერ იკავებდა თვითდაჯერებული, ვაიმნერლების სანახიროში დავანებულთა მიმართ, რომლებიც ხელისუფლებასთან მლიქვნელობის საფასურში, ორდენ-მედლებს იღებდნენ და ზევიდან უცქეროდნენ ამა ქვეყნის თავადთა მიერ იგნორირებულთ, შერისხულთ.

ბრძენი გვმოძლვრავს: „ვინცა ფიქრობს, ყოველივე ვუწყიო, არა უწყის რა. ვინც დიდებას მიელტვის: ვერ ეღირ-სება დიდებას, ვინცა განდიდებას მიელტვის : ვერ გაწინამდღვრდება“ (1,194)

ვაიშემოქმედი, „კალმის მელია“ (ნიცშე) საერთოდ არ იცნობდა ბრძენის შეგონებას: „განერიდე ქებას...“ ქება ხიბ-ში მოგაქცევს...

„თვითკმაყოფილება ცაში აზიდულ კოშკსა ჰგავს, რომ-

ლის წვერზეც ბრიყვი ამაყი შემომჯდარა“ (2,84)

ნიკო სამადაშვილი განრიდებოდა „ქვეყნიერების კოშკებს“ და სიტყვის მარადიულ კოშკს აგებდა.

პოეტი ირონიას ვერ ფარავდა ფსევდოპოეტთა, ფსევდომეცნიერთა მიმართ.

ლექსში „სალახანას პორტრეტი“ (3,98) დახატულია სახე ისეთი ვაიპოეტისა, რომელიც დიდი შემოქმედების ვერცერთ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებდა, იყო ლოთი, ავხორცი, დროის სატკივრებისგან შორს მდგომი, სიმაღლით კი არა, სიმდაბლით ცნობილი, ამპარტავანი, არაადეკვატური და მარადისობის წინაშე მხოლოდ ხითხითს, დაცინვას მოიმკიდა: „ის ყოველ ღამე დაეძებდა ღვინის სარდაფებს და რომ გეკითხათ, პოეზიით იფუფქებოდა. შთამომავლობა მის ცხოვრებას რას დაიჯერებს, კაცი, რომელიც ხალხს მისდევდა მუდამ ქვემოდან... რისთვის მოსისხა უგვანობით ლექსების რთველი? რათ უჯდა კახპებს, როცა სწუხდა ჩვენი დროება? როცა სივრცეებს გაჰყომულდა წუთისოფელი! ვინც სულ არაფერს არ დაგიდევდა, არც რიურაუს, არც ბინდს, არც შუალამეს, რო ჩამოეგდოთ: ვინ იყო დედა?... შეეკითხეთო-იტყოდა ქარებს! ის შთაგონებით არასოდეს ჩაბჟირებულა, წარმოიდგინეთ: რო უფროთხოდა მაღალ მთების ქედს! სახე უგავდა სიმწიფისგან კანდაშლილ უოლოს, ყელ-ყელაობით აქლებს ჰგავდა, ვიდრე შემოქმედს. თმებს განგებ როდი ივარცხნიდა! საწყალს ეგონა, თუ მომაკვდავებს დაემსგავსა, დახრავს ნისლობა! ბოლოს სარდაფის ზღურბლზე შეხმა იმის გონება და ახითხითდა ჭორიკანა მარადისობა“.

ლექსში „ნაფოტები“ (1,53-54) ყურადღებას იქცევს ჭოტის დაცინვა, პოეტების ნახირის ბლავილი; „...ჭოტი დასცინის ბნელ არემარეს. მწყრის ქვითქვითია, ბიბინი ყანის. გაუსხეპავი ღამეა გარეთ და პოეტების ნახირი ბლავის“.

სხვაგან „ქარი ჩიფჩიფებს რაღაც დაბურულ ზღაპარს“, ისმის „ხალხის წყევლა“, გვზარავს „ლექსების სუნი“, როგორც მძორების“ (მოვკვდები, წავალ, ვინ მომიგონებს) (1,123).

ერთ ლექსში ნაცნობი კიცხავს, უწოდებს „ჩამორჩენილს“ საუკუნის თვალუწვდენ ნახირს (ლეოს წერილი) (1,96), მაგრამ პოეტისთვის მიუღებელია ასეთი შეგონება, მას არ აინტერესებს ნახირის, ბრძოს აზრი, „ქორების ჭორი“ : „ვის გაუვარდა ქარში კალამი?“

მჯღაბნელი „ვიგინდარას“ წრიალი და ღნავილი მხოლოდ სიცილს იწვევს: „კაცად გაჩნდი ვიგინდარა, რას წრიალებ, ან რას ღნავი? ხომ დაგცინებ ბულბულებმა, რასაც ახლა სწერ და ჯღაბნი, ნუ გგონია თხზულება“ (გეყურება) (1,179).

ასეთების პატივმოყვარეობა, განდიდების მანია სასა-ცილო ხდებოდა: „....ვინც განდიდების კვერით დანაყრდა, რა ეშველებათ იმ უბედურებს“ (გაჭვავება) (4,25).

სამაგიეროდ, წამებული იყო ლექსის მეუფე: „ნუ მოი-გონებ წამებულ პოეტს, ვინც გრიგალებმა დაანაფოტეს, ვის სიმღერებზე ნარი დაამყნეს, ლექსების მეუფე დასცეს და გარ-ყვნეს“ (უკანასკნელი ზარების რეკვა) (3, 34-35).

ნიკო სამადაშვილის მიერ ვაიმეცნიერთა ქირდვა პირ-დაპირ გვაგონებს ფრიდრიხ ნიცშეს განაცხადს შემთხვევით მეცნიერებზე: „გამოველ მეცნიერთა სახლიდან და კარიც გა-მოვიჯახუნე. ფქვილის ტომრები... უკეთუ იგინი ბრძნობას ჩემულობენ, მათი თქმანი და ჭეშმარიტებანი მამცივნებენ. მათ სიბრძნეს რაღაც სუნი ასდის, თითქოს წუმპეს წარმოეშ-ვას და ჭეშმარიტად, იქიდან კიდეც მსმენია ბაყაყის ყიყინი.

„ხერხიანები არიან, საათის მექანიზმები, ფრთხილად შხამს ამზადებენ,... ყალბი კამათლებით იციან თამაში.

„და ოდეს მათთან ვცხოვრობდი, მათ ზემოთ ვცხოვ-რობდი. ამად შემიძულეს“ (მეცნიერთათვის) (5,98).

ასევე, ნიცშესებური დაუნდობლობით ამათრახებდა ნი-კო სამადაშვილი სიცრუის მსახურ პოეტებს: „....პოეტები ნა-მეტნავად სცრუობენ“.

„ძლიერ მცირე ცოდნა გვაქვს და ცუდად ვსწავლობთ. ამათ გვჭირდება სიცრუე“ (5,99).

„დავიღალე ძველი და ახალი პოეტებით. ზერელედ მეჩ-

ვენებიან და დამშრალ ზღვებად (5,100).

მათ საკმაოდ არ უაზროვნიათ სილრმით: ამად მათი გრძნობა საფუძველს ვერა სწვდება.

„ლანდების ასეულად და ჩქერად მეჩვენება მე მათი ქნარის ჟღერა. რა უწყიან მათ დღემდე ბგერათა მსვლელობის!

„ყველა ისინი თავის წყალს ამღვრევენ, რათა ღრმა გამოჩნდეს“

„ნახევრად ნახევარნი და უწმინდურნი!“

„ჰეი, ხშირად ვისროდი ბადეს მათ ზღვაში და კარგი თევზი მსურდა დამეჭირა, ხოლო ზევით ყოველთვის მარად მოხუცი ღმერთის თავი ამომქონდა“ (5,10),

„მათ შორის ასე მაშვრალს ზღვამ ქვა მისცა: იგინი ზღვის შთამომავალნი არიან. ცხადია, მათ შორის მარგალიტებიც იპოვნება. მით მეტად მაგარ ნიჟარებს ემსგავსებიან და სულის მაგიერ ხშირად მათ შორის მლაშე ლორწო მინახავს.

„ამაოება მათ ზღვისგან ისწავლეს. განა ზღვა ფარშევანგთ ფარშევანგი არ არის?

„მათი სული ფარშევანგთ ფარშევანგია და ზღვა ამაოებისა“ (5,101).

ზარატუსტრა დასცინის კულტუროსანთ, განათლებულებს, უწოდებს მათ „ჭრელი ქოთნების სამშობლოს, საფრთხეს, ბერწო, აზროვნების ქარებს, ჩონჩჩებს“ (5,111).

ნიკო სამადაშვილი ამპარტავან, მხოლოდ პრაგმატული ინტერესებით მცხოვრებ, შემთხვევით მეცნიერებსაც არ ინდობდა: „...თანატოლებს მუდამ რაღაც პრანჭვით ხვდებოდი. მიველ, გეწვიე, ტახტზე იჯექ, რგოროც ბასილა, ნახარშ ხორცის წვენს მადიანად იცოხნებოდი. რასაც ბოდავდი... ენას გიყოფდა ქუჩის მხრიდან გიუ ბოდლერი, შენც ჩაძალლდები- მოგძახოდა ძუნწო ჩიორავ! მიტატანებდი: შენ ლოთი ხარ, მე კი დოქტორი, გჯეროდა, მთვარე შენთვის თურმე კვერცხებსაც დადებს. დავბრუნდი ჩუმად, მიგატოვე კაცი-გოდორი და საქართველოს ვაყოლებდი ლალისფერ დარდებს“ (ოდესლაც ახლობელს) (1,203).

თანამედროვეთა გულგრილობა-გაუგებრობით გაწამებული, არც ხარისხის მაძიებლებს, სტატუსის ამაღლების-თვის გარჯილთა „ყბედობას“ ეგუებოდა, ერჩივნა ცეცხლით გაენადგურებინათ მისი ნაწერები — „მკერდის ვედრება“ეს ნაწერები დიდი ცეცხლით გაანადგურეთ. არ მინდა, არა, რომ იყბედონ ჩემზე მგზავრებმა, ვიღაც მახინჯმა რომ დაიცვას დისერტაცია, იტყვიან, ისე დაენება ამ კარგ საწუთროს, რომ ნაწერები საიქიოს გაუტაცია“ (საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა) (1,269).

საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, პოეტი არა კეთილმოსურნე, არამედ დაუნდობელ „მგლებს“ წარმოიდგენდა მკითხველებად და არც აინტერესებდა თავისი შედევრების გახმიანება: „აპა რათ მინდა, წიგნის ფურცლებზე თავი ამოჰყონ ჩემმა ლექსებმა, იმატაცაონ თავის ცრემლებით და შარაგზაზე შეღრინონ მგლებმა“ (უკანასკნელი ზარების რეკვა) (1,34-35).

„ჩამაძალლებენ ალბათ სადმე ხარაოკებ ბორცვებიან, ლექსის ფარაონს ჯიბგირობას დამაპრალებენ“, წუხდა დაუნდობელთა, ცილისმნამებელთა ავკაცობით გაწამებული.

ნიკო სამადაშვილი აღმშოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ შერისხულნი, შეჩვენებულნი იყვნენ ოქროპირები, რეგვენები კი, „გახირული ბარდების“ პატრონები, განდიდების ტახტზე იყვნენ გამოჭიმულნი. შემოქმედებითი სიცარიელის ბლავილი ისმოდა ქვეყნიერების სანაპიროზე“დაღვრემილ ისტორიის ამოვარდნილ რიყიდან... ელავს პილატეს გესლიანი ღიმილი და რა უშნოდ ჩაუჯაჯია ვერგ გოლგოთას ქრისტეს დაფხრენილი პერანგი“ (მთვლემარე ცისკარი) (6,21).

„შეხვედრებსა და სინანულში“ (6,64), ერთმანეთს უპირისპირდება „ქალალდებზე დაცემული დიდი შემოქმედების სისხლის წვეთები“ და „უნიჭო ადამიანების აჭრელებული თაბახები“. აქვე სასაცილოდ არის აგდებული „ლიტერატურული მკვლევრების ბოდვები“.

მოთხოვთაში „ფასკუნჯის ფრთები“ (265-268) ნაჩვენე-

ბია ხელისუფლების აგენტი რედაქტორი, „რიოში და გაქსუებული, ...ბუხრის ალივით ასწრაფებული ხოროშაკი“, რომელ-საც მხატვრული აზროვნების ანაბანაც არ ესმის და მისი და-ბეზლების კვალობაზე ჭეშმარიტ პოეტს აპატიმრებენ.

„რად გადაქცეულიყო უდაბნოს სილად იმის განკიცხული სიცოცხლე? რატომ არ მოჩანდა არსაიდან მივარდნილი ოზისი?“ - კითხულობს ავტორი.

პოლიციის, სასამართლოს მსახურები „ნადირები, ღრჯოლებგადმოყრილი ალქაჯები“ არიან, რომელთაც თან მიაქვთ პოეტის ხელნაწერებით სავსე ტომარა.

დაპატიმრებული პოეტის „შთაგონებულ ფიქრებში ათონის ზარის ჩამორეკილი ჰანგები ბუდობდნენ და საკმე-ველშეპყრობილი კელაპტრები კიაფობდნენ“, ამბობს მოთხრობის ავტორი.

ხაზგასმულია „ათრეული გველის კუდივით“ გამონას-კული უკანასკნელი დღეების სიმშვიდე, მტარვალის მსხვი-ლი კლანჭები, გამოკვერილი ნისკარტი, რათა საცოდავი მოხუცისთვის ამოეკორტნა თვალები, ამოეჩიჩქნა ჩათუთქული გულდვიძლი“ (6,265).

„რკინის არმატურებით შემოჭედილი სატუსაღო... ხელ-ყოფისა და ძალმომრეობის ყველაზე დიდ უნმინდურებად“ არის სახელდებული.

„ზღვაში გადაგდებული კენჭივით დაიკარგა ქართველი სიტყვის დაუშრეტელი მადანი“.

„ქართველი ერის ბნელეთის მოციქულები, ...ჭაჭის არ-ყით გამსკდარი მტარვალები, ცინგლიანი ჯალათი, ორფეხა პირუტყვი, ერის გარეული ყაჩაღები თავს ქვაზე უჩერქვავენ ყველა იმ ალალ-მართალ ადამიანს, ვინც თავისი სწორუპოვარი სიმღერით ქართველი ხალხის გულს ატყვევებდა. რამ-დენ მირონცხებულ და უმწიკვლო მგზავრს ისე გაუმნარდა დაპრიყვებული სიცოცხლე, რომ ხელ-ფეხი იშვირა და ჩაეხეთქა დიდი მდინარის მძვინვარე ტალღებს“...

ისმოდა მოხუცის ყვირილი: „მიშველეთ! ქარიშხალმა

ქვეყნის ერებას ზეცა გადაგლიჯა“.

მოხუცი საზარელი მოთქმით გადაიკარგა კაცომძულ-ვარების სამყაროდან.

მის ჭირისუფლად ტანმაღლი კორიანტელი იყო. ჯალა-თების მოქმედებაზე ნამქერის ქვითინი ისმოდა“.

ასეთი სტრიქონები პირადი გამოცდილებით არის ჩაგონებული, რადგან ჭეშმარიტი სტრიქონები, თვით პოეტის სიცოცხლე არაკაცთა, მტარვალთა, რეგვენთა ხელყოფისთვის იყო გამეტებული.

დამოწმებანი

1. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ.1983
2. ელენე ბლავატსკაია, „მდუმარების ხმა“, წიგნი თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა თ.თევზაძემ, თბ. 2011
3. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ.2004
4. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006
5. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ.1993
6. ნიკო სამადაშვილი, შეხვედრები და სინანული, „მერანი“, თბ.1995

„სეოვეა ანთეპულ მკერდში გალობდა“

ნიკო სამადაშვილი ფართო თვალსაწიერის პოეტია. ის ზედმინევნით კარგად იცნობდა ქრისტიანულ მოძღვრებას, იოგების ფილოსოფიას, ოკულტიზმს, ბუდიზმს, გარდასხეულების თეორიას, რომელიც საერთოა დასავლური თუ აღმოსავლური სამყაროსთვის. ის ხედავდა ზესკნელ-ქვესკნელს, ცას, ასტრალურ სამყაროს, იქრებოდა კოსმიურ განზომილებაში და ხელეწიფებოდა ასტრალური მოგზაურობა.

პოეტი პირველწყაროებში ეცნობოდა მსოფლიოში ცნობილ მოძღვრებებს და, მათ შორის, პლატონის ფილოსოფიას, მის სახელთან დაკავშირებულ გახმაურებულ თეორიას გარდასხეულების შესახებ, ასევე მოგონების თეორიას.

პლატონის „მენონში“, „ფედონსა“ და „ფედროსში“ განხილულია „მოგონების“ (ანამნესის, რემინისცენცია), როგორც თანდაყოლილი ცოდნის თეორია.

„მენონში“ გამოიყოფა პლატონის მრავალწახნაგოვანი აზრის შინაგანი განვითარების ათი საეტაპო საფეხური, ათი ძირითადი მომენტი, რომელთაგან ერთ-ერთია მეექვსე-მოგონების თეორია.

„მენონში“ სოკრატე იზიარებს სულის უკვდავების ორფიკულ-პითაგორულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, „რაკი ადამიანის სული უკვდავია, ამიტომ მრავალგზის იბადება; მას ყველაფერი უნახავს და ყველაფერი იცის. სული ყოვლისმცოდნეა... ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება. სოკრატეს აზრით, ძიება, შემეცნება და ცოდნა სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1,100).

„ცნებებებით გამოხატული ყოველგვარი ცოდნა „ანამნესიაა“ - მოგონებაა, როგორც დასაბამიერი, ყოველგვარ აღქმამდე შეძენილი კუთვნილება სულისა“ („ფედონი“).

„მენონის“ მიხედვით, ცოდნის შეძენა ახლის შეცნობა კი არ არის, არამედ „იმავეს ხელახლა შემეცნებაა“, „ცოდნის შეძენა მხოლოდ წინასწარ მოცემული ცოდნის საფუძველზე

ხორციელდება“.

პლატონის აზრით, ადამიანის სული წინასწარ ფლობს აზროვნების აპრიორულ ფორმებს, ცოდნის გარკვეულ ზოგად საწყისთ, რომელთაც ის მხოლოდ „იგონებს“ და ამრიგად თავისსავე თავში პოულობს მათ“ (მენონი) (1, 112).

„მენონსა“ და „ფედონში“ მოგონება შემეცნებასთანაა ინდენტიფიცირებული, მოგონებას კი „ღვთიური ნიჭი“ ეწოდება.

„სული, რომელსაც არასოდეს უხილავს ჭეშმარიტება, ვერ შეიმოსავს კაცის სხეულს, რადგან კაცი რომ იყო, უნდა გესმოდეს, რა არის იდეა, რომელიც მრავალი კერძო შეგრძნების მონაცემთაგან გამომდინარე, ლოგიკური მსჯელობის გზით, ერთ უზოგადეს მთლიანობად ირწყმის და ყალიბდება“.

ამ ერთობის წვდომა კი „იმის მოგონებაა, რაც ოდესა-ლაც უხილავს ჩვენს სხეულს, როცა ღმერთის თანამდევი და თანამავალი, ზიზღით არიდებდა თვალს ყველაფერს, რასაც ამქვეყნიურ არსა სახელს ვუწოდებთ და ნეტარებით აღვსილი ჭვრეტდა ჭეშმარიტა არსა...“

„სრულყოფილების მიღწევა ხელენიფება იმას, ვინც მართებულად იყენებს მოგონების მისეულ უნარს და, ამრიგად, გამუდმებით ეზიარება უზენაესი სრულქმნილების წმინდათა წმინდა მისტერიებს. კაცთა ფუჭ ფუსფუსს განშორებულს და მხოლოდ ღმერთის მიმართ მზირალს, მას შლეგად თვლიან უმეცარნი და დასცინიან. რა იციან საწყალობლებმა, რომ ის შლეგი კი არ არის, არამედ ზეშთაგონებული“ (1, 193).

„სული ყოვლისმცოდნეა... ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1, 193).

ასეთ შეხედულებას გამოთქვამდნენ ინდოელი ფილოსოფოსები, ორფეოსელები, პითაგორელები, პლატონი და მისი არსი ისაა, რომ ერთი სხეულის სიკვდილის შემდეგ სული გარდასხეულდება, სხვა სხეულში გადასახლდება.

გარდასხეულების მოძღვრების პითაგორულ-ორფეოსული ტერმინია „დაბადებათა ბორბალი“, რაც მიწაზე სულის

მუდმივ დაბრუნებას ნიშნავს.

რეინკარნაციის ჯაჭვისაგან სული მაშინ განთავისუფლდება, როდესაც ძლევს ცეცხლის, წყლის, ჰაერისა და მინის უგონო შფოთს და უნინდებურ ნეტარ მდგომარეობას დაუბრუნდება“ (პლატონი, „ტიმეოსი“ გვ. 42).

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანის სიტყვებით: „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მინასა, ჰაერთა თანა ძრომასა“ (ამაზე მიუთითეს ნოდარ ნათაძემ, რევაზ თვარაძემ).

სულის მარადიულობის, გარდასხეულების მოძღვრება თავდაპირველად გავრცელებული იყო ინდოეთში. XX საუკუნის მოაზროვნე ვივეკანანდა ამბობდა: მე შანკარნას (VIII-IX საუკუნის ფილოსოფოსის) გარდასხეულება ვარო.

ფილოსოფია პლატონის აზრით, „სიკვდილისათვის მზადებაა, ე.ი. მას ევალება, იმდენად სრულყოს სული, რომ იგი სამუდამოდ დარჩეს იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში დაბრუნებას“ (2,110).

რუდოლფ შტაინერი აღიარებდა გარდასხეულების თეორიას, ემყარებოდა უახლეს ბუნებისმეცნიერებას და მის შედეგებს სულიერ ცხოვრებაზეც განავრცობდა.

ანთროპოსოფიის ფუძემდებლის აზრით, „ყოველი სასიცოცხლო სხეული განმეორებაა თავისი წინაპრის“ (თეოსოფია) (3,55).

„როგორც ადამიანის ფიზიკური სახე განმეორებაა, გარდასხეულებაა ადამიანური გვარის არსებისა, ასევე უნდა იყოს სულიერი ადამიანი გარდასხეულება იმავე სულიერი ადამიანისა, ვინაიდან ყველა სულიერი ადამიანი წარმოადგენს თავის განსაკუთრებულ გვარს“ (თეოსოფია) (3,60).

„კარგა სნის გარდასული მოვლენები... შემოდის სამშვინველში... ჩვენ მესიიერების გარეშე ცხოვრებაში გზას ვერ გავიკვლევდით. სამშვინველს მოგონებაში ჩაძირულის ამონევა ძალუძს მესიიერების უნარის წყალობით“ (4, 12).

მხატვრები, მეცნიერები, გამომგონებლები სულეთში ყოფნისას იღებენ ძლიერ იმპულსებს, აქ მაღლდება მათი გენია, რათა ახალ განსხეულებებში მძლავრი ზემოქმედება მოახდინონ ადამიანური კულტურის შემდგომ განვითარებაზე“ (4, 119).

„ვისაც მრავალი ინკარნაცია გაუვლია, მათ მრავალი ფურცელი მიამატეს სიცოცხლის წიგნს. ისინი მაღალგანვითარებულნი არიან“, ასკვნის რუდოლფ შტაინერი.

გარდასხეულების თეორიას იზიარებდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, გრიგოლ რობაქიძე, ოთარ ჭილაძე, ნოდარ დუმბაძე, ანა კალანდაძე.

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა გარდასხეულების და მოგონების თეორიას.

მოგონებების „უღრანი გზებით“ მავალი პოეტი იყო ნიკო სამადაშვილი, რომელიც „მოგონებების გაუვალი ზვინებიდან“ ჭვრეტდა ჭეშმარიტებას: „მოგონებების გაუვალ ზვინებს თვალების მზერა რას მოაკლდება... ო, რა უღრანი გზებით იარე, ვეეპერთელა შარა გამოვლე“ (თებერვალი და მოგონება) (5,165).

აი, როგორ ითავისებდა პოეტი გარდასულის მოგონებებს: „....როგორ ყვაოდნენ შენი ხსოვნები“ (თეთრი ვარდები ამოგიტანე) (5,155).

მრავალგვარი მოგონება განცდებს, გაოგნებას უკავშირდება ლექსში „გიშერი“: „.... ფერად ხსოვნებით განცდების ფიფქი და გაოგნება დაღუპულ დღეებს სადღაც ასხია“ (5,145)

ხსოვნა დაღლილია „სამინე დარდით“, „ხსოვნა ანთებულ მკერდში გალობს“, ის „სამინე დარდს“ უკავშირდება: „ხსოვნა ანთებულ მკერდში გალობდა, ხსოვნა-დაღლილი სამინე დარდით, ოდესმე ალბათ მოგაგონდები, როცა ლექსები დალევენ ქეძაფს“ (მანანა ქართველიშვილს) (5,86).

ხან „ჩამქრალ ხსოვნებთან“ ფარფატია, სიზმრებთან ლოცვა, ამღვრეული ნათელი და გაფრთხილებაა: „ჩამქრალ ხსოვნებთან ფრთების ფარფატი. მბჟუტავ სიზმრებთან ლოცვა წმინდანის და ამღვრეული ნათელი ირგვლივ. იქვე

წარნერა სისხლიან დანით: „ჩემ ნაკვალევზე ნუღარ გაივ-ლით“ (5,19).

პოეტი დარწმუნებულია, რომ „ხსოვნაში დავიწყება გა-მოიდარებს“.

ხან „ხსოვნების ნარია“ ზარებთან, უილბლო მგზავრე-ბისთვის: „ხსოვნების ნარი დარეკილ ზარებს მიჰქონდათ, როგორც უილბლო მგზავრებს“ („იცი რა იყო ჩემი სიზმა-რი?“) (5,15).

პოეტის გზებზე იასამანი, ლოცვები და მოგონებებია: „მე დავყურებდი შეშლილ ბილიკებს და იასამანს ლოცვით მოთენ-თილს და მოგონებას ძირს ჩამოფრენილს. როგორ ყვაოდნენ შენი ხსოვნები“ (თეთრი ვარდები ამოგიტანე) (5,155).

ამასთან, უმნიშვნელო, ნარმავალი მოვლენებით არ უნ-და დაზიანდეს „ხსოვნის ალიონი“: „რაც იწრიტება, რათ უნ-და შერჩეს ხსოვნის ალიონს“) (ბაასი ბერთან) (3,88-89).

დამოწმებანი

1. პლატონი, „იონი, დიდი ჰიპია, მენონი“, ძველი ბერძნული-დან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი, 1974
2. უილიამ გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თარგმანი გ. ნიდიასი, წინასიტყვაობა და რედაქცია გ. თევზაძის, თბ. 1983
3. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების სფეროში, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, 1970 წელს რედაქტირებულია 1995 წელს
4. რუდოლფ შტაინერი, ანთროპოსოფია და ქრისტიანობა, გერმანულიდან თარგმნა ნოდარ ბელქანიამ, „აწმყო“, თბ. 2002
5. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, თბ. 2004
6. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭეს-თან, მთარგმნელები: ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასო-ციაცია „კოგიტო“, თბ. 2016

თავი II

ნიკო სამადაშვილის რელიგიური თვალსაწიერი

ის პგავდა ღმართის გლოვის აფიშას

ნიკო სამადაშვილი ზედმინევნით კარგად იცნობდა როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრეს პოსტულატებს, წმინდა წერილს, ღმერთის სიკვდილისა და ანტიქრისტეს მოვლინების ნიცხესეულ წინასწარმეტყველებას, ერკვეოდა იოგების ფილოსოფიასა და ბუდიზმში.

პოეტმა ათეიზმის უამს იცხოვრა, როცა იდევნებოდა რწმენა, სულიერება, როცა პოლიტიკურ დანაშაულად ცხადდებოდა ღმერთის თაყვანისცემა, ჯვრის ტარება. სოციალიზმა ღმერთის, სამების ადგილას რევოლუციის სისხლიანი ბელადები დააყენა, ახალი კერპები შექმნა, ნგრევა-განადგურების ოსტატების თაყვანისცემა დაანათლა ეპოქას. ამით აიხსნება ნიკო სამადაშვილის პოეზიის ლირიკული პერსონაჟების რყევა წარმართობასა, ქრისტიანობასა და აღმოსავლურ რელიგიებს შორის, პარალელურად, ანტიქრისტეს მოლოდინი.

საბოლოოდ, ნიკო სამადაშვილმა დაძლია სულიერი კრიზისი და ქართველი კაცისთვის ორგანულ ტრადიციულ სარწმუნოებას ეზიარა. „ფერისცვალების“ ავტორის შემოქმედებაში გამოიხატა, ერთი მხრივ, ურწმუნო, უიდეალო არსებობის საშინელება, იმედების დაშრეტა, ამასთან, კათაკმეველის ლტოლვა ღმერთთან ზიარებისთვის და ორთოდოქსული ქრისტიანობის მიმღები სულის ყოვლისშემძლეობა.

გვიჩვენა რა რწმენას, ღმერთს განშორებული ადამიანები, პოეტმა თავის თანამედროვე პირქუშ ეპოქაში ტოტალური უძლურება, შიში, უაზრო არსებობის საშინელება განჭვრიტა. ურწმუნოთა ხვედრი მხოლოდ სახადი და ჭირია, რასაც ნგრევის პათოსი მოაქვს, როგორც მრავალი მისი წინამორბედის შემოქმედებაში.

„აღთქმის“ პერსონაჟი ჩასწედომია თავისი უბედურების მიზეზებს და ლალადებს: „მე ვეღარა ვწევ სამიწე ხელებს, ეს საკუთარი თავიც მაშინებს. ხვალ ლაუვარდები ტყეში ჩამოვლენ, ჩამოიტანენ ღმერთს მიცვალებულს. ჩემი ცხოვრება უშნოდ მივლიე, მე ვგავდი სახადს, ჭირს გავრცელებულს“ (1, 240).

ეს პრობლემა ყველა დროში აქტუალური იყო.

აკაკი წერეთლის ლექსში „ხოლერა“ ღმერთმა ურნმუნო ქვეყანას, გადაგვარებულებს სასჯელად ხოლერა გამოუგზავნა. ამით შეძრნუნებული წმინდა გიორგი ღმერთს ევედრებოდა ცოდვილთა გადარჩენას: „დავიწყებია ქართველებს შენი სესხი და ვალია, გადაცდენია ძველ გზასა და დაბნევია კვალია, მაგრამ იმისი გაქრობა ჯერ მაინც ცოდვა-ბრალია“ (2,278).

ვაჟა-ფშაველა გვმოძლვრავდა: „ცხოვრება ჭირიანია, ჭირით არ ერთით, ორითა, შენაც მოგაცხობს ბევრს რასმე, არ აგაშმოროს შმორითა“ (მთათ მითხრეს, 3,234).

გალაკტიონის ლექსში „შიში“ (4,215,218) ჭირისგან მზეც კი გაშავდა, მთვარეც ხოლერის ბაცილებით აივსო, შედეგად კი მივიღეთ კუბოები. ამ საბედისწერო მოვლენების რეჟისორი იყო მთავრობა, რომელიც „უსაფრთხოების“ მიზნით ჯანმრთელებს გზავნიდა საავადმყოფოებში. ქალაქში ტოტალური შიში გამეფდა: „ქალაქში შიშია, ქუჩებს და მოედნებს ბურუჟედ და მოლიერად მოედო ხოლერა და თეთრი ეტლები მოჰქრიან, სკდებიან ეტლები“.

პოეტი გვიმხელს: „მე მიიფიქრია ამნაირ დღეებზე ჩუმად და ცბიერად“. გალაკტიონმა იმთავითვე გაშიფრა რევოლუციის, სამართლიანობის სახელით მომავალი სატანისტების სული, მოსალოდნელი კატაკლიზმები და ქვეყნის მოზარედ ქცეული პოეტი ჰგოდებდა: „ცხედრები, ცხედრები... ხოლერა, ხოლერა. და როგორც მხედრები, როგორც ცაიერად, მეწყერად, სამუმად გვედება ეს ჭირი. მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია, ნიავიც სავსეა ხოლერით. წინ მიაქვთ კუბო, ქალაქი ფითოდება... მთვარესაც ედება ბაცილა. გადადგამს ერთ ნაბიჯს სრულიად ცოცხალი და უცებ ეცემა.“

ოპერაშიც თავებიდან სარქველების ახდა და ჩონჩხები ელანდებოდა, ამაო იყო გაფრთხილება, გამეფდა დაღუპვის შიში, აშკარა იყო შავი აჩრდილის მოვლინება, ყორნის საბედისწერო ხმა, გატეხილი ვაზა, რაც აძლიერებდა სასონარკვეთილებას.

გალაკტიონის პოეზიაში ტოტალიტარული ეპოქის მახსასიათებელია გესლი, შხამი, სანამლავები, ლეშები, გახრნის საზიზლარი სუნი, სისხლი და ცხედრები, დაუნდობლობა, მკვლელები, მახე, ბადე, შეთქმულება.

ანალოგიურ სახეთა მომრავლებას სხვადასხვა ეპოქის შემოქმედებთან ანალოგიური პრობლემები განაპირობებდა.

მიხეილ ჯავახიშვილმა „ქალის ტვირთში“ „წითელი ბაცილებით“ მიანიშნა იმ ჭირზე, რევოლუციად რომ იწოდა. მნერალმა ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენია „წითელი თემი“, „წითელი დროშა“ რომან „გივი შადურში“, „წითელი გოლიათი“, „ვეფხვი“-„ჯაყოს ხიზნებში“, „წითელი გველეშაპი“, შავი ურჩეშული-„ქალის ტვირთში“.

ანალოგიური შინაარსის მატარებელია კონსტანტინე გამსახურდიას „შავჩოხიანი წითელი“ ნოველაში „ტაბუ“, გრიგოლ რობაქიძის შავი ტარანტული რომანში „მცველნი გრაალისა“.

„წითელ გრიგალს თავდაუზოგავად მოაჭენებდა შემზარვი მხედარი, ცეცხლშემართული აზრთა მმუსვრელი წითელი ცენზურა, მისთვის უცხო, მიუღებელ აზრებს ხშირად თავებიანად რომ ათიბავდა მათსავე მატარებელს“, აღნიშნავდა მერაბ კორტავა კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილ წერილში „გამოსათხოვარი“ და დიდ პროზაიკულს მოიხსენიებდა, როგორც „მრავალთავიან ჰიდრასთან მებრძოლს“ (5,188).

ალბერ კამიუმ ფაშიზმი შეაფასა, როგორც შავი ჭირი: „შავი ჭირი, უპირველეს ყოვლისა, ფრთხილი და უზადო ადმინისტრაციული მანქანა იყო — ჩინებული მცოდნე თავისი საქმისა“ (6, 153).

„ჭირი სულისმიერი მოვლენაა, რომელსაც ყველა თავისი თავში დაატარებს. რა არის ჭირიანობა? ესაა ცხოვრება“ (6, 258).

„შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი საშუალება პატიოსნებაა“ (6, 141).

გოდერძი ჩოხელის „მგელში“ ცოფით არის მონათლული საუკუნის უბედურება და ამ ავადმყოფობის დამარცხება მხოლოდ ყვავილით (ყვავილი ქრისტეს სიმბოლო) არის შესაძლებელი, რადგან უფალია ყველაზე დიდი მკურნალი.

„მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი“, დახმარების ხელს გვინვდის წმინდა წერილი“ (გამოსვლათა, 15, 26) (7, 73).

„მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ (სიბრძნე ზირაქისა, 38, 2) (8, 61), გვმოძღვრავს ბიბლია.

თუ ფრანც კაფუას „მეტამორფოზების“ პერსონაჟი მწერად გარდაისახა, ნიკო სამადაშვილის ლექსში ქარისგან დანახშირებულია ლაუგარდები, „ვერაგ საწუთროს“ ქინქლებად უქცევია ადამიანები: „ჩვენ ქინქლებივით დავტრიალებთ ვერაგ საწუთროს... დანახშირებულ ლაუგარდებში იდგება ქარი“ (დაჯდება მარტო) (1, 215).

ნათელს, სინათლეს დაცილებული ადამიანი მხოლოდ ქვესკნელს ხედავს: „ვერ გავიკაფე გზა სინათლისკენ. ღმერთო, რა სევდა გადამეკიდა, ნეტა რად მივდევ ამ ქარაფ ქვესკნელს“, ამბობს პოეტი ლექსში „აღსარება“ (1, 18).

წმინდა წერილში შავი ჭირი, სისხლი, ქვის სეტყვა და ცეცხლია ღვთის გზას გადაცდენილი ისრაელის ხვედრი: „დავსჯი მათ შავი ჭირით და სისხლით. თავსხმას, ქვის სეტყვას და წუმპეს ვაწვიმებ მათზე, მის ურდოებსა და ურიცხვ ხალხზე, მასთან რომ არიან“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი) (8, 23).

ნიკო სამადაშვილი ხაზს უსვამს ურნმუნო კაცის უსიხარულობას: „... რად შეიქენი კაცი ურნმუნო, ეცადე, მაგრამ ვერ გაიხარე“ (9, 162).

ავი ქარების საუფლო, ქვასავით უგრძნობელი საწუთრო ნისლში ცხოვრობდა, ვერ ჰგუობდა და და ანგრევდა უზენაესის საუფლო ცას: „სადღაც ქვასავით იდგა საწუთრო და გრიგალივით სუნთქავდნენ გზები, ის ტყვიასავით წაიღო ქარმა, დილით

ცა ჩანდა გადანგრეული, ნისლეთი იყო იმის ქარაგმა და დედა-
მიწა კი მთვარეული“ (იცხოვრა, მაგრამ) (9, 137).

სანუთრო ვერ ითავისებდა ცის სიდიადეს და გამუდმე-
ბით ანგრევდა მას: „სანუთროს ქარმა განათებული ცა გა-
დაგლიჯა“ (წამლილი კვალი) (9, 141).

უზენაესს განშორებულ სამყაროში მუდმივად ინგრევა
ზეცა, გზა და სამრეკლო: „განათებული ზეცა უცებ ჩამოინგრე-
ვა და ქვეშ მოჰყვება გრიგალების გზა და სამრეკლო“ (1, 218).

ანალოგიური ვითარებაა კონსტანტინე გამსახურდიას
ნოველაში, „ზარები გრიგალში“, სადაც გრიგალი-რევოლუ-
ცია ანგრევს სამრეკლოს, უფლის სახლს.

პირდაპირ ნიცშეს ზარატუსტრას ინტონაცია ისმის ნიკო
სამადაშვილის ლექსში „აღთქმა“: „...ხვალ ლაქვარდები ტყეში
ჩამოვლენ, ჩამოიტანენ ლმერთს მიცვალებულს“ (1, 240)

„ცათა ცის“ გაშავების, უზენაესის უარყოფის, ანტიქრის-
ტეს მოვლინების სევდა მსჭვალავს ნიკო სამადაშვილის შემოქ-
მედებას, პოეტი ხომ ზედმინევნით კარგად იცნობდა ნიცშეს
ზარატუსტრას მოძლვორებას. ამ შემთხვევაში მისი „მეკვლე“
იყო ამ შედევრის მთარგმნელი ერეკლე ტატიშვილი.

განათებული ზეცის ჩამონაცვლები, ნანგრევების ქვეშ მო-
ყოლილი გზა და სამრეკლო მეტაფორულად მიანიშნებს ათე-
ისტური ეპოქის ტენდენციებზე, რადგან ზეცა და გზა უფ-
ლის სახელებია.

წმინდა წერილი გვამცნობს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება
და სიცოცხლე“ (იოანე, 14, 6) (11, 211).

გალაკტიონის პოეზიაში „ზეცის ნგრევას“ „მიწის გადა-
ფერდება“, ანუ სამყაროს უკეთურობები მოაქვს (სად ოდეს-
მე მეოცნებე აფრებით).

პირქვედაცემული ადამიანები ვერ ხედავენ ცას (უზენა-
ესს), უგულო ლოცვით უწყდებათ ილაჯი, მზეზე კი არა, ქვეს-
კნელშია მათი სული დავანებული (უკუღმართობა) (1, 99).

„ამღვრეული ნათელიც“ ათეისტური ეპოქის მახასია-
თებელია: „... მბჟუტავ სიზმრებთან ლოცვა წმინდანის და ამ-

ღვრეული ნათელი ირგვლივ“ (მანიას, მარიამ ამანათაშვილი, პოეტის მეუღლე) (1, 16).

ეპოქის ავბედითი მოვლენები სევდით ამძიმებდა გულს, სინათლეში გაღწევას აბრკოლებდა: „ვერ გავიკაფე გზა სი-ნათლისკენ, ღმერთო, რა სევდა გადამეკიდა, ნეტა რად მივ-დევ ამ ქარაფ ქვესკენელს“ (ალსარება) (1, 18).

ლაუვარდოვან ცას, მარადისობას ურნმუნოების ქარები ჩასაფრებია: „თითქოს ლაუვარდებს ხნავდნენ ქარები, მარა-დისობის ყამირს და მინდვრებს“ (1, 227).

რწმენის იგნორირებას მიანიშნებს „უსათაუროს“ ფრა-ზა: „იღრუბლებოდა ცა და კამარა“ (1, 201) (შდრ. გალაკტიო-ნის „ავდრის მოლოდინი, ტერენტი გრანელის „ცა იღრუბლე-ბა, მოდის ავდარი“…

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ მხოლოდ მინას მიჩე-რებულ ადამიანებს საიქიოში მინის ცქერა აქვთ მისჯილი: „რადგანაც თვალნი არასოდეს მოგვიქცევია, სიმაღლესადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მინიერს, მართლმსაჯულებამ მიგვისავა მინისთვის ცქერა“ (10, 219).

ქართველი პოეტიც მინასთან მიჯაჭვულობით მხოლოდ დაღუპვას მოელის: „დავიღეპები, ამოსული მინის ქერქი-დან“ (1, 77).

„ცა იყო თეთრი და უხილავი“ (მზე ჩადიოდა მაღალ მთებს იქით“ (1, 164), ასე მიგვანიშნებს პოეტი თავისი ეპოქის ადამიანებზე, რომელთაც დახუჭული აქვთ უსაზღვროების შესამჩნევი თვალები.

პოეტი ხედავდა ზეცაზე ზეცას, უზენაეს, ღმერთების სამყოფელ ცას, რომელსაც ბიბლიაში, „ცანი ცათანი“ ეწო-დება: „ის განთიადის წინ დაბინდდება. წავა, დასწყევლის მი-ნის ადათებს, ზეცისგან ზეცა გადაფრინდება, ზეცაზედ ზე-ცა გადაანათებს“ (ის განთიადის წინ დაბინდდება) (1, 183).

ურნმუნოების ქარები სპობლნენ „მისასვლელ ბილიკს“ (საით, ვინ იცის) (1, 214-215). „შეშლილი იყო ბილიკი“ („თეთ-რი ვარდები ამოგიტანე“ (1, 95).

ბილიკი საღმრთო სახელია: „წავიყვან ბრძებს მათთვის უცნობი გზებით და მათთვის უცნობ ბილიკებზე გავატა-რებ“... (ესაია წინასწარმეტყველი, 22, 16) (8, 105).

პოეტის ლირიკული გმირი „ღმერთებს გაურბის, ხვდება მიზგითებს“, რის გამოც „თავთუხა ლექსებს“ გვალვა უდგე-ბათ და „ყანამომცდარი მინდორია“ წუხილის მიზეზი (კიდევ) (12, 45).

გალაკტიონის შემოქმედებაში სულის გვალვის წამალია სიყვარული-ღმერთი: „ეს სიყვარული დააცხრობს გოლვას და გაგიჟებას უფრო უარესს“ (დადგა აგვისტო).

ნიკო სამადაშვილის მტერია ურნმუნოების ქარები, წარმართობა, ათეისტური ეპოქის კერპადქცეული, ძალაზე დაიმედებული ხელისუფლება: „საკუთარ ლექსებს ჩემს ძელებზე ვაფენ, ამ სარეცხს მუდამ ძირს მიყრის ქარი. მე წარმართები დამაფეთებენ, სადღაც რიყესთან გამრიყავს ქა-რი“ (მწუხრი) (12, 66).

ურნმუნოების უდაბნო იყო ირგვლივ: „ქარიშხლებს სადღაც ჩაეცინებათ, უდაბნოს ხვითქში გაზრდილ მასხა-რებს“ (განკითხვა) (12, 72).

პოეტი იყო „შუალამის მძევალი, „გრიგალების მძევა-ლი“, მისი საძმო — „მერისხული მლოცველები“:

საყდარში ზარი არ ირეკებოდა (სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფურიძეს) (12, 69-70), ილანდებოდა „ბალს იქით კოშკი სვეტგაბზარული და გუბე-გუბე განგების ჩრდილი“ (თამარის მღვიმე) (9, 136).

კოშკი უფლის სახელია: „უფალო... ძლიერი კოშკი ხარ მტრისგან დამცველი“ (ფსალმუნი, 60, 4) (11, 584).

ფრაზა — „ღვთისმშობლის მხრებზე შავი ჩადრია“ (ორ-ნი) (129, 9), თითქოს ეპოქის უკუღმართობებს უსვამს ხაზს, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებ-ლის“ შავი ბაზილიკა და შავი ღვთისმშობელი.

ლექსში „ადევნება“ თითქოს არც მონასტერი იმსახურებს ნდობას: „... მონასტრის ხმა რაღაცას ტყუის“ (ადევნება) (12, 18).

ურნმუნო კაცის ცხოვრება სიხარულსგანშორებულია: „რად შეიქენი კაცი ურნმუნო, ეცადე, მაგრამ ვერ გაიხარე“ (9, 162).

ღმერთთან მებრძოლები, ხატის მქირდავები ვერ მოიხელოთ სინათლეს, ისინი მუდამ სიბნელეში იქნებიან: „... ეს ის კაცია, მაცხოვრის ხატს როცა ქირდამდა, შავგვრემან ფიქრში მთელი სახე ამოთხუპნული“ (სინათლის მიმოქცევა) (12, 241-242).

ბრძოს მახასიათებელია სულის სიბნელე, კოშმარები, რაც განსაკუთრებით საგრძნობია „სისხლით მოსვრილ პლანეტაზე.“ უდაბნოში, „მუსულმანთა შეთქმულ ნისლობაში“ მყოფი სული მაინც მარადისობას — ღმერთს ელტვის: „... ღმერთი რა არის, ისიც თითქოს ვეღარ იწამე. ბრძო, კოშმარები. ჩვენი პლანეტა ღრიალებდა სისხლში მოსვრილი. შენ კი მწირივით მიიღოტვოდი მღვიმებისკენ, მისტერიები დაგყვებოდნენ ამორძალებად, თვალი გეჭირა ქარებშეშლილ დამეებისკენ და მათხოვრობდი ეზო-ეზო მარადისობას. შენ გიდახოდა უდაბნოსკენ ცოდვილი მუხა, რომ შესწრებოდი მუსულმანთა ცოდვილ ნისლობას, ურჯულო იყავ, პოეზიამ დაგლალა მოყმე“ (ის გასცეკროდა მომავალ შარას) (1, 267).

ცოდვილია როგორც ლექსის ლირიკული პერსონაჟი, ისე ერიც — „ცოდვილი მუხა“. ურნმუნოების კვამლით არის გამჭვარტლული ზეცა, უსაზღვრება, რათა პლანეტას გზა აერიოს, ხოლო ადამიანი სიცოცხლეგაბეზრებული, სისხლგამშრალია: „კვამლო, არ შეწყდე, გასწიე ზევით, გამჭვარტლე ზეცა, ღმერთმაც ვერ გვძლიოს, უსაზღვროება ისე შესუდრე, რომ ჩემს პლანეტას გზა აერიოს... ვზივარ სიცოცხლეგაბეზრებული, სისხლის მიშრება, ვატყობ, ვფითრდები“ (დარდი ბუხართან) (1, 52).

ლექსში „უსათაურო“ (1, 201) ღმერთები განდევნილია, ქვეყანაზე ბატონობს ხიშტები, ყორნებივით ჩხავიან წლები, უსურვაზებზე“ ცვივა სევდა, მოღრუბლულია „ცა და კამარა“, „ყელგამოღადრულია“ უდაბნოს ბერი.

უსურვაზი, ვაზი საღვთო სახელია: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამიჩემი კი მევენახეა“, ეუბნება ქრისტე მოციქულებს (იოანე, 15, 1) (110, 213).

მიწის, მატერიალურის გაფეტიშებამ ჯვარს აცვა სული (ორი ხელადა ჩამოგვისხეს) (1, 203).

ტყე და „პირქუში ამაოებაა“ ირგვლივ, „გაუთენარ გზებზე“ „უფლის ნათელი“ ბარბაცებს. სახეზეა კერპები, წუთისოფლის ნარმავლობა, ხატებს, მოციქულებს, წმინდა ნინოს ქრისტიანულ ჯვარს, ანთებულ ჭრაქს ჭოტის კივილი ამგზავრებია.

მოქმედების ადგილად მოაზრებულია მცხეთა, ქრისტეს კვართის ჩაფლვის ადგილი, ხოლო აქაური მოსახლეობა მიჩნეულია ხანშიმესულ ქალდეველთა მოდგმად: „ჯილა ცაცხვები იდგნენ ყორესთან, ვით ხანშესული ქალდეველები“.

თუმცა ღრუბლიანი და დალენილია ზეცა, პოეტი ღვთისმშობლისგან განუყრელია, ამიტომაც ხელენიფება ლაჟვარდებში — „ცათა ცაში“ გადაიპაროს: „რათ ჩანდა ზეცა ღრუბლიანში გადალენილი, ან შემლილ პოეტს ღვთისმშობელი რას დაყვებოდა. ვინც ლაჟვარდებში მუხლის ჩოქით გადაიპარა... კაცი, რომელიც სინათლეშიც არ ინთებოდა“ (ბინდი) (1, 208).

ურნმუნოთა სამყოფელი ნადირებით სავსე უდაბურ ტყეს ჰეგავს და შიშით დაზაფრულ ადამიანს სინანული, უზენაესისკენ მიბრუნების სურვილი იპყრობს: „თითქო ნადირი ფაჩუნობს სადღაც, ასე მგონია, მოვა და შემჭამს. მდევები სვამენ ჩემს სადღეგრძელოს, შეექცევიან კაცის შეჭამანდს. დავძრნივარ, ბნელა, ნაძვებს ვეხლები, დასაქცევ ბილიკს ვერ მივაგენი... აფთარი ღმუის გააფთრებული და მეპარება ალქაჯი დანით... რა ვუყოთ ახლა, ღმერთი გამიწყრა, თითქოს მიწყნარდა ღმერთის ქლოშინი. აისს მოითრევს ჩიტების გუნდი, ალბათ, ამ ტყიდან გავალ მინდორზე. სიცოცხლევ, იქნებ კვლავ დაგიბრუნდე და ხავსმოდებულს შემინდე დროზე“ (უდაბურ ტყეში მოვხვდი, ღამეა) (1, 197-198).

ურნმუნოებით დაგვალულ სულში მაინც არის აისის გამონათების, სიცოცხლისკენ მობრუნების სურვილი, რადგან სიცოცხლე, ცხოვრება საღვთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14, 6).

ასევე ნაძვებისკენ ლტოლვა, ბილიკის ძიებაც უზენაესისკენ მიბრუნების სურვილის გამოხატულებაა. როგორც ნაძვი (სიცოცხლის ხე), ისე ბილიკიც უფლის სიმბოლოა.

სამართლიანად არის მითითებული, რომ ლექსში მდევების მიერ კაცის შეჭამანდის მირთმევა ვაჟა-ფშაველას „დევების ქორწილის“ ერთ ეპიზოდს მოგვაგონებს (თამაზ ჩხენკველი) (1, 588).

ნადირი, მდევები, აფთარი, ალქაჯი, ლვთისმეტყველების მიხედვით, ადამიანის სულის ნეგატიურ საწყისებს განასახიერებენ (იოანე ოქროპირი, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III., თბ., 1991, გვ. 160-161).

ნიკო სამადაშვილი იზიარებს მესიანისტურ იდეას, რომ ჩვენი ქვეყანა მარიამ ლვთისმშობლის წილხვედრია, მცხეთა-ქრისტეს კვართის მფლობელი ქალაქი, მაგრამ უკეთურები ხელისუფლების დაკვეთით სამშობლოს ქვესკნელისკენ უბიძგებდნენ, ხატებს ხელყოფდნენ: „ქრისტიანები, აი, აქ გალობდნენ, აი, აქ დამარხეს ქრისტეს პერანგი. აქ განისვენებს პატარა კახი, ომით დალლილი, მამულის ეშხი, სამშობლოს კალთა შემოახიეს, ხატებს თხუპნიდნენ მურით, ნახშირით“ (სვეტიცხოველი) (1, 151).

არავის ესმოდა იდუმალი ზარების ხმა, მლოცველები შერისხულნი იყვნენ: „რეკავ იდუმალ ზარებს... შენი მრევლი შერისხულ მლოცველთა ხროვა“ (სიზმრების ნაღვერდალი) (1, 149).

„გადახვეწილი შადრევანი“ (1, 252) აქცენტირებაა განდევნილ რწმენაზე, რადგან წყალი, შადრევანი, აუზი უფლის მეტაფორაა.

ანალოგიური ჩანაფიქრია ფრაზაში: „საქართველოში წყლის მიტანას ნუ ელოდები... საქართველოში წყალიც არ

არის“ (ნაწყვეტი) (1, 225).

გალაკტიონი დამშრალი წყაროს სახით მიგვანიშნებდა ანალოგიურ პროცესზე.

„ბინდი ჩაუდგათ ციურ ტატნობებს და მონასტრის ხმა რაღაცას ტყუის“ (ადევნება) (12, 108), ასე ამხელს პოეტი ჭეშმარიტებისგან დაცილებულ ღვთის სახლს.

არც წარმართობაა ნიკო სამადაშვილისთვის მისაღები, ის უარყოფს როგორც თავისი დროის კერპადქცეულ ხელი-სუფალთ, ისე არმაზის უცხო კერპს, როგორც ვასილ ბარნოვი: „მე გავიგონე ღმერთის ღრიალი, არმაზის კერპი ყელს როცა სჭრიდა“ (უჯიშო ხიდან გამოთლილი ხარ)(1, 31).

„მარადისობის კოშკების“ პატრონი პოეტი მინას აღიქვამდა, როგორც „ჯვარცმის შავ დედანს“, ხედავდა მხოლოდ წარმავლობის მსახურებას, „ქვეყნიერების კოშკების“ თაყვანს (ორი ხელადა ჩამოგვისხეს) (9, 155).

ურწმუნო თაობები პოეტს წარმოესახება, როგორც „მწყემსდალუბული სოფლის ნახირი“.

ქრისტე არის „მწყემსი კეთილი“ (იოანე, 10, 11) (11, 201).

ნიკო სამადაშვილის „მწყემსი“ ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა (1, 3)

„ნახირი“ იგივე ბრბოა, მაღალ იდეალებს დაცილებული არარაობა.

სამწუხაროდ, ბრბო ვერ ხედავს მარადიულს.

ნიკო სამადაშვილის ლირიკული პერსონაჟი ამაოდ ეძებს შუქს — უზენაესს, „შუქს გაღმა“ ცხოვრება კი ნახირის ცხოვრებას ჰგავს, მისი გული „კერპებით“ დახრულია (გრძნობა) (1, 234).

შუქი საღვთო სახელია: „უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი, შევუშინდე?“ (ფს; 26, 1) (11, 547).

პოეტი შუქის თანხლებით წარმოიდგენს ლექსის ნათლიას-შოთა რუსთაველს: „მარადისობის შუქი დაგდევს ლექსის ნათლიას“ (ის დაბადა მხოლოდ იმიტომ, რომ არასდროს არ მომკვდარიყო).

შემოქმედებისთვის გულის სისხლის გამღები პოეტის-თვის კიაფობდა მთვარე, შუქი: სადღაც კიაფობს მთვარის ბულული, შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს, თითქოს მე ვიყვე გამოქვაბული და ჩემს ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუბ-დეს“ (ჩემი პორტრეტი) (12, 145).

შუქი უზენაესის სიმბოლოა, მთვარე — ჩვენი ზეციური დედის.

პოეტს ამგზავრებია „განგების ჩრდილი“, თუმცა ამ-ღრეულია რწმენის წმინდა წყალი (თამარის მღვიმე) (9, 136).

გალაკტიონთან გადაზნექილია ალვა, ნიკო სამადაშვილის „დასასრულში“ (1, 12), ლექსებზე გადაზნექილი ჯვარი იწვევს შიშს.

„ფერისცვალების“ ავტორთან არაერთხელ გვხვდება ძეგვი, ჭინჭარი, ეკალი, როგორც ურწმუნოების სიმბოლო: „დაუსუსხია მზის ბუჩქი ჭინჭარს“, „ეკალი ირხევა, ეხება ყვავილნარს“ (უკანასკნელი ქრისტიანები) (12, 115-116).

ბზა, ყვავილი საღვთო სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, უამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენ მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, II, 12) (8, 15).

„თამარის მღვიმეში“ (68) ყურადღებას იქცევს „ელდა-შეწნული ყვავილთა მწუხრი“, „ყვავილების გოდება“.

ყვავილების ელდა და მწუხრი, ყვავილების გოდება მიგვანიშნებს ათეისტური ეპოქის ტენდენციებზე, როგორც გალაკტიონის გათელილი, გაუჩინარებული, დამჭვნარი, გარდაცვლილი ვარდ-ყვავილთა სახეები.

გლოვა-ნაღვლის გამომწვევია ეკლესიის წინ მლოცველი გველი, როგორც მინიშნება სატანის აღზევებაზე: „ეკლესიის წინ ილოცებს გველი, საკმევლის სუნი გამოვა გარეთ. რამდენი შფოთვა ვასხურეთ ნაღველს, ღმერთო, რამდენი ვიმგლოვიარეთ“ (სინანული) (1, 205).

ცა, სასახლე (ღმერთი), ეზო (ღვთისმშობელი) ბალდა-სინს დამსგავსებია, მიწას მიჯაჭვულთათვის ის წარსულია: „ცის ეზოებში სასახლე სჩანდა, როგორც წარსული და ბალ-

დახინი“ (საღამოსანი) (1, 120).

უზენაესი ცეცხლი ჩამქრალია, რწმენა-მკვდარია, „უსინა-ნულოდ ტოვებენ საყდარს უკანასკნელი ქრისტიანები“ (უკანას-კნელი ქრისტიანებში. შეხვედრები დღის ბოლოს) (12, 116, 123).

„ოცნება წმინდა, გზა მიუვალი სფინქსის ზუზუნში იდ-გება ქეშად“, ასე ფიქსირდება რწმენას ჩასაფრებული კატაკ-ლიზმები (როცა ბალახი ამოვა) (12, 77).

გალაკტიონს ევლინებოდა ქრისტე, როგორც „მჭმუნვა-რება მომავლის ჩრდილის“ (მიმღერე რამე), ნიკო სამადაშვი-ლის „უკანასკნელ ქრისტიანებში“ ურწმუნოებით შემკრთა-ლი მაცხოვარია.

უსაზღვროება, მარადისობა ისევ სფინქსია, მაგრამ „აღთემული ბილიკებიც“ მოჩანს და „ბრუციანი დედამინა“ შუქის, ღმერთის გარეშე ვერ გაძლებს: „ყვითელ სფინქსებ-თან ყრუთ იაღებს უსაზღვროება, მარადისობის სვეტებამდე ადიდებული. აღთემულ ბილიკებს მივყვებოდით გაბმულ და-ლადით და წმინდანები მოგვყვებოდნენ საქართველოდან... და ბრუციანი დედამინა შუქს ინათხოვრებს“ (გული და ჯან-ღები) (12, 90-91).

უსაზღვროება, მარადისობა, ბილიკები, შუქი საღვთო სახელებია. ლექსში ნაჩვენებია უზენაესის ძიება და პოვნა.

ნიკო სამადაშვილის ლექსში „სიმღერები გამოქვაბუ-ლიდან“ (12, 195) განუმეორებელი სახეებით გვიწევს შეხვედ-რა დედა-ძესთან: „გარეთ ირმები წყაროს სვამენ თეთრი ბარძიმით“. წყარო საღვთო სახელია. ფსალმუნში ღმერთი არის „წყარო ცხოვრებისა“ (35, 10) (11, 558).

იოანეს გამოცხადებაში უზენაესის სიმბოლოა „სიცოც-ხლის წყლის წყარო“ (7, 17) (11, 500).

ბარძიმი, გრაალი, თასი, კოსმიური სიბრძნის, სულინ-მინდის, ღვთისმშობლის მეტაფორაა (19, 38).

ლექსის მთელი ფრაზა ფსალმუნის ერთი ადგილის ასო-ციაციას იწვევს: „როგორც ირემი მიიღოტვის წყლის ნაკადუ-ლებისკენ, ისე მიიღოტვის ჩემი სული შენსკენ, ღმერთო“ (ფს.

41, 2) (11, 565).

ღმერთისუარმყოფელ ეპოქაში უჩინარდება სინათლე, „გულქვა მსოფლიოში“ უფასურდება ზამბახები: „ის სივრცეს გაჰყვა ხელაპყრობილი, თვალებს სინათლე არ მიაკარა, უბე ლექსები, ზამბახთა ჩრდილი გულქვა მსოფლიოს წინ გადაყარა“ (მარადისობის უარყოფა) (1, 254).

გალაკტიონის ლექსში ზამბახები თოვლშია დაცემული (თოვლი) (4, 343). პოეტი კი ეძებს „ზამბახის პრინცესას“, სწყურია „ცისფერი ვარდები“ (ეს იყო 15 წლის წინათ) (გალაკტიონი, პოეზია, თბ. 2014, გვ. 337). ლექსში ზამბახი, ზამბახის პრინცესა არის მარიამ ღვთისმშობლის, ხოლო „ცისფერი ვარდები“ მაცხოვრის სახელი.

ნიკო სამადაშვილის „გულქვა მსოფლიოს“ წინ დაყრილი „ზამბახთა ჩრდილიც“ უარყოფილი ზეციური დედის სიმბოლოა, როგორც მის მხრებზე დალანდული „შავი ჩადრი“, ანუ მანდილი. მანდილიც უფლის დედის მეტაფორაა.

უსაზღვროებას — ღმერთს, „პინდების გრძელი ორლობე“ ფარავს (იცოდე) (1, 142).

დედამინა ისევ „ჯვარცმის შავი დედანია“, ახალი დროის იუდები სულს ატიალებენ, არც ქრისტეს სწყალობენ, არც ბუდას, შერისხულნი არიან მორწმუნენი: „ჩემზე ჯვარს იწერს თურმე იუდა... მე არც ქრისტესგან მოველი შველას, ის მაცდურია ისე, ვით ბუდა. ვეთაყვანები მე ხალხის წყველას, ჩემში შერისხვის მთამ დაიბუდა“ (მე შევიჯავრე ჩემი სამშობლო) (1, 223).

სახეზე იყო დროის გაუკულმართება, ტრადიციების ღალატი, უსინდისობის ნორმად ქცევა, უზენაესი საწყისების-გან განდგომა, სულის მწუხრი: „გატეხილ სარკეს, დამსხვრეულ საათს, დრო არ დაგიდევს, დრო მაინც მიდის. რა ეშველება დაღუპულ ადათს, ან ასე მწარედ გარეცხილ სინდისს. ასე თავდება ცის ელვარება, ასე ღამდება ერთ სიცოცხლეში“ (ფერისცვალება) (1, 62).

თუ სახარებაში ქრისტე ნათელშემოსილი, მზესავით

გაბრწყინებულია და ზეციური შუქით აელვარების სასწაულს უჩვენებდა სამწყსოს, ნიკო სამადაშვილის ეპოქაში პირქით ხდებოდა, უსაშველო ღამე იდგა.

ადამიანები განდგომილი იყვნენ სიკეთე-სინათლისგან, ფრთებდანყვეტილნი ვერ ახერხებდნენ ამაღლებას.

არც მეზობელი ქვეყნების ვერაგული მცდელობებია დავიწყებული, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი ხალხის ტრა-დიციული სარწმუნოებისგან გაუცხოებას და სულ სხვა გზა-ზე გადაყვანას: „შენ გიძახოდა უდაბნოსკენ ცოდვილი მუხა, რომ შესწრებოდი მუსულმანთა ცოდვილ ნისლობას. ურჯუ-ლო იყავ“... (საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა) (1, 269).

ეპოქის ბოროტი ქარები ებრძოდნენ რწმენას, სულიე-რებას, სიმართლეს, მედროვეთა კერპები ხრავდა გულს და აგვიანებდა საღვთო ქორწინების პროცესს: „...ის ალბათ კერპებს რომ არ დაეხრათ, შერყეულ ღმერთზე ჯვარს დაი-ნერდა“ (გრძნობა) (1, 234).

„გაუთენარ გზებზე“ ვერ ამჩნევდნენ „უფლის ნათელს“ (ატენის სიონი) (12, 15-16):

„საუკუნის ბედმიხდილი კათაკმევლის“ (უკანასკნელი ზა-რების რეკვა) (1, 34-35), სულში თუ ადრე ურწმუნოების ნადირი ცხოვრობდა, მერე მას „მარადისობა“ მოუხმობს და რაც უფრო დიდი იყო განდგომა, მით მეტია „ძვირი სიცოცხლის“ მონატ-რება, „განთიადის“ წყურვილი: „მომენატრება სიცოცხლე ძვი-რი და განთიადებს დაუწყებ მზერას, შემომეხვევა დედის ტი-რილი და ხმაჩახლეჩილ ქარის სიმღერა“ (1, 116).

„ძვირი სიცოცხლის“ სახეში ნაგულისხმევია ღმერთი ისევე, როგორც „განთიადი“.

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ქრისტე გვევლინება, როგორც „ვარსკვლავი ბრძნებინვალე განთიადისა“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 22, 16).

დედა არის მარიამ ღვთისმშობელი, ხოლო „ქარის სიმ-ღერა“ შთაგონების მომნიჭებელი, ნიჭთა მომმადლებელი სულინმინდის მოვლინება.

„ზამთრის სიმფონიაში“ ფიქსირდება ვარსკვლავების ჭუჭრუტანებში ღვთისმშობლის ბეჭდების ბაცნარევი შუქის ციმციმი (შეხვედრები და სინული) (13, 41).

ვარსკვლავი მაცხოვრის, ბეჭედი უფლის დედის სიმბოლოა. მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება „ზეცის ბეჭედი“ (ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996 წ. გვ. 121).

„რომ შემხვედროდი, იცოდე ღმერთო, ასე ჩემსავით შენც გინამებდი“ (წონიალი) (1, 193), წერდა ავტორი და ნატ-რობდა ღმერთთან „შეხვედრას“ რათა უყოყმანოდ ერწმუნა ის.

ამბივალენტურია პოეტის პერსონაჟების მიმართება ქრისტესთან, ამიტომაც იმსახურებს მისგან ხან რისხვას, ხან სიყვარულს, ისე კი დარწმუნებულია, რომ გადაივლის სატანისტთა ღრუბელ-ქარები.

პოეტი ძრნის „შიშნარევი უსაზღვროების“ წინაშე (ზღვის სიმფონია) (12, 98), „შემკრთალია უსაზღვროებით“ (მარად) (1, 135).

ადამიანს, კაცობრიობას არ შეუძლია გაძლება უღმერთოდ, დედამიწა თუმცა ურწმუნო და „ბრუციანია“, ბნელი, მაინც ღმერთს უნდა მიუბრუნდეს, მას უნდა ჩააბაროს ანგარიში: „.... და ბრუციანი დედამიწა შუქს ინათხოვრებს“ (გული და ჯანღები) (12, 90-91).

პოეტის ღმერთი არის „მეუფე და სიხარული“:„ნეტავი ერთი წამოგახედა, ჩემო მეუფევ და სიხარულო“ (1, 12).

ქრისტე არის „დიდი სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა, 2, 10) (11,113).

ნისლიანი გარემო გზას ურევდა მგზავრებს, მაინც ცის ხმა იყო ურუანტელის მომგვრელი, ბნელ გრიგალებთან და-პირისპირების ძალის მომცემი: „... საღამო ხანი ზარებს რეკავდა, ურუანტელს გვრიდა ცის ხმის სიამე... მინდვრებს გორაკებს ნისლი სცემდა ფრთებს, რომ პირქუშ მგზავრებს გზა არეოდათ... ის ბნელ გრიგალებს კიდევ უსტვენდა“ (შადრევ-

ნის სიმღერა) (1, 187).

გზა, ცა საღმრთო სახელებია. ვინც „გზას“ ხედავს, ვინც ცის ხმას ისმენს, ის ნათელლებულია, უზენაესისგან ხელდასხმული.

პოეტს ესმოდა „ღმერთის ღრიალი, არმაზის კერპი ყელს როცა ჭრიდა“.

ესმოდა ღმერთის გაფრენის ხმა.

პოეტი ბედუინია, (როგორც გალაკტიონი) ურნწმუნოების უდაბნოში რწმენის შემტანი, მოგზაური მიწაზე, ცაში, ქვესკნელ-ზესკნელში, ასტრალურ სამყაროში, მის სულში პალმა შრიალებს, (პალმა საღვთო სახელია) და სიმღერისკენ მოუწოდებს: „იმღერე, დროა, პალმა შრიალებს, აქლემის ყელზე ღვიძავს ბედუინს“ (პალმებთან) (12, 74).

რწმენა — ურნწმუნოების ჭიდილი, ღმერთისკენ მიბრუნების სიხარულია ლექსში „პოეტის ლოცვა“ (1, 185). „... მუხლმოყრილი მძლე მაცხოვარს მისჩერებია. წარმართს შემინდე, თუ სიბრალულს კიდევ ატარებ... ჯერ სარკეებში ღამეებმა შემოიხედეს და ლვთისმშობელმა ყრმას მანდილი გადააფარა. ილოცვე, ძმაო, ისე ჩადი კუბოს კარამდე, ლტოლვილს, განდევნილს აბა მეტი რა დაგრჩენია. რა უნდა გექნა, უბედურო, გზაც არ იცოდი, მადლობა ღმერთს, რომ მაცხოვარი შემოგეჩვია“ (პოეტის ლოცვა) (1, 185).

ნიკო სამადაშვილს სიზმარში ევლინებოდა პალმების, კვიპაროსების სახეში მოაზრებული უზენაესი: „წუხელის შენი სიზმარი ვნახე, ხშირი ბალები, ბოდვა მგოსნების, გადაბურული პალმებით ღამე და ოდნავ სველი კვიპაროსები“ (ჩემი სიზმარი) (12, 104).

ლექსში „მარად“ ნაძვებისა და უსაზღვროების სახეში ფიგურირებს უზენაესი: „ღამე ჩემს გულში ბელურებს სძინავთ. ვდგავარ მარტოკა, ჩემი ნაძვები მიქნევენ ტოტებს და ბრუნდებიან. სადღაც სივრცეში ვიღაცას ღვიძავს, ის შემკრთალია უსაზღვროებით“ (მარად) (9, 131).

პოეტი ხედავდა მარადისობას, ესმოდა „ცისარტყელების“

ცეკვა: „...ბინდების გაღმა წყალივით ჩანდა მარადისობის ჩუმი უდაბნო. სადღაც ილტვოდი სულგამნარებით, ცისარტყელებში ისმოდა ცეკვა, მე კი მოვრბოდი დედამიწისკენ, რომ შემეწყვიტა ზარების რეკა“ (ფილტვების სიყვითლე) (9, 131).

ცის გახსნის, „მარადისობის ბოხი ზარების“ გრიალი წვდებოდა სმენას: „ცა გაიხსნება და უცბად მძლავრად აგრიალდება მარადისობის ბოხი ზარები“ (მამადავითის მთაზე გაუხვევ) (1, 27-28).

არც „წყალთან განდომაა (12, 25) მოკლებული იდუმალ აზრს.

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ქრისტე არის „ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (22, 16) (11, 521).

ნიკო სამადაშვილის თვალთახედვით, ვარსკვლავები „მარადისობის ჭუჭრუტანებია“ (მოსწყდეს) (1, 198).

„მარადისობაში“ — ღმერთის სავანეში ეგულება პოეტს თავისი მეგობრის — ერეკლე ტატიშვილის ადგილი: „... მარადისობა შენ მოგიხმობდა, უცნაურ მეკვლეს. წუთისოფელი როცა გაქრება, ვიღაც გიპოვნის ბატონ ერეკლეს“ (ერეკლე ტატიშვილი) (1, 147).

თვითონაც „მუნჯი მარადისობის“ ბინადარია“ (საღამო და განწყობილება) (12, 96-97) და ღმერთს ევედრება: „იმას მიხედე მზეო, ამაღამ, ვისაც ყინვებში ჩრდილი ეფარა, უპატრონობით რომ დაიღალა და თვალებს ძილში გამოეპარა“ (მზრუნველი თვალი) (1, 271).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83, 12) (11, 614).

ღმერთის სახელია ასევე „მზე სიმართლისა“: „ამოგიბრნყინდებით, ღვთის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი 3,20 (8,307)).

„მზრუნველი თვალიც“ ღმერთზე მიმანიშნებელია.

ღმერთი არის „ღია თვალი“ (იერემია წინასწარმეტველი, 32, 19) (8, 156).

„ღმერთის თვალები განჭვრეტენ სწრაფად“ (ფს. 16, 2)

(11, 554).

უფლისგან ხელდასმულ პოეტს სძულდა წუთისოფლის მიეთ-მოეთი, მარადისობას ჭვრეტდა სულის თვალით და ღმერთებმა „ლაშვარდების სხვენზე შეაგდეს“ (საღამოს სწვიმდა) (1, 164).

ამიტომაც პოეტის ჰობი იყო „ლექსი, ცა და მარადისობა“ (ასეა მარად) (9, 134), ანუ მარადიული იდეალების მსახურება მხატვრული სიტყვით.

ასტრალური მოგზაურობის უნარით გამორჩეული, ცრემლებით განპანილი, ქარწამოსხმული, მთვარეზე მავალი პოეტი ღმერთს — „ძლიერ გზას“ — წყალობას არ სთხოვდა, გაუგონარ ძალისხმევას ავლენდა მისი სულის ფრთები (ჩემი ფეხის ხმა მთვარისკენ მარადისობის ნაკამარევი) (1, 143).

„ცა გაიხსნება, არ ვიცი, როდის“ — აცხადებდა ტერენტი გრანელი.

ნიკო სამადაშვილს ცა ეხსნება, ესმის მარადისობის ზარების გრიალი, მარადისობის ტაში, ცა საყრდენად ექცევა (ატლანტივით მხრებით უჭირავს ზეცა), მზეს (ღმერთს) ხვდება, იმედს (უზენაესს), ცათა ცას უახლოვდება, როგორც გალაკტიონი: „... ცა გაიხსნება და უცბად მძლავრად აგრიალდება მარადისობის ბოხი ზარები... მე შემიძლიან ზეცა დავთქორო მარადისობის ზარების ტაშით. მე შემიძლია რომ ცას დავეყრდნო და მზეს შევხვდე, რომ ცის ლაშვარდს გავუხვიო ჩემი იმედით და ლაშვარდები დაგიგო ქვეშ და დაგიფინო, როგორც მწუხრმა“ (მამადავითის მთაზე გაუხვევ) (1, 237).

მოკრძალებულად მცხოვრები, პრაგმატული ბედნიერების უარმყოფელი პოეტი, რომელიც მიწაზე არა სიმდიდრის ძიებისკენ, არამედ ცაში სულის საუნჯით წარდგომისკენ მოუწოდებდა თვისტომთ, ღირსი გახდება უზენაესის წინაშე პირნათლად წარდგეს: „ძველი ხალათი, ქუდი და კუბო. ამით ვეწვევი მარადისობას დე, იქ ნისლებში რომ დავიღუპო“ (უკანასკნელი ზარების რეკვა) (1, 34-35).

პოეტის ფიქრის საგანი იყო „ლაშვარდების უსურვა-

ზებში მივარდნილი ქვეყნიერება“ ... (სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფურიძეს).

ბიბლიაში ორგვარი ვაზი გვხვდება. მიწის ვაზი ებრაელი ხალხის სიმბოლოა. „ვაზი ჭეშმარიტი“ ქრისტესი.

ღმერთი არის „გულთამხილავი“ (სახლი ნარიყალაზე) (1, 244).

„წყლის შუქი“ — რწმენა, სამყაროს ხმების შემნახველი „მკერდის ნიჟარები“, პოეტის მიერ გაუკვდავებული სახეები დაამარცხებს არარაობას და მარადისობაში დაამკვიდრებს ღირსეულს, ასეთი ობიექტური თვითდაჯერების გამომხატველია შემდეგი სტრიქონები: „განათებული ზეცა უცებ ჩამოინგრევა და ქვეშ მოჰყვება გრიგალების გზა და სამრეკლო. სადღაც წყლის შუქი შეინახავს მკერდის ნიჟარებს. არარაობა შეშლილივთ დამაშტერდება და თან საცოდავს, რაღაც შიშით შეაჟღრიალებს“ (???).

ხორციელი ადამიანი მოკვდავია, მაცხოვარი კი სამყაროს დასაბამიდან მოდის და საუკუნეების მეხრედ დარჩება, ასეთია კაცობრიობის მარადიული პრობლემების განწვრეტის შედეგად მიღებული დასკვნა მარადისობასთან წილნაყარი პოეტისა: „დავიღუპები ისე, როგორც შეჰვერის ოხერს. მეხის კივილი ზარდამცემი წავა-წამოვა, საუკუნეებს მაცხოვარი გაჰყვება მეხრედ, საუკუნეებს — დასაბამი რომ მოაძოვა“ (გარეთ) (1, 213).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიკო სამადაშვილმა ურთულესი გზებით იარა, სატანურ ეპოქაში მაინც გადაარჩინა რწმენა, სულიერება. მის პოეზიაში საღმრთო სახელებია: ცა, ნათელი, ბილიკი, ვაზი, სიცოცხლე, სიცოცხლე ძვირი, ნაძვი, შადრევანი, წყალი, მწყემსი, შუქი, ბზა, ყვავილი, სასახლე, გზა, ძლიერი გზა, უსაზღვროება, მარადისობა, განთიადი, ვარსკვლავი, მეუფე, სიხარული, პალმა, ვერხვი, მზე, მზრუნველი თვალი, მაცხოვარი, კვიპაროსი, ცისარტყელა, გულთამხილავი.

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელებია: კოშკი,

ეზო, მთვარე, ზამბაზი, გრაალი — ბარძიმი, დედა, ბეჭედი, ჩადრი. თინათინ ანასაშვილი ქრისტეს სიმბოლურ სახელებად გამოყოფს წყალს, გზას, ჭეშმარიტებას, სასახლეს, კოშკს, ვარდს. ხოლო საღვთისმშობლო სიმბოლოებად მიიჩნევს მთვარეს, მაღალ კიბეს (15, 227-238).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, თბ. 2004
2. აკაკი წერეთელი, თბ. 18 ტომად, ტ. II, თბ., 1992
3. ვაჟა ფშაველა, ხუთტომეული, I, თბ., 1992
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
5. მერაბ კოსტავა, „შეწყვეტილი ფიქრები“, თბ., 1991
6. ალბერ კამიუ, შავი ჭირი, ფრანგულიდან თარგმნეს გასტონ. ბუაჩიძემ, კოტე ჯავრიშვილმა, ნესტან იორდანიშვილმა, თბ., 1988
7. ბიბლია, ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1990
8. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
9. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ., 2010
10. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941
11. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
12. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, ინტელექტი, თბ., 2006
13. ნიკო სამადაშვილი, შეხვედრები და სინანული, თბ., 1995
14. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990
15. თინათინ ანასაშვილი, „საღმრთოთა სახელთათვის“ ნიკო სამადაშვილის პოეზიაში, ფილოლოგიური პარალელები, „მერიდიანი“, თბ., 2013

გუდა საკია-მუნის ციკლი

ნიკო სამადაშვილმა იცხოვრა ათეიზმის, ბოლშევიზმის ზეობის ეპოქაში, თუმცა თვითონ არასოდეს გაუწყვეტია კავშირი რწმენასთან. პოეტმა გვიჩვენა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიები, ურელიგიო ადამიანის დაკნინებული მორალი, ეჭვებით, უსიხარულობით დატანჯული არსებობა, ამავე დროს, უზენაესთან, რწმენასთან ნაზიარები სულის ყოვლისშემძლეობა, „მზრუნველი თვალის“ მიერ მომადლებული განსაკუთრებული ხილვა-სმენის უნარი, ზეცის ზეცამდე ანუ უმალლეს, არამატერიალურ, ღმერთებისა და წმინდანების სამყოფელ ცამდე დანტესებური ამაღლება, ადამიანის ცნობიერების ძალა, სულის გაღწევა წუთისოფლიდან მარადისობამდე.

პოეტი სულის თვალით, უცდომელი ინტუიციით წვდებოდა ყოფნა-არყოფნის საიდუმლობებს, მისი კოსმიურში მოხეტიალე სული მრავალ მოძღვრებას იცნობდა. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოავლინა ნიკო სამადაშვილმა ბუდიზმის, ბუდა საკია-მუნის მიმართ, რომელიც მრავალგზის პატივისცემით მოიხსენია თავის ლექსებში.

დაინტერესება აღმოსავლური სამყაროთი, ბუდიზმით, არ ნიშნავს გულგრილობას ქრისტიანობისადმი, რადგან ამ ორ რელიგიას ბევრი რამ აქვს საერთო. ორივე ზნეობრივ განწმენდას, სიკეთეს, სულის, სულიერების პრიმატს ქადაგებს.

გლობალიზმის ეპოქაში განსაკუთრებული ურთიერთინტერესი ვლინდება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და მთელი რიგი მოძღვრებები ურთიერთკავშირშია.

ბუდიზმის აღმოცენებას წინ უძლოდა ვედებისა და უპანაშიდების უზარმაზარი სამყარო.

„ბუდისტების, დაოსების აღთქმები და მცნებები პირდაპირ ემთხვევა ქრისტიანულ 10 მცნებას. დაოსური რელიგიის მცნებებია: არა კაც ჰკულა, არა იმთვრალო, არა იცრუო, არა იქურდო, არა იმრუშო. არის კიდევ ათი კეთილი საქმე... ბუდიზ-

მიც თანამოძმისადმი სიყვარულს და თანაგრძნობას, დამთმენ-ლობას ქადაგებს. სიძულვილს სიყვარული უნდა მივაგოთ, ცხოვრება სიკეთითა და თანაგრძნობით უნდა ავავსოთ“ (1,36).

მსგავსებას ეძებენ ლაო-ძის მეტაფიზიკურ თუ რელი-გიურ-ზნეობრივ იდეალსა და ძველ ბერძნულ ფილოსოფიურ იდეებს შორის (1,143).

ლევ ტოლსტოი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ნათესაურ კავშირს, რაც მართლაც არსებობს ლაო-ძის მოძღვრებასა და ქრისტიანულ რელიგიას შორის.

ბუდა საკია-მუნით დაინტერესებას პოეტის მეგობარი, ნიცშეს მთარგმნელი ერეკლე ტატიშვილიც ავლენდა, წერი-ლიც კი აქვს მიძღვნილი ამ პრობლემისადმი და შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიკო სამადაშვილის მიერ საკითხის გათა-ვისების სტიმული ესეც იყო.

გარდა ამისა, ბუდიზმისადმი, საკია-მუნისადმი გულ-გრილი არც თაგორის „გიტანჯალის“ მთარგმნელი, აღმო-სავლური ფილოსოფიის სიღრმისეულად მცოდნე თამაზ ჩხენკელი იყო, რომელთან სიახლოვე ამ უცხოური მოძღვრე-ბისადმი ინფორმაციების მოძიებაში უსათუოდ დიდი ბიძგი უნდა ყოფილიყო.

სწორედ ამ პრობლემის გარკვევაში დაგვეხმარება ნიკო სამადაშვილის ერთი ლექსი, მიძღვნილი თამაზ ჩხენკელისად-მი, რომელშიც ერთდროულად იხსენება ბუდა და თაგორი: „მოვალ და მეტყვი, წმინდა თაგორი ინდოეთიდან მოედინება. და ამ ზეირთებში სულ კარგად მოჩანს რაბინდრანატის ზარე-ბის გლოვა. ბუდას ლოცვებით ვინც გადარჩება, მისტერიებით ის დაითორობა. მოქუსს პოეტის დიდი მდინარე, გვრიტების სტვენა მოსწყდება ჭალას. მე ნაგიკითხავ ვარდებს, ბენარესს, შენ კი მიმღერებ შენს გიტანჯალის“ (შეხვედრა) (2,136).

ნიცშეს მოძღვრებასთან, ქრისტიანული ღმერთის სიკ-ვდილის იდეასთან ნაზიარები პოეტი ახალ საყრდენს ეძებდა: „ხვალ ლაუვარდები ტყეში ჩამოვლენ, ჩამოიტანენ ღმერთის მიცვალებულს“ (მე ვეღარა ვნევ სამინე ხელებს) (2,214).

ბუდას ლოცვებით გადარჩენა, მისტერიებით თრობა ძალზე ორგანული გამხდარიყო ქართველი პოეტისთვის. გულგრილი ვერ დარჩებოდა საკია-მუნის ცხოვრების სტილისა და ზნეობრივი პრინციპების მიმართ.

ბუდიზმი უძველესი მსოფლიო რელიგიაა, რომელიც ინდოეთში ძვ.წ. VI-V სს-ში შეიქმნა და თავდაპირველად ეთიკურ-ფილოსოფიური მოძღვრება იყო და არა რელიგია.

ბუდას ცხოვრების შესახებ ცნობილია პოემა „ბუდჟაჩარიტა“ (ბუდას ცხოვრების აღწერა), რომლის ავტორია სანსკრიტული ლიტერატურის კლასიკოსი აჰაგომშპი (ძვ. წ. IIს.). და მითოლოგიზირებული მოთხრობა „ლალიტავისტარა“ (3,3).

ბუდიზმის ფუძემდებელი სიდჰართა გაუტამა უფლისნული იყო. ბუდა მოგვიანებით ეწოდა. სანსკრიტულად ეს სიტყვა „გამოღვიძებულს“, „გასხივოსნებულს“, „გაბრძნობილს“ ნიშნავს. მას ეწოდა ასევე „შაკია-მუნი“, რაც ითარგმნება, როგორც „პრძენი შაკიების ტომიდან“.

ვარსკვლავთმრიცხველ აშიგას წინასწარმეტყველებით, მის წინ ორი გზა იყო: ან განცხრომა-სიამოვნებით ცხოვრება, სამეფო-სამთავროების გაერთიანება, მსოფლიო მბრძანებლობის მიღწევა, ან გაბრძნობა, წმინდანობა. სხეულზე სიდიადის მაუწყებელი 34 ნიშანი ჰქონია.

მას სახელად ეწოდა „სიდჰართა“, რაც ნიშნავს: „ის, ვინც მიზანს სრულად მიაღწია“.

ფიქრისკენ მიდრეკილ ყმაწვილს არ იზიდავდა სასახლე, განცხრომა. ვარდის ბუჩქის ძირში იოგური ტრანსის (სამადჰის) მდგომარეობაში ჩავარდა.

ავადმყოფობაზე, ცხოვრების წარმავლობაზე, სიბერეზე, სიკვდილზე ფიქრობდა და გამოსავალს ეძებდა. გაექცა ფუფუნებას და ასკეტი გახდა. შეისწავლა იოგა, საკუთარი სხეულის ფლობა, მედიტაციის ტექნიკა, მაგრამ მოძღვრებ-თან სიახლოვემ ვერ მიაგნებინა გამოსავლისთვის.

ვერც თვითგვემით მიაგნო უმაღლეს ჭეშმარიტებას. მჭვრეტელობას, თვითჩაღრმავებას მიეცა. ბოროტი დემონე-

ბის თავდასხმა, ჯოჯოხეთური დასის ცდუნება მოიგერია.

სიდჰართა მჭვრეტელობით, ტრანსის, სამადჰის მდგო-
მარეობით განიბრძნო ბოლოს და უმაღლეს ჭეშმარიტებად
სურვილების უარყოფა მიიჩნია (3,8).

ამგვარად იქცა სიდჰართა გაუტამა ბუდად და ეწოდა
ბუდა შაკია-მუნი, „ტაპტაგატა“ (ასე მოსული და ასე წასუ-
ლი), „ბჰაგავანი“ (ნეტარი, კურთხეული სვე-ბედის მქონე),
„სუგატა“ (სწორად მავალი), „ჯინა“ (გამარჯვებული), „ლო-
კადჟემტა“ (სამყაროს მიერ პატივდებული) (3,8).

გაბრძნობის შემდეგ ბუდამ ახალ, ნეტარ მდგომარეო-
ბაში შვიდი დღე-ლამე ხის ქვეშ ფეხმორთხმულმა, ლოტოსის
პროზაში გაატარა. მერვე დღეს ტრანსიდან გამოვიდა და ბე-
ნარესში, ინდოეთის ერთ-ერთ რელიგიურ ცენტრში, საქადა-
გებლად წარემართა. ისევ დემონმა სცადა მისი ცდუნება,
მაგრამ ამაოდ.

ქ. ბენარესის პარკში ხუთი ბერი იპოვა, რომლებიც ბუ-
დისტური ბერ-მონაზვნური თემის წევრები გახდნენ. შემდეგ
მონაფეთა რიცხვი 60-მდე გაიზარდა. ქადაგებას მოგვიანე-
ბით ბენარესული ეწოდა. ისინი საქადაგებლად გაგზავნა,
თვითონ ასი ათას კაცს უქადაგა. 45 წელი ქადაგებდა ბრაჲ-
მას — ინდოელთა უზენაესი ღვთაების თხოვნით. მიზანი
ადამიანთათვის სიბრძნის უწყება, მათი ხსნა იყო.

ბუდა 90 წლის ასაკში გარდაიცვალა, სიკვდილის წინ
მონაფეებს დაემშვიდობა და შეაგონა: „სანთელნი თქვენი¹
თავისა თავადვე იყავით“. თვითჩაღრმავების რვა დონის შემ-
დეგ შეაბიჯა დიდსა და მარადიულ ნირვანაში. შეწყდა გარ-
დასხეულებათა წყება, ხელახალი დაბადება და სიკვდილი,
მიაღწია ისეთ მდგომარებას, როცა არ არის ტანჯვა, სრული
სიმშვიდე და უმაღლესი ნეტარებაა (3,13).

ბუდას ცხედარი ცეცხლში დაწვეს. ფერფლის გარდა,
დარჩა „შარირა“, თავისებური, ბურთულის ფორმის წარმო-
ნაქმნი, რაც დამახასიათებელია წმინდანებისთვის და რაც
უმნიშვნელოვანეს ბუდისტურ რელიქვიად მიიჩნევა. მოგვია-

ნებით ისინი ას რვა (ას რვა ინდოეთში წმინდა რიცხვია) ნა-ნილად საგანგებო საკულტო-მემორიალურ ძეგლებში მოა-თავსეს. გადმოცემით, კუნძულ შრილანკაზე ინახება ბუდას კბილი (3,14).

ბუდა შაკია-მუნი შეიძლება შევადაროთ ფსიქოთერა-პევტის, რომელიც გაუბედურებულ ადამიანს მისი მდგომარე-ობის მიზეზს ამცნობს და მკურნალობის კურსსაც უნიშნავს — ხსნის გზას ასწავლის (3,17).

ტანჯვის მიზეზია სურვილები, მისწრაფებები, სიცოც-ხლის წყურვილი, სიამოვნებისკენ ლტოლვა.

ცხოვრებას კარმის კანონი განსაზღვრავს.

კარმა მოქმედებაა, რომელსაც აუცილებლად მოსდევს შედეგი. კეთილი ან ბოროტი საქმეები განსაზღვრავს ახალი დაბადების ფორმას. ადამიანის სული უწყვეტად განიცდის ერთი სხეულიდან, ანუ ერთი კონკრეტული არსებიდან მეო-რეში გარდასახვას, რეინკარნაციას (3,18).

ამ დაუსრულებელი გარდასახვების წყებას „სანსარა“ ეწოდება.

...ეს წარმოდგენა ვედების რელიგიიდან, ბრაჰმიანიზმი-დან მოდის (3,19).

ბუდიზმი თეისტური მოძღვრება არ არის, მას შემოქმე-დი ღმერთის ცნება არ გააჩნია, კარმა არის არა ღვთიური სასჯელი, არამედ ბუნების კანონი (3,20).

ბუდიზმის მიხედვით, ადამიანი იბადება ღვთიურად, მებრძოლ ტიტანად, ცხოველად, დამშეულ სულად, ჯოჯოხე-თის ბინადარ არსებად.

ამ გარდასახვებში სულიერი ევოლუციის იდეა არ არის.

კარმის შექმნა მხოლოდ ადამიანს ხელეწიფება.

როგორც მოაზროვნეს, ადამიანს შეუძლია თავი დააღ-წიოს სიკვდილ-სიცოცხლის წრებრუნვას (3,21).

ბუდას სწავლებით, ხსნა სიკვდილ-სიცოცხლის უწყვე-ტი წრებრუნვიდან გამოსვლაა. სიამოვნების ნავით ანდა თვითგვემის ნავით სანსარის ოკეანეს ვერ გადასცურავ. ბუ-

დამ მესამე გზა აირჩია და მაშინ განიპრძნო. არსებობს მდგომარეობა, როცა ტანჯვა ქრება. ამ მდგომარეობას ეწოდება „ნირვანა“.

ნირვანა სანსკრიტული ძირისაა და ნიშნავს „ჩაქრობას“, „დაცხრომას“.

ბუდისტების მიხედვით, ნირვანაში ყოფიერება არ ქრება, ქრება ვნებები და არა თვით ყოფიერება. ნირვანა არც ღმერთია, არც უპიროვნო აბსოლუტი, ის არ არის სუსტანცია, არამედ მდგომარეობაა — პიროვნულობისგან დაცლილი, თავისუფალი (ანდა ზეპიროვნული), ყოფიერების სასრულის მდგომარეობა.

„დჟარმა“ — ელემენტარული ფსიქოფიზიკური მდგომარეობაა (3,23).

ბუდიზმი უარყოფს მარადიულ „მე“-ს, მარადიულ სულს. ბუდისტები „ატმანს“, უპანაშიდების აბსოლუტურ სუბიექტს არც აღიარებენ და არც უარყოფენ (3,24).

მართებული მრნამსი, მართებული გადაწყვეტილება, მართებული მეტყველება, მართებული ქცევა, მართებული ცხოვრების წესი, მართებული ძალისამევა, მართებული მახსოვრობა და მართებული თვითჩაღრმავებაა ტანჯვის შეწყვეტა — დასასრულისკენ მიმავალი გზა (3,24).

სწავლებას ტანჯვის შეწყვეტისკენ მიმავალ გზაზე ეწოდება „კეთილშობილური რვამაგი გზა“. ეს ერთგვარი პროგრამა გადაიყვანს ადამიანს ნირვანაში.

სანსკრიტული სიტყვა „იოგა“ შეერთებას, შეწყვილებას, შებმას ნიშნავს (3,27).

იოგა ნიშნავს კონცენტრაციას, ყველა ძალის გაერთიანებას მიზნის მისაღწევად.

იოგა ფსიქოფიზიკური ტრენინგის სხვადასხვა, ერთობრთული სისტემებია, რომელთა მიზანია ცნობიერების შეცვლა და ამქვეყნიური სანსარული არსებობიდან გადასვლა უკვდავებისა და თავისუფლების საკრალურ მდგომარეობაში. იოგა უკავშირდება ბრძენი პატანჯალის სახელს.

ფსიქოპრაქტიკის, ფსიქოტრენინგის ფორმები მიმართულია სანსარიდან გაღწევასა და ნირვანაში გადასვლაზე. ცნობილია ბუდისტების, ჯაინისტების, ინდუისტების იოგა.

ბუდისტური კოსმოლოგია აღნერს არა ფიზიკურ სამყაროს, არამედ ფსიქოკოსმოსს.

ბუდიზმი ღმერთის იდეა არ არის, მან შემდეგ შეიძინა კულტი და რიტუალი, რელიგიის ნიშნები, გახალხურდა, გავრცელდა მსოფლიოში, ის არის გარეგნული რელიგია, რელიგია ღმერთის გარეშე (3,35).

ბუდიზმი 18 სკოლაა.

ტიბეტში არის ბუდიზმის ახალი სახეობა — ლამიზმი, დალაი-ლამას კულტი.

ბუდიზმი „აღმოსავლური სულის გასაღებს წარმოადგენს“ (ი. როზენბერგი).

„საკია მარტვილი“ არყოფნის მოციქული თუ უკვდავების მახარობელი? საკია-მუნი ადამიანის შფოთი სულის სიმბოლოა, ტანჯული სიზიფი, მარადისობის დახშულ კარს რომ გახსნის, მის საიდუმლოებას ეზიარება და მშვიდობას დაიმკვიდრებს“, წერს ირაკლი ტატიშვილი (საკია — მუნი) (4,289).

როსტომ ჩხეიძეს სამართლიანად მიაჩნია შედევრებად ერეკლე ტატიშვილის ესეები: „კრიშნა“, „საკია-მუნი“ და „ფრიდრიხ ნიცშე“ (როსტომ ჩხეიძე, ესე იტყოდა ერეკლე ტატიშვილი, ქართული ქრონიკა ამერიკული ელფერით“, თბ.2018 გვ. 48).

საკიას მამა „სიდარტას“ — ბედნიერს უწოდებს, მაგრამ მეუდაბნე, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდება, მიმართავს მეფეს: „ჰომი, მეფეო, ეს არს ნაყოფი ხისა, რომელიც მირიად წლებში მხოლოდ ერთხელ დაისხავს ყვავილს და აღავსებს ქვეყნიერებას სიბრძნის სუნნელებით და თაფლით სიყვარულისა. შენ სამეფო ფესვზედ აღმოცენდა ღვთაებრივი ლოტოსი“.

საკიამ ნახა სოფლის ტკივილების უსაზღვრება და სიტკბოების ამაოება და გადაწყვიტა კაცობრიობის ხსნა, მეფო-

ბაზე უარისმთქმელმა ირჩია მეფობა არა მახვილით, არამედ სულით. ის უარყოფს ფაკირების გზას, ტანჯვით და წამებით სულის ამაღლებას რომ ლამობენ. საკიამ მრავალ ცდუნებას გაუძლო, მრავალი გამოცდა ჩააპარა და მისი „სული ამაღლდა მეორე ზეცად, შორს მიწისგან და მზისკენ“ (4,24). „იგრძნო საკიას სულმა, რომ მსხვერპლის, სიყვარულის და ჰარმონიის კანონი მეფობს უსაზღვროებაში...“

„თითქოს ძლიერი ტალღით წინტყორცნილი ნავი, საკია შთაექნა ნირვანას და შეუერთდა არსთა არსს, სულთა სულს, სიყვარულის სიყვარულს, სამყაროს ქროლას, უბინო ალს, რომელიც სივრცეში ელვარებდა დროთა გარეშე“ (4,242).

„...ძირს ცხრათვალა მზე მოეფინა ქვეყანას, ყვავილების წვიმა წამოვიდა მარტვილის სახეზე. შეირხა საკია, როგორც მეხნაკრავი, გაახილა დამძიმებული თვალები და აღსდგა ბუდა გამარჯვებული, მეფე საიდუმლოებისა“ (4,242).

ბენარესში გამგზავრებულ ბუდას განგზე ვიღაც გლა-ხაკი გადაიყვანს უფასოდ და ეტყვის: „...შენი მადლიანი სახე ბრწყინავს, როგორც ბრამა და ვიშნუ. შენთან წყალში არ შემეშინდება. სიყვარულით აღსავსეა შენი სული და განვლი ცხოვრებას ადვილად, როგორც ჩვენ განვლით განგს“ და ნავი შეცურდა წყალში. ბუდა მონაფეებს ასწავლიდა მორჩილებას, ცოდვისგან განწმენდას, ბოროტების დათრგუნვას, სიქველეს, არსებობის ტანჯვათა უარყოფის გზას. ის არა სხეულის წყურვილს, არამედ სულის წყურვილის მოსაკლავ წყაროს ასმევდა ხალხს. მაგრამ ბრბოს არ ესმოდათ მისი, ფარისეველს, ჯადოქარს, მატყუარას უწოდებდნენ. მწიგნობარნი საპაექროდ გამოიწვევენ, მაგრამ მარცხდებიან. ასწავლიდა ხალხს, როგორ დაემკვიდრებინათ ნირვანა, ასწავლიდა კარმის მოძღვრებას.

კუსინარას ქალაქში საყვარელი მოწაფე ანანდა ძვირფას მოძღვარს ტყუპ ხეთა შორის საწოლს გაუმართავს. დაწვება ბუდა, ხეები უდროულად ყვავილს დაისხამენ, ზეცით წამოვაუცხო ყვავილის წვიმა და ცაში მხიარული ურიამულია (4,245).

ბუდა ეთხოვება მოწაფეთ: „...ცხოვრება ამაოებაა, აღი-
მართენით მარად, და განვიდა სული სხეულით, განვლო ნეტა-
რების ყველა საფეხური და დამკვიდრდა ნირვანად“ (4,245).

უპანაშიდების დოქტრინასა, ბრაჟმანთა სპეკულატურ
აზროვნებასა და ვედანტას იდეალისტურ პანთეიზმშია სა-
კია-მუნის ტრანსცენდენტური სპირიტუალიზმის ფუძე, სამ-
ყარო მისთვის ზღვარდაუდებელი ევოლუციაა. ვხედავთ
მხოლოდ პირველ საფეხურებს და მის გაღმა ბუდა შეამჩნევს
სულის სამეფოს — მიზანს. როგორც მატლისგან შობილი კა-
ცობრიობა ისწრაფვის ღმერთად იქმნეს, აგრეთვე მონადა
განიცდის ყოველგვარს არსებობას და სრულყოფას მიგრა-
ციის გზით მიაღწევს: განა უცხოა ჩვენთვის ეს მოძღვრება?
— პითაგორა, ემპედოკლე, პლატონი, ნეოპლატონიზმი,
გნოსტიკები — განმეორებაა სხვა სიტყვით, სხვა სახით.

ნირვანა — არყოფნა?! — „რომელმან იმოძღვრის ნირ-
ვანა არყოფაა, უთხარით: სცდები. ნირვანა სრულყოფა.
წარმავალი მეობის, უნივერსალი მეობის ატმა ბოდის წიაღში
შთანთქმა -მიღწევა ინდივიდუაციის გზით“ (4,236-245).

ჭეშმარიტი, მარადიული ღირებულებების უარმყოფელ
ათეისტურ ეპოქაში ნიკო სამადაშვილის ლექსის პერსონაჟს
აედევნებოდა იუდა და როგორც ქრისტეს, ისე ბუდას გადა-
ფასებას ახდენდა: „.... ჩემზე ჯვარს იწერს თურმე იუდა. მე
არც ქრისტესგან მოველი შველას, ის მაცდურია ისე, ვით ბუ-
და, ვეთაყვანები მე ხალხის წყევლას, ჩემში შერისხვის მთამ
დაიბუდა“ (მე შევიჯავრე ჩემი სამშობლო) (2,223).

ეს უკვე ათეისტური ოფიციოზის პოზიცია იყო.

ლექსში „ერეკლე ტატიშვილს“ (2,126) ლექსის ადრე-
სატს ეწოდება „ბუდას მეკვლე“. ერთად იხსენება ქრისტეს
და ბუდა საკია-მუნის ლოცვა, მოჩანს შავდროშებიანი ხალხი,
„ბნელი გრიგალების კოშკები“. ისმის ცეკვა, ლაუვარდების
გუგუნი, ცისკენ მომზირალი საკია-მუნის საგალობელი: „ის
კამკამებდა, ვით ქრისტეს ლოცვა, ბნელ გრიგალების კოშკე-
ბის იქით, ტანზე კვირაძლის სიმღერა ეცვა, თან შრიალებდა,

როგორც ტირითი. ისმოდა ცეკვა შეშლილ ქოშებით, ცას გას-ცქეროდა საკია-ამუნი, ხალხი ვიდოდა შავი დროშებით და ლაუგარდების იდგა გუგუნი... ისმოდა ცეკვა, საკია-მუნი მღეროდა ლოცვებს. იქ ბუდას მეკვლეს მზვარა მოჰყავდა უკუნეთიდან და უხაროდა ბატონ ერეკლეს".

როსტომ ჩხეიძე წერს: „ნიკო სამადაშვილის პოეტური შთაგონება, მისი ლექსთა კრებულის მოუცილებელი ლიტე-რატურული ლანდი ერეკლე ტატიშვილია... ლრმააზროვანია ეპითეტი „კაცი ფასკუნჯი“, რაც დიდ იმედებს, თავგანნირუ-ლი არსებობის გამართლებას, დაფერფლილი სიცოცხლის ხელახალ აღორძინებას გულისხმობს“ (7,45).

„ბუდას მოძღვრება განსაკუთრებულად უყვარდა, ქრის-ტიანობის საწყისებიც იქ ეგულებოდა და არც ის დარჩენია აღუნიშნავი: ლოგოსის სამშობლო ინდოეთია, „პირველად იყო სიტყვა“ - ეს აბრაამისა და იაკობის შთამომავლებს არ ეკუთ-ვნის, ის პირველად იდოეთში ითქვაო და როცა ამ მოძღვრების შესწავლას ორი ესეი უძღვნა, ზღაპრის ფორმა მოიშველია“.

ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული ქრონიკის ავტორი აგრძელებს ამ მიმართულებით:

„ძველი ინდოეთისადმი ამ სულიერი სიახლოვის გამ-ჟღავნებაა ის ფრაზაც, მის სენაკში ჩაძინებულ ნიკო სამა-დაშვილზე რომ უთქვამს ორი სხვა მონაფისათვის: „ხედავთ-ბუდა! ბუდას არა ჰყავს? (ვახტანგ ჭელიძის მოგონება). რო-გორც ასკეტური ბუნების, თავშეკავებული პიროვნება, იგი ერიდებოდა თავისი გრძნობების გარეგნულ გამოხატვას და ახლა ბუდას სახელში ჩააქსოვა ნიკოსადმი განსაკუთრებუ-ლი სიყვარული.

„არადა ბუდას თვითონ ჰგავდა“ (7,115-116).

ნიკო სამადაშვილისთვის ერეკლე ტატიშვილი იყო „ერ-თადერთი ბედნიერება“. სუკის ჯურლმულებში ნაწამებ, ნაად-რევად გარდაცვლილ საყვარელ ადამიანს უძღვნა ლექსი „ნაძ-ვები“. ერეკლეს ცხედარი მთანმინდის უბნიდან ვაკის სასაფ-ლაოზე ნიკოს და მის მონაფეებს ხელით წაუსვენებიათ“ (7,119).

ასევე, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ როსტომ ჩხეიძის წიგნში გადმოცემული ზუსტი შეფასება ერეკლე ტატიშვილის მსოფლმხედველობისა, დაფუძნებული აკაკი ანდრიაშვილის მოგონებაზე: „ქრისტიანული კაცთმოყვარება, წარმართული შეუპოვრობა, საკია-მუნის უდრტვინველობა და ნიცშეს ზეკაცურობა ჰარმონიულად თავსდებოდა მის გარეგნულად მშვიდ სულში“ (7,44).

და კიდევ ერთი (მრავალთაგან) ძალზე საგულისხმო დასკვნა: ერეკლე ტატიშვილი, „ჩვენს მწერლობაში, ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში დარჩება მინდიას ბადალ პიროვნებად — ამაღლებულ და იდეალურ ნიმუშად უკომპრომისობისა“ (7,48).

ერეკლე ტატიშვილს ეძღვნება ნიკო სამადაშვილის ლექსი „თებერვლის ამინდს ჩუმად ელვიძა“ (2,139). ერეკლე იყო პოეტის მასწავლებელი, მეგობარი და ბუნებრივია, მის გარდაცვალებას ნუგეშის, მეკვლეს დაღუპვას უწოდებს. ამ სამგლოვიარო პროცესისა მოჰყვება თითქოს საკია-მუნიც, რომელიც ხალხის გოდებას, ჯანღს უერთებს თავის ცრემლებს: „მიგასვენებდნენ შავბნელ გოდებით, ჩვენ წინ ცეკვავდა ჯანღი უკუნი, ხალხს კი ფეხდაფეხ ჩუმად მისდევდა ცრემლმორეული საკია-მუნი. გემდურებოდნენ დაღუპულ ნუგეშს, სანთლების აღზე გადამწვარ მეკვლეს, ღმერთს ჩუმად ვთხოვდი, ნუ შემიშინებთ, ნუ დამიტანჯავთ ბატონ ერეკლეს“.

და ლექსის ბოლოს ისევ ხაზი ესმება მათ მეგობრობას, თანამედროვეთაგან შეუცნობლობის „ნისლეთს“, სინამდვილეში გუდამაყარივით მაღალი შთაგონების მსახურებას: „რამდენ ღამებს ვძოვდით ცხვრებივით, მე ვიყავ შენი გზების მაყარი, ნისლეთი იყო ჩვენი ცხოვრება და შთაგონების გუდამაყარი“.

ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილ მესამე ლექსში ნათელი ხდება, რა სატანჯველად ქცევია პოეტის მეგობარს „ტიალ, ვერაგ, ნადირ, მშიშარა, მაიმუნ“ წუთისოფელში საკია-მუნის სიყვარული, ასევე ნიცშეს თარგმნა, მისი განირვა

ზარატუტრას თაყვანისცემის გამო: „როგორა გტანჯეს, ღმერთო ჩემო, რა უმოწყალოდ, რათ გიყვარდაო, გაგინებდნენ საკია-მუნი! რა ვერაგია ეს ტიალი წუთისოფელი, რა ნადირია, რა მშიშარა, მაიმუნი! შენი ცხოვრება ზარატუტრას ფერხული იყო, მუხლმოყრილ ცეცხლთან განწირული კაცის ვედრება“.

და ბოლოს, ოკულტიზმთან წილნაყარი პოეტი თითქოს აკაშას ქრონიკაზე ამოკითხავს ერეკლე ტატიშვილისადმი ბედის მიერ გამოტანილ მწარე განაჩენს: „...კარზე გენერა: ილოცებს დიდხანს, მაგრამ მაინც დაიღუპება, აქ დაიბადა, საიქიოში ძლივს დაბერდება“ (ჩემ გივი ერეკლეს ძე ტატიშვილს) (2,42).

მრავლისმთქმელი ლექსია „გაჭვავება. ლექსო ივანიშვილს“ (2,59), რომელშიც დედამიწა ხალხთა უდაბნოა, მგელივით ყმუიან წლები, თვალების ხვრელში გველი სისინებს, თალხი ფერით მოსილი კათაკმეველი ლოცულობს. „განდიდების კვერით“ დანაყრებულთა გნიასია ირგვლივ, მხოლოდ გულში ანთია კანდელი (კანდელი საბუთო სახელია): „...ვინც განდიდების კვერით დანაყრდა, რა ეშველებათ იმ უბედურებს. ხალხთა უდაბნო დედამიწაზე, რა შემზარავი ყმუიან წლები, რა დანდობილა მოგვინარეკლეს. თვალების ხვრელში გველი სისინით შევა, ინათლებს გულის კანდელი და კვირაძალზე თალხით მოსილი ილოცებს ვიღაც კათაკმეველი“.

და ბოლოს შენდობის თემა აერთიანებთ ქრისტეს და ბუდას: „ნამოვიხუროთ ერთი ფარაჯა, ისიც შევინდოთ, ვისაც ვაგინეთ, შენ ეყოლები ქრისტეს ფარეშად და მე კი ბუდას მოჯამაგირედ“.

ლექსში „გასეირნება“ (2,261) ისევ ქრისტე და ბუდა ფიგურირებენ ნუგეშად: „მე ქრისტე მწამდა, შენ — ბუდას რჯული, სალამს გვაძლევდნენ დიდი ხეები და მოგვყვებოდნენ უკან ჩურჩულით გაუთენარი ჩვენი დღეები“.

„საკია-მუნის შემლილი სტვენის“ სიყვარულია ლექსში „სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფურიძეს“ (5,68).

ლექსში „ბაასი ბერთან“ (6,88-89) ისევ ერთად იხსენებიან ქრისტე და ბუდა: „გათანგულ ბუხარს შემოსხდომოდნენ ქრისტე და ბუდა“, თითქოს პროტესტის ნიშნად, რადგან ბერს ძვლები შეეკეთებინა ბუხარში შეშის ნაცვლად, ხოლო უზენაესთა გამოცხადებამ ელდა დასცა.

ასტრალურ მოგზაურობას ეხება ნიკო სამადაშვილის „დაუსაბამობის ხილვა“ (2,184), რომელშიც ისევ ბუდას და ქრისტეს თვალთახედვის არეში მოქცეულა ზეცაში, „ცის აივანში“ მოარული პოეტი. თითქოს მათ მიუმადლებიათ წარმავლობაზე ამაღლების, მარადისობის, დაუსაბამოს ხილვის უნარი: „ცის აივანში მიმოვიდოდი, ღვთაებრივ გზნებით, დაუზარებლივ, მსოფლიოს მხრიდან, გეყო-მიძახდნენ ხმაჩახლეჩილი ბოხი ზარები... წარმავალობა ანიავებდა მარადისობის ყვითელ ბულულებს. ბუდა და ქრისტე გამოცქეროდნენ, გამოერეკათ ქვევიდან ველებს, ჩემს ნაფეხურებს გამოჰყოლოდნენ და ქალებივით მიენევდნენ ხელებს“...

როგორც ჩანს, ქრისტეს და ბუდას მარტვილობა, მათი სიკეთე, მაღალზნეობრივი ცხოვრება მისაბაძი მაგალითი იყო პოეტისათვის, რომელსაც წარმავალი საწუთროება კი არა, ლაუგარდებში, ცათა ცაში ნავარდი დაანათლა არსთავანმრიგებ.

რუდოლფ შტაინერის ლექცია „ბუდადან ქრისტემდე“ იყო ჩვენება იმისა, თუ რაოდენ წინსვლას მოასწავებს გოლგოთას მისტერია ბუდას მოვლინებასთან შედარებით და თუ როგორ აღწევს კაცობრიობის განვითარება თავის კულმინაციას, ისწრაფვის რა ქრისტეს მოსვლის შესახვედრად“ (ჩემი ცხოვრების გზა) (8,380-380).

„ბუდას გადასვლა ნარვანაში, მისი სიკვდილი იგივეა, რაც ქრისტეს ფერისცვალება“. ამდენად, სადაც ბუდა თავის მოღვაწეობას ამთავრებს, იქ იწყებს ქრისტე თავის მოქმედებას, თავის სიცოცხლეს“ (9,173).

„ვინც იქნება ბუდას ჭეშმარიტი საქმის გამგრძელებელი, სიკეთის უდიდესი მასწავლებელი იქნება ყველა ადამია-

ნისთვის. ამიტომ აღმოსავლური თქმულება მას მაიტრეა ბუდას უწოდებს. მისი ამოცანა იქნება გოლგოთას მისტერიის ახსნა. ჩვენ ასე ვუახლოვდებით მორალურ თაობას, ოქროს საუკუნეს“ (10,31).

რუდოლფ შტაინერის აზრით, ლუკას სახარებაში ანგელოზის გალობის მოსმენა სინამდვილეში არის ბუდას მსოფლიო სამახარობლო.

„...ბუდა გახდა ქრისტიანული ევოლუციის ინსპირატორი სულიერი სამყაროდან... მოხდა ბუდას და ქრისტეს მოძღვრების ერთგვარი თანშერწყმა. ბუდა იყო ქრისტეს წინამორბედი, ის იყო ქრისტიან როზენკროიცის მოწაფე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბენარესში მის ქადაგებას. შემდეგ ბუდამ თავისი მოქმედების უმუალო სფერო დედამიწიდან მარსზე გადაიტანა, ის პლანეტა მარსს მხსნელად მოევლინა, როგორც ქრისტე დედამიწას. ბუდა ასწავლიდა ნირვანას მოძღვრებას, მიწიერი ყოფიერებით დაუკმაყოფილებლობას“ (11,123,128,129,130,131).

დამოწმებანი

1. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი, ლერი ალიმონაკის, თბ., 1983
2. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, თბ., 2004
3. რას ქადაგებს სამი მსოფლიო რელიგია? ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი. სამეცნიერო პოპულარული ნარკევე, შეადგინა ირაკლი ლომოურმა, თბ., 2013
4. ირაკლი ტატიშვილი, „საკია მუნი“, ჟ. „კავკასიონი“, 1924
ნ. №1-2
5. ნიკო სამადაშვილი, „სინათლის მიმოქცევა“. თბ., 1999
6. ნიკო სამადაშვილი, ლექსები, თბ., 2010
7. როსტომ ჩხეიძე, ესე იტყოდა ერეკლე ტატიშვილი, ქართული ქრონიკა ამერიკული ელფერით, „ჩვენი მწერლობა“, თბ. 2018
8. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კ. (უმცროსი) გამსახურდიასი, თბ. 1994
9. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელებია: ა. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, თბ. 2014
10. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების სფეროში, „პითაგორა“, თბ. 1970წ. რედაქტირებულია 1995 წელს
11. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, გიორგი ნიშნიანიძის საერთო რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტირებით, „ხომლი“ თბ. 1994

ჩაფიქრებული, როგორც მისანი

მატერიალისტები, რომლებიც მხოლოდ ხილულ სამყაროზე, საგნებზე იყვნენ ორიენტირებულნი და უხილავის ხილვის უნარი არ მომადლებოდათ, მისტიკოსს არათუ სალანძღვავ სიტყვად მიიჩნევდნენ, პოლიტიკურ ბრალდებადაც აქცევდნენ. ეს ცნება ნეგატიურ ჭრილში მრავალგზის მოარგეს კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის შემოქმედებას.

ედუარდ შიურე განმარტავდა: „ჭეშმარიტი მისტიკოსი ჰქვია ისეთ კაცს, რომელიც სავსებით ეუფლება თავის შინაგან ცხოვრებას და ქვეცნობიერის გააზრებით, კონცენტრირებული მედიტაციისა და მკაცრი დისციპლინის შედეგად ჰპოულობს მანდ ახალ ცოდნას და განათლებას... სწვდება შინაგან ბუნებას თავისი სულისას, მიმართებას იმ შეუმუსრავი სუბსტანციისადმი, რაც საფუძვლად უდევს ყოველივეს — იმ უზენაესი და მარადიული რეალობისადმი, რომელსაც რელიგია უწოდებს ღმერთს, ხოლო პოეზია ღვთაებრიობას.

„მისტიკოსი არის ადამიანი, რომელიც დაეძებს ღვთიურ ჭეშმარიტებას უშუალოდ საკუთარ თავში თავისი უმაღლესი სულობის თანდაყოლილი გამოვლენისა და აღმოცენების გზით.

„მისტიკოსის იარაღია კონცენტრაცია და შინაგანი ხედვა, ოკულტისთვის ინტუიცია და სინთეზი. ერთი უკავშირდება მეორეს, ავსებს და გულისხმობს მეორეს.

„ადამიანის ამ ორგვარ ტიპს შეიცავს ადეპტი, უმაღლესი ხელდასხმული. ხელდასხმული ნათელჭვრეტით მიღებულ უმაღლეს ცოდნას ზიარებული ადამიანია. ხშირად ორივე უნარი გვხვდება დიდი რელიგიებისა და ზემხედველი ფილოსოფიური სისტემის დამფუძნებელ ადამიანში. ასევე რეფორმატორებთან, მოაზროვნებთან, დიდ პოეტებთან, ხელოვანებთან და სახელმწიფო კაცებთან“ (1,7).

მოაზროვნები, პოეტები, გამომგონებლები, დიდოსტა-

ტები ხელოვნებასა და მეცნიერებაში, გენიოსები, ედუარდ შიურეს დაკვირვებით, „გამოირჩევიან ღრმა შინაგანი ხედვითა და დიდი ინტენციით, ეს ორი წამყვანი ფაქტორი ჰქმნის მისტიკიზმს და ოკულტიზმს“ (1,8).

მისტიკოსად და ოკულტისტად, ამ ორგვარი ბუნების ჰარმონიზებად მიიჩნევდა ედუარდ შიურე რუდოლფ შტაინერს, რადგან მას „გააჩნდა თანდაყოლილი ნიჭი სულთა ხილვის“ (1,9).

შტაინერის მისია იყო „მეცნიერებისა და რელიგიის შერიგება, ღმერთთან დაბრუნება“ (1,4).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი მატერიალისტურ შემეცნებას თანამედროვე მეცნიერების „კეცტყავიან დრაკონს“ უწოდებადა.

ბუნებისამეტყველ დარვინის საქმის გამგრძელებელ ე. ჰეკელის შესახებ შტაინერი ამბობდა: „ჰეკელი იყო თავად შექურვილი მატერიალიზმი, კეცტყავითანი, ჭანგშემართული და კბილბასრი დრაკონი“ (ედუარდ შიურე, რუდოლფ შტაინერის პიროვნება და მისი განვითარება (1,17)).

როგორც თვითონ აღიარებდა, შტაინერი ეკუთვნოდა „დასავლეთის ეზოტერულ ქრისტიანობას, კერძოდ, როზენკროიცერულ ხელდასხმას“ (1,19).

შტაინერს აინტერესებდა ჩვენება იმისა, თუ როგორ გაცხადდება სულიერი სამყარო ადამიანში სულის ორგანოს საშუალებით (1, 176), მისი მიზანი იყო „შეხვედრა სამყაროს სულთან“ (1,168).

ის აკვირდებოდა მისტიკას კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, როგორიცაა აღმოსავლური სიბრძნე, ნეოპლატონიზმი, ქრისტიანული შუასაუკუნეები და კაბალისტური მისწრაფებები (1, 172).

სულისმეცნიერებაში მთავარია სულიერი სამყაროს კვლევა, სულიერ სფეროში ჭვრეტა. სულიერი მკვლევარი სულისმეცნიერულ მეთოდზე დაყრდნობით ადამიანს ყოფს გარეგნულ-სხეულებრივ და სულიერ-მშვინვიერ ადამიანად.

მისი თვალთახედვა მთლიანად საბუნებისმეტყველო აზ-როვნებას ემყარება (2,9).

შტაინერის აზრით, „ქრისტიანულ კულტურებს ყველაგან პქონდათ მისტერიული ცენტრები, რომლებიც ამავდროულად რელიგიურ, ხელოვნურ და სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ისინი მისტერიათა ხელოვნების წყალობით ივითარებდნენ სხეულისგან თავისუფალ მშვინვიერ ცხოვრებას“ (2, 31).

„მისტერიის მონაფეებს აძლევდნენ მითითებებს ჩადენილი ცოდვის, ანუ მატერიაში ჩაფლობის გადასალახად. მათ თანდათანობით საგრძნობლად განწმენდნენ ეთერულ და ასტროალურ სხეულებში ლუციფერისა და არიმანის გავლენისგან. სიკვდილის მდგომარეობამდე მიყვანილი სხეულიდან მისტერიის წარმმართველებს მონაფის სამშვინველი გამოჰყავდათ და მათ სულიერი სამყაროსაკენ წარმართავდნენ. უმაღლესი საფეხურის გავლის შემდეგ ნება ეძლეოდათ ხელდასმის, ინიციაციის, განწმენდის გზას შესდგომოდნენ. ექმნებოდათ შესაძლებლობა, განსაკუთრებით წმინდად მიჩნეულ ადგილებში ღვთაებრივ არსებებს შეხვედროდნენ, რჩევა-დარიგებები მიეღოთ. ხელდასხმულთა გამოცდილებიდან წარმოიშვა უძველესი დროის დიდებული მითები, წარმართული რელიგიები, ხელოვნება და მეცნიერება“ (3, 36).

მისტერიებში ბოლო და უმაღლესი საფეხური ამ ღვთაებრივი არსებების წვდომა იყო. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ენაზე ამ არსებებს „მირონცხებულს“ (მაშიახი, მესია) უწოდებდნენ, ბერძნულად ქრისტეს.

სახარების შემქმნელნი იყვნენ ხელდასხმულნი და წარმმართველნი ოთხი მისტერიალური ნაკადისა. ისინი ქრისტეს მოვლენას უმზერდნენ და აღწერდნენ, როგორც საკუთარ სულიერ გზათა დიად აღსრულებას, საკუთარ სულიერ მისწრაფებათა უმაღლეს განხორციელებას.

ხდებოდა ადამიანსა და ღვთაებას შორის ჩანგრეული ხიდის აღდგენა.

ანთროპოსოფია არის სულის კრიზისიდან გამოსვლის

გზა“ (4,42-43).

ხელდასხმა გულისხმობდა გრძნობებზე სულის ხელმწიფებას, მდარე შეგრძნებების დახვეწა-გარდაქმნას, სულიერი თვალის ახელას, ზეგრძნობადი სამყაროს ჭვრეტისთვის ნეოფიტის განმზადებას (4,18).

სულიერი ხედვით მდარე სინამდვილის აღქმას უნდა შენაცვლებოდა ზენა სამყაროს ჭვრეტა, მანამდე უხილავ ნათელ-თან ზიარება (4,20).

მისტები ესწრაფოდნენ მარადიულს. შტაინერი იმოწმებს სოფოკლეს აზრს: „რაოდენ მაღალუნეტარესად აღწევენ ლან-დების საუფლოს ხელდასხმულები“ (4,23).

მისტი, ხელდასხმული ინიციაციის შემდეგ თავის თავში მარადიულს, ღვთაებრივს შეიგრძნობს, თავის თავში აღმოაჩენს უმაღლეს „მეს“, რომელიც გრძნობადი ქმნადობის საზღარს სცილდება“ (4,29).

„ტაძრებში მისტერიები იმართებოდა, სადაც ნეიფიტებში მთვლემარე ძალები იღვიძებდა, მისტები უმაღლეს შემოქმედებად და სულიერ ნატურებად გარდაიქმნებოდნენ, ისინი „მარადისობიდან ამოზიდულ კლდეს ემსგავსებოდნენ და უკვე ყველა ქარტეხილს უძლებდნენ“ (4, 30).

შტაინერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პლატონის „ფედონში“ განვითარებულ „იდუმალ მოძღვრებას“, რომელშიც ნათქვამია: „თუკი ვინმე ქვესკნელში, აიდში ინიციაციისა და განწმენდის გარეშე ჩავა-შლამში ჩაეფლობა. ხოლო მისტერიებში განწმენდილი და მის სიბრძნეს ნაზიარები ადამიანი საიქიოში ღმერთებთან ერთად იცხოვრებს... მისტერიებში ხელდასხმული, ჭეშმარიტად შთაგონებულნი... სიბრძნეს მართებული გზით სწავლობენ“ (4,36).

პლატონის აზრით, ადამიანთა სამშვინველები ლაფსა და ჭაობში ჩაფლულებს ჰგვანან, თუ წმინდა მისტერიებს არ არიან ნაზიარებნი, ისინი მოწყვეტილნი არიან თავის ჭეშმარიტ არსებას (2, 32).

შტაინერის აზრით, პლატონის მსოფლმხედველობა რე-

ლიგიას ემსგავსება. აქვეა მისტერიების ერთ-ერთი საიდუმლო-ება (4, 67).

პლატონის „ნადიმში“ აღნერილია ხელდასხმა, აქ სიყვარული სიბრძნის მაცნედ გვევლინება. სიბრძნე, ბერძნული მითი და მისტერიათა სიბრძნე ერთ მთლიანში ირწყმება“ (4,71).

ქრისტიანობამდე აუცილებელი იყო მისტერიები და მოძღვართა მითითებანი. თვითხელდასხმა არ არსებობდა ძველ დროში. ეს შესაძლებელი გახდა გოლგოთას მისტერიის წყალობით“ (2, 33).

„ჰერაკლიტემ, პლატონმა... მისტერიათა წყალობით სულიერ სამყაროში ჩაიხედეს“(2,33).

შტაინერი საუბრობს პლუტარქეს, ციცერონის, პითაგორელების, ემპედოკლეს, პინდარეს შესახებ.

„მისტერიები ადამიანს სიკვდილის მიღმა, ე.ი. ქვესკნელში ამოგზაურებდა და ... ხელდასხმის წყალობით ადამიანის მარადიულ ნაწილს დაღუპვისგან იხსნიდა. ვითარცა მისტს, ადამიანს სიკვდილის დამარცხება შეეძლო. ჰერაკლე, როგორც მისტი, გადალახავს მიწისქვეშა სამყაროს საშინელებას“ (4, 84).

ამ დებულებას ეხმაურება ზვიად გამსახურდია: „ჰერაკლე არის ინიციაციის ახალი კულტურა, ნებელობითი ინიციაცია, ჰეროიკული ინიციაცია, რომელიც არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა... ძველი საბერძნეთის ცენტრალური მისტერიები „ელოიზისის“ მისტერიები იყო. სიტყვა „ელოიზის“ ძველბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოწევნადს, მოვლინებადს, წინასწარ განჭვრეტას მომავლისას... ჰერაკლე არის სიმბოლური გამოხატულება ახალი ინიციაციური კულტურისა. კერძოდ, ქრისტიანული კულტურისა... მის მიერ კვერთხით კლდიდან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტიანობის წინასახედ“ (5,200-201).

შტაინერის ყურადღების ცენტრშია მოქცეული პრომეთეს მითები, ჰომეროსის „ოდისეა“, არგონავტების თქმულება.

„საწმისი ადამიანისთვის მინიჭებული უსასრულო ფასეულობაა. ოდესღაც იგი ადამიანს წაერთვა და მისი ხელახლა მო-

პოვება საზარელ ძალებზე გამარჯვებასთან არის დაკავშირებული. სწორედ ასეთი რამ ემართება ადამიანის სამშვინველში არსებულ მარადიულს... ადამიანი მისგან საკუთარმა ქვენა ძალამ განაცალკევა. მარადიულთან მიღწევა ქვენა ბუნების დათრგუნვაა. შემწე საკუთარი ცნობიერებაა (მედეა)“ (4,86).

ზვიად გამსახურდია დასძენს: „...არგონავტების ლაშქრობა არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა და შემთხვევითი არ არის, რომ ოქროს საწმისს სულიერ მეცნიერებაში ეწოდება კლასიკური გრაალი. ფილოსოფიური ქვა და გრაალი არის აგრეთვე იდენტური ცნებები. ფილოსოფიური ქვის ძიება არის... სულიერი ინიციაციის ძიება, რომელიც ანტიკურ მისტერიებში, ძველბერძნულ მისტერიებში გადმოცემული იყო, როგორც ოქროს საწმისის ძიება, ხოლო ოქროს საწმისი იყო კოლხეთში... ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინაციურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმუამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში“ (5,202).

ზვიად გამსახურდია ხაზგასმით აცხადებს: „...გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია. კაპადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტობერიული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაპადოკიელი, ე.ი. ქართველური წარმოშობის... კაპადოკიელები ესწრებოდნენ სულინმინდის გადმოსვლას და გრაალის მისია ეს არის სულინმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულინმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულინმინდით გამსჭვალული და სულინმინდამიღებული ადამიანი. გრაალის მიმდინარეობა, გრაალის ქრისტიანობა შექმნეს სწორედ იბერიელმა ხალხებმა.

ზვიად გამსახურდიას აზრით, შავთელის ოდებში მოხსენებელი „მადლთა ბარძიმი“ არის გრაალი, ქართული ფოლკლორის წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთში კოპალასთან და იახსართან ლაშქრობისას წამოღებული თასიც გრაალის თასია. გრაა-

ლი უკავშირდება ქართულ კულტურას, ქართულ ფოლკლორს, საქართველოს ისტორიას.

ვოლფრამ ფონ ემენბახის „პარსიფალში“ მინიშნებულია მისტერიალურ სიბრძნეზე, მისტერიალურ კულტურაზე, რომელიც უკავშირდება მეფე ბუცეს-იოანეს, რომელიც არის დავით აღმაშენებელი და რომლის სამკვიდრებელი არის წყარო მისტერიალური კულტურისა“, ასკვნის ზვიად გამსახურდია (5, 213).

ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს მერაბ კოსტავა.

ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსანს“ გრაალის პოემად მიიჩნევს, რადგან გრაალის სინონიმებია: საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან, ქვესკნელიდან იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ქალი ამ შემთხვევაში განასახიერებსა ანიმას, სამშვინველს და ანიმას გამოხსნა დრაკონის ტყვეობიდან არის სწორედ ინიციაციის მიზანი“ (5, 213).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი გვამცნობს: „ქვესკნელში ჩასვლა, ანუ აიდში მოგზაურობა წარმავალზე გამარჯვებას და სამშვინველში მარადიულის გამოღვიძებას ნიშნავდა“ (4, 90).

„ოდისეაში“ კირკე სულის ქვენა ძალაა, რომელიც წარმავალს არის ჩაჭიდებული.

ოდისევსის მიერ სკილასა და ქარიბდას შორის გამავალი საშინელი გზის გავლა იმას ნიშნავს, რომ პირველ ხანებში ჯერ კიდევ სულსა და გრძნობას შორის მერყეობს მისტი. იგი სულის მნიშვნელობის მთელ სისავსეს ჯერ არ ჩაწვდომია, თუმცა გრძნობამ მისთვის უწინდელი ფასი უკვე დაკარგა“ (4, 91-92).

ელევსისის დღესასწაულები საფშვინველის უკვდავების საზეიმოდ გაცხადებული აღიარება იყო“ (4, 95).

შტაინერი ეხება ეგვიპტის იდუმალ სიბრძნეს, ქურუმთა სიბრძნეს, ეგვიპტის მიცვალებულთა წიგნს, იზირისის მითს, ინდოელ ქურუმებს, მაიას, ნირვანას.

ბუდას სხეულის გასხივოსწება შედარებულია იესოს ფერისცვალებასთან.

საუბარია ტანჯვაზე, სიკვდილის კარიბჭეზე, მიწიერის ქრობაზე, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაზე, ბუდას ნირვანაზე, ხელდასხმულის ინიციაციაზე.

ბუდა ლოგოსს ანუ ნათელს უბრუნდება, იესოში თვით ლოგოსი გახდა პიროვნება. მასში სიტყვა ხორცად იქცა (4, 4107).

სახარებაში ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა მიჩნეულია, როგორც მისტერია. ლაზარეში „მარადიულმა სიტყვამ“ დაივანა. ლაზარე იმად იქცა, რასაც მისტერიების ენაზე ხელდასხმული ჰქვია“ (4,125).

„ლაზარე ხელდასხმული გახდა თვით ქრისტე იესოს მიერ. სწორედ იგი გახდა პირველი ქრისტიანი ხელდასხმული, თანაც ქრისტეს მიერ“ (4, 128).

„იოანეს სახარება სწორედ მისტერიას წარმოადგენს. მასში გადმოცემული ყველა მოვლენა სულიერად უნდა გავიგოთ.

„შემეცნების დრამა... მისტერიად წარმოდგება“ (4,129).

შტაინერი ყურადღებას ამახვილებს აპოკალიფსის მისტერიაზე, ორიგენის, კლიმენტი ალექსანდრიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, ნეტარი ავგუსტინეს და სხვათა მშვინვიერ ბრძოლებზე.

„ხელოვნება არის ბუნების იდუმალი კანონების გახსნა, რომელიც ამ გახსნის გარეშე, მუდმივად დაფარული დარჩებოდა. ადამიანს შეუძლია ისინი გამოხატოს, ამისთვის მხატვარმა საჭიროა სისხლი და სიცოცხლე გაიღოს“ (6, 162).

„სულეთის სფეროებიდან იღებენ იმპულსებს მხატვრები, მეცნიერებები, გამომგონებლები. აქ მაღლდება მათი გენია, რათა ახალ განსხეულებებში უფრო მძაფრი ზემოქმედება მოახდინონ ადამიანური კულტურის შემდგომ განვითარებაზე“ (7,119).

შტაინერის ყურადღებას იპყრობდა კოლხეთის მისტერიული სკოლაც. ამ პრობლემაზე დაწვრილებით საუბრობს ზვიად გამსახურდია „საქართველოს სულიერ მისიაში“.

მისტერიების გზაზე შედგომის უპირველესი პირობაა

ცოდვათაგან განწმენდა, სულიერი მხედველობის გახსნა, უხმო ბგერების, „მდუმარების ხმის“ მოსმენა (ელენე ბლავატსკაია) (8,118).

დანტე ალიგიერმა შეძლო „მისტიური ჭეშმარიტების“ ჩანვდომა, ცათა საუფლოს ხილვა.

ყოველი დიდი შემოქმედი არა მხოლოდ ხილულს, ხელშე-სახებს ჭვრეტს, არამედ ჩვეულებრივთათვის დაუნახავში ცდი-ლობს შეღწევას და ეს ხელენიფებათ მხოლოდ მორწმუნეთ.

„გამოცხადების უშრეტი ნათელი სულის თვალით იხილ-ვება და დამაბრმავებელია.

„საგნების მიმართ გემოს ის კარგავს, ვინც იხილა უზენა-ესი“, წერდა ნეტარი ავგუსტინე, ვინც მოისმინა არამხოლოდ ანგელოზების, არამედ თვით „თავადის“ (ლმერთის) ხმა (აღსა-რება) (9, 249-250).

იოპან ვოლფგანგ გოეთე იყო „მაძიებელი იდუმალ გზე-ბის“ (ტრილოგია ვნებისა) (8, 232-234),, იზიდავდა „უნაზესი იდუმალება“ (რომაული ელეგიები (8,222), ევლინებოდა „სიამე იდუმალი“ (ელეგია) (8, 234- 240), ესმოდა „სხივის იდუმალი შრიალი“ (წყლებზე მქროლავი სულის სიძლერა) (10, 86-91).

გერმანელი პოეტისთვის „პრძენი გრძნეული ენით მარა-დისობის დიდი მისანია“ (მედგრად და მტკიცედ) (8, 122- 123), „ჩემი ხვედრია იდუმალება“, წერდა ლექსში „მინიო“ (10, 147).

„მრავალი რამ შეუცნობი, ვით ხმა იდუმალი, მკერდის ლაპირინთში ბორიალობდა“ (მთვარისადმი) (10, 80-81).

„სერაფიმთა ფრთების შრიალი“, ციური ბგერები „იდუ-მალ ძალით“ მსჯვალავდნენ სულს: „...მოისმის, ვით სერაფიმთ ფრთების შრიალი, უამრავ ჰანგთა მომხიბლველი ბგერა ციუ-რი, მწუხარე სული იმსჯვალება იდუმალ ძალით... და შეიცნობს სოველი თვალი ღვთაებრიობას ცრემლისა და სიმთა წკრია-ლის“, ნათქვამია ლექსში „შერიგება“ (8, 240). „იდუმალმეტყვე-ლებენ თვალები“ (საქმროს) (10, 244).

გოეთე იყო უმაღლეს ცოდნას ნაზიარები ადეპტი, რაც

შესაძლებლობას აძლევდა, შეეცნო სამყაროს მრავალგვარი იდუმალება: „...რაც სხვებისათვის უცნობია და იდუმალი... მხოლოდ ეს ჩემთვის, ადეპტისთვის არ არს ფარული“ (შილე-რის თავის ქალის ჭვრეტისას (10, 240-241).

დანტე საუბრობს „მისნურ სიყვარულზე“.

„რა დაადუმებს შეუცდომელ ბრძენსა და მისანს, თუ უწერია აღსრულება ნინათქმას მისას“, აცხადებდა მერაბ კოსტავა „ბიბლიურ რემინისცენციებში“ (14,95).

კონსტანტინე გამსახურდია იზიარებს ვალდო ემერსონის აზრს, რომ გოეთე იყო „ბრძენი მისანი“, განსაკუთრებით შემოქმედების მეორე პერიოდში გამოარჩევდა „მისტიური თვალ-თახედვა“ „ფაუსტის“ მეორე ნაწილი „მისნური ნათელზოლვის ნიმუშია“ (გოეთე თუ მისტიკოსი? (11,23,24,40).

რაბიბინდრანატ თაგორის ნინამძღვარი იყო თვით „იდუმალთა მესვეური“: „ის მიჩვენებდა გზებს იდუმალს. მასთან ერთად დავდიოდ წამებისა და ნეტარების იდუმალ ქვეყნად.

„იდუმალებამ გადმოხეთქა გულის ბჭენი და სიმღერებად გადმომედვარა“, წერდა თაგორი (12,99,120).

კონსტანტინე გამსახურდიამ თბილისში დააარსა მისტიკოსთა წრე, რაც არ არის შემთხვევითი.

პრიმიტიული პროლეტარული კრიტიკა ცდილობდა მის იდეურ განიარაღებას, უნიჭო მატერიალისტთა, გონებადახშულთა წრისკენ გადმობირებას, „დიდოსტატის“ ავტორს კი ეა-მაყებოდა მისტიკოსობა და განმარტავდა: „მისტიკა ბუნების იდუმალებით გაოცებაა და არა პოლიტიკური კლერიკალიზმი“.

მისი მიზანია იყო „საწუთოს საიდუმლოების წვდომა“ (15,49), ცისა და ვარსკვლავების იდუმალების შეცნობა (18,218), ბუნების იდუმალების საცნაურყოფა (15, 499).

„ყოველი წამი ორსულია იდუმალებით“ (16,416), სჯეროდა დიდოსტატის, ამავე დროს, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „არა არს ამ ქვეყნად იდუმალება ღვთის კიდეგან, რამეთუ თავად ღმერთია უდიდესი იდუმალება და მის გარეშე ნურავის ეძიებს შეიცნოს სხვაი“ (11,18).

ხაზს უსვამდა რა „იდუმალებითა ამოცნობის სიძნელეს“, მიიჩნევდა, რომ შეუძლებელი იყო გონების ძალით წვდომა „უიდუმალესი საიდუმლოსა“.

„სული ძლიერად უნდა სუფევდეს იდუმალებაში, მაგრამ ეშმაკი არ უნდა შემოუშვას თავის სარტყელში... ნურავინ ეძიებს გონების ძალით ჩასწვდეს საიდუმლოს საწუთროისას, მიწისა, ცისა და ჯოჯოხეთისაც, ნურავინ გაიჩენს ასტროლოგსა და ბნელის მიმხრობსა, მესიზმრეთა, მენამლეთა და მჩხიბავთა, რადგან ღმერთია თავათ საიდუმლო აუხსნელი და გაუხსნელი“ (15, 49- 50).

„პუნება წიგნსა ჰეგავს მძიმედ წასაკითხს, თავად პუნება იძლევა ნიშანს... იდუმალის საცნაურყოფად“ (16,156).

ცალთვალა მატერიალისტები, მწერლის აზრით, „ვერა-სოდეს შეძლებენ მის საიდუმლოებებში ჩაწვდომას“.

„ღვთაებრივს... ყველასთვის გასაგებს და მისაწვდომს ვერ გავხდით“, ფიქრობდნენ როგორც პლატონი, ისე შტაინერი (4, 63).

კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც ერთგვარი მისტიკური ცენტრი შექმნა ჩვენში, ასევე იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ „გონების ძალით“ შეუძლებელი იყო „უიდუმალესი საიდუმლოს“ წვდომა. მისთვის უცხო არ იყო სხეულისგან სულის გაყრა და სულის მოგზაურობა ასტრალურ სივრცეში (ტაბუ).

გრიგოლ რობაქიძის მიზანი იყო „სულის მისტიკური ნაპერნების ანთება“, „მისტიური წიაღსვლა“ (მცველნი გრაალისა). მწერალი ოკულტიზმით იყო გატაცებული და თავის შემოქმედებას უწოდებდა „მისტიკურ რეალიზმს“.

გალაკტიონი „იდუმალი ლოცვით“ „იდუმალი სერობის“ მონაწილე იყო, რომელიც ქრისტესავით უნდა ჯვარცმულიყო, რათა ცაზე პოეზის ახალი ვარსკვლავივით გაბრწყინებულიყო (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა, ვარსკვლავია).

პოეტების მეფე ნაზიარები იყო საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს, მისტერიებს (ჩემს გულში დაჰქრის 1950, უსიყვარულოდ), მას ხელენიფებოდა ცათა ცაში ნავარდი, ყვე-

ლა პოლუსის მოხილვა (ეს იყო ოქტომბრის დამლევს), სულში მზის მოთავსება, დიონისეს აჩრდილთან შეხვედრა, „ვარდის-ფერი საფეხურებით“ სვლა (მარმარილო), აკაკი წერეთლის ლანდის გამოხმობა მიღმური სამყაროდან (აკაკის ლანდი), მას მიაცილებდნენ სერაფიმები, ანგელოზები (მგლოვიარე სერა-ფიმები, ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი).

„იდუმალ ლოცვას“ აღავლენდა, „არაქაური სუნთქვა“ ეს-მოდა, ბიბლიურ მოსესავით „იდუმალებით სავსე ნისლში“ შეღ-წევას ცდილობდა, ხედავდა ანგელოზის „ციური იდუმალებით სავსე თვალებს“ (მშვიდობის წიგნი), სისხლით წერდა (ხელოვ-ნება), იყო „იდუმალი დომინო“, ქრისტეს მებალე (დომინო) (17, 103). „მე დავინახე მცურავი სული“ (გრიგალი), გვამცნობდა პოეტი. მისტერია, ცაში გაფრენილი სული იყო გალაკტიონის იდეალი: „როგორც რონინი საოცარი და მისტერია, სული გაფ-რენილს ედარება ფერად მიმინოს, დასტოვო მხარე, სადაც ყვე-ლა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს“ (ჩემს გულში დაპქრის) (რჩეული, 1977, გვ. 801).

ტერენტი გრანელს იზიდავდა „ცა უმაღლესი“, გრძნობდა „ცისფერ უსაზღვროებას“, „მარადისობის ცისფერ შუქს“, ხელე-ნიფებოდა ცაში გაფრენა, მარსის წიაღში გაქანება, იპყრობდა „ბუნების იდუმალი ძალა“, „იდუმალ მხარეების გრიგალი“, ხე-დავდა „იქაურ ბრწყინვალე ცას“, ელტვოდა „ცისფერ ღამეს“, ესმოდა „იდუმალ ძალთა შრიალი“, პოეზია მისთვის იყო „იდუმა-ლება, უსაზღვროება, მარადისობა... პოეტისთვის ლექსი „მის-ტერია და სასიკვდილო განცდა“ იყო (მთა ცისფერია) (17, 34).

„მემენტო მორის“ ავტორს სულის ხილვა დაპბედებოდა: „მე თითქოს ვუმზიერ და თითქოს ვხედავ შენს სულს ტანჯვის-გან გასპეტაკებულს“, მიმართავდა აკაკი ანდრიაშვილს.

ანა კალანდაძე ეძებდა „სულის ვანს“, „სულთ დასამკვიდ-რებ სადგურს“, „სოფლის საცდურს“, „მინიერ ბედნიერებას“ განრიდებულს, ევლინებოდა ზეციური ნათელი, მაღლდებოდა „ზეცის კარამდე“, ენატრებოდა „საუფლო შეყრა“, ზეცის „რჩე-ულთან“ შეხვედრა, „დაუშრეტელ ცეცხლთან“ ზიარება, (ნუ მი-

ახლოვდები) (18,41), ელტვოდა „უშორეს, შეუცნობელ, გრძნეულ და მისაან ცას“ (როდესაც კვნესის ბუკიოტი) (8, 107).

ნიკო სამადაშვილის პოეზიის არსებითი ნიშანია უხილავის, სხვათაგან შეუმჩნეველის ხილვა და უხმო ხმების მოსმენა. მისთვის მთავარია „ხილვა, ზარების სმენა და პოეზიის გადარჩენა“ (19,136).

„სამადაშვილის წარმოსახვებში გამონაგონი სახეების მძაფრ მისტერიებს უსიტყვოდ ახლავს ის სინამდვილე, რომელშიც პოეტმა თვითჩრეკისა და ტანჯვის გზით ჩაიხედა“, წერს თემო ჯაფარიძე (ღამისთვევის პოეზია) (19,534).

„სამყაროს უზარმაზარი სივრცეები... ქართლური განწყობილების შესაბამისად ფშვინავენ და ამ სივრცეებიდან ვიღაც „მისანი“ რომ ჩამოირჩენს ხოლმე დედამიწისკენ, ქართლი ლვთაებრივი მისტერიების ცენტრს ემსგავსება“ (19,541).

„აზრ-განცდის მისტერიები — ასე შეიძლება მისი მეტაფორების სახელდება“ (19, 554).

„ნიკო სამადაშვილი განუწყვეტლივ ფიქრობდა ქრისტიანული მისტერიით ინსპირირებულ მარადისობაზე“ (15,557).

ტაძრების წიაღში იშლება ხშირად პოეტის შინაგანი მეტაფორული მისტერიები“.

„ქრისტეს ცხოვრების მისტერია მის ლექსებში ჯერ კიდევ ხდება“.

„მძაფრი მისტერიების ფონზე ლვთისმშობლის ქოხში აკვნის გწევა ისმის და ისმის“, წერს თემო ჯაფარიძე (19,557).

ნიკო სამადაშვილის „უკანასკნელი ქრისტიანების“ და „ბეთანიის“ მიხედვით პოეტის „მისტიურ დამეზე“, „მისტიურ შუქში“ გახვეულ პეიზაჟებზე ამახვილებს ყურადღებას ზურაბ კიკნაძე (მუდამ სინათლისაკენ გამყივარი ძახილი).

„ეზოტერულ საიდუმლოებად“ მიაჩნია მეცნიერს ნიკო სამადაშვილის სტრიქონები. „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, თანზე გამონაყარი“ (20,4).

რევაზ სირაძის დაკვირვებით, ნიკო სამადაშვილის პოეზიაში, „სიტყვები კარგავენ მეტაფორულობას და მისტიკურ სა-

ხელდებად იქცევიან“ (მოპქონდა ჯვარი)“ (21,11).

ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, კერძოდ თბილისს, ნიკო სამადაშვილი ქურუმების სავანედ მიიჩნევდა: „ჩემ საქართველოს სიდიადეს რა შეედრება, ღვთისმშობლის დარად რომ უჭირავს ხელში თბილისი. აქ გაისმოდა ქურუმების მწველი ვედრება, ზარების ლხინი, ღმერთო ჩემო, რა სიხარულით“ (ჩემი თბილისი) (22,248-249).

პოეტის იდეალი იყო ასევე „ასურეთელი მოგვის დარი ფარეში“ (ჩემი გულთამხილავი) (24,243).

ნიკო სამადაშვილს ზედმინევნით გათავისებული ჰქონდა როგორც ქრისტიანობის, ისე პუდიზმის მთავარი პოსტულატები. თუ ის ადრე „საუკუნის ბედმიხდილი კათაკმეველი“ იყო, საბოლოოდ უყოყმანოდ ეზიარა „საუკუნეების მეხრის“ — მაცხოვრის მარადიულ მოძღვრებას.

ქვეყნიერებას ალიქვამდა, როგორც „კაკანათს“, ილუზიას და მარადიული ფასეულობებისკენ ისწრაფვოდა.

განასხვავებდა მიწიერ კოშკებს და მარადისობის კოშკებს (ორი ხელადა) (2,155).

„ლოცვებით მთვრალი“ პოეტი მაცხოვრის ნაფეხურების კვალდაკვალ ვიდოდა: „გინახავთ კაცი, ტაძრის ზღურბლით ლოცვებით მთვრალი, ყრმა მაცხოვარის ნაფეხურებს რომ გაჰყოლოდა?“ — აცხადებდა ჯვარცმული ღმერთის შეგონებების გამთავისებელი (ისე ვლოცულობ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს) (20, 140-141).

ნიკო სამადაშვილის სახელს უკავშირდება „ირეალური, იდუმალი სამყაროს გადარჩენა“ (როსტომ ჩხეიძე) (23,321).

პოეტმა „ქარაფ ქვესკნელში“ ჩაიხედა და ცდილობდა იქიდან „სინათლისკენ“ გაეკაფა გზა, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული (აღსარება) (20,18).

ათეიისტური საუკუნე, რომელსაც „ნადირს, ტიალს, მშიშარას, მაიმუნს“ უწოდებს პოეტი, კრძალავდა ბუდიზმს, საკიამუნის სიბრძნით გატაცებას, ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ შეცნობას: „... როგორა გტანჯეს, ღმერთო ჩე-

მო, რა უმოწყალოდ, რათ გიყვარდაო, გაგინებდნენ საკია-მუნი! რა ნადირია ეს ტიალი წუთისოფელი, რა მშიშარა, რა მაიმუნი! შენი ცხოვრება ზარატუსტრას ფერხული იყო, მუხლმოყრილ ცეცხლთან განწირული კაცის ვედრება... კარზე გენერა: ილოცებს დიდხანს, მაგრამ მაინც დაიღუპება, აქ დაიბადა, საიქიოში ძლიერ დაბერდება“ (20, 142).

ლექსის ადერსატია გამორჩეული მოაზროვნე, ნიცშეს მთარგმნელი, ბუდას, კრიშნას მოძღვრებების საიდუმლოებებში გარკვეული ერეკლე ტატიშვილი, რომელმაც საშინელი დევნა, პატიმრობა განიცადა ეპოქის ტირან ხელისუფალთაგან.

მაგრამ „სევდით ნაკურთხი ბედი“ მარადისობაში უმკვიდრებდა ადგილს პოეტის მოძღვარსა და მეგობარს (ერეკლე ტატიშვილს) (20, 126).

„რეკავ იდუმალ ზარებს“, მიმართავდა პოეტი უძვირფასეს პიროვნებას (სიზმრების ნალვერდალი. ერეკლე ტატიშვილს) (20, 102-103).

წამებით აღსრულებული ნიცშეს მთარგმნელის სამგლოვიარო პროცესიას თითქოს ცრემლმორეული მიჰყვებოდა საკია-მუნი: ...მიგასვენებდნენ შავბნელ გოდებით, ჩვენ წინ ცეკვავდა ჯანღი უკუნი, ხალხს კი ფეხდაფეხ ჩუმად მისდევდა ცრემლმორეული საკია-მუნი. გემდღურებოდნენ დალუპულ წუგეშს, სანათლების ალზე გადამწვარ მეკვლეს, ღმერთს ჩუმად ვთხოვდი, ნუ შემიშინებთ, ნუ დამიტანჯავთ ბატონ ერეკლეს“ (თებერვლის ამინდს ჩუმად ეღვიძა) (20,139).

ნიკო სამადაშვილი „ბუდას მეკვლეს“ უწოდებს თავის მეგობარს (ერეკლე ტატიშვილს) (20,126). ერთად ახსენებს ქრისტეს და ბუდა საკია მუნის ლოცვას: „ის კამკამებდა, ვით ქრისტეს ლოცვა, ბნელ გრიგალების კოშკების იქით, ისმოდა ცეკვა შეშლილ ქოშებით, ცას გასცექროდა საკია-მუნი. ხალხი ვიდოდა შავი დროშებით და ლაშვარდების იდგა გუგუნი... ისმოდა ცეკვა, საკია-მუნი მღეროდა ლოცვებს. იქ ბუდას მეკვლეს მზვარა მოჰყავდა უკუნეთიდან და უხაროდა ბატონ ერეკლეს“.

ლექსში „გასეირნება“ (20,261) ისევ ბუდა და ქრისტე არი-

ან პერსონაჟების ნუგეში: „...მე ქრისტე მწამდა, შენ ბუდას რჯული. სალამს გვაძლევდნენ დიდი ხები და მოგვყვებოდნენ უკან ჩურჩულით გაუთენარი ჩვენი დღეები“.

თითქოს „საკია-მუნის შეშლილი სტვენა“ ესმის პოეტს ლექსში „სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფურიძეს“ (20, 69-70).

„დაუსაბამობის ხილვაში“ (15,184) წარმავლობის უარმყოფელ, ასტრალურ სივრცეში მოგზაურ პოეტს მოწონების ნიშნად უქნევენ ხელებს ბუდა და ქრისტე.

მუდმივად „მარადისობის მღვიმეებს“ ასდევდა ნიკო სამა-დაშვილის ლექსის გმირი (სამხარზე) (20,33).

პოეტი „მარადისობის ბოს ზარებს“, „მარადისობის ზარების ტაშს“ აგებებდა მიწიერ იდეალებს განშორებულთ (მამადავითის მთაზე გაუხვევ) (20,237).

„მარადისობის ხშირ მარგილებთან“ ნათება დაჰპედებოდა მიწიერ ცხოვრებაში უპოვარს (20,260).

ქრისტეს, ბუდას ჰუმანური მორალის გათავისება ესახებ ბოდა ნიკო სამადაშვილს სულიერი განწმენდის, ამაღლების მთავარ გზად: „წამოვიხუროთ ერთი ფარავა, ისიც შევინდოთ, ვისაც ვაგინეთ. შენ ეყოლები ქრისტეს ფარებად და მე კი ბუდას მოვამაგირედ“ (გაჭვავება. ლექსო ივანიშვილს) (20,59).

ლოცვა და მისტერიებით თრობა, სულის სიწმინდის გადარჩენა ბუდასთან არის დაკავშირებული ლექსში „შეხვედრა. თამაზ ჩხერკელს“: „...ბუდას ლოცვებით ვინც გადარჩება, მისტერიებით ის დაითრობა“ (21, 122).

მისანს, მისტერიებთან ზიარებულს ხილულის, სამყაროს გაღმა არსებული საიდუმლოების წვდომის უნარი მომადლებოდა: „...სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც, ჩაფიქრებული, როგორც მისანი“ (დარდი ბუხართან) (22, 52).

სულის ცხოვრების გზად ისახებოდა „მთების ზვავივით ანთებული ლოცვები“ (22, 110-111).

არც გველით მისნობა, წარმართულ სიბრძნესთან ზიარება იყო პოეტისთვის უცხო: „მაღალ სიმშვიდეს ასე შეშლის გველით მისნობა“ (შეხვედრებიდან) (22,178).

თითქოს ასურეთელი მოგვი იყო გაბრძნობის ერთ-ერთი წყარო: „...ჩამოივლის ვიწრო დალმართებს ჩრდილთა ასურე-თელი მოგვის დარი ფარეში“, „კაცი მატიანე“ (ჩემი გულთამხი-ლავი) (20, 129).

„რეკავ იდუმალ ზარებს... შენ რომ მრევლი გყავს, ისე ამოდის, როგორც შერისხულ მლოცველთა გროვა, იწყება ჭმუნვა მორთხმულ მოგვების და შორიახლო ავდრების გლო-ვა“, მიმართავს პოეტი ერეკლე ტატიშვილს და აშკარაა, რომ არც მლოცველებს, არც ბრძენ მოგვებს არ სწყალობს დრო, ისინი ჭმუნავენ არსებულ ვითარებაზე, პოლიტიკურ ავდრებზე და მოგვების საშუალებით ეზიარებიან სხვათავის, გულით ბრმა და გონებადახშულთათვის მიუწვდომელ-შეუცნობელს (ერეკლე ტატიშვილს) (27,102-103).

მღვიმეებში უზენაესთან ვედრებისთვის შეყრილან, რეკა-ვენ „იდუმალ ზარებს“, „ალთქმულ ბილიკებს“ მიჰყვებიან და-ლადით, წმინდანების თანხლებით „გული და ჯანდების“ პერსო-ნაჟები (20, 70-71).

„მარადისობის მღვიმეებია“ მარადიულ ჭეშმარიტებებ-თან ნაზიარებთა სულის სადგური (სამხარზე) (20,33).

ღვთისმშობლის ხატთან მავედრებელი, მისნის მომლო-დინე დედა არის პერსონაჟი ლექსისა „ნახული“ (22,121).

„ანთებულ სანთლების წინ... მისნობა, ... „ლექსი, ცა და მა-რადისობაა“ პოეტის ხვედრი (ასეა მარად) (22,134).

„მისტერიები... ამორძალებად“ დაჲყვებიან პოეტს (საუ-კუნის ნახევარზე მეტი გავიდა) (22, 269).

არც სპირიტუალისტ ფლამარიონის ხსენებაა შემთხვევი-თი: „....ფლამარიონი როცა კვდებოდა, მიწაც გაქრება, ასე უთ-ქვია“ (შეხვედრები დღის ბოლოს ვასო მურვანიძე) (22, 123).

პოეტი „ქვესკნელს“ თვალს არ არიდებდა, მღვიმეში დაო-სებულიყო შემოქმედებით, თითქოს გამოქვაბულის, „მუნჯი მარადისობის“, „მარადისობის მღვიმეების“ მკვიდრი გამხდა-რიყო (საღამო და განწყობილება) (22,153).

მისტიური ჭეშმარიტების სიყვარული ვლინდება ნიკო სა-

მადაშვილის ლექსში „სიმღერები გამოქვაბულიდან“ . „...გარეთ ირმები წყაროს სკამენ თეთრი ბარძიმით“ (22, 195).

წყარო საღვთო სახელია. ღმერთი არის „წყარო ცხოვრებისა“ (ფს. 35,10).

ბარძიმი, „იგივე გრაალი, თასი, კოსმიური სიბრძნის, სულინმინდის, ღვთისმშობლის მეტაფორაა“ (5, 38).

„მარადისობის პაპანაქება“ უხმობდა მსოფლიო სიბრძნის გამთავისებელ ერეკლე ტატიშვილს (22,147).

ქაოსებში შუქი დაეძებდა პოეტს, გეთსრიმანის ფრინველები დასტირდნენ, ჯვარცმა ელოდებოდა, რაც აღდგომით უნდა დამთავრებულიყო (აღსარება) (22,67).

ესმოდა ღმერთის გაფრენის ხმა, ათასი წლების ზუზუნი, ლამის მაჯისცემა, ქვესკნელთ გალობა, ტყეში ვერხვების გვემა, „გუბე-გუბე განგების ჩრდილს“ ხედავდა (თამარის მღვიმე) (22,68), „უჟამო სივრცეს“ შეჰყურებდა (სინათლის მიმოქცევა) (22,241-249).

მისტერიებით განწმენდილს, სულიერი ხედვა, ნათელსმენის უნარი გამოარჩევდა, ზეციური ნათელი ემოსა, სასუფეველში დამკვიდრების რწმენა მხნევებდა (სასუფეველში რეკლენენ დიდ ზარებს) (22,187), ეს ღმერთის მოვლინების იმედი ასულდებულებდა (ფიქრების იქით) (22,108).

ინდური ფილოსოფიის მიხედვით, „სიცოცხლეს მისტიკური ძალები გააჩნია. უფლის მისტიკური ძალის აღიარებამდე, სიცოცხლის წარმოშობის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია. სასიცოცხლო ძალას მისტიკური ენერგია აქვს... ღმერთს დიდი მისტიკური პოტენცია აქვს... ცოცხალ არსებაში ბევრი მისტიკური ძალაა... მისტიკური ძალის რეზერვუარი ღმერთია“ (24,58,59,61,135).

დამოწმებანი

1. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ. 1994
2. რუდოლფ შტაინერი, ანთროპოსოფია და ქრისტიანობა, გერმანულიდან თარგმნა ნოდარ ბელქანიამ, „აწმყო“, თბ. 2002
3. ოტო ფრენკლ-ლუნდბორგი, რა არის ანთროპოსოფია, თბ. 1995
4. რუდოლფ შტაინერი, ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები, თარგმნა მიხეილ ნიშნიანიძემ, „პითაგორა“. თბ. 1994
5. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, წერილები, ესეები, „ხელოვნება“, თბ. 1991
6. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელები ლ. ბაბლუანი, ლ. მესხია, „კოგიტო“, თბ. 2014
7. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970წ. „პითაგორა“, თბ. 1996
8. ელენე ბლავატსკაია, მდუმარების ხმა, წიგნი თარგმნა და გამოცემისთვის მოამზადა თ. თავაძემ, თბ. 2011
9. ნეტარი ავგუსტინე, „ალსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
10. იოჰან ვოლფანგ გოეთე, ლექსები, თარგმნილი ხარიტონ ვარდაშვილის მიერ, „საბჭოთა მწერალი“, თბ. 1952
11. რაბინდრანათ თაგორი, გიტანჯალი, ინდური ლოტოსი, თარგმნა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თამაზ ჩხერიძემა, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2006
12. კონსტანტინე გამსახურდია, გოეთე თუ მისტიკოსი, უ.

„ილიონი“, 1922წ. №1

13. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
14. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
15. კონსტანტინე გამსახურდია, დავით ალმაშენებელი, „პალიტრა L“. თბ. 2011
16. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „განათლება“, თბ. 1989
17. ტერენტი გრანელი ორ ტომად, ტ. I, „ქართული თეატრი“, თბ. 1991
18. ანა კალანდაძე, ლექსები, „მერანი“, თბ. 1982
19. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004
20. ნიკო სამადაშვილი, წუთისოფლიდან უკვდავებამდე, „ნაკადული“, თბ. 1989
21. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006
22. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ. 2010
23. როსტომ ჩხეიძე, ესე იტყოდა ერეკლე ტატიშვილი, „ჩვენი მწერლობა“, თბ. 2018
24. სიცოცხლე მოდის სიცოცხლისაგან, მისი ღვთაებრივი მოწყალება ა. ჩ. ბჟაკტივედანტა სვამი პრაბჟუპადა, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი აჩარია, თბ. 1990

თავი III

ფილოსოფიური ლირიკის ზოგიერთი პროცესი

პედისცერის რუპა

ბედისწერის საკითხი კაცობრიობის მარადიულ პრობლემას განეკუთვნება.

„თვით ადამიანის მომზადებული ბედისწერის ღვთაებრივი აღსრულება, — აი, სამყაროული სამართლიანობის ჭეშმარიტი ხატი. ეს არის პასუხი კითხვაზეც, ვინ გვიგზავნის ჩვენ, ადამიანებს ბედისწერას?“

„ღვთიური ძალები შემდგომი გარდასხეულებისას ისეთ გარემოში გვაგზავნიან, რომელიც ჩვენს ბედისწერას შეესაბამება“. .

„ჩვენ შეგვიძლია გარდასული ბედისწერა გამოვასწოროთ და ასევე შესაძლოა ადრინდელ გართულებებს დავამატოთ ახალი, რომელიც მომავალზე იქონიებს გავლენას“. .

„ცხოვრებას ქმნის არა მარტო წარსულის წინასწარგან-საზღვრულობა, არამედ ახალი წამოწყებები, რომლებსაც მომავალში ჯერ კიდევ მოუწევთ ბედისწერის აგება“, წერს შტაინერი (1,30,31).

ნიკო სამადაშვილი ერთდროულად ცხოვრობდა ორ განზომილებაში, როგორც მინაზე, ისე ზეცაში, ხედავდა წარმავლობას და მარადისობას, მოკვდავთა ფუჭ გნიასს, ქვეყნის მეუფედ მოვლენილ მტარვალ ბედის მჭედლებს და უზენაესისგან ხელდასხმულ ბედის მწერლებს. ესმოდა „კეთილი ბედის კრიახი“ და თვითმარქვია ბედის მწერლების გნიასი... განასხვავებდა ამქვეყნიურთა „ბეც თვალებს“ და დაუსაბამობის ხილვით მომადლებულთა მზერას.

პოეტის თანამედროვე ეპოქაში ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების ბედი „დაბუხული წონების“ მიერ შექმნილი „ბედისწერის რუკაზე“ განისაზღვრებოდა: „დაბუხულ წონებს ბედის-

წერის რუქა ეჭირათ. სიცოცხლე სჩანდა, როგორც მკვდარი ნა-ქალაქევი. იქ სიყმაწვილე ბნელ დარდებში კვლავ ჭრიალებდა და შენს ცხედართან გაცრეცილი იდგნენ ქარები. ბეც თვალე-ბიდან შავი კვამლი ამოგდიოდა“ (სმენა) (2,85).

პოეტი ღრმად იცქირებოდა „ბედის ფარდებში“, მაგრამ ვერ იცილებდა „ჭმუნვის ბებერას“, რადგან ის ბედნიერება, რაც მისაწვდომი იყო მავანთათვის, შორს იყო უზენაესი გზისგან: „საოცარ ღამეს, უცნაურ ღამეს მიყვარდა მუდამ სითბო დარდების, ყველა ნაცნობთა გამოტოვება და ბედის ჭირხლში ცქერა ფარდების. დგახარ, წარსული შენზედ პაექ-რობს, გულზე ამოგდის ჭმუნვის ბებერა, შენ ის კაცი ხარ, ვი-საც არ ეყო გზებმიუვალი ბედნიერება“.

ჭეშმარიტი გზების გაგნების მოსურნე პოეტს აწამებდა საწუთოს ქარი, სიბნელე, დასაბამის დაფარულობა და „ბე-დით გაოგნებული“ წუხდა: „მახსოვს ძახილი, გზების ყვირი-ლი, სად მიხვალ, სადა, შეინთე კვარი, მე მივდიოდი გულშე-მოყრილი და ქადაგივით ყვიროდა ქარი. ცის გუმბათებზე ქა-რებს სციოდათ და დასაბამი ღრუბლებს ეფარა. რა იქნებო-და, გზა რომ გამეგნო, მიწაზე მაინც აენთოთ კვარი. მე ვიყავ ბედით გაოგნებული და ძვლებში მწარედ მივლიდა ქარი“ (ორნი) (2,82).

ტოტალიტარულ ეპოქას არ სჭირდებოდა ნიჭით მო-მადლებული სიმართლის მსახურები და „ბედის ნაბიჭვრად“ მოიხსენებდა ჭეშმარიტების ერთგულთ.

მხოლოდ ნისლი, ღრუბლიანი ღამე, მეგობრის გული იყო „ბედის ნაბიჭვრის“ თანამგრძნობელი: „ვინ დაგვინანებს, მხოლოდ ნისლი დაგვაყრის ნაღველს. როგორ ვუყვარდით, მეგობარო, ღრუბლნარა ღამეს! როგორა გრძნობდა ჩემი გუ-ლი ბედის ნაბიჭვარს“ (გული და ჯანლები) (2, 137).

„სისხლიანი დინგების“ პატრონი „ნადირები“ მოვლენი-ლიყვნენ ნიჭიერთა მსაჯულებად, ბოდვას უწოდებდნენ „ლექ-სის ბაჯალლოს“, პოეტს-„ბედის ურგებს“: „გეყოფა ბოდვა, ბე-დის ურგებო, ბუხარს ფუტურო ძვლებს ნუ უკეთებ. აღზევანს

კიდევ წავლენ ურმები და მოიტანენ ნადავლს უკეთესს. რა ჭირათ უნდათ ლექსის ბაჯაღლო ან მლვიმების სანთლების მნუხრი... რა კარგს ჩაიდენ, თუ ამ ნაჯღაბნებს მშიერ ქარბუქებს გზად გადაუყრი. ამოუსვრიათ სისხლში დინგები, ნადირებივით შეჭამენ ლექსებს“ (კამარების შეჭმუხვნვა) (2, 31-32).

უმაღლესი იდეალების გაუფასურების ეპოქაში საჭირო იყო შემოქმედი დროს, სიტუაციას მორგებოდა, პოზიცია შეეცვალა ზემდგომთა საამებლად: „...კარა, შესდექი, მოეშვი წერას... ხმაც შეიცვალე, სახის იერიც, რა მიქარვაა ეს ბედის-წერა, იქნები ვირი თუ მეცნიერი?“ (უჯიშო ხიდან გამოთლილი ხარ) (2,31).

მაგრამ პოეტის „ბედურგებად“ გამომცხადებლები ვერ ამჩნევდნენ მისი ბედით მომადლებული ნიჭის აყვავებას და სულის ყვავილებს ძეძვებს ახვედრებდნენ გზებზე: „...იმ ხეხილებზე ყვაოდა ბედი, ბედი, რომელიც ჩანიხლეს გზებზე. ვიყავი მუდამ მგოსანი ყბედი და ვაწყდებოდი სულ მუდამ ძეძვებს... შენი ბრალია, შენ ჩააფლავე შენი ცხოვრება, შენ ბედურგებო“ (იმ ხეხილებზე ყვაოდა ბედი) (2,42).

ბედმა ტირილი, ტანჯვა დაანათლა პოეტს, წვიმის გუბე მიუჩინა წვალებისთვის, ბედისგან მხოლოდ ქარბუქს მოელოდა: „.... ქართა სიჩუმე, ცუდი ჟამია, რაღაც ქარბუქებს აპირებს ბედი“ (ქართა სიჩუმე, ბუჩქების ჩრდილი) (2,29).

დრო იყო მისი „მუხთალი ბედი“ (წავლენ დღეები, 1,22).

სევდით იყო ნაკურთხი ნიჭიერთა ბედი: „ქრებოდა ბედი, ნაკურთხი სევდით“ (ერეკლე ტატიშვილს) (2,77).

„მუხთალ“ ეპოქაში იკარგებოდა „ბედის მშვენება“ და „უბედური“ პოეტი „ხნის გზას ეძებდა (წვიმა) (2,24).

ზეციურ შუქთან წილნაყარს, ფანჯრის შუქიც აღარ უნდოდა (ელდა) (3,48).

„ამღვრეული“ იყო „ბედის ჭაშნიკი“ (გარეთ) (3,13).

ანამებდა „უკმეხი“ ბედი (დაუმთავრებელი ბარათი) (3,32).

„ბედდაუნდობელ“, „ბედით გაოგნებულ“ პოეტს ქარი

ემტერებოდა (ალიონამდე) (2,29), „ბედი ხერხავდა, ვით ბირ-დაბირი“.

„ლოცვით მთვრალი“, ბედისაგან გარიყული, ღვინოს ეძალებოდა, გუბეში, ჭოჭში ბეღურები აღვიძებდნენ: „...მე კი ხვალ ლამით ჩავუხვევ სარდაფს, მთვრალს ბედთან რაღას დამაღვიძლებენ, ჩამეძინება და ჭოჭში სადღაც კვლავ ბეღუ-რები გამაღვიძებენ“ (ხვალ) (4,175).

ლოცვებიც ვერ შველოდა ბედის მიერ აბუჩად აგდე-ბულს და მხოლოდ ჭკუაზე შერყევა ესახებოდა ბედნიერე-ბად, (ის ისვენებდა ხშირად ამ სახლთან) (4,16).

„ბედის ურჩი“ დროს ბოგანოდ ექცია (დაუკარ, ჩემო მე-მუსიკევ) (1,74), „ბედურგები, შმაგი, ლაგლაგა“ ენოდებინა (თეთრი ვარდები ამოგიტანე) (1,155).

„ბედგაძარცული“, „სისხლის ენდროში“ ამოვლებული, ნი-ჭიერებით გამორჩეული ლექსების ავტორი ამხელდა მსოფლი-ოს აზრის დაბინდებას, ქვეყანაში ბაყლების ზეობას: „ჩემი ლექსები ხეზე შეფრინდნენ, მათი ჟივილი სადღა არ ყრია, მთე-ლი მსოფლიო მართლაც ბინდდება, ქვეყანა მხოლოდ ბაყლებს უპყრიათ“ (გადამეყვლითა გული დარდებით) (2,157).

უზენაესის ბედისწერას „ლექსის ბაჯაღლო“, ბახტრიო-ნივით, გადამაყარივით მაღალი ოცნება მიემადლებინა, მედ-როვენი კი, თავიანთი მოკლე ჭკუით, ამა ქვეყნის თავადთა მორჩილებას, ტირანთათვის ხოტბის აღვლენას ურჩევდნენ, პოეტი კი რჩებოდა „ბოგანო“, მაგრამ „ბედის ურჩი“ (დაუ-კარ, ჩემო მემუსიკევ) (2,75).

ნიკო სამადაშვილი იყო ავტედითი დროის გაბედული მამხილებელი, „შერისხულ მლოცველთა“, „ბედგაძარცულ ძმათა ბანაკის“ ღირსეული წევრი, რომელმაც შექმნა განუ-მეორებელი „შერისხული ბედის სიმღერა“ (მე ვიცი) (2,231).

ეამაყებოდა „შუბლმაღალი ხეთების“ მსგავს მოგვებ-თან სიახლოვე (ერეკლე ტატიშვილს) (1,269).

გულგრილი იყო მედროვეთა მიწიერი იდეალებისადმი, ფუჭი, წარმავალი ფასეულობისადმი, უომპრომისო პოეტი

ამხელდა ვრცელ და ფუტურო ქვეყნიერებას“: „...შენ კი იდე-
ქი მანდ გლახასავით, უცქირე ხალხის ბედნიერებას და უკა-
კუნე კოდალასავით ვრცელ და ფუტურო ქვეყნიერებას“ (პა-
სუხი) (2,154).

პოეტს მტარვალთაგან, მიწიერთაგან განსხვავებული
კრიტერიუმები ჰქონდა, ბედნიერების, პირადი კეთილდღეობის
საფასურში ვერ იგუებდა მონობას, სულის გაყიდვას, სიმარ-
თლის ღალატს და აცხადებდა: „...ხასად არ მსურდა რომ ვყო-
ლოდი ბედნიერებას“ (სიმღერები გამოქვაბულიდან) (2,28).

სინდისი იყო პოეტის წინამძღვარი: „...ერთ ბლუჯა სინ-
დისს წავიღებდით ბედის ლელოდან“ (მუხლდაქანცული მივ-
ყვებოდი ყაყანა ქუჩებს) (2,128-129).

სულიერი მკათათვე, არა წუთისოფლის, არამედ მარა-
დიულის მსახურება, ახალი იდეალების მეკვლეობა იქცეოდა
იმის საწინდრად, რომ „ბედის აღვირი“ ხელში აეღო ჭეშმა-
რიტ მოაზროვნეს, ხელოვანს, მოღვაწეს: „პირში შეგვრჩება
ბედის აღვირი და ნისლებს შორის ჩაგვძინებია. შენს ნაფეხუ-
რებს იპოვის ქარი, როგორა ჰგავდი მწუხრის მდევარი ქარ-
თლის მიწებში დამწვარ მკათათვეს. მარადისობის პაპანაქე-
ბა შენ მოგიხმობდა უცნაურ მეკვლეს, წუთისოფელი როცა
გაქრება, ვიღაც გიპოვის ბატონ ერეკლეს“ (ერეკლე ტატიშ-
ვილს) (2,17).

მტაცებელთა, ყორნების, ჭოტების, ყვავების გარემოც-
ვაში მოხვედრილი კენჭებს, ხეებს, ჩიტებს ემუსაითებოდა,
მისი ბედი ჰგავდა“ გზად მოკლულ ქედანს“ (გაყრა) (4,91).

„ლოცვებით მთვრალ“ პოეტს ბედის უკუღმართობა აი-
ძულებდა სასმელით გაექარვებინა დარდები, თრობას მისძა-
ლებოდა, რაც უზენაესი ბედისწერის მოწოდებას აშორებდა:
„... მთვრალს ბედთან რაღას დამაღვიძლებენ“ (ხვალ) (1,167).

„ბედი წაეღოთ სადღაც, ჯანდაბას“ (დაბრუნება) (4,35).

„ბედი ხერხავდა, ვით პირდაბისი“ (თამაზი) (3,65).

„უდაბნოს და გრიგალს“ დასჭიდა ბედისწერამ (შიმში-
ლი) (9,27-28), „ცუდ უამში“ „ქარბუქს“ უმზადებდა ბედი (ქარ-
ლი)

თა სიჩუმე, ბუჩქების ჩრდილი) (2,29).

უპოვარი პოეტისთვის ბედს უხვად დაებერტყა ნიჭი, რაც მიღწეულით დაკმაყოფილების, დამშვიდების, მოღუნების უფლებას არ აძლევდა: „ბედის სიუხვე რას დამამშვიდებს, ვინ დამაოკებს ფიქრებით მდიდარს, სად, ვინ იხილავს ჩემს პანაშვიდებს“? (ადევნება) (2,57).

„როგორ მიწყნარდა უუუნი ბედის“, ჩივის პოეტი ლექ-სში „გამახსენდა“ (3,140).

სხვაგან „შრიალებს ბედი, ბედი მწარე და სასაცილო“ (სძინავთ ჩიორებს) (3,82).

მერე „განგების ჩრდილი“ დალანდა (თამარის მღვიმე) (3,196).

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებას გასდევს დედის და ბედისწერის რწმენა (ნაფოტები) (2, 53-54).

პოეტი იყო „...საუკუნის ბედმიხდილი კათაკმეველი“ (საყვედურებით ნუ ამავსე) (2,232), მაგრამ საბოლოოდ ჭეშ-მარიტ რწმენას ნაზიარები.

ბედისგან ნიჭით მომადლებული, სწორ გზას ირჩევდა, ქარბუქშიც სიცოცხლის აზრს ეძებდა: „...რომელ გზაზე მი-ვუშვა ბედი, იქნებ ქარბუქში შემერიოს სიცოცხლის აზრი“ (გათხრები) (3,85).

გალაკტიონმა შექმნა „სიყვარულის სიმღერა“ (ილიას მოტივი) (5,425). სიყვარული საღმრთო სახელია. ნიკო სამა-დაშვილთან ყურადღებას იქცევს „ყვავილების სიმღერა“, ნაძვების ნუგეში.

„ბედდახურულ“ ნიკო სამადაშვილს ასულდგმულებდა მთვარე (საღვთისმშობლო სახელია), ნაძვები, ყვავილები, ნუგეში, შადრევნის სიმღერა (საღვთო სახელებია), ანუ ქრის-ტიანული რწმენა, უმაღლესი სამართლიანობის იდეა: „ბედ-დახურული დადიხარ მუდამ, მთვარის კრიალი გიდევს უბე-ში, ნაძვებთან გინდა იდგე სულ მუდამ და მსხმოიარე ნახო ნუგეში. შენ ყვავილების სიმღერით სუნთქავ და ნაძვებისგან გინდა ნუგეში“ (ხანდახან გხედავ) (2,183).

„საკუთარ ბედის ხატთან“ დაცემული პოეტისთვის კია-ფობდა „მთვარის ბულული“, „შუქი“ დაეძებდა (ქაოსებს შორის) (1,263). „შუქი“ საღვთო სახელია: „... უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი — ვის შევუშინდე?“ (ფს. 26/27,1) (6,547).

მთვარე საღვთისმშობლო სახელია.

პოეტისთვის რწმენა გახდა მთავარი წინამძღვარი, საკუთარი მოწოდების შეცნობამ გაიყვანა დიდ გზაზე და დაა-მარცხებინა ყოველგვარი წინააღმდეგობა.

გადაიყრებოდა ბედის ღრუბელი, პოეტის სიტყვის „შლე-გი ქარბუქი“ გახმიანდებოდა სივრცეებში, სიკვდილის შემდე-გაც მარადიულად იხმიანებდა მისი სიტყვის სამრეკლო — ასე-თი რწმენით ტოვებდა ქვეყნიერებას ნიკო სამადაშვილი: „ბე-დის ღრუბელი ბინდის იქით ყრუთ იფლობოდა, შლეგი ქარბუქი გავეშებულ სივრცეებს დრეკადა. ჩრდილი და დედა მოდიოდნენ სასაფლაოდან, გაოგნებული სამრეკლო კი რეკადა და რეკადა“ (დამასაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს) (2,15).

სხვაგანაც გარდაცვლილი ხელოვანის, პოეტის ჰაერში გახმიანებული სიტყვებია სანდო და მარადიული: „...ცხედარი ქარში სიტყვას ამბობდა და ყვავილები მიჰქონდათ ქარებს“...

საბოლოოდ, „ბედგაცრეცილი ძმათა ბანაკის“ წევრი პოეტი აამაღლა ბედმა (თამარის მღვიმე).

მომავალში „ვერაგი ბედის“ ნიჩბების გადაყრა, საკუთა-რი „ფიქრების წარლვნის „შემჩნევა, მისი აზრების სიდიადის დანახვა ეიმედებოდა პოეტს: „გადაყრილ ნიჩბებს ატივტი-ვებს ბედი ვერაგი, თვალი ვერ მოჰკრეს, ისე შეწყდა ფიქრე-ბის წარლვნა და ტალღებიდან აქოჩრილი ქარის პერანგი... ვიღაც მომნახავს, ჩემი ცოდვით ჩაიფერფლება“ (სიმღერები გამოქვაბულიდან).

რუდოლფ შტაინერი წერდა: „ბედი შედგება ორი ფაქტიუ-რი წარმონაქმნისგან, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაში მთლიანად შეეზრდებიან ერთმანეთს. ერთი გამომდინარეობს სამშვინველის შიგნიდან გარეთ მიმართული მისწრაფებიდან, მეორე მიუდგება ადამიანს გარესამყაროდან“ (7, 180).

ნიკო სამადაშვილსაც ორგვარი ბედი ერგო: ერთი უზენაესისგან, რომელიც პოეზიის აღმართებისკენ უჩვენებდა გზას, ხოლო მეორე — მედროვე, ავანტურისტი, ქვეყნის სათავეში მოქცეული არაადამიანებისგან, რომლებიც თავიანთ თავს უფლებას აძლევდნენ, განესაზღვრათ, თავიანთვის სასურველ კალაპოტში მოექციათ უფლისგან ხელდასხმულ უნიჭიერეს შემოქმედთა გზა.

„მე ვხედავდი არა მარტო ფაქტებს, არამედ ბედის (კარმის) მიერ განსაზღვრულ მოვლენებს“, გვამცნობს ანთროპოსოფიის ფუძემდებელი (7,333).

„სულიირი თვალით“ მომადლებული შტაინერი ხაზს უსვამს, რომ მას ხელენიფებოდა არა მხოლოდ ფაქტების, არამედ ბედის (კარმის) მიერ განსაზღვრული მოვლენების, ასევე, „ნიცქეს სულიირი აგებულების ჭვრეტა“ (7,253). შტაინერი განმარტავდა: „წარსულის განცდები იქცევა მომავლის ბედისწერად: რასაც მე დღეს განვიცდი, ამას თავისი მიზეზები აქვს წინა ცხოვრებიდან და რასაც დღეს ვაკეთებ, ის ქმნის ბედისწერას შემდგომი ცხოვრებისთვის. ადამიანმა თავისი ბედისწერა წინა ცხოვრებაში მოამზადა.“

„თუ ჩემი ბედისწერა თავად დამიმსახურებია, მაშინ უნდა გამამხნევოს იმან, რომ ჩემი ბედისწერის გამოსწორება თავად შემიძლია“ (8,61).

„...ყოველი ახალი წამოწყება ცვლის ბალანსს და ყოველი ახალი ქმედება ცვლის ბედისწერას... არაფერი უშლის ხელს, ახალი ფურცელი შეიტანო სიცოცხლის წიგნში.“

კარმის კანონი ნების თავისუფლებას არ ზღუდავს“ (8, 63).

პირადი ბედნიერებისგან შორს მყოფი, გზადმოკლულ ქედანს იყო დამსგავსებული ნიკო სამადაშვილი. მისი ბედი იყო „განუკითხავი“, ღრუბლით დაჩრდილული, ქარბუქით გამწარებული, „უკმეხი“.

მაგრამ უკეთურთაგან მოუთვინიერებელი, ბორკილებასნილი პოეტის ნუგეში იყო, „ბედის მშვენება“, „ბედის სი-

უხვე“, სულინმინდისაგან მომადლებული დიდი ნიჭი, რო-
მელმაც შეაქმნევინა „ფიქრების დიდი ხმელეთი“, მარადიუ-
ლი შემოქმედება, დიდმა ძალისხმევამ „ბედის აღვირი“ თვი-
თონ პოეტს ააღებინა ხელში, რათა მარადისობაში ეპოვა სა-
მუდამო ადგილი.

ქართველი პოეტის „შერისხული ბედის სიმღერა“ ზო-
გადსაკაცობრიო პრობლემების ძალზე ორიგინალური გააზ-
რება-ხორცშესხმაა.

ნიკო სამადაშვილი ეურჩებოდა თავისი თანამედროვე
ათეიისტური ეპოქის ბედის მჯედლებს, ის უზენაესისგან და-
წერილი ბედის ერთგული რჩებოდა, ხედავდა თავისი ბედის-
წერის ზეციურ მეუფეს, თავის ჩაუმქრალ ბედს (სტვენა თბი-
ლისში) (1,161), ესმოდა როგორც „მწარე და სასაცილო ბედის
„შრიალი“, ისე „კეთილი ბედის კრიახი“ (გაგელვიძება დატან-
ჯულ პოეტს) (1,154), უსმენდა „განგებას“.

„ბედმოკრძალებათ“ დალუპული პოეტს (მოგონება და
სინანული) (1,109), ხელენიფებოდა „ბედის ფარდის“ გადაწე-
ვა (ორნი) ხედავდა მარადისობის ვარსკვლავებს. „...და კია-
ფობდნენ შორს ვარსკვლავები, მარადისობის ჭუჭრუტანები“
(მოსწყდა) (1,158).

ნიკო სამადაშვილმა ბედთან შეჭიდებით, ბედს იქით
სწრაფვით შორს გასწია ადამიანთათვის დაწესებული საზ-
ღვრები და ბედის რჩეულთა თანავარსკვლავედში ჩაწერა
თავისი სახელი.

დამოწმებანი

1. ოტო ფრენკლი ლუნდბორგი, რა არის ანთროპოსოფია, თბ. 1995
2. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, „ლიტერატურის მატიანე“, შპს „ფორმა“, თბ. 2004
3. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006
4. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ. 2010
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 2 წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
7. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიას თარგმანი, „პითაგორა“, თბ. 1994
8. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭეს-თან, მთარგმნელები ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასო-ციაცია „კოგიტო“, თბ. 2014

ჟურნალის და მარადისობა

სოფელი და ზესთასოფელი, წარმავლობა და მარადიულობა, მიწა და ზეცა, სული და სხეული, მათი ურთიერმიმართება ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა რელიგიაში, ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, საერთოდ, ხელოვნების ყველა დარგში.

წარმავლობას ებრძვის და მარადისობას ელტვის ყოველი დიდი მოაზროვნე.

ნიკო სამადაშვილი მუდმივად უპირისპირებს ამ ორ საწყისს, ყოველთვის გმობს მიწას, წარმავლობას და მარადიულისკენ ისწრაფვის.

პოეტის შემოქმედებაში „თვალში საცემია მარადიულობის და წარმავლობის განხეთქილების პრობლემა, ანუხებს ყოფიერების აბსურდულობას შეგნება და მარადიულის მოძიების ვნება“ (თემო ჯაფარიძე 1,553,579).

ქართველი პოეტი იცნობდა იდეალიზმს, ქრისტიანულ რელიგიას, ჩინურ და ინდურ ფილოსოფიას, ბუდიზმს, რომელ-თაც ბევრი რამ აქვს საერთო დასავლურ აზროვნებასთან.

აღნიშნულია, რომ ხდებოდა „წარმართული და ინდური რელიგიურ-მითოლოგიური და მისტიკური წარმოდგენების გაერთება, დასავლური და აღმოსავლური სიბრძნის შერწყმა“ (2,112).

მიუთითებენ მსგავსებაზე ინდურ მისტიციზმსა და დაოსიზმს შორის (2,113).

„ბუდიზმის აღმოცენებას წინ უძლოდა ვედებისა და უპანაშიდების უზარმაზარი სამყარო. ჩინეთში ბუდიზმი გავრცელდა I-II საუკუნეებში (2,135).

„ბუდისტების, დაოსელების აღთქმები“ და მცნებები... პირდაპირ ემთხვევა ქრისტიანულ ათ მცნებას. ბუდიზმიც თანამოძმისადმი სიყვარულს და თანაგრძნობას, დამთმენლობას ქადაგებს, სიძულვილს სიყვარული უნდა მივაგოთ, ცხოვრება სიკეთითა და თანაგრძნობით უნდა ავასოთ“ (2,13).

მათი საერთო მახასიათებელია „დინების წინააღმდეგ

სვლა“ (2,139).

ლევ ტოლსტოი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ნათესაურ კავშირს, რაც მართლაც არსებობს ლაო-ძის მოძღვრებასა და ქრისტიანულ რელიგიას შორის.

ლაო-ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მრავალშამიერია ის, ვინც გადიადდა, ვინც წარუგალში გარდაიცვალა, ანუ გა-უკვდავდა“ (2,163).

„ყოვლადბრძენი კი ნიადაგ მწუხრს გარემოუცავს“ (2,123).

„ეს დედამიწა სევდის სრა-სასახლეა, ყოველ ნაბიჯზე ხიბლია, რათა შენი „მე“ დაიჭროს იმ ხიბლით, რომელსაც უდიდესი ერესი ჰქვია“, გვმოძღვრავს ელენე ბლავატსკაია (მდუმარების ხმა) (...3,61).

„ბჟაგავად-გიტას“ მიხედვით, „ეს ქვეყანა „ჭირთა წარ-მავალი საუფლოა“ (4,60), „წარმავალი და უსიხარულოა სა-წუთორო“ (4,67), მიზანი კი სიბრძნესთან ზიარებაა. „იქვე დაა-მარცხა წუთისოფელი იმან, ვისი გულიც შეუძვრელია“ (4,45).

ნიკო სამადაშვილის ფიქრი მიწას, წარმავლობას უარ-ყოფს და წუთისოფლის გაღმა სამყაროს უახლოვდება, მისი „მგზავრის ფარანი“ ერთდროულად მიენათება მარადისობას და „წარმავლობის ოხერ მარანს“ (სტრიქონების ქარაფი. ცი-ალა თოფურიძეს) (1,170).

შიშს იწვევს წუთისოფლის გრიგალები, ხედავს „მარა-დისობის ჩუმ უდაბნოს“ (ფილტვების სიყვითლე) (5,33).

პოეტი გულგრილად უმზერს „ხალხის წარმავალ ბედნი-ერებას“, არ სურს კოდალასავით უკაკუნებდეს „ვრცელ და ფუტურო ქვეყნიერებას“ (პასუხი) (1,50).

მიწიერი „სამყარო სისხლშია გასვრილი“, „სხეულში ჭი-რად გასჩენია ჭია და სრვილი“ (სამხარზე) (1,33).

„სიცოცხლე ... მკვდარ ნაქალაქევს“ დამგვანებია (სმე-ნა) (1,85).

მიწიერება, „სიცოცხლე ჩალის ფასია“, ადამიანი მტვე-რია, ამიტომ ეძებს მისი ლირიკის პერსონაჟი მარადიულ ბი-

ნას-„მარადისობას“ (საღამო და განწყობილება) (1,33).

ურწმუნო ეპოქაში ზეცა „პატარავდებოდა, პოეტი ქვეს-კნელს ხედავდა და სიცოცხლიდან „ვარსკვლავებს გაღმა“ გაფრენა ენატრებოდა (უკუღმართობა) (1,99).

„ქვასავით იდგა საწუთრო, „ცა... გადანგრეული იყო, დედამიწა — მთვარეული“ (იცხოვრა, მაგრამ) (6,137).

საწუთრო დაპირისპირებული იყო ცასთან: „საწუთროს ქარმა განათებული ცა გადაგლიჯა“ (წაშლილი კვალი) (6,141).

პოეტს მიწა ესახება, როგორც „ჯვარცმის შავი დედანი“, სადაც ფასობს არა „მარადისობის კოშკები“, არამედ „ქვეყნიერების კოშკები“ (ორი ხელად ჩამოგვისხეს) (6,155).

კოშკი უზენაესის სიმბოლოა: „უფალო, ძლიერი კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი“ (ფს. 60,4) (7,584).

ლექსის „ქვეყნიერების კოშკები“ წარმავლობის, მიწიერების სიმბოლოა.

მიწის შვილი დალუპვას მიელოდა: „დავილუპები, ამოსული მიწის ქერქიდან“ (1,219).

დედამიწა „ხალხთა უდაბნოა“ (დაითენთა) (1,58).

უდაბნო ურწმუნეობის სიმბოლოა.

სიცოცხლე „მკვდარ ნაქალაქევს“ დამსგავსებია (სმენა) (1,85).

სიცოცხლე საღვთო სახელია: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე) (14,6). (7,211).

მიწაზე ღმერთიც ჯვარცმულია, ლაჟვარდი, ცა იავარ-ქმნილი: „ხვალ ლაჟვარდები ტყეში ჩამოვლენ, ჩამოიტანენ ღმერთს მიცვალებულს“ (აღთქმა) (1,240).

ირგვლივ ისმოდა „წარმავლობის მძლე ქოქოლა“ (შეხვედრები სამხარზე) (1,76), „დასაბამი ლრუბლებს ეფარა“, ანუ შეუცნობელი იყო (ალიონამდე) (1,90).

„ყბედ საწუთროში“ „ბნელი ქარები“ მძლავრობდა, „უსაზღვროება ჩრდილთა ნარევს“ ემსგავსებოდა (წყალთან განდობა) (1,251).

„საწუთრო გულქვაა“, „დედამინა უჟმური“, „გულცივია ვრცელი ქვეყანა“, „სიღამპლის სენი“ შეპყრია ყველას (უკუღმართობა) (1,265).

პოეტს ესმოდა „წარმავლობის ღრენა“, „საფლავების კივილი“, პლანეტის ღრიალი და გადაშენების მოლოდინი ეუფლებოდა (ზმანება ზამთარში) (1,257).

„ვერაგი, ტიალი, ნადირი, მშიშარა, მაიმუნი“ — ასეთი ნეგატიური ეპითეტებით არის შემკული წუთისოფელი, რომელიც ტანჯავდა სულიერებით, ერუდიციით გამორჩეულ მოაზროვნეს — ერეკლე ტატიშვილს (ჩემ გივი ერეკლეს ძე ტატიშვილს) (1,169).

როგორც გალაკტიონს, ტერენტი გრანელს, ნიკო სამა-დაშვილს აღაშფოთებდა დედამინის ავდარი, წყევლიდა გამ-ჩენს (გზათ-ვალალობა) (1,54-55).

ქვეყანაზე მხოლოდ ბინდს ხედავდა, საქმოსნების ასპა-რეზს: „.... მთელი მსოფლიო მართლაც ბინდდება, ქვეყანა მხოლოდ ბაყლებს უპყრიათ“ (გადამეყვლითა გული დარდე-ბით) (1,157).

წუთისოფელში ადამიანთა სახით მოვლენილი გველე-შაპები ზეიმობდნენ (დედამინა ბლაოდა) (8,243).

ინდური სიბრძნე გვმოძლვრავს: „ჩვენი ცხოვრება დაშ-ლის, ლპობის განუწყვეტელი პროცესი იქნებოდა, უკეთუ მხოლოდ ჩვენს სურვილებსა და ვნებებს მივენდობოდით... საჭიროა წმინდა, სულიერებისკენ მიმავალი აზრები“ (შრი-მად ბჟაგავატამი) (9,110).

რუდოლფ შტაინერი ირწმუნება: „ადამიანს ძალუს წარმავალი საგნებისა და მოვლენების მარადიულ პირველ-წყაროებს ჩასწვდეს. წარმავალი ისტორიიდან ადამიანი წა-რუვალში აღწევს“ (აკაშა ქრონიკიდან) (10,178).

„გრძნობად საუფლოზე ამაღლებულ... სიბრძნეს, რომელ-შიც ადამიანს ეხსნება თავისი რაობა და დანიშნულება, შესაძ-ლოა ეწოდოს ღვთაებრვი სიბრძნე ანუ თეოსოფია (11,10).

„...ყოფიერების აზრი არ არის წარმავალში, არ არის

კერძოში, ერთეულში, ამ წარმავალს უნდა უყურო როგორც სიმბოლოს, როგორც ანარეკლს მარადიული, ჰარმონიული ერთიანობისა (11, 117).

„თუ გვსურს გავიგოთ ადამიანის სულის რაობა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ მის შესახებ ორი რამ: რამდენად არის გაცხა-დებული მასში მარადიული და შემდგომ, წარსულის როგორი საუნჯეა მასში“ (11,54).

მიზანი უნდა იყოს „წარუვალი ნათლის“ ძიება, წილნა-ყარობა „მარადიულ ჭეშმარიტებასთან და სიკეთესთან“ (თე-ოსოფია) (11,33).

ბიბლიის მიხედვით, ორგვარი სიბრძნე არსებობს: წარ-მავალი და მარადიული. მარადიული სიბრძნე მხოლოდ წმინ-და სულის ადამიანებს მიემადლებათ.

„სად არის ბრძენი, არის მწიგნობარი? სად არის ამ წუ-თისოფლის მოკამათე? განა სისულელედ არ აქცია ღმერთმა ქვეყნიერების სიბრძნე? ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნუ-რებას ღვთის წინაშე“, აცხადებს ჰავლე მოციქული (I კორინ-თელთა, 319) (7, 360).

რუდოლფ შტაინერს აწუხებდა „ზემინიერი ძალებისგან მოწყვეტა“, „მინაში ჩაძირვა“, „ადამიანი არ უნდა შეეზარ-დოს მინას, არ უნდა დაიძიროს მინაში“, წერდა ანთროპოსო-ფიის ფუძემდებელი (12,269,273).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ მხოლოდ მიწის ინტერე-სებით მცხოვრებთ, წარმავლობაში ჩაძირულთ მისჯილი აქვს მიწისთვის ცქერა: „რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლესადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მარ-თლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის ცქერა“ (13,279).

ნიკო სამადაშვილს ესმოდა „შორეთის გზების ღრია-ლი“, „მარადისობის ძალლების ყეფა“, „სიონის მაღლა გლოვა ზარების“ (ერთი იმათვანი) (1,158).

„წარმავლობის ტიალ ყორეზე ქვესკნელის გველები“ ბუდობდნენ, „შეშლილ ქოშებით“ ცეკვავდნენ უკეთურნი (რამანი) (15,122).

პოეტს უხდებოდა უდაბნოსთან, გრიგალთან ჭიდილი (შიმშილი) (1,27-28).

ძრწოლას იწვევდა „შიშნარევი უსაზღვროება“, ვარ-სკვლავები „მარადისობის ჭუჭრუტანებად“ ესახებოდა (ზღვის სიმფონია) (1,98).

ქვეყანას, წარმავლობას „კაკანათს“ უწოდებდა (გული და ჯანღები) (1,70-71).

სამყაროს „ათასნაირად“ უცქეროდა, „ბნელ გრიგა-ლებს“ უსტვენდა, საწუთროს ქარი განათებულ ცას გლეჯდა და ებადებოდა კითხვა: „...დედამიწაზე ნეტავი რისთვის შე-მოვეხეტე?“ (წარსულის კვალი) (1,79).

ნუხდა რომ „გათენებას“ ვეღარ აგნებდა (აგარაკი) (6,14).

ბიბლიაში უზენაეს, ღმერთების სამყოფელ ცას „ცანი ცათანი“ ეწოდება: ღმერთი — „ამაღლებული ძველთუძ-ველს“ ცათა ცაში — აგერ ის გამოსცემს თავისი ხმით ძლიე-რების ხმას“ (ფს. 68,34) (7,592).

ნიკო სამადაშვილი ხედავდა „ზეცაზე ზეცას“ და თით-ქოს უზენაესი სამყაროს მაყურებლად, მისი საიდუმლოების შესაცნობად იყო მოვლენილი (კამარების შეჭმუხვნა) (1,31).

„ამ პირქუშ კაცთ სამყაროდან“ თავდახსნის გზების ძი-ება იყო პოეტის მიზანი (ჩიტო ჩიორა).

რუდოლფ შტაინერი გვირჩევს: „საჭიროა წარმავალთან განშორება. გონება უნდა მიაპყრო წარუვალს... სული უნდა მიაპყრო მარადიულს. გრძნობა უნდა მიმართო წარუვალის-კენ“ (11,164).

„თავის დროზე წარუვალი მიემადლება ყველას, ვინც მოთმინებით მოელის და მუშაობს... წარმავლობა გადაიქცე-ვა მისთვის მარადიულის ნაწილად.

„მარადისობა ხდება მისთვის მახლობელი ისე, როგორც უწინ მახლობელი იყო წარმავლობა.

„ამ გზით იგი ღებულობს ხელდასხმას (ინიციაციას) იქ-ცევა ადამიანის მოდგმის წინამძღვრად, დიად სულიერ ხელ-მწიფედ. იგი ხდება სიბრძნის მონაფე. შემმეცნებელი ჰპო-

ვებს ახალ სამშობლოს. იგი ხდება შეგნებული მკვლევარი ზეგრძნობადი სამყაროსი“ (11,165).

მიზანი უნდა იყოს „წარუვალი ნათლის“ ძიება, წილნა-ყარობა მარადიულ ჭეშმარიტებასთან და სიკეთესთან (თეო-სოფია) (11,33).

„აქვე დაამარცხა წუთისოფელი იმან, ვისი გულიც შე-უძვრელია, ვინც უზენაეს სიბრძნეს ნაზიარებია“ (ბჟაგავად გიტა) (4,45).

სისხლით მოსვრილ პლანეტაზე ნიკო სამადაშვილი მწი-რივით იღტვონდა მღვიმეებისკენ, მისტერიები „ამორძალე-ბად“ დაჲყვებოდნენ და მარადისობას ეძებდა (საუკუნის ნა-ხევარზე მეტი გავიდა) (1,269).

პოეტისთვის ორგანული იყო ლოცვები, მისტერიებით თრობა (შეხვედრა. თამაზ ჩხენკელს) (6,122).

ის იყო „ლოცვებით მთვრალი“, „შერისხულ მლოცველ-თა“, „მოგვების“ მეგობარი, „სამყაროს გაღმა“ მაყურებელი „ჩაფიქრებული მისანი“ (დარდი ბუხართან) (6,37).

ქართველი პოეტი ხედავდა უზენაეს სულებს და თვი-თონაც გრძნობდა მათ მზერას, ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებულს, ბუდა და ქრისტე ადევნებოდნენ და თანაგრძნობით უყურებდენ (დაუსაბამობის ხილვა) (1,184).

„უჟამო სივრცის“ მხილველი (სინათლის მიმოქცევა) (1,241-242), „გუბე-გუბე განგების ჩრდილს“ ხედავდა (თამა-რის მღვიმე) (1,68).

პოეტს სჯეროდა, რომ დაღუპვის შემდეგ არა დემონი, არამედ ქრისტე მოევლინებოდა (ფიქრების იქით) (1,108).

„არსებობს სულიერი ზეცა, სადაც ურიცხვი სულიერი პლანეტა და ცოცხალი არსებები არიან, მაგრამ ისინი, ვინც სულიერ სამყაროში ცხოვრებას არ იმსახურებენ, იგზავნები-ან მატერიალურ სამყაროში“ (შრიმად ბჟაგავატამი) (14,256).

წუთისოფლის გრიგალებისგან თავდაღწეული, სულით „მარადისობის მღვიმეებში“ დავანებული ნიკო სამადაშვილი „მარადისობის ჩუმ უდაბნოს“ ხედავდა, ესმოდა „ღმერთის

გაფრენის“ ხმა, „ცისარტყელების ცეკვა“, ვარსკვლავები „მა-რადისობის ჭუჭრუტანებად“ ესახებოდა (მოსწყდა) (1,158).

„წარმავლობა ...ულრანია, იქ არც შუქია, არც ლაშვარ-დები, მხოლოდ „არარაობის ღრენა“ ისმის, ხოლო „სამყაროს გაღმა“ გასულ „ჩაფიქრებულ მისანს“ — პოეტს მზის შუქი ევლინება, რადგან გარკვეული პასუხი იპოვნა კითხვაზე: „რად დავიბადე, ნეტავი რისთვის?“ (ჩემს ნუკრიას) (1,40).

მინიერი „სიცოცხლე ჩალის ფასი“ იყო, მაღალი იდეა-ლების მსახურებით წუთისოფელს, სამყაროს გადასცილდა, მარადისობაში იპოვა ბინა (ქედი სივრცეში (6,119).

„აღთქმულ ბილიკებს“ წმინდანების თანხლებით გაუყვა, „პირქუშ კაცთა სამყაროდან“ თავი დაიხსნა, უზენაესის შუქი აედევნა: „შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს“.

შუქი საღვთო სახელია: „უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი, ვის შევუშინდე?“ (ფს. 26,1) (7,547).

„წუთისოფლის მორევის“ ამაოებას, ფილისტერთა მხა-რეს გასცილდა და სილაშვარდეში დამკვიდრდა გალაკტიო-ნი, მიაღწია „ცის და მინის შეზავებას“ (შეხვედრა) (14,176).

დედამიწა გალია, ყუთი, სამარე იყო ტერენტი გრანე-ლისთვის, მაგრამ ბოლოს მაინც გაითავისა, რომ მიწიდან უნ-და ზიარებოდა ზეცას: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“, „მე ოც-ნებით მოვშორდები მიწას, გული იგრძნობს მარადიულ ლაშ-ვარდს“ (მარადისობის ლაშვარდებს) (15,126).

რუდოლფ შტაინერი საუბრობდა „სულეთის შორეულ ჩონჩხზე“, „სულეთის მატერიკის მასაზე“ (11,105).

ნიკო სამადაშვილმა შექმნა სულიერებით გამორჩეული „ფიქრების დიდი ხმელეთი“, გუდამაყარივით მაღალი ოცნე-ბა, მისი იდეალი იყო „ლექსი, ცა და მარადისობა“ (შესანდო-ბარი) (1,136), რაც გახდა იმის საწინდარი, რომ „ის ღმერთებ-მა ლაშვარდების სხვენზე შეაგდეს“ (საღამოს წვიმდა) (1,159). პოეტმა გააღწია „წუთისოფლიდან მარადისობამდე“.

დამოწმებანი

1. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, საარქივო გამოცემა, ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004
2. ლაო-ძი, დაო დე, ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალმონაკის, თბ. 1983
3. ელენე ბლავატსკაია, მდუმარების ხმა, თარგმანი თ. თავაძის, თბ. 2011
4. ინდური ლოტოსი, თარგმნა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თამაზ ჩხენენელმა, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2006
5. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ. 2010
6. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
8. ნიკო სამადაშვილი, შეხვედრები და სინანული, „მერანი, თბ. 1995
9. შრიმად ბჟაგავატამი, სიმღერა მეორე, მისი ღვთაებრვი მოწყალება ა.ჩ. ბჟაკტივედანტა სვამი პრაბჟუპადა, თბ. 1992
10. რუდოლფ შტაინერი, აკაშა ქრონიკადან, მთარგმნელები ი. კვარაცხელია, ა. კვარაცხელია ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2017
11. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სამყაროს ზერგძნობადი შემეცნების სფეროში, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970წ. რედაქტირებულია 1995წ.
12. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, გიორგი ნიშნიანიძის საერთო რედაქტიოთ, წინასიტყვაობითა და კომენტარებით, „ხომლი“, თბ. 1994
13. დანტე ალიგიერი, ღვთაებრივი კომედია, კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიას თარგმანი, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ. 2012
14. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული „საბჭოთა საქართველო“ თბ. 1997
15. ტერენტი გრანელი, პალიტრა L , თბ. 2012

პედიარების კონცენტი

ბედნიერებასა და უბედურების პრობლემა კაცობრიობის მარადიულ საფიქრალს წარმოადგენს და საზოგადოების სხვადასხვა ფენაში განსხვავებულია მისი კრიტერიუმები.

არსებობს დიდი სამყარო დიდი ადამიანებით, დიდი საგნებით, რომლის მახასიათებელია დიდი შემოქმედება, გამოგონება, კოსმიური იდეალები, რომელშიც ადმიანები საკაცობრიო იდეალებისკენ ისწრაფვიან. პატარა სამყაროს არ ამოძრავებს დიდი იდეალები. მათ ბინადართა მთავარი მისწრაფება ისეთი ცხოვრება, რომ შიმშილი არ განიცადონ.

პატარა, ჭიანჭველისებურ სამყაროში პატარა ადამიანები დიდების უკან მიიჩქარიან“ (1, 369-370).

„ორთოდოქსული ბუდიზმი... განარჩევს... ფართო და ვიწრო გზას. ამ გზებს შორის არჩევანს განაპირობებს რანაირ მოთხოვნებს წავუყენებთ ჩვენსავე თავს — მაქსიმალურს თუ მინიმალურს, საბოლოო ანგარიშით, სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას“ (2,8).

„არაკონფორმისტები დაპირისპირებული არიან ბრძოსთან“ (2,4).

„რჩეულთა ცხოვრება მუდმივი დაძაბულობა და საკუთარი თავის სრულყოფაა. საკუთარი თავის სრულყოფა იგივეა, რაც ასკეტობა. ასეთი ადამიანები ასკეტები არიან“ (2, 62).

„რჩეული უმცირესობის ცხოვრება არის მოძრაობა. ბრძოს ცხოვრება არის ინერცია“ (2, 50).

ადამიანები ხან არწივის, შევარდნის, მიმინოს შემართებას ავლენენ, ხან ბულბულად, ბეღურად გვევლინებიან, ზოგჯერ ცხვრად, მამლად ჩანან, ზოგჯერ მწერად, მატლად, ხოჭოდ, ხშირად მხეცად, ნადირად, მგლად ალიქმებიან არსებობის სკალაზე.

„ადამიანთა მასას ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, ... ყურს ალარ უგდებს სხვის რჩევას და ანგარიშს ალარ უწევს არავითარ ავტორიტეტს“ (2,98).

მრავალსახოვანია ინტელიგენციაც. არის ჭეშმარიტი, შემოქმედი, სიახლის მაძიებელი, ახლის დამამკვიდრებელი სამწერლო თუ სამეცნიერო ინტელიგენცია. ამასთან არის ხელმწიფის კარის ინტელიგენცია, ორსახოვანი, მედროვენი, ხალხოსნური ქველმოქმედების გზით მავალნი, კრიმინალურნი თუ პუტჩისტები, თეთრი-ყვავები თუ გამოგონილ სკამებზე წამოსკუპებულნი, გულგრილი მედროვეები თუ „მთის ავადმყოფობით“ სნეულნი.

„ისტორიაში მუდამ მცირედნი იყვნენ უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტებისთვის თავდაგებულნი, მაგრამ მათი სულიერი ძალა და შემართება მარად სძლევდა ბელეთის მოციქულთა მრავალრიცხოვან ლეგიონებს, მრავალრიცხოვნების წყვდიადს“.

„სოციალისტურმა ტოტალიტარიზმმა ღორებად აქცია მას, მაგრამ მან ვერ შეძლო გამორჩეულ, ერთგულ პიროვნებათა ამგვარი ტრანსფორმაცია“ (3, 32-33).

მარკუს ავრელიუსის მიხედვით, „ბედნიერია ის, ვინც კეთილი ხვედრი გ ანუმზადა საკუთარ თავს. კეთილი ხვედრი კი კეთილი მიდრეკილებაა სულისა, კეთილი სწრაფვა, კეთილი საქმე“ (4, 145).

„რა არის ბედნიერება? კითხულობს მარკუს ავრელიუსი და პასუხი ასეთია“: „შეიმკე სული უბრალოებით, უბინებით. გიყვარდეს კაცთა მოდგმა. მისდიე ღმერთს“ (4, 177).

„... მიიქეც ამ მისტიური ქმნადობისა და ფარულად მოქმედ მიზეზთა ჭვრეტად... მაგრამ არა ხორციელი თვალით, არამედ ხედვის სულ სხვა ორგანოთი, რომელიც არანაკლებ ნათლად და გარკვევით ჭვრეტს“ (5, 247).

„ვედური ლიტერატურა ამბობს, რომ ბედნიერია, ვისაც უზენაესის ნიშნები აქვს“ (5, 139).

„პჰაგავვად — გიტას“ მიხედვით, არსებობს ორი სამყარო: მატერიალური და სულიერი (6, 203).

„სხეულებრივი კონცეფციით ცხოვრების ბედნიერებაზე ფიქრი ბოდვაა მხოლოდ“ (6, 271).

„სრულყოფილების მწვერვალი ბუდისტური ნირვანა არ არის, რომლის დროსაც არავითარი მოქმედება არ სრულდება“ (6, 272).

წარმავალი პირობებით კმაყოფილება უგუნურებაა, გონიერაშეზღუდულობა: „თუ როგორმე თავს დავაღწევთ მატერიალურ სხეულს, მისგან განუყოფელ უბედურებას გავექცევით“ (6, 289- 290).

„სულიერ ანუ მარადიულ პლანეტაში მოხვედრის საფუძველი კრიშნას, ანუ უზენაესი უფლის სიყვარული და სამსახურია“ (6, 291).

„მატერიალურ სამყაროში ყოველი პლანეტა... ტანჯვით აღსავსე ადგილია, სადაც განმეორებადი დაბადება და სიკვდილი ბატონობს“ (6, 301).

„ბედნიერების ძიების საბოლოო მიზანს უფალ ვიძნუს-თან, ღმერთების პიროვნებასთან პირადი ურთიერთობა წარმოადგენს“ (7, 49).

ლაო ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „თუ მდიდარნი და დიდებულნი მედიდურობენ: თავად იუბედურებენ თავს“ (8, 182).

მთავარია „დაფარულის“ ძიება, „საშიშია დიდებაც და დაცემაც“ (8, 184).

უნდა აღიკვეთოს „ცრუსიბრძნობა, ცრუმეტყველება“ (8, 189).

„დიდების, განდიდების მაძიებელი ვერ გაწინამდღვრდება“ (8, 194).

„ტირილი გვმართებს კაცთა კვლის ჟამს. მჭმუნვარება გვმართებს გამარჯვების ჟამს. გლოვა გვმართებს გვამთა ზეიმის ჟამს“ (8, 200).

„კაცნი დიადობენ, ოდეს მდაბლდებიან.

„და მდაბლდებიან, ოდეს დიადობენ“ (8, 208).

„ო, უბედურებავ! შენ ძირი ხარ უბედურების“ (8, 219).

„ყოვლადბრძენი ამიტომ ამბობს: „ვინც გაცოდვილდა

მთელი ქვეყნის ცოდვით: გაწინამძღვრდა ცისქვეშეთში. ვინც დაიტანჯა მთელი ქვეყნის ტანჯვით: გამეუფდა ცისქვეშეთში“ (8, 232).

„ყოვლადბრძენი არ იხვეჭს. ყოველივეს ხალხისთვის იქმს და ყოველივეს გასცემს. რაც უმეტესს გასცემს: მეტს მოისთვლის კვლავ გასაცემად“ (8, 234).

ე.ი. დაო დე ძინის მიხედვით, მიწიერი უბედურება ბედნიერების საძირკველია და პირიქით, თვითკმაყოფილება, განცხრომა, რასაც ეტანებიან მოკვდავნი, უბედურების საწინდარია.

ამ პრობლემას განსაკუთრებული ადგილი უკავია ნიცშესთან, რომელიც საუბრობს „ბედნიერების სამსალაზე“ (9, 179). „ოქროს ბედნიერების შავ წვეთზე“ (9, 206).

ნიცშე ვითთა სულს ჭვრეტს, როგორც „ამაოების ზღვას“, „მლაშე ლორწოს“, „შხამიან მატლს“.

მწერალს „ბაზარში დიდ მსახიობთა ხმაურობა და შხამიანი ბუზების შხუილი“ ესმის.

„ყოველი დიდი გზას უქცევს ბაზარს და დიდებას. ბაზრის და დიდების მოშორებით ცხოვრობენ დასაბამით ახალ ღირებულებათა მოქმედნი“ (9, 44).

ნიცშე საუბრობს „მდიდარ ღატაკებზე“, ტახტისკენ სწრაფვაზე, რადგან ტახტზე ეგულებათ ბედნიერება: „შეხედეთ ამ ზედმეტთ. შეიძენენ სიმდიდრეს და მით ღატაკებიან. ისინი ტახტისკენ ისწრაფვიან. ესეც მათი შეშლილობა. თითქოს ბედნიერება ტახტს იჯდეს. ხშირად ტალახი ტახტსაზის და ხშირად ტახტი ტალახსა ზედა“.

ცხოვრება გამოქვაბულად გარდაქმნილა, ჯაგნარად, ჭოტებით, ღამურებით ავსებულა, რომელსაც სჭირდება მონადირე (9, 163).

„ვინ არ დაუმარცხებია თავის გამარჯვებას“, ამბობს მწერალი და დაუნდობლად ამხელს დამარცხების ტოლფას გამარჯვებას, რომელიც მხოლოდ პირადულს ემსახურება და არ არის საზოგადოებისთვის სიკეთის მომტანი.

ნიცშეს ბედნიერება არის ცნობიერების ახალი საფეხურის მიღწევა: „შემეცნების მაღალ ანძაზე ჯდომა ჩემთვის მცირე ნეტარება არ იყო“ (9, 149).

მისთვის მთავარია „ფრინველი სიბრძნის, ...თავისუფლების“ (9,176).

და გამოსავალიც მოიძებნება: „ჩვენ ვსაჭიროებთ ღვინოს — ის იძლევა მხოლოდ უეცარ გამოჯანსაღებას, მოუღოდნელ ჯანსაღობას“ (9, 211).

ღვინო, „ძველი, დაწმენდილი ღვინო“ უფლის მეტაფორული სახელია (ესაია წინასწარმეტყველი, 25,6) (10,91).

გოეთესთვის ბედნიერებაა უზენაესის საიდუმლოების შეცნობა, სულის დიადი ქმნილებით უკვდავების მიღწევაა: „ვიტყვი: ის არის ბედნიერი ამ ქვეყანაზე, ბუნება — ღმერთი ვისაც უმხელს გულის ხვაშიადს, და მაგარ სხეულს უკვდავ სულად ის როგორ აქცევს და ვით ინახავს მკვიდრად სულის ქმნილებას დიადს“ (11, 242).

გოეთეს მიხედვით, დემონზე გამარჯვება და ღმერთის გამოცხადებაა უდიდესი ბედნიერება.

გალაკტიონი ყურადღებას ამახვილებს ბედნიერებით გამოწვეულ უბედურებაზე: „....სავსე ვარ რაღაც იდუმალ გრძნებით, გამოუთემელი მიტაცებს შვება, რა არის იგი, ბედნიერებით გამოწვეული უბედურება, თუ უბედობა სიმწარე ვნებით?“ (შემოდგომის დღე) (12, 22).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, „საგნების მიმართ გემოს ის კარგავს, ვინც იხილა უზენაესი. გამოცხადების უშრეტი ნათელი სულის თვალით იხილვება და დამაბრმავებელია“ (ალსარება) (13, 249-292).

ანა კალანდაძეს არ ხიბლავდა „მიწიური ბედნიერება, უმაღლესი და ჭეშმარიტი, ნათელ და ქებულ“, პოეტი თავისი მეუფის, ღმერთის გამოცხადებაში ხედავდა არსებობის აზრს.

პოეტის მიზანი იყო „სოფლის საცდურზე ამაღლება“ და არა „გარესკნელის აღზევება“ (შენს სიამაყეს მივესალმები) (14,69).

ტერენტი გრანელისთვის მიუღებელი იყო მიწიერი, პრაგმატული ინტერესები, ის შორდებოდა მიწას, როგორც ცოდვის სავანეს და მარადიული ცისკენ მიიღებოდა: „მე ოცნებით მოვშორდები მიწას, გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს“ (მარადისობის ლაჟვარდები) (15,126).

„უცნობი სფინქსის“ იდეალი იყო არა მიწა, არამედ პოეზია, ზეცა: „მე უარყყავი მთელი ცხოვრება, ვიწამე ზეცა და პოეზია“ (მოვდივარ, გზაზე ადის ალმური) (15,42).

პოეტი მიწაზე მხოლოდ სიბნელეს, ბურუსს ხედავდა, მიწა მისთვის იყო გალია, ყუთი, ერთმანეთს უპირისპირებდა მიწას და ცას და საერთოდ უარყოფდა ხორციელ არსებობას: „შენ, დედამიწავ, უფრო, მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ. წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!” (უმიზნო ხეტიალი) (1541).

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებითი და ცხოვრებისეული კრიტერიუმები აძსოლუტურად განსხვავებული იყო მხოლოდ მიწიერი ინტერესებით მცხოვრებთა, თუ ვაიშემოქმედთა მოთხოვნებისგან.

სიმაძლრე, სიმდიდრე და განცხომა როდი ენატრებოდა პოეზიისთვის დაფერფლილ ჭეშმარიტ ოსტატს: „...ჩვენ ვცვლიდით ჭიქებს და ვახსენებდით, ვისაც სიმაძლრე მიაჩნდა ძალლად“ (მოგონება).

პოეტის გადასახედიდან მარადისობასთან შეხმიანება, უკვდავება იყო ბედნიერება. ის ასე მიმართავს ნიკოლოზ ბარათაშვილს: „...ალბათ მერანმა ფრთხები გაჰკრა მარადისობას, ...უკვდავებისკენ გაფრენილო ბედნიერებავ!“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) (16, 148).

ნიკო სამადაშვილი იყო „ლოცვებით მთვრალი“, ღვინითაც, მაგრამ ეს იყო „მწუხარებით ლოთობა“ (17, 317).

ფიქრით და ღვინით მთვრალი პოეტი აფიქსირებს ოპონენტთა აზრს: „...იტყვიან, უბედური იქარვებდა ღვინით ბნელ ფიქრებს“...

ლუდხანა იყო უსამართლო დროებისგან იგნორირებუ-

ლი პოეტის აუდიტორია, მხოლოდ იქ ეძლეოდა შესაძლებლობა, თავისი სატკივრები გაეზიარებინა მეგობრებისთვის, რომელთაც უნდა შეეფასებინათ მისი მხატვრული სიტყვა. ფიზიკურად „რიურაჟების მტვრად“ აღიქვამდა საკუთარ არსებობას, მაგრამ სჯეროდა, რომ „მუნჯი მარადისობა“ მომავალში თავისთან მიუჩენდა ბინას (საღამო და განწყობილება) (16, 153).

უსამართლო წუთისოფელი სძულდა, „ბედმოკრძალებით“ დაღუპვას მოელოდა, მაგრამ „ზეცაზე ზეცას“, ვარსკვლავების — „მარადისობის ჭუჭრუტანების“ კიაფს ჭვრეტდა სულის თვალით (მოსწყდა) (16, 158).

„ლექსის მეუფეს“ ანამებდა უკუღმართი თანამედროვეობა, გამოდარების, შემოქმედებით გახარების იმედი არ ჰქონდა: „გადაიღლება გული დარდებით, გულმა დამინწყოცემა და წნევა, მე ქვეყნად რაღას გამოვიდარებ, ბედნიერება რას დამეწევა“ (ჩემს ნუკრიას) (16, 49).

მღვიმეში დავანებული, „სისხლნარწყვევი“ პოეტისთვის ვერაფერი წუგეში იქნებოდა „სიკვდილის მერე უკვდავება და სიბედნიერე“ (სამხარზე) (15,33).

მიწიერთა გადასახედიდან ბედისგან დაწყევლილი, „ბედურგები“ იყო, რაც უძლიერებდა ეჭვებს, საკუთარი შემოქმედების ობიექტური შეფასების უნარს აკარგვინებდა (თვალნაცემი ქანდაკება) (16, 132).

ხანდახან ფანჯრებს კეტავდა, რომ არ ენახა ცოცხლადვე მიწაში „ჩათხრილი“ და თავის ოპონენტს მიმართავდა: „...შენ კი იდეები მანდ გლახასასავით, უმზირე ხალხის ბედნიერებას და უკაუნე კოდალასავით ვრცელ და ფუტურო ქვეყნიერებას“ (პასუხი) (16, 222).

მუდმივად აფორიაქებდა მარადიული კითხვა: „სადარის ნიკო ბედნიერება, სად მივალთ, ძმაო, სად ველტვით ნეტა?“ (საით, ვინ იცის?) (16,217).

ადამიანები „ქინქლებივით“ დასტრიალებდნენ „ვერაგსანუთროს“ წუნუნით, ხოლო მისი ბრძოსგან გამოცალკევე-

ბული პერსონაჟი „ანთებული გულით“ დადიოდა თავის მეორე მესთან და ბედნიერი იყო მის სიმღერებში ანთებული სანთლებით და ჩირალდნებით: „... ანთებულ გულში დადის მუდამ თავისი ჩრდილით, ანთებულ სხეულს დააქვს ხოლმე ბედნიერება... ჩემს სიმღერებში შეანთებენ საუკუნენი სანთლებს, ჩირალდნებს, ფეხაკრეფით, ჩუმი ზმანებით“ (დაჯდება მარტო) (16, 215).

„დიდებას“ „მტრულად“ უმზერდა, „არ წუხდა უკვდავებისთვის“ (ვერ იშორებდი სევდის კრაზანებს) (16, 139)., სხვათა წარმავალ ბედნიერებას ისევ თავის უბედურებას ამჯობინებდა: „....იქნებ ის სჯობდა, რომ ასეთი უბედური ვარ“ (ისევ ვილოცებ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს) (... 118).

კაცში კაცს ვერ პოულობდა, საოცნებო ქვეყანა არსად ჩანდა და არც გათენება უნდოდა, არც ბედნიერება: „....კაცში კაცს ეძებთ, არ გეზარებათ? ინამეთ ღამე და ნანგრევები. სად არის სადა... ქვეყნიერება? როგორ არ მინდა, რომ ხვალ გათენდეს, როგორ არ მინდა ბედნიერება“ (სად არის სადა?) (16, 53).

„წყევლისფრად სავსე უსაზღვროებას“ თავისი მრევლის გადარჩენას ევედრებოდა, „ბედნიერებას სთხოვდა ნაპრალებს“, „ბნელი ღამეების“ ბინადარი დედამიწის „ავდარს“ გლოვობდა, ესმოდა თეთრი ძალლების ყმუილი, სამრეკლოს დუმილი (გზათ-ვალალობა) (16,54-55).

„აქერცლილ მინიატურებში“ (16, 72-73) „დასაქცევ დედამიწაზე“ ბედნიერებას გმობდა, ბედს არც ეძებდა, ქარის თანამგზავრს თითქოს ქარისთვის გაეტანებინა ყველაფერი და ეცინებოდა ფასდაკარგულ სიცოცხლეზე: „....ვეკამათები კენჭებს გზადაგზა, სიცოცხლეს მაინც რა არ სჯობიან, რომ ამ დასაქცევ დედამიწაზე ბედნიერებაც დასაგმობია... დე, ყველაფერი ქარმა წაილოს, ჩვენ ბედი მაინც არ გვიძებია. რამდენჯერ ქარში ქარს გავყოლილვარ, რამდენჯერ უცბად ჩამცინებია“ (გული და ჯანლები) (16,70).

ბახტრიონივით მაღალი ოცნებით გადიადებული ამბობდა: „...სულ არ ვნატრობდი კაცის ფერებას, მჯერა და ვი-

ცი, კუბოს ფიცრამდე მე შორს დავრჩები ბედნიერებას“ (გაყ-
რა) (16, 91).

„...შენ ის კაცი ხარ, ვისაც არ ეყო გზებ მიუვალი ბედნი-
ერება“, მიმართავდა თავისი ლექსის ლირიკულ პერსონაჟს
(ორნი) (16, 82-83).

ენატრებოდა ამაღლება „წუთისოფლიდან უკვდავებამ-
დე“ (16, 95).

„...გარეთ ქარი დგას ფეხის ცერებზე, უკან რად იხევს
ბედნიერება?“ კითხულობს პოეტი ლექსში „შენ გიგროვებდი
მთვარის ბულულებს“ (16,232).

შთაგონების ცეცხლში გახვეული პოეტი გაუთენარი
ლამების გათენების, შემოქმედებითი ბედნიერების მოლო-
დინში იყო: „...შენი არ ვიცი, მე დავითენთე, გულმკერდში
ცეცხლის ბული მერევა, ნუთუ ოდესმე არ გათენდება, ნუთუ
არ მოვა ბედნიერება?“ (16,238).

ნიკო სამადაშვილის ნამდვილი ბედნიერება და მოწოდება
იყო პოეზია, თუმცა „ვერაგი ბედი“ არ სწყალობდა, თანამედ-
როვეობა ვერ ამჩნევდა მისი „ფიქრების წარლვნას“, ის რო-
გორც პოეტი, იყო არა შემოქმედებითი „ბედნიერების ხასა“,
არამედ ჭეშმარიტი ოსტატი, თუმცა სჯეროდა, რომ მომავალი
აუცილებლად დაინახავდა მისი პოეზიის მკათათვეს: „მე ჩემ-
თვის ვწერდი, თუმცა ზოგჯერ ძირს მეპნეოდა ეს დასაქცევი
ნაწერები-მკერდის ვედრება. შენს დაყვავებას ხშირად როდი
ვეპუებოდი, ხასად არ მსურდა რომ ვყოლოდი ბედნიერებას...
გადაყრილ ნიჩბებს ატივტივებს ბედი ვერაგი — თვალი ვერ
მოჰკერეს, ისე შეწყდა ფიქრების წარლვნა და ტალღებიდან
აქოჩილი ქარის პერანგი... ვიღაც მომნახავს, ჩემი ცოდვით
ჩაიფერფლება“ (სიმღერები გამოქვაბულიდან) (16, 258).

ნიკო სამადაშვილი ფასკუნჯს უწოდებდა ერეკლე ტა-
ტიშვილს და თუმცა მისი თანამედროვეობა არათუ არ აფა-
სებდა, არამედ სდევნიდა ამ ფართო თვალსაწიერის შემოქ-
მედს, ნიცშეს მთარგმნელს, პოეტს სჯეროდა, რომ უსულგუ-
ლო დროებისგან დაფერფლილი მოაზროვნე ფასკუნჯივით

აღდგებოდა და ლირსეულ ადგილს დაიკავებდა რჩეულ მო-
აზროვნეთა შორის.

„ფერისცვალების“ ავტორი გულით დაატარებდა ნაად-
რევად გარდაცვლილი მოძღვრისა და მეგობრის ხატებას და
„არნახულ ბედნიერებად“ მიაჩნდა ამ ფასკუნჯის „ცხედრის“
თავის სულში დავანება, ასევე საწინდარი საკუთარი მკვდრე-
თით აღდგომისა: „...ჩემში ფასკუნჯის ცხედარი ბუდობს, არ-
ნახული ბედნიერება“ (სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფუ-
რიძეს) (16,10-11).

ბედნიერებაზე საუბრობს პოეტი ლექსში „როცა შევ-
ხვდებით, მეგობარო (16,219).

სივრცეში ამაღლებულ პოეტს ბედნიერებად მიაჩნია
„და“, რომელიც გაიგივებულია იასთან: „მე რომ დავკარგე
მისამართი ქვეყნიერების, სივრცეებს შევრჩი, ვით ტიტველი
და მანანნალა. შენა ხარ, დაო, ჩემი დიდი ბედნიერება და ჩემი
ხელით აკრეფილი იების ღალა“.

„დის“ სიმბოლური სახე არსებობას იწყებს სოლომონის
„ქებათა ქებიდან“: „...მე მძინავს, გული კი მღვიძარეა ჩემი.
აჲა, მესმის ხმა ჩემი მეტრფისა, რომელიც რეკავს: გამიღე
კარი, დაო ჩემო, სატრფოვ ჩემო, მტრედო ჩემო, უბიწოვ ჩე-
მო“ (ქებათა ქება) (5,2).

იის სახე მარიამ ღვთისმშობელს მიემართება. ვახტანგ
მეექვსის „სატრფიალონის“ მიხედვით, ჩვენი ზეციური დედა
არის „უბიწოებით შემკული ია“.

ნიკო სამადაშვილს ბედნიერებად მიაჩნია „დის“ და
„იის“ სახეში მოაზრებულ ღვთისმშობელთან სიახლოვე, რო-
მელიც არაერთ ლექსში მოიხსენია მოწინებით.

პოეტის ბედნიერება არ განისაზღვრებოდა ჩვეულებ-
რივ მოკვდავთათვის საოცნებო მატერიალური, წარმავალი
საგნებისადმი მისწრაფებით, მისთვის ჭეშმარიტი სიხარუ-
ლის მომნიჭებელი იყო სულიერებით, გრძნობიერებით გა-
მორჩეული, სანთლებივით, ჩირალდანივით მანათობელი სიმ-
ღერები: „...ანთებულ გულში დადის მუდამ თავისი ჩრდი-

ლით, ანთებულ სხეულს დააქვს ხოლმე ბედნიერება... ჩემს სიმღერებში შეანთებენ საუკუნენი სანთლებს, ჩირალდნებს, ფეხაკრეფით, ჩუმი ზმანებით“ (დაჯდება მარტო) (16,215).

ვაჟა-ფშაველასთვის ბედნიერება იყო სამშობლო, სიყვარულის მსახურება, სხვისთვის ტანჯვა (არავის არ გემდურით) (18, 215-217).

„აზრი სწორი და შრომა მედგარი, ბედნიერების მოსაპოვებლად ერთი სახსარი მხოლოდ ეგ არი“ (წვეთი და ლოდი) (18, 244- 246), ფშაველი გენიოსი წინამორბედის მოსაზრება გათავისებული ჰქონდა ნიკო სამადაშვილს.

„ბედნიერებით გამოწვეულ უბედურებაზე“ საუბრობდა გალაკტიონი (შემოდგომის დღე), ბედნიერების საზღაურზე ამახვილებს ყურადღებას ჩვენი თანამედროვე ნიჭიერი პოეტი და მეცნიერი მარინე ტურავა: „ყველაფრისათვის უნდა გადაიხადო: ბედნიერებისთვის- უბედურებით, სიყვარულისთვის-ტკივილით, წარმატებისთვის-შურით, თვითმკმარობისთვის-მარტოსულობით, სითბოსთვის -გულგრილობით, ახლობლებისთვის -გლოვით, სიცოცხლისთვის -ლექსით“ (19,54).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ილია ილფი, ევგენი პეტროვი, თორმეტი სკამი, ოქროს კერპი, თბ. 1966
2. ხოსე ორტეგა ი. გასეტი, მასების ამბოხი, ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, „ხომლი“, თბ. 1993
3. ზვიად გამსახურდია, დილემა კაცრობრიობის წინაშე, თბ. 1995
4. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1972
5. სიცოცხლე მოდის სიცოცხლიდან, მისი ღვთაებრივი მოწყალება ა.ჩ. ბჟაკტივედანტა სვამი პრაბჟუპადა, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი-აჩარია, თბ. 1992
6. ბჟაგავად-გიტა, ინდური ლოტოსი, თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თამაზ ჩხენკელმა, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2006
7. შრიმად ბჟაგავატამი, სიმღერა მეორე, „კოსმოსური გამოვლინება“, მისი ღვთაებრივი მოწყალება ა.ჩ. ბჟაკტივედანტა სვამი პრაბჟუპადა, კრიშნას ცნობიერების სარეთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი-აჩარია, თბ. 1992
8. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტება-ნი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1983
9. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, გერმანული-დან თარგმნა ერეკლე ტატიშვილმა, თბ. 1993
10. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
11. იოჟან ვოლფგანგ გოეთე, ლექსები, თარგმნილი ხარიტონ ვარდოშვილის მიერ, „საბჭოთა მწერალი“, თბ. 1952
12. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, გამომცემლობა „პალიტრა L“, 2011

13. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
14. ანა კალანდაძე, ლექსები, „მერანი“, თბ. 1982
15. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
16. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, „ლიტერატურის მატიანე“ თბ. 2004
17. რუსუდან ნიშნიანიძე, ნიკო სამადაშვილი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 2000
18. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. 3, პოეზია, ლექსები, „პალიტრა L“, თბ. 2011
19. მარინე ტურავა, სოხუმი-თბილისი, „ჩვენი მწერლობა“, თბ. 2019

სიკვდილის პრობლემა — „ვიცი, სულ გალე დავიღუაგი“

სიკვდილი კაცობრიობის მარადიულ, ბოლომდე გაუცნობიერებელ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. სიცოცხლის წარმავლობაზე, სიკვდილზე ფიქრი განუშორებლად თან სდევს როგორც ველურ, ისე განათლებულ ადამიანს.

სხვადასხვაგვარია ამ პრობლემასთან მატერიალისტის და იდეალისტის დამოკიდებულება. მატერიალისტები მხოლოდ მიწიერი, პრაგმატული ინტერესებით, ნივთის, სიმდიდრის მოხვეჭის სურვილით ცხოვრობენ, მათთვის უცხოა სულიერება, მომავალი განკითხვის შიში, სულის უკვდავების რწმენა და ამიტომ ცოდვის მორევში ეფლობიან.

იდეალისტებისთვის ადამიანი სხეულის და სულისგან შედგება, სწამთ ხორცის წარმავლობა, სულის მარადიულობა და ცდილობენ მაღალზნეობრივი ცხოვრებით დაიმკვიდრონ სასუფეველი.

წმინდა წერილი გვასწავლის: „ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა, კერპათმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძლრობა და სხვა. ამის ჩამდენი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.“

„ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება-ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული“ (პავლე მოციქული, გალატელთა, 5, 19-23) (1,411).

ბუდიზმი, აღმოსავლური ფილოსოფია გმობს სიმდიდრის მონობას და უპირატესობას ანიჭებს რწმენას, ზნეობას, სიკეთეს.

ლაო-ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „უკვდავია სული უწმინდესი“ (180,16) (2).

„დაოს მფლობელი მრავალუამიერია, გვამი იხრწნება,

სული-უკვდავია“ (188,40)(2).

ეგვიპტური და ტიბეტური მკვდართა წიგნები, რომელთაც გარდაცვალების სახელმძღვანელო ჰქვია, გვაუწყებს, რომ ადამიანები ამქვეყნადვე ემზადებიან სიკვდილისთვის.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გარდაცვლილები ღვთაებრივ სამსჯავროზე წარდგებიან, განიკითხებიან და ცოდვილები ჯოჯოხეთში, ხოლო წმინდა სულის ადამიანები სამოთხეში ხვდებიან.

„უნდა ვწეროთ სიკვდილზე, უნდა ვიფიქროთ მასზე, არანაკლებ იმისა, ადამიანები სიყვარულზე რომ ფიქრობენ“, აცხადებდა მიხეილ ზოშჩენკო (3,213).

მოპასანს აძრწუნებდა, რომ ორმოცი წლის დიდი შემოქმედებითი შრომის საფასური „მხოლოდ ხრნილება, მატლი და მინა“ უნდა ყოფილიყო (3, 214-215).

ცხოვრების საზღაური „კუბი და ორმო“ იქნებოდა და არა ჯილდო, აი რა საფიქრალი აკვიატებდა ექიმ რაგინს ჩეხოვის ნოველაში „პალატა №6“ (3,78).

სიკვდილის გაშინაურებისკენ, „სიკვდილზე გამუდმებული ფიქრიკენ მოგვიწოდებს მიშელ მონტენი, რადგან მიაჩნია, რომ სიკვდილზე ფიქრი სიცოცხლის წესის მიგნებაშიც გვშველის“, ხოლო სიკვდილის შიშის დაძლევის საშუალებად მიაჩნია იმის შეგნება, რომ სიკვდილი, „ახალი სიცოცხლის დასაბამია“ (ცდები) (4,11).

ფრენსის ბეკონის აზრით, „სიკვდილის შედეგად ადამიანი ყოველდღიურობას სცილდება და გარდაისახება უფრო მაღალი არსებობისთვის. ... სიკვდილი მოკეთეა ჩვენი. რაკი სიკვდილი გარდუვალია, სანატრელია სიკვდილი არა წინაშე მტერთა, არამედ მოყვასთა შორის“ (სიკვდილის თაობაზე, თარგმანი გია ჭუმბურიძის, (4, 265, 266).

ჭეშმარიტი პოეზია, სიცოცხლესთან ერთად, სიკვდილის რაობასაც აცნობიერებს: „არ ვარ მეხოტებე მარტოოდენ სიცოცხლის გრძნობის, სიკვდილის ტრფობაც შემიქია, მიდიდებია“, ამბობდა უოტ უიტმენი ლექსში „ჰიმნები სიხარული-

სადმი“ (5, 36).

შარლ ბოდლერის სტიქია იყო მოგზაურობა ჰადესში, მიჯნურთა, უპოვართა, ხელოვანთა სიკვდილის გაცნობიერება. ტრაგიზმის დაძლევას ახერხებდა პოეტი სულის უკვდავების, გარდასხეულების თეორიის რწმენით (6,34).

ნიცშესთვის „ყველა საფლავთა მმუსვრელია ნება“ და „სად საფლავნი ჰგიებენ, ჰგიებენ აღდგომანი“ (7,88).

შოთა რუსთაველმა დაგვმოძლვრა: „ცდების და ცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“, „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“, მოგვძახის ნიკოლოზ ბარათაშვილი.

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“, — ასე ესახება სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული გამოცანა ვაჟა-ფშაველას.

კონსტანტინე გამსახურდია სიკვდილს „ჩვენი ცხოვრების იდუმალ ეტრატზე ალბეჭდილ მეშვიდე ბეჭედს, ჩვენი სულის უკანასკნელ წრთობას, უკანასკნელ ომს, მოუცილებელ მეაბჯრეს“ უწოდებდა და „მაღალი გრძნობის სახელით“ სიცოცხლეშვე სიკვდილთან შეხვედრაზე საუბრობდა.

„სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა, მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“, აცხადებდა გალაკტიონი, რომელმაც შეიგრძნო „სიო, სიამქვეყნიო და საამსოფლო“, დაინტერესდა „ყოფნის და არყოფნის წიგნებით“, შექმნა თავისი „მავი წიგნი“ და „ვარდისფერი სიკვდილის“ გზაზე „შუქთა კამარას“, „დიდ საიდუმლოს“ მიესალმა.

ტერენტი გრანელმა მოიახლოვა და გაიშინაურა სიკვდილი, იწამა სულის მარადისობა და „მესამე გზას“ მიაცყრო მზერა. პოეტს სამშობლოდ ესახებოდა „ლაუვარდები ცისფერი“. „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“, გვარნწმუნებდა „მე-მენტო მორის“ ავტორი.

ცნობილია ეგვიპტელების მაგალითი, რომელთაც დღე-

სასწაულის დროს, საუცხოო საჭმელ-სასმელთან ერთად, დარბაზში შემოჰქონდათ მუმია შეძახილით: „მემენტო მორი!“ — გახსოვდეს სიკვდილი!

ტერენტი გრანელმა სწორად ამ სიტყვებით გააფრთხილა მტარვალი, რომელთაც ექვსი ათასი პატრიოტი ქართველი დახვრიტეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის.

სიკვდილთან მომზადებულ შეხვედრაზე საუბრობდა მიხაილ ზოშჩენკო, რომელსაც სანერ მაგიდასთან ეკიდა სოფოკლეს ლექსი: „ღვთის წყალობაა არგაჩენა ამ ქვეყანაზე, მაგრამ თუ მაინც დავინახეთ ჩვენ მზის ნათელი, დაბრუნდი მეთქი, ო, დაბრუნდი იმავ ბილიკით არარსებობის და არყოფნის მშობლიურ ჭერქვეშ“.

მერაბ კოსტავას მიხედვით, სიკვდილზე ფიქრით დაუნჯებული სიბრძნეა ამაღლების საწინდარი, ამიტომ „სიკვდილზე ფიქრებს“ „სიბრძნის დედას“ უწოდებდა (შიმშილობა) (8,133).

ზოშჩენკოს მონიწებას ალუძრავდა ბაირონის სტრიქონები: „განჭვრიტე ყველა სიყვარული ნეტარ თასებით, ყოფნის ნადიმზე რომ შეგისვამს — ნუთუ გეყოფა? ვინც გინდა იყავ, დამერწმუნე, ერთიც არსებობს ყველაზე დიდი სიხარული — არარსებობა“ (3, 214-215).

ნიკო სამადაშვილი შეგუებული იყო სიკვდილის გარდუვალობას და მომზადებული იყო ჰადესში გასამგზავრებლად...

ეს მომზადება გულისხმობს ზნეობრივი სიწმინდით ცხოვრებას, ლოცვას, შიშის, შეშფოთების დაძლევას დიდი სულიერი ძალით.

პოეტის ყურადღების არეალში ექცეოდა ადამიანის ცხოვრების ყველა სტადია, სიკვდილთან მრავალგვარი მიმართება, განსაკუთრებით ამა ქვეყნის სათავეში აღმოჩენილ მტარვალთა არაადამიანური დამოკიდებულება არამხოლოდ რიგითთა, მასების მიმართ, არამედ გამოჩენილ მოაზროვნეთა დევნა-დამცირება და სიცოცხლის ხელყოფა განსაკუთრებით კრიტიკულად მოაზროვნე, მამხილებელი, დინების წი-

ნააღმდეგ მავალი შემოქმედებითი პიროვნებებისა.

ნიკო სამადაშვილი ხშირად პირველი პირით საუბრობს ამ მტკივნეულ პრობლემაზე, ხან გამოგონილ სახეებს მიმართავს, მაგრამ აშკარაა, რომ პირადი ტანჯული ბიოგრაფიაა იმ შემზარავი მხატვრული ფაქტების შთამაგონებელ-მასაზრდოებელი, რომელიც გულგრილად ვერაფრით დატოვებს მკითხველს. მის პოეტური სამყაროში შეხვედრა გვიწევს სიკვდილის მომლოდინე, გაღმა სამყაროში გასულ თუ მარადიულობასთან ნაზიარებ პერსონაჟებთან.

ამოსავალია სიკვდილ-სიცოცხლის კანონზომიერების აღიარება: „...რა ვუყოთ მერე, ვინდა არ წავა მიწისკენ, მაინც მეფობს სიკვდილი“ (სიზმრების ნალვერდალი) (9,149).

მიღმური სამყაროს შემზარავი სურათია ლექსში „დამშვიდობება და სინანული“ (9,211): „... შენ კი მიწის ქვეშ შემოგაგდებენ ხელიდლიაში კუბო ამოჩრილს. წყვდიადი მძიმედ დაუშვებს ფარდებს, შეწყდება ფერად ჭინკების სრბოლა, სულს შეგიხუთავს ძეგვივით დარდი და ჯოჯოხეთის პირქარი ხრჩილა... თვალს შეგავლებენ ქვესკნელის წყლები. წინ ჩაგივლიან მკვდრები კრუსუნით“.

წარმავალ საწუთროში ადამიანები ქინქლებს ედრებიან: „ჩვენ ქინქლებივით დავტრიალებთ ვერაგ საწუთროს და საფლავებზე შემხმარია ხალხის წუწუნი“...

„სასაფლაოა ეს ვერაგი მთელი სამყარო“, წინაპართა დარად ასკვნის გულგასენილი პოეტი (ტყე აშრიალდა, აშრიალდნენ ჩემი ფიქრებიც) (9,119).

„ეს დედამიწაც ბოლოს და ბოლოს, ხომ რაღაც დიდი სასაფლაოა“, (იცოდეს ღმერთმა) (9,224), აკვიატებია პოეტს სასაფლაოს ხილვები.

„ადამიანი მტვერია“, ამიტომ ბუნებრივად აემგზავრება „სამიწე დარდი“ (მანანა ქართველიშვილი) (9,143).

გამომდინარე აქედან, საკუთარი ცხედრის წინასწარი ხილვები ბუნებრივია: „... ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე, თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები“ (ჩემი პორტრეტი) (9,223).

არარაობაზე, საფლავებზე ფიქრი არ შორდება პოეტს: „არარაობა მიზიდამს უღრანს, იქ არც მთვარეა, არც ლაჟ-ვარდები, წარმავალობა დაიწყებს ლრენას და იკივლებენ თვით საფლავები“ (ზმანება ზამთარში) (257).

არც უპატრონო, „ქარის ფეხებით“ დატკეპნილი საფლავი რჩება შეუმჩნეველი (კაცო, სადა ხარ?) (9,231).

ტკივილს იწვევს კავშირის გაწყვეტა ორ სამყაროს შორის, უჭირისუფლო საფლავები: „...წისქვილთან ჩუმად მიწვება ქარი და შემინახავს ბედის ანაბარს“ (მოვკვდები, წავალ, ვინ მომიგონებს) (9,123).

ქარია ქუჩაში დაღუპული ადამიანის ჭირისუფალი: „ის ჩამოვიდა ჩემთან ტირილით, ქარს უპოვია გზაში მკვდარიო, იქ ქვებთან ეგდონ გამტყდარი სტვირი, ელავდა ლამე და ავდარიო“ (9,226).

შფოთვით, დარდით, წმინდა ოცნებით გარდაცვლილ, სფინქსად დასახულ მიცვალებულს ისევ ქარბუქი მიაყრის ქვიშას, ქარი ჩაატანს საფლავში ბუმბულს: „...დაგეკვებება შფოთვა და დარდი, ოცნება წმინდა, გზა მიუვალი სფინქსის ზუზუნში იდგება ქეშად. მკვდარს დაგეყრება თეპერვლის ნავლი და ქარბუქისგან მიყრილი ქვიშა. ქარი საფლავში ჩაგიგებს ბუმბულს, სიმსივნით გული გაიბერება, შენს თავის ქალას, ჯირკთან მიგდებულს, მინდვრის ბალახი გამოერევა“ (როცა ბალახი ამოვა) (10,17).

ლექსში „ერთი კიდევ, თუ ღმერთი გწამს“ (9,28-29) ისევ ქარი და სანთლებია გარდაცვლილის ჭირისუფალი: „ის დაიღუპა ქარში ქვითინით, ენთო სანთლების ქათინაური“.

არა ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვალება, არამედ ნაადრევი დაღუპვა ამგლოვიარებს პოეტს: „ძლივს ახურებდნენ სივრცეთა თონეს, ის დაიღუპა და გრიგალებმაც ვერ უპატრონეს“ (გადამეყრები, ერთად წავალთ) (9,241).

ჭირხლში, წვიმაში „ბალდახინები... ცეკვავდნენ თეთრ მარმაშებით“ (მოგონება და სინანული) (11,109).

პოეტს ესმოდა „საფლავების კივილი“, წარმართების

ღრენა, პლანეტის ღრიალი და „გადაშენების შიში“ იპყრობდა (უკუღმართობა) (9, 257).

გაუხარელი ცხოვრება თვითმკვლელობის სურვილს ბა-დებდა: „...მსურდა მომეკლა თავი უდანოდ“ (ფილტვების სიყ-ვითლე) (9,64).

ბოროტი ადამიანი გველებით სავსე ქვესკნელში ხვდე-ბა, წარმავალ წუთისოფელში გარდაცვალების შემდეგ კი ისევ შეშლილთა ცეკვა-გნიასია: „როცა სულს ლევდა, უკა-ნასკნელად ბოროტ თვალებით გახედა ველებს. გაღმა უკუკ-ლმა ეგდო ქვესკნელი და შიგ სისინი გაჰქონდათ გველებს. დაუმარხავი გვამივით ყარდა, ქარი სუნთქავდა ხანგამოშვე-ბით, წარმავალობის ტიალ ყორესთან ისმოდა ცეკვა შეშლილ ქოშებით“ (სამანი) (9, 130).

პირდაპირ საშინელების ესთეტიკაა ლექსი „გამხმარი კაცი“ (11,44): „თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება ღამე, ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოეწონება და მატლებდახ-რულ თვალებიდან გახედავს ბალებს“.

პოეტის მწუხარებასთან თოვლი და პანაშვიდები ასო-ცირდება: „და კვლავ ბარდნიდნენ ჩემს მწუხარებას თოვლი და მკრთალი პანაშვიდები“ (დაუმთავრებელი ბარათი) (9,214).

უპატრონოდ, უგულისყუროდ იღუპებიან არამხოლოდ ბრბოს, მასების წარმომადგენლები, არამედ აბუჩად არიან აგდებული ფიქრიანი მლოცველები: „....ფიქრების ზვინი, ლოცვები. ჩაჰკლა აბუჩად ბედის აგდებამ და დაიღუპა თე-ბერვლის ღამეს, ქუჩაში, ჭოჭში, ძვლების ამარა.დილით ლო-თებმა ლანძლვით დამარხეს, როგორც პირუტყვი, როგორც მეძავი“ (გახსენება) (9,183).

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში ძალზე დიდი ადგი-ლი ეთმობა პიროვნებისა და საზოგადოების, კონკრეტულად შემოქმედისა და ხელისუფლების მიმართებას. პოეტის თვალთახევით, ჭეშმარიტი ხელოვანი, უპირველესად, რელი-გიურია, ამასთან, არა მედროვეთა ფეხის ხმას აყოლილი, არამედ ოპოზიციონერი, გონებაშეზღუდულ, ამა ქვეყნის სა-

ჭეთმპურობელთაგან მოუთვინიერებელი, სამშობლოს, მარა-დიული იდეალების, ჭეშმარიტების ერთგული მსახური, რო-მელსაც გასიგრძეგანებული აქვს წარსულის, აწმყოს პრობ-ლემები და მომავალში უტყუარი ჭვრეტა ხელენიფება. ასეთ ოსტატს კი არასოდეს სწყალობენ სახელმწიფოს სათავეში მოქცეული ტირანები.

ნორმალურ სიკვდილს და გასვენებას მხოლოდ მედროვეთ, ეპოქის ფეხის ხმას აყოლილთ აღირსებდნენ, ხოლო ვინც ქედს არ უხრიდა დიქტატორთ, სიკვდილშიც გამოარჩევდნენ: „იმას სიკვდილიც არ ჩააცეცხლეს, კუბოში კიდევ ნატრობდა სიკვდილს. ის არ ცეკვავდა ფეხის ცერებზედ, არც ყურს უგდებდა ეპოქის ჭიდილს“ (ლვინის სარდაფში, ან-თებულ კვარზე). (9, 200).

ნიკო სამადაშვილი ვერ იგუებდა მტარვალთა ბორკილს, ჯაჭვს, რის გამოც, მუდმივად ცუდად იყო მიზანში ამოლებული და, ბუნებრივია, სიკვდილის პირამდე მიყვანილი პოეტი საკუთარი ბიოგრაფიის მაგალითზე წარმოაჩენდა ვაიადამიანთა სისასტიკეს. ვაიხელისუფალნი ყველანაირად ცდილობდნენ დაეჩქარებიანთ ყველა ჭეშმარიტების მსახურთა სიკვდილი.

პოეტს აწუხებდა არა ულმობელი წუთისოფლის მიტოვება, არამედ იმ დიდი, ღვთისგან მომადლებული სათქმელის სიკვდილით შეწყვეტა: „... ჩრდილივით იდგა წუთისოფელი, კაცი სტოვებდა ქვეყნიერებას, მისტერიების უამთა მფლობელი, ეს როდი ჰგავდა გარდაცვალებას, ეს სიმღერების შეწყვეტა იყო“ (სასუფეველში რეკვიტი ბერებს) (9,104).

ასეთი შემზარავი სურათები მეორდება ლექსში „ის კი-დევ სწერდა ლექსებს“ (9,26): „... მე მივდიოდი, სადღაც კან-დელი იწოდა ჩუმად, წვითა და დაგვით, საკუთარ კუბოს მხარზე ვიდებდი, შიგ კი ესვენა ეს ჩემი გული... ხან გრიგალები მართმევდნენ ცხედარს, ყრუ აღმართები ყალყზე დგებოდნენ, მუხლი მწყდებოდა ქარების მხედარს, სადღაც ღვთისმშობელს ვეცოდებოდი. დარდი მკორტნიდა უკურნე-

ბელი, თითქოს სხეული დაეხრათ ჭიებს, ღამეს მოვცილდი, ტიალ უკუნეთს და განთიადებს ვერ დავეწიე“.

ისევ ქარიშხალი, ცხედარი და კუბოა ცოცხლად დამნვარი პოეტის ფიქრთა თანამდევი ლექსში „ერთი კიდევ, თუ ღმერთი გნამს“ (9,28-29): „ქარიშხალი... წაიღეთ კუბო, მომწყვიტეთ ცხედარს, მინდა ვენამო, ვიწოდე ცოცხლად, ასწიეთ კუბო, უთხარით დედას, შიგ ჩავდეთ შენი ყვავის ბახალა, მაგრამ იქაც კი ვერ მოისვენა, წამოიჭრა და გასწია სადღაც. ის გაჰყვა ზევით ქარების ბლლაძუნს და დაიღუპა ქარში ქვითინით. აქ ცარიელი კუბო ტიროდა, ენთო სანთლების ქათინაური“.

ეს საზარელი ხილვები აქცენტს უკეთებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მაღალი აზრი კუბოში, მინაში ვერ დაიმალება, ის ფიზიკური გარსისგან განსხვავებით, მარადიულია.

განუმეორებელი ტკივილების გამოწვევია არა მხოლოდ უსაფლავობა, არამედ ლექსის მეუფის შეგნებული იგნორირება: „განუკითხავად მარტო მოვკედები, მარტო ვიყავი. საკუთარ კუბოს მე გავასვენებ: ნუ მოიგონებ წამებულ პოეტს, ვინც გრიგალებმა დაანაფოტეს, ვის სიმღერებზე ნარი დაამყნეს, ლექსის მეუფე დასცეს და გარყვნეს. ნუ მომიყითხავ, დამწყევლეს მგონი, ჩემს სამარესაც ვეღარ იპოვნი“ (მივდივარ, ჩუმად გავცექერი ველებს) (9,36).

„რა საჭიროა სიკვდილის მერე უკვდავება და სიბედნიერე“, აცხადებს პოეტი.

მგლების, ნიანგების გარემოცვაში მოხვედრილი, საფლავზეც უარს ამბობს: „...ანდა საფლავიც ნეტა რად მინდა, ილაზღანდარონ მომაკვდავებმა, ზედ დამაყარონ წუნკი შენდობა, გადამიარონ ღამე დათვებმა. ან ჯიბგირებმა მომინახულონ, ყომარი გახსნან იქვე, მწვანეზე. მივალ, მივდივარ მოკლული დარდით, შეკუმშულ გულში ათევს ზამთარი, იტყვიან, მოკვდა შავი სახადით, მოვიდა, იყო, ეხლა არ არის“ (რა საოცარი ყოფილა ყოფა) (9,39).

„წინაგრძნობაში“ (9,56) უღირს გასვენებაზე კეთდება

აქცენტი: „...გამასვენებენ მათხოვრები გასვრილ ხელებით... მთვრალი ყორანი გრძელ ბრჭყალებზედ დაითვლის წამებს. გათხრილ საფლავში ჩაძვრებიან საყდრის გველები“.

პოეტი, რომელიც უზენაესს ხედავდა სულის თვალით, ვი- გინდარების სამიზნე გამხდარიყო: „მზე გადიოდა ცას ბორანი- ვით, ტყეში შიშველი ქარი ჰკიოდა, ლექსს იძახოდა ხიდან ყო- რანი, ქრისტე მოჩანდა საიქიოდან. ...სადღაც ეპოვნათ კუბო ჯიბგირებს და მიეწერათ ზედ ჩემი გვარი“ (წარწერა) (9,197).

საკუთარ დალუპვას წინასწარ გრძნობდა და უკანასკნე- ლი წუთების მოლოდინში ისევ მაცხოვრის მარადიულობაზე ფიქრობდა: „.... დავილუპები ისე, როგორც შეპფერის ოხერს, მეხის კივილი ზარდამცემი წავა-წამოვა, საუკუნეებს მაცხო- ვარი გაჰყვება მეცხრედ, საუკუნეებს -დასაბამი რომ მოაძო- ვა“ (გარეთ) (213).

„ბედმოკრძალებით“ დალუპვას მოელოდა, ცაზე ვარ- სკვლავებს — „მარადისობის ჭუჭრუტანებს“ ჭვრეტდა (მოს- წყდა) (9, 158).

ვარსკვლავი უფლის მეტაფორული სახელია...

მინიერი სიკეთეებისგან განშორებულს, „ზეცაზე ზეცა“ ანუ მარადიული „ცათა ცა“ ეიმედებოდა: „ის განთიადის წინ დაბინდდება, წავა, დასწყვევლის მიწურ ადათებს. ზეცისკენ ზეცა გადაფრინდება, ზეცაზედ ზეცა გადაანათებს“ (9, 189).

პოეტს მარადისობის „თეთრი ლანდი“ ევლინებოდა, წუ- თისოფლის მავნე ადათებისგან ზურგშექცეულისთვის ღმერთს „ლაჟვარდები“ განენესებინა სულის სამკვიდროდ: „... ოთახის კარებს თეთრი ლანდით თუ შეალებდა, მარადისო- ბა კიაფობდა ულაჟვარდებოდ. მგონი, ისე სძულდა წუთისო- ფელი, რომ ის ღმერთებმა ლაჟვარდების სხვენზე შეაგდეს“ (საღამოს სწვიმდა) (159).

დატანჯულ, მარტოსულ პოეტს მხოლოდ ქარბუქის შებრალების იმედი შერჩენოდა, რომელსაც ძმას უწოდებდა: „მარტო სწევს კუბოს გიუ პოეტი, უკან ქარბუქი მიყვება ნე- ლა. მე კი არავინ არ მიპატრონებს, შენ შემიბრალებ, ძმაო

ქარბუქო“ (მზად დაგასვენეს სამრეკლოს ჩრდილში) (9,100).

ალბათ, საფლავების გარეშე დარჩენილი, დაუმარხავად ქუჩაში დატოვებული, მხეცური სისასტიკით დაღუპული დიდი წინამორბედების — ტიციან ტაბიძის და მიხეილ ჯავახიშვილის ხევდრი აგონდებოდა ნიკო სამადაშვილს.

ორჯერ უმიზეზოდ რეპრესირებული პოეტი ასეთ გულისშემძვრელ სტრიქონებს ქმნიდა: „... გულს უღონებდა დარდების ლაქა... ფოთლებთან დიდხანს ილაპარაკა. მას არ ექვავა ლარიბი ოდაც, ან რა ჯანდაბად უნდოდა ნეტა, კიდევ კარგი რომ ბინა არ ჰქონდა და მკვდარი შიგნით არ ჩაიკეტა. თორემ რა ექნათ მის ერთგულ ნაძვებს, ვინ გაუღებდა კარს ერთი წამით. ეხლა შორს, ქარში ისევ ძაგძაგებს დაუმარხავი პოეტის გვამი“ (ჩაეფლათ მაინც) (9, 147).

საკუთარი უმძიმესი ყოფის და შემზარავი სიკვდილის წინასწარმეტყველება პოეტის სტრიქონები: „... მე კი სამშობლო მექცა კატორდად, ხელფეხზე მადევს მსხვილი ბორკილი, ეს პოეზია დე დარჩეს ოხრად, თუ ჩამასვენეს მე გათოკილი. თუ არ მალირსეს მემღერა ჩარად, პირი ამიკრეს, სული შეხუთეს და კუბოს ფული თუ არ გაგვაჩნდა, დედა ეძებდა გადაყრილ ყუთებს. მე მათხოვრებმა დამასაფლავეს“ ...

ბედისგან განწირულს, დარდის კვამლისგან გამურულს, სიკვდილმისჯილსავით იმედდაკარგულს თავის ცხედართან „გაცრეცილი“ ქარები ელანდებოდა: „დაბუხულ წონებს ბედის-წერის რუკა ეჭირათ, სიცოცხლე სჩანდა, როგორც მკვდარი ნაქალაქევი, იქ სიყმაწვილე ბნელ დარდებში კვლავ ჭრიალებდა და შენს ცხედართან გაცრეცილი იდგნენ ქარები... მეც თვალებიდან შავი კვამლი ამოგდიოდა“ (სმენა) (9,85).

პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება ტრაგიკული მომავლის წინაგრძნობას.

თითქოს სახარებისეულ გეთსიმანიაზე იყო გადაწყვეტილი წამებული პოეტის ბედი: „...დღე და ღამე დამტირიან გეთსიმანის ფრინველები“ (აღსარება) (10, 131).

შეგუებული იყო მარტოობას, უჭირისუფლო გასვენე-

ბას მოელოდა: „...არსად, არასდროს მე არავინ არ მეყოლე-ბოდა და ჩემს მკვდარ სხეულს ჩემი ხელით დავასაფლავებ“ (კარების გაჯახენება) (10,204).

ნიჭიერთა განწირვის მაგალითები მრავლად ნახა შერის-ხულმა, გარიყულმა პოეტმა და საკუთარი აღსასრულიც ჩა-ძალლებად გაიაზრა: „...ღვინის სარდაფთან დანდობილას ჩა-მაძალლებებ“ (მარიამს. მეუღლეს) (11,51).

თითქოს შავ სიაში ამოეკითხა საკუთარი ტრაგიკული აღსასრული, მხოლოდ პანაშვიდი და გასვენება ელანდებო-და: „ახლა კი ვცოცხლობ ძალისძალითი, ვით პანაშვიდი და გასვენება“ (ჩემს ნუკრიას) (9, 40).

სიზმრებიც ავის მაცნედ ესახებოდა: „თითქმის ყოველ-ლამ ჩემს სიზმრებში სიკვდილსა ვხედავ, პირქვე დაცემულს ქარიშხლებიც ვერ ამაყენებს“ (დასასრული) (9,122).

სჯეროდა, რომ უსამართლოდ განწირულს ღმერთი მოევ-ლინებოდა მხსნელად: „ვიცი, სულ მალე დავიღუპები, ქრისტე ჩემს ახლოს დაიწყებს ყიალს“ (ფიქრებს იქით) (9,108).

ანგელოზებს ხედავდა თავისი მოძღვრისა და მასწავ-ლებლის, უსამართლოდ დატანჯული ერეკლე ტატიშვილის საფლავზე: „გადივლის ქარი და შენს სამარეს დაესევიან ან-გელოზები“ (რა საყვარელი სიცოცხლე მორჩა“ (9, 118-119).

„სასუფეველში რეკანენ დიდ ზარებს (9,107), ამბობდა პო-ეტი, რომელსაც ესმოდა ზეცის, ქვესკნელის, უდაბნოს ზარები.

მართებულია ზაზა აბზიანიძის განაცხადი, რომ ნიკო სამადაშვილი იყო ტირანული ეპოქის ზვარაკი, მსხვერპლი, „მის შემოქმედებაში მთავარია სიკვდილ-სიცოცხლის პრობ-ლემა“, რომ „პოეტმა წინასწარ იხილა საკუთარი საფლავის ბორცვი, იწინასწარმეტყველა სიკვდილის შემდგომი სიცოც-ხლე“ (9,3).

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
2. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, თბ. 1983
3. მიხეილ ზოშჩენკო, მზის ამოსვლის წინ. გონებისთვის, თბ. 1986
4. ახალი თარგმანები, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, I, თბ. 1992
5. უოტ უიტმენი, ბალახის ფოთლები, თბ. 1966
6. შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დავით აკრიანის, თბ. 1992
7. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ. 1993
8. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
9. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, საოჯახო ბიბლიოთეკა, თბ. 2004
10. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ. 2010
11. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006

ჰადესის სამყარო

გარდაცვალების შემდეგ ყოველი ადამიანის სული საღვთო სამსჯავროზე უნდა წარდგეს. ამ პროცესის გარდუვალობას ამტკიცებს იუდიზმი, ბუდიზმი, ზოროასტრიზმი, მუსულმანური, ქრისტიანული რელიგია. ასე ფიქრობენ ეგვიპტემი, ინდოეთში, იაპონიაში, ამერიკაში, ქრისტიანულ ქვეყნებში.

ოფიციალური ეგვიპტური იდეოლოგის მიხედვით, მიცვალებულის სულს უნდა გაევლო ოზირისის-მიცვალებულთა მეუფის სამსჯავრო, სადაც სიმართლისა და წესრიგის ქალ-ლმერთი მაატი სწონიდა მის გულს, რომელსაც ფრინველის გული არ უნდა გადაეწონა. ცოდვილს დემონი შთანთქავდა, უცოდველი კი ანუბისს-ძალლისთვავა ღვთაებას გადაჰყავდა იალუს მინდვრებზე, რათა მზის ლმერთის თანმხლები ყოფილიყო მზიან ნავზე მის მუდმივ მოგზაურობაში.

მიცვალებულთა წიგნის ერთ-ერთი თავის მიხედვით სამსჯავროზე წარმდგარს უნდა წარმოეთქვა ორმოცდაერთი ცოდვის უარყოფის ტექსტი, ხოლო ბოლო ფორმულა უნდა ყოფილიყო: „მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ“ (1, 130).

ტიბეტური მიცვალებულთა წიგნი ამიტკიცებს, რომ სიკვდილი არის ცნობიერების გადასვლა უფრო მაღალ საფეხურზე, ამიტომ საჭიროა სიკვდილისთვის მზადება, შიშის დაძლევა.

ტიბეტური წიგნი მოგვითხრობს ღვთაებრივ სასამართლოზე, სადაც მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა-რადუა აფასებს განსასჯელი მიცვალებულის საქმეებს კარმის სარკის საშუალებით.

ძველ ინდოეთში ძვ. წ. II და ა.წ. III გვხვდება სიკვდილის ლმერთი „იამა“, მანუს კანონებში საუბარია სულის სხეულთან გაყრაზე, მის ხელახალ დაბადებაზე, გარდასხეულებაზე, უმაღლეს ადამიანზე, მაღალ და მდაბალ სულებზე, კარმისგან განთავისუფლებაზე.

ამერიკაში მიცვალებულთა წიგნს ეწოდება „გარდაცვა-

ლების მეცნიერება“ ანუ „გარდაცვალების ხელოვნება“.

ამერიკელი ე. გოულდის სწავლების საგანი იყო „შეგნებული სიკვდილის მეცნიერება“, დევიზი — „მოკვდი სიკვდილზე ადრე“.

დოქტორ უორდენის პროგრამას ეწოდებოდა „სიკვდილის პირადი გაცნობიერება“, რაც მომაკვდავებს საშუალებას აძლევდა, შეეცვალათ თავიანთი ცხოვრების მოდელი, ისინი ახლებურად იცნობიერებდნენ სიკვდილის, ავადმყოფობის, ჯანმრთელობის საკითხებს.

მინი სიკვდილის გადატანა ადამიანს საშუალებას აძლევდა, გაეკონტროლებინა თავისი უკანასკნელი წასვლა ამ ქვეყნიდან.

გოულდის პრინციპი იყო: „სიცოცხლე არის ილუზია“.

სიკვდილი შემოქმედების გამაღვიძებელი ფაქტორია, შემოქმედებითი ძალები მძაფრდება საკუთარი სიკვდილის გაცნობიერებისას.

სიკვდილისათვის ვარჯიში, სიმბოლური სიკვდილი ინვევს სულიერ განახლებას, შთაგვაგონებს ამქვეყნიერი არსებობის წამიერებას და ტრანსცენდენტური სამყაროს მშვენიერებას, ხელს უწყობს ადამიანის დაფარული სულიერი ძალების პოტენციის გააქტიურებას.

სიკვდილი არის დიდი გამოცდა. ადამიანის მიზანია უზენაესის სახლში, სულიერ სამყაროში დაბრუნება, რასაც მომზადება სჭირდება. ადამიანის სრულებრივი პროცესი სიკვდილის ჟამს სრულდება (2).

„ბჟაგავად-გიტას“ მიხედვით, „ყოფიერების რა მდგომარეობაც ახსოვს ცოცხალ არსებას სხეულის დატოვებისას, იმავე მდგომარეობას მიაღწევს“.

ადამიანმა ისე უნდა იცხოვოს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

ძველი ეგვიპტური პაპირუსი — „იმედგაცრუებული ადამიანის საუბარი საკუთარ სულთან“ — სიკვდილს ხსნას, სიკეთეს უწოდებს, მიიჩნევს ცოდვისგან გაქცევის, „გამო-

ჯანმრთელების, სენისგან თავის დაღწევის გზად, სიკვდილს მოიხსენებს საკმევლის, ლოტოსის სურნელებად, უწოდებს თრობის ნაპირთან მიღწევას, მოლაშქრის, პატიმრის დაბრუნებას საკუთარ სახლში.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო დაყოფილია დაბალ, მაღალ და შუა პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანის მიზანი უნდა იყოს სულიერი სხეულის მიღება, სულიერ პლანეტამდე მიღწევა.

„ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს უფალი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს“, გვამცნობს ეკლესიასტე (12,4) (3,14).

„მოიქცეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“ (ეკლესიასტე, 12,7) (3,14).

ქრისტე შეგვაგონებს: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუდთ“ (მათე, 10,28) (4, 21).

„ხრწნადი უხრწნელობით, მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს“.

„აპა, გეტყვით თქვან საიდუმლოს: ყველანი როდი მოკვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“, ვმოძღვრავს პავლე მოციქული, (I კორინთელთა, 15, 51,53) (4,381).

ანალოგიური დანიშნულება აქვს ფილოსოფიას. „ფილოსოფია, პლატონისეული სიტყვებით რომ ვთქვათ, სიკვდილისათვის მზადებაა, ეი.ი მას ევალება იმდენად სრულყოს სული, რომ იგი სამუდამოდ დარჩეს იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაბრუნებას“ (5,110).

ბიბლიაში მეფე ბალთაზარმა ნადიმის დროს იხილა კედლიდან გამოსული ხელი, რომელმაც კედელზე სამი საბეჭისნერო სიტყვის წარწერით ამცნო მისი და მისი სამეფოს აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5,1-30) (6,252-253).

„ადამიანს სულიერ სამყაროშიც გააჩნია ცნობიერება, მიღმურ სავანეში მხოლოდ ცნობიერების ცვლაა“, ირწმუნება რუდოლფ შტაინერი (7,121).

ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს გოეთე: „მე ეჭვი არ მეპარება არსებობის გაგრძელებაში, ყოველი ენტელექია ზიარებულია მაარადისობას. ეჭვი არ მეპარება, ჩვენ განვაგრძობთ არსებობას, მაგრამ ყველანი ერთნაირად უკვდავნი არ ვართ“ (8,64).

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია რადიოკონტაქტი მკვდრებთან, აჩრდილების ფოტოგრაფირება, გარდაცვლილთა ხმების ჩაწერა. ხდება მიცვალებულთა გამოცხადება ცოცხალთა გაფრთხილების მიზნით, ხმის გაგონება, სუნთქვის შეგრძნება (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ) (2).

ბიბლიაში მეფე საულმა მესულთანე ქალს სთხოვა სამოელის გამოძახება მიღმური სამყაროდან. სამოელმა იწინასწარმეტყველა საულის და მისი ოჯახის ტრაგედია, რაც ახდა კიდეც.

პლუტარქეს პარალელურ ბიოგრაფიებში მოთხრობილია ბრუტუსთან იულიუს კეისრის გამოცხადების შესახებ.

დანტე სიზმარში მოევლინა შვილს, რათა „ღვთაებრივი კომედიის“ XIII თავის ადგილსამყოფელი მიენიშნებინა.

„ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება წარსულის, აწმყოს, მომავლის ლანდები, მისტიური აჩრდილები.

გოეთეს მიაჩნდა, რომ „სულთა სმეუფო არ არის კარდახშული“.

ვასილ ბარნოვის რომანებში და მოთხრობებში მუდმივი კავშირია ორ სამყაროს შორის. ადამიანის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ სული აგრძელებს არსებობას და ეცხადება ახლობლებს (აჩრდილი სიკვდილისა).

მოგონების, გარდაცვლილთა აჩრდილების გაცოცხლების, ჰადესში დამკვიდრებულებთან „კომუნიკაციის“ უნარია შემოქმედება.

სამშობლოს ღირსეული შვილები, ნათლითმოსილები

საიქიოდან უნათებდნენ ვაჟა-ფშაველას და პოეტი ესაუბრებოდა მათ: „ჰყოლია სულით მტკიცენი მშობელს ქვეყანას გმირები, საიქიოდან მინათებს მათი ნათელი პირები. ცოცხალი მკვდრებთან ვსაუბრობ, შევტრიფი შუბლ-შეკრულს შოთასა“, მკვდრები მიშაქვრენ ცხოვრების გულში ჩანაწვეთ შხამასა“ (ერთხელ კი ჩვენაც ვყოფილვართ) (9,32).

ეს „კომუნიკაცია“ ორმხრივი იყო: „სიყრმითგან საიქიოსთან დამკვევედრია კავშირი... ნასულნი ამა სოფლითა, დღესაც მოდიან, მხედავენ, სწირავენ მყუდრო სადგურსა, ცოდვილთან მოსვლას ჰქედავენ“, ამბობდა ვაჟა (სიყრმითგან საიქიოსთან).

თავისი შემოქმედების საიდუმლოს გვიზიარებს ვაჟას შემდეგი სტრიქონები: „მამა-პაპათა აკლდამებიდან გამოვიწვიე გმირთა აჩრდილი, მე გავაცოცხლე ხელის შეხებით ლეჟი მდუმარე, ლეში გახრწნილი...“

ვაჟასთვის შთაგონების იმპულსი იყო რუსთველისა და დავით გურამიშვილის აჩრდილები (დავით გურამიშვილის სხოვნას (9, 199) ნუგეში იყო „რჩევა“: „სრულდება, მალე იქნება ღვთისაგან დანაპირებიო“ (ხმა მესმის) (10, 329-330).

პოეტს ელანდებოდა კრწანისში დამარცხებული ერეკლე მეფის შეწუხებული აჩრდილი (1795 წლის სახსოვრად) (9,10).

ეკლად ესობოდა გულში წინაპართა საფლავებიდან მოსმენილი კვნესა, „აკლდამებიდან მათი მწყრომარე გამოხედვა“ (მოდი, მოხშირდი ჭალარავ) (11,37).

წინაპრებთან პოეტის სულიერი ერთობის დასტურია „აკაკის საიუბილეოდ“, „ილიას საღამო“ (10,144-145, 169-171).

ვაჟას სწამდა, რომ „კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველადა“...

გოეთესავით, ვაჟასაც სწამდა ქვეყნის რჩეულთა სულის უკვდავება: „მრწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა, კარგისა, ქვეყნის მოყვარის, ქვეყნის ბედისგან წყლულისა“ (მრწამს, მარად მიწამები) (10,246-247).

ფშაველი გენიოსი დარწმუნებული იყო, რომ ღვთის-

მშობლის წილხვედრი საქართველოს დაჩაგვრას მტარვალს არ აპატიებდა უფლის დედა, რომლის ხმაც სულეთიდან ეს-მოდა: „ვინაც ჩემს წილ-ხვედრს უმტერა, ვინაც მას ცრემლი ადინა, ობოლსა, უპატრონოსა, მაგრამ მართალსა ცამდინა, მე გავცემ იმას პასუხსა, უფლის წინარე მდგომარე... დაძარ-ცვა ჩემი ტაძრები და კვლა დაუწყო ენასა, განდევნა ანგე-ლოზები, ქაჯები დასხა კერასა, დათრგუნა ერის გრძნობები, გული მოუკლა მდიდარი, ენამოს უნდა ისიცა, ამის მომქმედი ვინც არის“ (ხმა სულეთიდან)(9,214-215), ასე ეუწყებოდა პო-ეტს ქრისტიანული საქართველოს მფარველის მსჯავრი.

ნათელმხილველები თავიანთ ასრალურ სხეულს გზავ-ნიან იქ, სადაც სურთ და მოგზაურობენ მთელ პლანეტაზე.

მისტიკოსების აზრით, ეფირული ორეული, ელექტრუ-ლი სული აგრძელებს არსებობას კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

პლატონის მიხედვით, ნებისმიერ მატერიას გააჩნია შე-სატყვისი იდეების ქვეყანაში.

ადამიანს შეუძლია ერთდროულად ყოფნა ორ სხვადას-ხვა ადგილას (შდრ. ტ. გრანელის „იქაც და აქაც“).

გალაკტიონმა უცდომლად წაიკითხა როგორც „ყოფნის წიგნი“, ისე „არყოფნის წიგნი“ (დღეთა გარდასულთა (13, 119-120)). პოეტს სჯეროდა, რომ „სული ცოცხლობს, როს სხეული სამარეში სდუმს“. ხორცისგან განშორებულ სულს“ცის ლაუვარდში“, უსასრულობაში ხედავდა (მას სიკ-ვდილის დროს ეჩვენებოდა) (14,121-122).

„მოგონების წმინდა აჩრდილების“ ამეტყველების უნა-რო ჰქონდა პოეტების მეფეს.

„ბნელი ბინდბუნდით მოცულ მხარიდან“ გამოიხმობდა „ქალწულს აჩრდილს“, რომ „მშვენიერი სული“ და „მშვენიე-რი სახე“ დაენათლებინა (სიტყვა და ლოცვა).

„ბრილიანტებით“ იმოსებოდა ტერნენტი გრანელის ლან-დები.

ნუგეში და თანაგრძნობა გალაკტიონს თავისი რანგის

წინაპართა სავანეში, „მარადიულ მხარეში“ ეგულებოდა: „ნუ დალონდები, არსებობს მხარე, რად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის. იქ დაუდეგარ, მეოცნებე სულს ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის...“

ეს მარადიული მხარე რუსთაველის, ბარათაშვილის, აკაკის სულის ნავთსაყუდელია (მშვენიერებით ვიპოვე) (14,146).

ასევე ენუგეშებოდა აკაკის ლანდის მოვლინება (აკაკის ლანდი).

ეს სულიერი ერთობა იმდენად განცდილი ჰქონდა, რომ გალაკტიონს ხელენიფებოდა რუსთაველის ბავშვობაც წარმოედგინა და ურუანტელისმომგვრელი განცდა გამოიწვია: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცემეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (მთვარის ნაამბობიდან) (13, 181).

ეს გენიალური ხსოვნა ათქმევინებს პოეტების მეფეს: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“.

საუკუნეების წინანდელ წინაპრებთან ასეთი სიახლოვის მიზეზია გენეტიკური კოდების მსგავსება, რეინკარნაცია, რადგან გალაკტიონი არის „გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“ (ნოდარ დუმბაძე).

ასე ქრისტეს შეეძლო თავი გამოედო აბრაამის ნაცნობობაზე, რადგან იგი იყო იყო განკაცებამდეც და იყო ცაში, როგორც ღმერთის ძე.

შუქის სახით ევლინებოდა გალაკტიონს თავისი დიდი წინაპარი აკაკი წერეთელი (აკაკის ლანდი), თრობისა და შვების ღმერთი დიონისე (მარმარილო).

ასეთი სულიერი სიახლოვე მეოცე საუკუნის პოეტს ყველა ქართველ კლასიკოსთან ჰქონდა: „კედლით გიმდერის ექვსი მგოსნის ძვირფასი ქნარი: რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს და ვაჟას სურთ დამიჭირონ მხარი“ (ო, ნანა ნანა).

ასევე, ეცხადებოდა პოეტს სატანაში განსხეულებული

გოეთე: „ობობებიან კუთხეში დივანს ვხედავ: „ვით გოეთე, ზის იქ სატანა“ (მაგიდა ალემბიკებათ) (თხზულებანი 5 ტო-მად, ტ. II, თბ. 2016, გვ. 48).

ქართველი პოეტის „აჩრდილი თანაზიარი“ იყო ედგარ პო (საუბარი ედგარზე).

„და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“, — ასეთი სულიერი ერთობა ჰქონდა გალაკტი-ონს უცხოელ წინამორბედებთანაც.

„ყოველ ნაბიჯზე ვხედავ აღფრთოვანებულ პუშკინს“, წერს ლექსში „ლენინგრადში“.

ეს „კომუნიკაცია“ ორმხრივია, თითქოს წინაპრებიც გრძნობენ გალაკტიონის პოეტურ გმირობას და მოწინებით ეგებებიან: „კარს გაუღებენ მას წინაპრები: გიცდიდით, ვი-ცით, ხომ მიატოვე ის ნაპირები ჩვენი სიმკტიცით? მიეგებება არაგვის პირი და ხმა ძლიერი, შენ უსათუოდ კაცი ხარ გმირი და ნიჭიერი“ (კარს გაუღებენ).

ტერენტი გრანელი შეჩრდილი იყო სიკვდილს, ხედავდა ლანდებს, სულს, ბედის მწვერვალს, სიკვდილის შემდეგ მო-სახდენ მოვლენებს, გრძნობდა შორეულ და მარადიულ სამ-ყაროსთან ახლობელ კავშირს: „და მიხმობს ქრისტე მე ვარ-სკვლავიდან, მე ახლო ვხედავ ძვირფას ლენორას, ახლა დე-დის აჩრდილი დებს და მამას მაპარებს, თითქოს მექახის საი-ქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა“, წერდა პოეტი, რომე-ლიც ხედავდა „სიკვდილის ყვავილ მანტიას“, თითქოს თავად მიჰყებოდა საკუთარ ცხედარს...

გიორგი ლეონიძე წინაპრებთან მიმართებით ამოწმებ-და საკუთარ გულისთქმას: „...შორეულ ელვამ თუ კალამი და-მისხიურა, მე გულს მესობა წინაპართა შემოხედვანი, უწყა-ლო მზერა მე მამოწმებს ყოველდღიურად“ (წინაპართა შე-მოხედვანი).

მერაბ კოსტავა სიკვდილზე ფიქრებს „სიბრძნის დედას“ უწოდებდა და ტრაგიკულად დაღუპულ შვილს ასე მიმა-რთავდა: „... კიდევ კარგი რომ ჩემთვის ირაკლი გარდაცვლი-

ლები არ არსებობენ“ (ირაკლის).

როსტომ ჩხეიძე ხაზს უსვამს „დიდი ხნის წინათ გარდაცვლილთა აჩრდილებთან მერაბ კოსტავას სულიერ, ღრმადა ინტენსიურ მეგობრობას და ეს მისთვის მეტაფორა ან აბსტრაქცია კი არ არის, არამედ ის იდუმალი რეალობა, ყოფითი სინამდვილისგან რომ არც განერჩევა და არა მარტო გონებით, არამედ გულითაც იცის აჩრდილებთან მეგობრობის ყადრი“ (ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის) (16,113-114).

ნიკო სამადაშვილს ხელეწიფება „ლანდებთან ბაასი“, მის პოეზიაში წაშლილია ზღვარი სიკვდილ-სიცოცხლეს, სააქაო-საიქიოს შორის. პოეტი გარდაცვლილებთან, საუკუნეების წინ ამ ცხოვრებიდან გასულ უცხოტომელებთანაც კონტაქტს ამყარებს, თუ მათი მოძღვრება ახლოა სულთან.

„ფერისცვალების“ ავტორი მოგზაურობს „მარადისობის მღვიმეებში“ (სამხარზე), ჰადესში დამკვიდრებულთა ლანდებიც სტუმრობენ: „ოთახის კარებს თეთრი ლანდი თუ შეაღებდა, მარადისობა კიაფობდა ულაუვარდებოდ“ („საღამოს წვიმდა“) (7,,159).

ცნობილია, რომ პოეტის თანამედროვეთა შორის, ქართულ სინამდვილეში „ბუდას მეკვლე“ იყო პოლიგლოტი, გამორჩეული ერუდიციით ცნობილი მოღვაწე, ნიცშეს მთარგმნელი ერეკლე ტატიშვილი. სწორედ მისი მეშვეობით ეცნობოდა პოეტი ბუდიზმს, კრიშნას, ნიცშეს. ამ მოძღვრებებთან სიახლოვე ნიკო სამადაშვილისთვის იყო გზამკვლევი როგორც პოეზიაში, ისე ცხოვრებაში.

პოეტი ცოცხლებივით ებაასებოდა ამ ქვეყნიდან გასულებს, ბარიერს ვერ უქმნიდა, მის ხსოვნას ვერ ანელებდა საუკუნეთა სიშორე.

თავის მასწავლებელთან, მოძღვართან და მეგობართან ერეკლე ტატიშვილთან მუდმივად ევლინებოდა ბუდა საკია-მუნი: „ცას გასცეკეროდა საკია-მუნი... საკია-მუნი მღეროდა ლოცვებს და ბუდას მეკვლეს მზვარა მოჰყავდა უკუნეთიდან და უხაროდა ბატონ ერეკლეს“ (ერეკლე ტატიშვილს) (17,126).

ერეკლე ტატიშვილის გასვენებაზე თითქოს უჩუმრად ცხადდება და ხალხს ფეხდაფეხ მისდევს ცრემლმორეული საკია-მუნი: „მიგასვენებდნენ შავბნელ გოდებით, ჩვენს წინ ცეკვავდა ჯანლი უკუნი, ხალხს კი ფეხდაფეხ ჩუმად მისდევ-და ცრემლმორეული საკია-მუნი“ (თებერვლის ამინდს ჩუმად ეღვიძა) (17,139).

„საკია-მუნის შეშლილი სტვენა“ ესმის პოეტს ლექსში „სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფურიძეს) (17,169-170).

ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებულ, პლანეტებს იქით გაღწეულ პოეტს მონონების ნიშნად ხელს უქნევენ ბუდა და ქრისტე: „...ბუდა და ქრისტე გამომცეკე-როდნენ... ჩემს ნაფეხურებს გამოჰყოლოდნენ და ქალებივით მიქნევდნენ ხელებს“.

აქვე შუქითმოსილი მკვდრების მზერას გრძნობდა პოე-ტი, რომელსაც მძიმე ურდულთ უკეტავდნენ კარებს და არ იკარებდნენ: „...მკვდრები მძიმე ურდულით კეტავდნენ კა-რებს, ქარში ლოთები ზედ გაფურთხებდნენ: „არ მიგიკა-რებთ, არ მიგიკარებთ... გამომცეკეროდნენ მკვდრები ჯგუფ-ჯგუფად, გრიგალის შუქი ეფინათ ირგვლივ“... (დაუსაბამო-ბის ხილვა) (17,184).

პოეტი ერთმანეთს უპირისპირებდა წუთისოფელს და სასუფეველს: „ სასუფეველში რეკდნენ დიდ ზარებს... ჩრდი-ლივით იდგა წუთისოფელი“ (17,107).

ლექსში „მოგონება“ (17,216) პოეტს ჩაესმოდა „გზებგა-დამცდარი“ ნიცშეს ხმა: „გამოქვაბული, ქარის ტირილი, ქვესკნელს ხევიდან ხევში ჩაჰქონდა, ქუჩებში მარტო და გაცრეცილი გზებგადამხდარი ნიცშე ბლაოდა“...

გარდაცვლილი, კუბოში ჩასვენებული პოეტი სულის თვალით თვალცრემლიან პროცესიას ხედავდა: „...კუბოდან კარგად ვუმზერდი ყველას, როგორ მომდევდნენ თვალდახუ-ჭული“ (უკანასკნელი ზარების რეკვა) (17,34-35).

სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ სიტყვის სავანე, პოე-ტური ქვეყნიერება მარადიულია: „დავიხოცებით... დაგვსუნ-

თქავს ლოდი, გარემოც ყვითლად დაიფერება, შორს გამოჩნდება ჭროლა სამრეკლო და შენი ჩუმი ქვეყნიერება“ (გენია და სამრეკლო) (18,52).

დასაფლავების შემდეგ დავიწყებას კი არ მიეცემოდა, უფრო ძლიერად დარეკავდა მისი სულის სამრეკლო, პოეტის მარადიული მე მიატოვებდა სასაფლაოს და ცაში ამაღლდებოდა, ასე სჯეროდა პოეტს.

„....ლექსში „დამასაფლავე ს მეგობრებმა და მიმატოვეს“ (17,261). ნათქვამია: „....დაუცხრომელი სამრეკლო კი რეკდა და რეკდა. ბედის ღრუბელი ბინდის იქით ყრუთ იფლობოდა, შლეგი ქარბუქი გავეშებულ სივრცეებს დეკდა. ჩრდილი და დედა მოდიოდნენ სასაფლაოდან, გაოგნებული სამრეკლო კი რეკდა და რეკდა“.

„მარადისობის უარყოფაში“ (17,254) ქარში ცხედრის ხმა ისმის ყვავილებიანი ქარების ფონზე: „.... ცხედარი ქარში სიტყვას ამბობდა და ყვავილები მიჰქონდათ ქარებს.“

გვახსენდება ბეჟან ხარაიშვილი: „გული სამარეშიც იმზიანებს გული სამარეშიც ამღერდება“ (ცა რომ მტრედისფერობს).

ლექსში „მზე ჩადიოდა მაღალ მთებს იქით“ (17,149) ცხედარი სულის თვალებს ახელდა: „ცხედარი შუქზედ ახელდა თვალებს, მინდვრად, მუხის ქვეშ ტიროდა ქარი“.

საკუთარი ორეულით გარეთ გასული, მლოცველი პოეტი სამარიდან ბეთხოვენის მუსიკას ისმენდა: „ჩემს საკუთარ ჩრდილს წამოვისხამ ზამთრის ღამეში. გამოვალ გარეთ, მყინვარები ლოცვას მომთხოვენ, ქარი ამიხსნის: რო ყვირიან იქ, სამარეში, გიჟი ღმერთები დასევიან საწმყალ ბეთხოვენს“ (კარების გაჯახუნება (17,209).

„გიჟი“ პოზიტიურ კონტექსტშია ნახსენები. ცნობილია, რამ გოეთე „შეშლილ დემონს“ უწოდებდა ბეთხოვენს.

ნიკო სამადაშვილი „ბინდივით ელის ბეთხოვენს“ (არავის ერჩის) (17,19).

აღსანიშნავია, რომ პოეტი თავისი მუსიკალური პობის-

ბეთხოვენის ნაბიჯების ხმას ისმენს და განგების ჩრდილსაც ხედავს: „...ბეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი. გუბე-გუბე განგების ჩრდილი“ (თამარის მღვიმე) (17,68).

თანამედროვე ოფიციოზისგან უგულებელყოფილ, ჩანიხლული პოეტი ლანდებს ებაასებოდა და როცა ეს კონტაქტი წყდებოდა, ცის ელვარებას ღამე ენაცვლებოდა: „ჩუმად იცლები აჭრილი სისხლისგან, გადასჩვევიხარ ლანდებთან ბაასს, სუყველას გზებზე ჩაუნიხლიხარ, უმზერ კედლებს და უცქერი საათს... ასე თავდება ცის ელვარება, ასე ღამდება ერთ სიცოცხლეში“ (ფერისცვალება) (17,69).

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში მიცვალებულთა სულები ხედავენ, მოძრაობენ, მიანიშნებენ: „მკვდრები ცივ სივრცეს მიჰყებოდნენ და გზად ხანდახან ქვეყნიერების კოშკებისკენ იშვერდნენ ხელებს“ (ორი ხელადა ჩამოგვისახეს) (17, 202).

ლექსში, ოდესღაც ახლობელს“ (17,204) ვაიპოეტის მსაჯულად მოვლენილია „გიუი ბოდლერი“: „...ენას გიყოფდა ქურის მხრიდან გიუი ბოდლერი“...

თითქოს სამყაროს შემქმნელ ღმერთთან არმაზის კერპის დაპირისპირების ხმაც გაუგონია პოეტს: „მე გავიგონე ღმერთის ღრიალი, არმაზის კერპი ყელს როცა სჭრიდა“ (კამარების შეჭმუხვნა) (17,30-31).

საიქიოდან ქრისტე ევლინებოდა: „...ლექსს იძახოდა ხიდან ყორანი, ქრისტე მოჩანდა საიქიოდან“ (წარწერა) (17,11).

მიღმური სამყაროს ხილვა, ქვესკნელის ზარების გაგონება, მიცვალებულთა აჩრდილების გამოცხადება ორგანული გამხდარიყო პოეტისთვის: „თოკით ავკოჭამთ აღრენილ ზარებს, მოვლენ და წავლენ ნაცნობი მკვდრები“ (სად არის, სადა?“) (17,53).

მსოფლიო მოგზაური და მსოფლიო რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა თავის დღიურებში მოგვითხობს იმის შესახებ, რომ ღმერთისადმი ლოცვა-ვედრებით, ვარჯიშებით დაამარცხა განუკურნებელი ავადმყოფობა (წაწლავების დამბლა)

ექიმების, მედიკამენტების დაუხმარებლად, რის შემდეგაც 11ჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი სპორტში, იმოგზაურა მსოფლიოს 227 ქვეყანაში და გინესის რეკორდები დაამყარა.

ხოლო ყოველივე ამას წინ უსწრებდა კლინიკური სიკვდილის დროს თეთრწვერა მოხუცის-ლმერთის გამოცხადება, რომელმაც მიწაზე დაბრუნა, გოლიათური ენერგია მიჰმადლა და ჩააგონა, რომ ის ზებუნებრივი ძალა სიკეთის მსახურებაში, ხალხის სასარგებლოდ გაეხარჯა. ერის გამორჩეული შვილი ასკვნის, რომ შეძლო „სიცოცხლის წიგნის“ ახლებური, მართებული კითხვა“.

ლეგენდარულ პიროვნებას წმინდა ადამიანთა სულები ეცხადებოდნენ. ცხოვრების ურთულეს მომენტში ევლინებოდა ნაადრევად გარდაცვლილი მეუღლის — ლიანა ალიბეგაშვილის აჩრდილი, რომლის ხსოვნასაც უძღვნა მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობა, რეკორდები და აფრთხილებდა მოსალოდნელი ფათერაკების შესახებ, რაც ურთულეს მომენტებში საჭირო ზომების მიღებას შთააგონებდა, ყოველნაირ ხიფათ-განსაცდელს ამარცხებინებდა.

სამყაროს, ხილულის მიღმა გასვლა მხოლოდ მისანს ხელენიფება: „სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც, ჩაფიქრებული, როგორც მისანი“ (დარდი ბუხართან) (17,52).

„პოეტი ირონიულად უყურებს საკუთარ სიკვდილს: „სად, ვინ იხილავს ჩემს პანაშვიდებს?!" „თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები“, „რა თავში ვიხლი სამოთხის კარებს“, „და ჩემს მკვდარ სხეულს ჩემი ხელით დავასაფლავებ“. ამ შიშის, რეალობის დაძლევის საშუალება პოეზიაა. მისთვის არაფერი არ არსებობს მარადიულობის გარეშე, არც უახლოესი მეგობარი, არც უსაყვარლესი სოფელი და ცხადია, არც საკუთარ არსებაში გაღვიძებული პოეტური „მე“, წერს მარინე ტურავა (19, 259-261).

ნიკო სამადაშვილს გამოარჩევდა „სულის უფსკრულების ჩვენება, ირეალური, იდუმალი სამყაროს გადარჩენა.“

„ამ კაცს შეეძლო საკუთარი გარდაცვალებაც დაენახა

და ეს დრამატული ხილვა პიროვნების გაორების ამავე ხერ-ხის თავისებური სახეცვლილება — პირველყოვლისა, საკუ-თარ გულსა და გონებაში არის გამოტარებული და არ არის ლიტერატურული ზეგავლენის ნაყოფი“, წერს როსტომ ჩხეი-ძე (ორეული) (20,10).

ნაადრევი დაღუპვის, ჩაძალლების მომლოდინე პოეტს გადარჩენის, მარადიულობის საწინდრად ესახებოდა „მკერ-დის ნიჟარები“, „ფიქრების ხმელეთი“, ბახტრიონივით მაღა-ლი ოცნება, რაც ააცდენდა ჟამთა სიავეს, დავიწყებას: „გავ-ჩნდი განგებ, რომ დავღუპულიყავ ჩემს დედინაცვალ საქარ-თველოში. სად ჩავძალლდები, აბა ვინ იცის... ჟამთა სიავეს მგზავრი აცდება, მოვა, დახედავს მკერდის ნიჟარებს, მიც-ნობს, შეკრთება, შევეცოდები და ტანში ცივად შეაურია-ლებს“ (განკითხვა) (18,72).

დამოწმებანი

1. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1990
2. Жизнь после смерти, М. 1990
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
5. უილიამ გათრი, პლატონი, ბერძენი ფილოსოფაოსები, თბ. 1983
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
7. რუდოლფ შტაინერი, ქრისტე გოლგოთას მისტერიის დროს და ქრისტე XX საუკუნეში, თბ. 1994
8. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვა-ნის, ბათუმი 1988

9. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. 3, „პალიტრა L“ თბ. 2011
10. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ.2, „პალიტრა L“, თბ. 2011
11. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1986
12. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, „მერანი“, 1980
13. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ.II, „პალიტრა L“, თბ. 2011
14. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ.I, თბ. 1993
15. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, თბილისი, 2012
16. როსტომ ჩხეიძე, ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის, „ჩვენი მწერლობა“, თბ. 2017
17. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004
18. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი, თბ. 2006
19. მარინე ტურავა, სიცოცხლე შვენობს შენითა, სიკვდილის პარადიგმა ქართულსა და უცხოურ მოდერნიზმში, თბ. 2012
20. როსტომ ჩხეიძე, ორეული, შეხვედრები და სინანული, „მერანი“, თბ. 1995

ასტრალური მოგზაურობა

ზემინიერი ძალებისგან, ტრანსცენდენტურისგან მოწყვეტას უბედურებად მიიჩნევდნენ როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ფილოსოფიაში, ანტიკურ თუ აღორძინების ეპოქაში.

„ცის და მიწის შეზავება“ (გალაკტიონი), რელიგიურობა, უზენაესისგან ნამცნობი სიბრძნის მიწაზე დამკვიდრება იყო ყოველთვის დიდი ხელოვნების მთავარი დევიზი, რადგან რწმენასგანშორებული სიტყვა ვერ წვდება ჭეშმარიტებას, ვერ იქცევა დიდი სულიერი კულტურის ნაწილად.

არა დინების მხარეს მოფარფატეთა, არამედ „ქარის პირდაპირ“ მხნედ მავალთა, სულინმინდის მადლით გაბრძნობილთა შემოქმედება იყო ყოველთვის სიმართლის მაძიებელთა ინტერესის საგანი.

ნიკო სამადაშვილი ნაზიარები იყო ზეციურ, საღვთო, მარადიულ სიბრძნეს, არა მხოლოდ ბიბლიას და დასავლურ ფილოსოფიას, არამედ აღმოსავლურ მოძღვრებებსაც.

„ფერისცვალების“ ავტორის პოეზია დიდი ლიტერატურის კრიტერიუმებზეა დაფუძნებული.

ერთი მხრივ, პოეტი გვიჩვენებდა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიებს, ამასთან, მიბრუნებას ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი რელიგიისკენ.

როგორც ფართო თვალსაწიერის შემოქმედი, დაინტერესებული იყო ინდური და ჩინური ფილოსოფიით და პოეზიით, ბუდიზმით და ეს შემთხვევითი როდია, რადგან მრავალი შეხვედრის ადგილი არსებობს წმინდა წერილსა, ქრისტიანობასა, ბუდიზმის პრინციპებსა და ლაო-ძის „დაო დე ძინს“ შორის.

ლევ ტოლსტოი ხაზი უსვამდა იმ ნათესაურ კავშირს, რაც შეინიშნება ქრისტიანობასა და ლაო-ძის მოძღვრებას შორის.

„ქრისტიანული რელიგია სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება: პლატონის და ნეოპლატონური მოძღვრება, ებრაელთა

რელიგია და ახალი ხანის თეორიები, ხსნის თეორია, რაც ნაწილობრივ ორფიზმში და ახლო აღმოსავლეთში ვლინდება“ (ბერტრან რასელი, დასავლეთის ფილოსოფიის ისტორია) (1,61).

როგორც ქრისტიანობაში, ასევე აღმოსავლურ რელიგიებში, ბუდიზმში განსხვავებულია ეგზოთერული და ეზოთერული, ანუ საიდუმლო და მასებისათვის განკუთვნილი სიბრძნე, გონების ცოდნა და სულის სიბრძნე, თვალის მოძღვრება და გულის მოძღვრება, წარმავლობა და მარადიულობა, მაია და ნირვანა, ხილული და უხილავი, მაღალი და მდაბალი მე, ორი გზა-აშკარა და ფარული. როგორც სახარებაში, ისე ბუდიზმში, კრიშნასთან გვხვდება ოკულტური ძალების რწმენა, სახარება-ში — ქვის პურად ქცევა, ზღვის მღელვარების დაწყნარება, ზღვაზე სიარული, მიწის ბორკილებისაგან განთავისუფლება, ლაზარეს გაცოცხლება, ბუდიზმში — ოკულტური ძალებით ჭრილობის შეხორცება, თესლის უეცარი აყვავება, ლევიტაციის მოვლენა, ჯვარცმა იდეალებისათვის, სულის სხეულზე გამარჯვების იდეა, კრიშნას მისტიკური ძალით ცეცხლის გადაყლაპვა, ქვებისაგან ხიდის აგება, ტრანსცენდენტური ენერგიით მატერიის სულად გარდაქმნა. ასევე აღსანიშნავია სამი სამყაროს — სულიერის, ასტრალურის და ფიზიკური ძალების არსებობის რწმენა.

„ბჟაგავად-გიტაში“ „სიბრძნის ნავით“ მიიღწევა ცოდვების ზღვის გადაცურვა.

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი სიბრძნე: მიწიერი და ზეციური.

აგარის შვილები, მიწიური ცოდნის მაძიებლები, ვაჭრები ვერ იგნებდნენ სიბრძნის გზას „მხოლოდ ღმერთი... მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს, თავის მორჩილს და ისრაელს, რომელიც შეიყვარა“ (ბარუქ წინასწარმეტყველი 3,23,27)(2,90).

ურნმუნონი ვერ ეზიარებიან სიბრძნეს: „ღვთისმგმობელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაოდ; გონიერს კი ცოდნა ეადვილება“ (იგავნი სოლომონისა, 14,6) (3,6,26).

ლაო- ძის „დაო დე ძინში“ უმაღლესი ცოდნის ცნება ორნაირი სახით არის წარმოდგენილი: ერთია ჭეშმარიტი სიბრძნე და აქედან წარმომდგარი ყოვლადბრძენი-დაოს მორჩილი და მისი კანონების დამცველი. მეორეა ცრუსიბ-რძნობა და აქედან წარმომდგარი ცრუბრძენი -დაოს საპი-რისპიროდ მოქმედი. ლაო-ძი მას ყველაზე დაბალ საფეხურ-ზე აყენებს“ (1,101).

„არსში დაბრუნებას მარადისობა ჰქვია. ვინც შეიცნო მარადისობა: გასხივოსნდა“ (1,141).

ბუდიზმიც კავშირშია ინტუიციური და განსჯითი (ინ-ტელექტუალური) შემეცნება.

სახარების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“ (კუკა) (6,35).

„სიკეთე მიაგე მოძულეს შენსას“, ქადაგებს ბუდიზმი (1,169).

ორივეგან გვხვდება მესიანიზმის, ღმერთკაცობის, სუ-ლის ხსნის იდეა.

„სიდიადე სიშორეში გაღწევაა. სიშორეში გაღწევა — უსასრულოში გარდაცვლაა. უსასრულოში გარდაცვლა — დასაბამში დაბრუნება“ (1, 195).

„ყოვლადბრძენი არსისმიერს დაიუფლებს და უკუჟ-ყრის გარეგანს“ (1,205).

ყველა ამ თეორიის გამოძახილს მეტნაკლებად ვიპოვით ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში და ვრწმუნდებით, რა ფართო თვალსანიერისა რა სულიერი თვალთახედვის პოეტი იყო ის, ვისაც მომადლებული ჰქონდა უხილავის ჭვრეტის, ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენები.

ყველა იდეალისტურ ფილოსოფიაში, პლატონის, ბუდიზ-მის თუ კრიშნას მოძღვრებებში სხეული, მიწა- წარმავლობას ექვემდებარება, ამაოებაა, მხოლოდ განწმენდილი და წმინდა სულია მარადიული. ამიტომ განდობილები ერთმანეთს უპი-რისპირებენ წარმავალს და მარადიულს, მიწას და ცას.

ბიბლიაში ცხოვრება აბობოქრებულ ზღვასთან არის

შედარებული: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20) (2,116).

ნეტარი ავგუსტინე გვამცნობს: „ზღვა, მწარენყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“ (5,519).

სახარებაში მცირედმორნმუნე პეტრე იძირება ზღვაში, ხოლო ქრისტე თამამად გაივლის აბობოქრებულ ტალღებზე და შერისხავს ზღვასა და ქარს.

„აურაცხელი სულები ბორგავენ ადამიანთა ცხოვრების აბობოქრებულ ოკეანეზე, უძლურდებიან, იცლებიან სისხლისგან და ფრთებდამსხვრეულნი, ცხოვრების აბობოქრებულ ზვირთებში ერთიმეორის მიყოლებით შთაინთქმებიან. გაავებული ქარისგან აწიოკებულნი, გრიგალებთან დევნაში, მორევში იხრჩობიან და ზღვის პირველივე ხახადაფრჩენილ უფსკრულში უჩინარდებიან“ (6,65).

„წმინდა ტალღებით უნდა გაანელო აზვირთებული ოკეანის სიმწარე, რომელიც ადამიანთა ცრემლებისგან გაჩენილა.

„უნდა გაუძლო მაიას ოკეანიდან მომქროლი აბობოქრებული ტალღების შემოტევას“ (6,129).

„ჭეშმარიტი მოგზაური ზეცაში, წყლებს ზემოთ მოთარეშე ქარებზე დააბიჯებს ისე, რომ ტალღებს ტერფებით არც კი ეხება“ (6,64).

„სრულყოფილების მიღწევის გზაზე მრავალი ფათერაკია, უფსკრულებია, რომელიც გარს არტყია ადამიანის ვნებათა სავანეს“, წერს ელენე ბლავატსკაია.

ნიკო სამადაშვილის „ზღვის სიმფონია“ (7,63) ხაზს უსვამს პოეტი მეზღვაურის „ზღვის სიყვარულს“, რომელიც „დიდი ამაოებაა“ და ამაოების დაძლევით, ზღვის გადალახვით ეზიარება მარადისობას (შდრ. გალაკტიონი: „გადავიარეთ მრისხანე ზღვები). პოეტისთვის მახლობელია ზღვისებური „დიდი შფოთვა“, „ოკეანის სიმფონია“.

სახარების და აღმოსავლური რელიგიების მთავარი პრინციპია სულის ღვიძილი და არა თვლემა ან ძილი.

ქრისტე მოუწოდებს მოციქულებს: „იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა, ხორცი კი უძლური“ (მათე), 26,41) (4,60).

ნიკო სამადაშვილისთვის მთავარია „ხილვა, ზარების სმენა და პოეზიის გადარჩენა“ (აქ არის ღამის მაჯისცემა) (7,231).

პოეტის კრედოა: „ნუ ჩათვლემ, ძმაო“. მას ესმის „ღამის მაჯისცემა, ტყეში ვერხვების გვემა“, ღმერთის ღრიალი, ღმერთის გაფრენის ხმა.

სრულყოფილების მისაღწევ გზაზე მრავალი ფათერაკია, „უფსკრულებია“, რომელიც გარს არტყია ადამიანის ვნებათა სავანეს.

სოფლის წარმავალ ფასეულობათა დაძლევა დაკავშირებულია „საშინელი მარტობის გზასთან“ (რამაჩარაკა).

„მარტვილობის უმძიმესი სევდიანი გზა ფათერაკებით არის სავსე“ (6,11). უნდა დაძლეულ იქნას მიწიერი უკეთურობები.

დედამინა არის „სევდის სრა-სასახლე“, ხაფანგით, ხიბლით სავსე. მიზნის მისაღწევად გადასალახვია უფსკრული, ჯურღმულები, გასავლელია „გლოვის კარი“, რათა ბოლოს შეისუნთქო „სიკეთის სურნელებით გაუღენილი ნიავი“.

ნიკო სამადაშვილი გამუდმებით უარყოფითად ახასიათებს საწუთოს. დედამინა, ქვეყნიერება კაკანათია, მოქნეული ქამანდია: „ქვეყნიერება ჩვენ დაგვიგეს კაკანათივით“ (ნაწყვეტი), „ტლანქი ცხოვრება ჭრელი გველია“ (საქართველოდან პარიზისგან) (7,8-9), ციდან მიწიერი სასახლე „წარსული და ბალდახინია“ (საღამოხანი) (8,120).

„მიწა ... ჯვარცმის შავი დედანია“ (ორი ხელადა ჩამოგვისხეს) (7,204), „ქვეყნიერება ფუტუროა (პასუხი) (7,219), „სიყმანვილე ფუტუროა“ (მოგონება და სინანული) (7,256), „დედამინა... ქვიშა და ნაგავია, დედამინა კუტია ჩავარდნილი სივრცეების

ნაცარში“ (კუტი) (8,142) „სასაფლაოა ეს ვერაგი მთელი სამყარო“ (ტყე აშრიალდა) (8,119). მიწა, საწუთო მთვარეულია, ქვა-სავით უგრძნობელი, ქვენა ქარების საუფლო, წელში მოხრილი“, სატანჯველი (ზეკაცი და ნისლოვანება) (7,173). „ბრუციანი“, შუქის მათხოვარი (გული და ჯანლები) (7, 70-71).

პოეტი უმზერდა „საუკუნის სამინე თვალებს“, სისხლების ლელეს“ (ნაწყვეტი) (7, 225), ხედავდა „საწუთოს ქარის“ სიავეს, ესმოდა „ნარმავლობის მძლე ქოქოლა“ (შეხვედრები სამხარზე, წარსულის კვალი) (7,76,79).

ნიკო სამადაშვილს იდეალად ესახებოდა „მარადისობის ყელმოლერება, ლაუვარდების უსურვაზებში მივარდნილი ქვეყნიერება, დაუსაბამო, ულეველ გზებზე ატეხილი მშვენიერება“ (მოგონება და სინანული) (7,239), ეიმედებოდა ზეცაში, მარადისობაში „დიდ ფიქრთა გუნდის“ გაგზავნა (რაც იყო, იყო) (7, 172).

ბუდიზმი სამყაროს განიხილავს, როგორც მაიას, ანუ ილუზიას.

„ეს დედამიწა სევდის სრა-სასახლეა, ყოველ ნაბიჯზე ხაფანგია, რათა შენი „მე“ დაიჭიროს იმ ხიბლით, რომელსაც უდიდესი ერესი ჰქვია (6,61).

„უნდა მოსპო სურვილების სხეული, აუცილებელია აზრთა სხეულის განწმენდა, ვნებათა ჭიის მოსპობა.

„შენს გულში ტანჯული ადამიანის ცრემლები უნდა ჩაიღვაროს ნაკადულებად, რომლითაც მორწყულია უკვდავი თანაგრძნობის მინდვრები.

„მხოლოდ მორწყულ ნადაგზე გაიფურჩქნება ბუდას შუალამის ყვავილი. ებრძოლე პირადს, გარდამავალს, მერყევს, განადგურებისთვის განწირულს (6,71).

„უნდა გაიხსნას სულიერი თვალთახედვა, რათა გაიგონო მდუმარების ხმა. კიბე, რომელიც მაღლა აგიყვანს, ნაშენია ტანჯვის და სევდის საფეხურებისგან (7,72).

„საკუთარი თავის უარყოფის წყლებში უნდა განბანო შენი ფეხები, რათა გათავისუფლდე ამაოებისგან.

„სამი სასახლე უნდა განვლო-არცოდნის, შეცნობის სა-სახლე და სიბრძნის სასახლე (6,63). ის ყველაფრის მიღმუ-რია, სადაც „არსებობენ ჩრდილები და ჭეშმარიტების სინათ-ლე ჩაუქრებელი დიდებით ანთია“ (6,64).

ბიბლია, ბუდიზმი, ოკულტიზმი „ხაფანგად მიიჩნევს ხიბლს, ერესს, თვითგანდიდებას, ქებას, თვითკმაყოფილე-ბას, რომელიც ცაში აზიდულ კოშკს ჰგავს, რომლის წვერზე ბრიყვი ამაყი შემომჯდარა“ (6,84).

ნიკო სამადაშვილი გვევლინება, როგორც „ცხოვრებით გაჩანაგებული, ჭმუნვის სარქალი, სახრეგადაწნული, სისხლით დაწერილი ლექსების ავტორი, „მარადისობის კოშკების“ პატ-რონი (თელა და ჩიტი) (7, 20-21). უპირისპირდება ამაოებას, „ქვეყნიერების კოშკებზე“ ამძვრალ ვაიშემოქმედთ.

ხმაურიანი ლექსების ავტორი შორს არის თვითგანდი-დებით ცნობილ პატივმოყვარეთაგან: „....თუმც ხმაურობ-დნენ მტკვართან ლექსები, ... ერთი კარგი რამ დამრჩება ქვეყნად, რომ განდიდებას ვერ შევეყარე და მიხაროდა ბედი ბუტია“ (იტყვიან, კაცი რაზე ლოთობდა) (7,107).

ლექში „გაჭვავება“ (7,59). უბედურებად მიიჩნევიან გან-დიდების კვერით დანაყრებულები“ „...ვინც განდიდების კვე-რით დანაყრდა, რა ეშველებათ იმ უბედურებს“.

მთავარია პირადული მეს, მიწიერი სურვილების დათ-მობაა, მთელი კაცობრიობის სურვილების გათავისება, „მე-რუს მთაზე“ ამაღლება (მერუ — ინდუსების წმინდა მთა, ღვთიურ არსებათა სამყარო) (6,172).

ნიკო სამადაშვილი „შორეული გზების“ მოგზაურს ურ-ჩევდა: „....აპყე მაგ მთების ვიწრო ხერხემალს და წუთისო-ფელს გადასცილდები. წადი, ნისლებმაც თუ გამიტყუეონ, საკუთარ თვალებს ნუღარ ენდობი. არ შეგაყვაროს თავი სა-წუთრომ, ან არ იმღერო გალეშილ გრძნობით. გზა რომ უფ-რო შორს გადაგიწიონ, ქარები მთვარეს მაღლა ასწევენ, გარ-შემო სულ სხვა ზეცა იქნება და პანაშვიდი ჩადგება მწვანედ. ო, აპყე, აპყე მაგ მთის ხერხემალს, კმარა, კამარებს ნუ აცივ-

დები, აჰეთ, არ დასძრა არსად კრინტი, ხმა და წუთისოფელს გადასცილდები“ (წუთისოფლიდან უკვდავებამდე) (7,95)

ბუდიზმის ეზოთერული სწავლების მიხედვით, ადამიანს თან სდევს რვა უბედურება, ბორკილები. ესენია: გრძნობებით ტკბობა, ვნების მონობა, ზიზღი ულამაზო ფორმებისადმი, საკუთარი სიამოვნება, ეჭვები ცათა სასუფევლის მიმართ, ეგოიზმი (6,168).

განდომილმა უნდა იმოგზაუროს „ჭვრეტის და სმენის გზებზე“, „შემეცნების სინათლის“ მისაღწევად (6,125), „უნდა გაიგონოს იმედის ბულბულების გალობა“ (6,11).

ნიკო სამადაშვილს ესმოდა ღმერთის გაფრენის ხმა (საით, ვინ იცის) (7,217-218), ზეცის ზარი, მთების ხველა, სამრეკლოს გაოგნებული რეკა, ღამის მაჯისცემა, ქვესკნელთ გალობა (შეხვედრები დღის ბოლოს) (7,221-222), დედამიწის „ხმაგაკმენდილი გზის ყვირილი“ (ტერფი და ურუანელი) (7,194).

ხედავდა „განგების ჩრდილს“, „ლექსების ჩრდილთა ტორტმანს“, „სამყაროს იქით“ მიმავალ მგზავრებს (ფერის-ცვალება) (7,62).

პოეტი იყო „უუამო სივრცის მგზავრი“ (სინათლის მიმოქცევა) (7, 241-242), ესმოდა „მარადისობის ბოხი ზარების“ გრიალი (მამადავითის მთაზე გაუხვევ) (7,237).

საიდუმლო დოქტრინას ზიარებულთა მიზანია ნირვანის მიღწევა, გარდასხეულების შეჩერება.

ამას გულისხმობს ნიკო სამადაშვილი, როცა ამბობს: „...ქვესკნელს შემასხი მშობელო მინავ, თუ კიდევ შენს კენ გამოვტრიალდე“ (ვისაც სიცოცხლე ღვინოსთვის ერეოდა) (7,199).

საკრალური ცოდნის მაძიებლის სამშვინველი უნდა გახდეს წმინდა, როგორც მოელვარე ალმასი, სხვაგვარად მისტიური ბგერები სულიერი სიმაღლეებიდან ვერ მიაღწევენ შენს ყურთასმენას.

VI საფეხურზე შენს თავზე აინთება ვარსკვლავი-შენი ძიების მიზანი.

„...აი, მაშინ გახდები ზეცაში მოგზაური, ...რომელიც წყლებს ზემოთ მოთარეშე ქარებზე დააბიჯებს ისე, რომ ტალღებს ტერფებით არც კი ეხება“ (6,64).

„ვიდრე მისტიურ ბგერათა ზედა საფეხურზე შედგები, შენ ლერთის ხმა უნდა გაიგონო, რომელიც შენშია, თავისი 7 ნაირსახეებით: ბულბულის სტვენის მსგავსი, არამინიერი სულის ვერცხლის წინწილის ხმის მსგავსი, რომელიც ვარსკვლავთა ციციმის აღავლენს, შემდეგი ბგერა აქვს საკუთარ ნიუარაში დატყვევებული ოკეანის სულის მელოდიურ ჩივილს, რომელსაც ბამბითის სიმღერა ეწოდება. მეხუთე ხმა სალამურის წკრიალს ჰგავს და საყვირის ხმაში გადაზრდილია“ (6, 67).

„მხოლოდ მოგზაურობის ბოლოს შეიძლება ჩაგესმას ხმა მდუმარებისა“ (6, 72).

განდობილებს ბუნების ათასგვარი ხმა ესმით. საკრალური ცოდნის მაძიებელნი საბერძნეთში ელევზინის მისტერიებზე „მდუმარების ხმის მოსმენას“ ელტვოდნენ.

ნიკო სამადაშვილი მთავარ ორიენტირებს ეძებდა, მაგრამ „მიუვალი გზა“ „სფინქსის ზუზუნში“ იყო ჩაფლული (ბალახი როცა ამოვა) (7,64-65).

პოეტისთვის მთავარი კითხვა იყო: „რომელ გზაზე მიუშვა ბედი“ (გათხრები) (7,66).

მიზნის მისაღწევად „უღრანი“ გზებით უნდა ევლო, წინ „ვეებერთელა შარა“ იყო (თებერვალი და მოგონება. ერეკლე ტატიშვილი) (7,126).

„დედამიწის უარმყოფელი“ მარადისობას ელტვოდა: „მე რიურაუების გამჭვირვალე მტვერი ვარ, მტვერი და ჩემი ბინა არის მუნჯი მარადისობა“ (საღამო და განწყობილება) (7,153).

წუთისოფლის მოძულეს ღმერთებმა „ლაუგარდების სხვენზე“ ყოფნა განუწესეს (ერთი იმაგანი) (7,158).

წუთისოფლისა და მარადისობის მიმართების პრობლემას ლაო-ძის „დაო დე ძინი“ ასე გაიაზრებს: „ვინც მორჩილებს წარმავალს, წარმავალის თანაარსია“ (1,92).

აქვე დასმულია მთავარი კითხვა და მოცემულია მისი პასუხიც, „ვინ არის ყოვლადბრძენი, მრავალუამიერი? — „ვინც გადიადდა, ვინც წარუვალში გარდაიცვალა, ანუ გაუკვდავდა“ (1, 163).

და აქვე „ყოვლადძლიერის“ უმთავრესი თავისებურება: „ყოვლადძლიერი ნიადაგ მწუხარს გარემოუცავს“ (1,123).

ამ მოძღვრებაში ერთი შეხედვით ალოგიკურობაა: „ო, უბედურებავ! შენ ხარ ძირი ბედნიერების ... ო, ბედნიერებავ, შენ ხარ ძირი უბედურების“ (1,149).

ანუ მაქსიმალისტური ზნეობის მოძღვარი გვამცნობს, რომ მატერიალურად უპოვარი, მაღალზნეობრივ, მარადიულ იდეალებზე ორიენტირებული ადამიანი ბედნიერებას მოიხვეჭს უზენაესის განკითხვისას, ხოლო მიწიერ, პრაგმატულ ინტერესებს მიჯაჭვული-უბედურებას.

ნიკო სამადაშვილი იზიარებს ამ მოსაზრებას და ასე ეპასუხება დიდი წინამორბედის სიბრძნეს: „... სიცოცხლეს მაინც რა არ სჯობია, რომ ამ დასაქცევ დედამიწაზე ბედნიერებაც დასაგმობია“.

„სოფლის წარმავალ ღირებულებათა დაძლევა არის საშინელი მარტოობის გზა“, (რამაჩარაკა, იესო ქრისტეს ცხოვრებიდან, გვ. 176).

„არსში დაბრუნებას მარადისობა ჰქვია. ვინც შეიცნო მარადისობა, გასხივოსნდა“ (დაო დე ძინი) (1,139).

„ვინც ბევრს იხვეჭს, ჭეშმარიტებას კარგავს“ (1,172).

არა მიწიერი ინტერესები, ანგარება, არამედ მზერის მიპყრობა უზენაესისკენ, რათა უსასრულოს, დასაბამს დაუბრუნდეს ადამიანი: „სილალე სიშორეში გაღწევაა. სიშორეში გაღწევა — უსასრულობაში გარდაცვლაა. უსასრულობაში გარდაცვალება — დასაბამში დაბრუნებაა“ (1, 195).

„ვინც შეიცნო ნათელი თვისი: მანვე შეიცნო წყვდიადი თვისი. იგი ხატია სამყაროსი. ვინც ხატია სამყაროსი: მარადიულ დეს ეუფლება და პირველ დასაბამს უბრუნდება“ (1,197).

საკუთარი თავის, ერის, კაცობრიობის მისის გაცნობი-ერებაა ადამიანის მიზანი წმინდა წერილშიც.

„ყოვლადბრძენი არსისმიერს დაიუფლებს და უკუპყრის გარეგანს“. საჭიროა „ზიარება მარადიულთან“ (1, 201, 204).

ნიკო სამადაშვილს უზენაეს ცამდე, „ცათა ცამდე“ ამაღლების მისია ჰქონდა დაკისრებული. „...ზეცაზე ზეცა გადაფრინდება, თურმე ამისთვის ჩამოგათესლეს“ (კამარების შეჭმუხვნა) (7, 31).

„ბინდების გალმა“ მარადისობის ჩუმ უდაბნოს“ ჭვრეტ-და (ფილტვების სიყვითლე) (7, 64).

არჩევანი უნდა გაეკეთებინა „ზენა ქარსა“ და „საწუთოს ქარს“ შორის (წარსულის კვალი) (7, 79).

„ათასი წლების ზუზუნი“ ესმოდა, დაღლილი იყო „ლოცვით და მოწყალებით“ (საით, ვინ იცის) (7,217-218).

„საწუთოს ქარი“ განათებულ ცას გლეჯდა და არ ას-ვენებდა კითხვა: „...დედამიწაზე ნეტავი რისთვის შემოვეხე-ტე?“ (წარსულის კვალი) (7,79).

მთავარ კითხვად რჩებოდა: „რათ დავიბადე, ნეტავი რისთვის?“ (ჩემს ნუკრიას) (8,40).

ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული პოეტის სული მსოფლიოს იქით, პლანეტების იქით იჭრებო-და, დასაბამისკენ გაღწეული, თავისი მოწოდების გახმიანე-ბას ისმენდა „გზებისგან“: „ვიზედებოდი დასაბამისკენ, ღრუბლებს სანთლები სადღაც აენთოთ, უნდა წახვიდე! — მისტვენდნენ გზები, — უნდა მსოფლიოს კიდევ გაენდო“.

ბინდში ხედავდა „ლიმმორეულ საფეხურებს“, გრიგა-ლის შუქში იმზირებოდნენ მკვდრები, ქარბუქის ლექსებს მტრედები ისმენდნენ (დაუსაბამობის ხილვა) (7,43-44).

მარადისობამდე მისაღწევი გზა არა აშკარა, არამედ „ფარული გზაა“. „დაფარული გზა“ საკუთარი თავის უარყო-ფაა და ამიტომ ეწოდება სევდიანი გზა. ის არის საკუთარი თავის სამსხვერპლო (6,100).

„ვიდრე მარტვილობის უმძიმეს გზას შეუდგები, უნდა შე-

იტყო ამ გზაზე არსებული ყველა ფათერაკის შესახებ (6,111).

„უნდა შეიარაღდე სათნოების, სიყვარულისა და თანაგრძნობის გასაღებით, ვიდრე გზის პირველი კარის შესასვლელს შეაღებ“ (6,112).

უშიშარი მოგზაურის თანამგზავრები ხდებიან „იმედის ბულბულები“, რომლებიც სრულყოფილებას, სულიერი ხედვის გახსნას, შემეცნების 7 საფეხურზე სვლას უგალობენ (6,112).

II კარისკენ მიმავალი გზა მწვანეა, ციცაბო, ქვიანი, მთის მწვერვალისკენ მავალ გზაზე ჭალარა ნისლებია და მათ გულში ისმის „იმედის სიმღერა“ (6,13).

თუ მოგზაურის სიტყვა და საქმე ერთი არ არის, ის წონასწორობას დაკარგავს, ფეხები დაუზიანდება კლდოვანი ბილიკის ბასრი ქვებისგან. კლდოვანი ბილიკების ბასრი ქვებით აღინიშნება კარმის მოქმედება (6, 166).

საჭიროა შიშის დაძლევა, „თვინიერი მოთმინების წყლებით სულის განპანა, ბრძოლა დაბალ და მაღალ „მეს“ შორის, მდაბალის ალაგმვა ღვთაებრივით (6, 97).

ადამიანს მუდამ თავს დასტრიალებენ უხილავი გრიგალები, რომლებიც ხრნიადი ბუნების გადმონაშთებია.

„გლოვის კართან“ აურაცხელი ფათერაკებია, ვრცელი ჯურდმულები და მბრძანებელი მარას გაშმაგებული ურდოებია.

საჭიროა შენი წმინდა კუნძულის, უკვდავი სულის, ადამიანის დიადი „მეს“ დაცვა (6, 169).

მტკიცედ უნდა დაუპირისპირდე მაიას ოკეანის შმაგი ტალღების შემოტევას.

შენი კუნძული ირემს ჰეგავს, რომელიც ირემივით სიცოცხლის წყაროსგან მიისწრაფვის, მან მდევართა ხროვა უნდა დაამარცხოს და გადარჩენის ველზე, „წმინდა ცოდნის“ გზაზე უნდა გაიჭრას.

საჭიროა შენივე ეგოს ხიბლისგან გაქცევა, მინიერი ზრახვების კვდომა.

წმინდა წერილი გვასწავლის: „მისთვის, რომ ოქროსფე-

რი ალი შეურხევლად ენთოს, ლამპარი დაცულ ქარისა და ნიავისთვის მიუწვდომელ ადგილას უნდა დაიდგას“ (ბჰაგა-ვად-გიტადან, 6,9).

მთავარი საყრდენი უნდა იყოს „ღვთაებრივი ცოდნა“.

სულიდან უნდა განაძევო პატივმოყვარეობა, ბრაზი, სიძულველი.

თუ გამზადებული სულით მოხვედი, შიში ვერ იბატონებს შენზე (6,125-126). საჭიროა სულიერ ძალთა კარის გავლა, შემეცნების სინათლეში, ჭვრეტისა და სმენის გზებზე დგომა.

მერე იწყება ვერცხლისფერი ვარსკვლავის ციალი, იფურჩქნება შუალამის ყვავილები, სიკეთის სურნელით იუღინთება ჰაერი, იწყება დღის მეუფის აღდგომა.

მოდის აზრთა მნათობის სხივები, გონება უსაზღვრო ოკეანეს ემსგავსება.

წმინდა მერუს მთაზე მიღწევისას ასტრალური და ფიზიკური სამყაროს თავზე ჩნდება სულიერი სინათლე.

მოშიებულთა დაპურებით, ამ ქვეყნის მიმართ სიყვარულის გაქრობით მიიღწევა ნირვანა.

ასეთ გზაზე მოდიან სრულყოფილების ბუდები.

აუცილებელია არა მარტო საკუთარ თავზე ზრუნვა, არამედ მთელი სამყაროს სატკივრების გათავისება.

ქებათა ქების ჰიმნი ავსებს ცას და მიწას. ჩნდება სინათლის ოქროს გრიგალი, აუღერდება ათასბაგოვანი ხმა, იწყება მოგზაურის დაბრუნება, არქატის- სამყაროს ახალი მაცხოვრის დაბადება კაცობრიობის გადასარჩენად.

არქატები, ადეპტები უსაზღვრო თვალსაწიერს ანუ ზებუნებრივ მხედველობას ფლობენ, ისინი ხედავენ და იგებენ ყველაფერს ერთიანად, როგორც აქვე, ისე ნებისმიერ ადგილზე (6,159).

ნიკო სამადაშვილი საწუთოს ყოველგვარ უკეთურობას ხედავდა, მას აწამებდა „სულისა და სხეულის განხეთქილება“, ტანჯავდა „მინა წელში მოხრილი“.

„ნიკო სამამადაშვილს პოეზიის წიაღში უჩნდებოდა შეგრძნება, რომელიც ამცნობდა, რომ ჭეშმარიტად თანესწრებოდა იმნამიერ სამყაროს არსებობას“ (თემო ჯაფარიძე) (7,562).

პოეტი სულის ფრთებით აღწევდა პლანეტებს გაღმა, მარადისობაში, ანათებდა მეტეორივით: „მე ვანათებდი ჭრელ თვალების მეტეორივით, მარადისობის ხშირ მარგილებთან“ (მარგილები) (7,260).

„ქარიშხლის სვეტები“ საყრდენად ქცეოდა, დილები მარმარილოს მოაზმანებდა, კამარებში „მტრედების ბუდე“ ჩანდა, სანთლებთან ტბების ტირილი, გრიგალების ზარები ესმოდა და რაც საოცარია: თუ ედგარ პომ მოლაპარაკე, მომავლის მაუწყებელი ყორანი გვიჩვენა, ნიკო სამადაშვილის ყორანი ლოცავს პოეტს და პოეტი „მეტეორივით“ ანათებს „მარადისობის ხშირ მარგალებთან“ (გადმოსმენა სამყაროსკენ) (7, 124-125).

სანუთროს ცდუნება — ამაოებისგან გამდგარი, სიმაღლები, „სხვა ზეცას“ აღწევდა, მარადიულ ჭეშმარიტებას ეზიარებოდა: „ქარს ეფარები, ვერავინ გხედავს, სივრცეებს ნულარ მიაცივდები. აჲყე მაგ მთების ვიწრო ხერხემალს და წუთისოფელს გადასცილდები. წადი, ნისლებმაც თუ გაგიტყუონ, საკუთარ თვალებს ნულარ ენდობი, არ შეგაყვაროს თავი სანუთრომ, ან არ იმღერო გალეშილ გრძნობით. გზა რომ უფრო შორს გადაგიწიონ, ქარები მთვარეს მაღლა ასწევენ, გარშემო სულ სხვა ზეცა იქნება და პანაშვიდი ჩადგება მწვანედ. ო, აჲყე, აჲყე, მაგ მთის ხერხემალს, კმარა, კამარებს ნუ აცივდები, აჲყე, არ დასძრა არსად კრინტი, ხმა და წუთისოფელს გადასცილდები“.

სხვა ზეცა არის ბიბლიის ცათა ცა, ანუ უზენაესი ცა, ღმერთებისა და წმინდა სულების სავანე.

ნიკო სამადაშვილის „პერსონაჟი ქართლის საზღვრებს სამყაროს მიღმა აფართოებს, აქ ხან მიწიერის და არამიწიერის საზღვრების გადალახვაა, ხან მიწიერზე ზეციერი სიღრმეებიდან ჩაფიქრება, აქაა კოსმიური განწყობა, მეტაფო-

რული მისტერიები“ (ლამისთევის პოეზია, თემო ჯაფარიძე) (7,565-566).

უსაზღვროებაში ხეტიალი, პლანეტების გუგუნის მოსმენა პოეტის ბედისწერაა თითქოს. „ცის ეზოში“ მთვარის, ვარსკვლავების ელვა უნათებს გზას, ცრემლების ტალღა შუქს გამოსცემს და იდუმალი ხმა მოუწოდებს: „ნადი ირბინე, სანამ ყვითლად ჩამობნელდება, ნადი, იმღერე და დაოსდი სივრცეებისკენ“...

მთვარეზე „ჭანდარივით ქარწამოსხმულს“, უცნაურად მიჩნეულს, დაღუპვის შიშიც უნდა აემგზავროს, მაგრამ გაბედულად აღმოხდება: „არ დამიფარო გრიგალებში, გზაო ძლიერო“

... გზა საღმრთო სახელია.

გონდაკარგულ ხეტიალში მეხის, ქარიშხლების ხმა ძლიერდება და თავისი მეორე მე უხსნის, რომ ეს „შებინდული პლანეტებია“ (ჩემი ფეხის ხმა მთავრისაკენ. მარადისობის ნაკამარევი) (7, 143).

„ცის აივანში“, „ლვთაებრივ გზნებით“ მოარულს, თუმციარები აფრთხილებენ, ვერ აშინებს „სიცივე, ჭირხლი, ბურუსი“, ...ლრუბლის სვეტები. ესმის „პლანეტების ჯოგის“ ყივილი, წარმავლობისა და მარადისობის ჭიდილი, ქვეყანა ვერ შეგუებოდა ბუდას და ქრისტეს, მაგრამ ზეცაში მოგზაურ პოეტს ადევნებოდნენ და მოწონების ნიშნად ხელებს უქნევდნენ, წყვდიადში ოდნავ იხილვებოდა გათენების მაცნე სინათლე (დაუსაბამობის ხილვა) (7, 184).

რუდოლფ შტაინერი წერს: „შინაგან, სულიერ ადამიანს ძალუძს ფიზიკური ორგანიზმიდან მთლად გამოთავისუფლდეს, ალიქვას და იმოძრაოს სულიერ სფეროში.

„მესამე ხარისხის შემეცნება ხელეწიფება მხოლოდ სულიერ ადამიანს, როდესაც იგი ფიზიკური ორგანიზმიდან იმდენად გამოთავისუფლდება, თითქოს ეს უკანასკნელი საერთოდ არ ჰქონია“ (ჩემი ცხოვრების გზა) (9, 317).

დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი) იყო „ფრთოვანი,

განსწავლული გონიერითა ზეციურისა მეცნიერებათა, რო-
მელსაც ხელენიფეოდა „სათნოების ფრთით ზეცაში ამაღლე-
ბა (არეოპაგიტული კრებული) (10,60,81).

ჰიმნოგრაფ ბასილის მახასიათებელი იყო „ზეშთა სი-
მაღლედ ამაღლება სულიერი ფრთით“ (11, 263).

ზოსიმე ათონელი „გონიერი ფრთით“ აღწევდა ცაში და
ხდებოდა ღმერთის ხილვის ღირსი (11, 223).

სულის ფრთების მზრდელია საღმრთო სიყვარული:
„...სიყვარულითა საღმრთოითა ფრთოვან იქმენ შენ“ (იოანე
მჭბევარი) (11,123).

სულინმინდისგან ხელდასხმულთ ენიჭებათ სათნოების
ეტლით ზეცაში ამაღლების უნარი.

ეზრას მიზანი იყო სულის ფრთით ზეცაში გაღწევა:
„ფრთოვან ჰყავ სლვაი სიმაღლედ მიმართ ზეცისა“ (11,123).

„ფრთები არ მაქს, მაგრამ ვფრინავ“, ამბობდა აკაკი
წერეთელი.

ტერენტი გრანელისთვის ორგანული იყო „ექსკურსია
ცისკენ“, „ბარათი ცისკენ“, „ლოცვა გაფრენისთვის“.

გალაკტიონისთვის პოეტი არის „გაფრენილი პირველი
წყების ნიაგარებით“ (ეფემერა“). მისთვის „მხოლოდ გაფრე-
ნა არის შემოქმედება“ (კოსმიური ორკესტრი).

პოეტების მეფის დღიურებში ხშირია საუბარი „გაფრე-
ნაზე, „სადაზვერვო გაფრენაზე“, ეს მისთვის არის „სიმძიმე-
თა შემსუბუქების იდეა“ (ვახტანგ ჯავახაძე, „უცნობი, თბ.
1997, გვ. 76).

შარლ ბოდლერი, ვლადიმერ სოლოვიოვი, ალექსანდრე
ბლოკი ხშირად საუბრობენ ფრენაზე.

გოდერძი ჩოხელის რომან „მგელში“ ფრენენ ბერები
(ვიდრე სულიერი სინმინდე გამოარჩევთ), სულ ცისკენ მიი-
ნევენ დიდი მწერლის პერსონაჟები (ცასწავალა, არწივთან
ფრენა).

ასტრალური მოგზაურობისას სული ეთიშება სხეულს,
იქმნება უნონობისა და სიმსუბუქის შეგრძნება და ეს მდგო-

მარეობა გიგივებულია ფრენასთან, რაც საჭირობს უდიდეს ძალისხმევას, უმაღლესი წესრიგის გამბედაობას, ასტრალური სივრცის საოცარი სანახაობის წინაშე შიშის დაძლევას სიმშვიდეს, საკუთარი ძალების რწმენას (12,231).

წმინდა, დისციპლინირებულ სულს ლოცვით, დუმილით ეზრდება ფრთები. „ფრენა ბრწყინვალე სიტყვაა... ფრთები იზრდება ფიქრით, გაფრინდით ფიქრით“, მოგვიწოდებს ელენე რერიხი (13,523).

სულიერ ზეცაში შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ სულიერი სხეულით. სულიერ ზეცაში მოგზაურობენ არა ხელოვნური თანამგზავრებით და კოსმოსური ხომალდებით, არამედ სულიერი თვითმფრინავებით, კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით (13, 140).

ფრენენ წმინდანები, რომელთაც ცოდვა არ ამძიმებთ, რომელთაც დაამარცხეს თავიანთ თავში ხრწნადი და წარმავალი. ისინი ხედავენ სულს, უსაზღვროებას, ფლობენ ფრენის, უსხეულო არსებობის საიდუმლოებას.

„ცა ღვთის ტახტია. რადგან ცაში არიან მისი ნების ამსრულებელი ანგელოზები... მიწა არის ღვთის ფეხთა კვარცხლბეკი, რადგან ხორციელად მასზე იმყოფებოდა იგი ადამიანებთან ერთად“ (11,339).

ჭეშმარიტი არსებობის მიზანი ის არის, რომ „ზეცის დამკვიდრებამდეც მიწა ზეცად უნდა ვაქციოთ, ...ისე მოვიქცეთ, თითქოს ზეცად ვიყოთ, რომ წაიშალოს განსხვავებაცასა და მიწას შორის..., რათა მივბაძოთ ზეციურ ცხოვრებას“ (წმინდა იოანე ოქროპირი) (14, 433).

წმინდა იოანე დამასკელს სწამდა ადამიანური სულის უკვდავება, ღმერთთან მსგავსება და წერდა: „ადამიანი არის მცირე ქვეყნიერება“ (12, 367).

„ერი არის ღვთის სული, ღვთის ჩანაფიქრი...

„ერი არის მისტიური ორგანიზმი, მისტიური პიროვნება, ნოუმენი და არა ფენომენი ისტორიული პროცესებისა...“

„ერის სული ყოველთვის გამოიხატება პიროვნებათა

თვისებრივი შერჩევით, რჩეული პიროვნების მეშვეობით“ (ნ. ბერდიავი).

„პიროვნება, ერი, კაცობრიობა, კოსმოსი, აი აღმავალი იერარქიული კიბე, რომლის საფეხურები ერთმანეთით არის გაპირობებული“ (16,121).

„ზეცაშიც არსებობს მზე, მთვარე და ა.შ. ჩვენ მთელ სისტემას წარმავადგენთ. თუკი იცით, რა არის ოქვენი მთვარე და როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი, მაშინ შეგიძლიათ ჩაწვდეთ კოსმოსს“ (გიორგი გურჯიევი) (17,59).

„დედამიწა, პლანეტათა სამყარო და მზე, მსგავსად ყოველი ცოცხალი არსებისა, ავრცელებს ემანაციებს.

„ადამიანი არის, ერთი მხრივ, პლანეტური ემანაციებსა და დედამიწას ატმოსფეროს შორის და, მეორე მხრივ, დედამიწის ნივთიერებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შედეგი (17, 177).

„ყოველივეს ემანაცია აქვს, რადგან ყოველი არსებული რაღაცით საზრდოობს, თავის მხრივ, თვითონაც რაღაცის საზრდოა. დედამიწას აქვს ემანაციები, ასევე მზესაც და ეს ემანაციები... ნივთიერნი არიან (17,149).

„ყოველი არსება გამოსხივებას ახდენს, გარკვეული ნივთიერების სხივებს უშვებს. დედამიწა, ადამიანი, პლანეტები, მზეები ასხივებს ემანაციებს.

„აქ, ამ პლანეტაზე არის დედამიწის, პლანეტების და მზეების ემანაციები. დედამიწის ემანაციები ვრცელდება მხოლოდ გარკვეულ მანძილამდე, მიღმა კი მზეებისა და პლანეტების ემანაციებია. ემანაციები ყველაფერში იჭრება, ისინი აღწევენ ადამიანებსაც“ (17,166).

„მაღალ სფეროებში ინტელექტი, გონებრივი განვითარება თავის წმინდა კრისტალური ფორმით არსებობს, რაც უფრო დაბლა ეშვება, მით უფრო ნაკლებად განვითარებადია იგი“ (17, 167).

„....ადამიანი არის, ერთი მხრივ, პლანეტების ემანაციებისა და დედამიწის ატმოსფეროს შორის და, მეორე მხრივ,

დედამიწის ნივთიერებას შორის ურთიერთქმედების შედეგი.

„ასტრალური სხეულის ნივთიერება თავისი რხევების, ვიბრირების მიხედვით მზის ემანაციების ნივთიერებებს შეეფარდება“ (17,447).

გიორგი გურჯიევი მოგვიწოდებს: „დაუკვირდი ვარ-სკვლავთა მოძრაობას, როგორც მათი სრბოლის მონაწილე და გამუდმებით იფიქრე სტიქიონთა ერთმანეთში გადასვლი-სათვის, რადგან მსგავსი წარმოდგენანი მიწიური არსებობის მწიკვლისგან წმენდენ კაცის სულს“ (17,176).

„ზეცის, მილიონობით სამყაროს, ირმის ნახტომის უსასრულობაში შეუძლებელია დედამიწას თვით ქვიშის მარ-ცვალიც კი ეწოდოს.

„ამ სამყაროთა წინაშე შეეკითხეთ თქვენსავე თავს: რას წარმოადგენენ თქვენი მიზნები და იმედები, თქვენი ზრახვები და ის საშუალებანი, რითაც აპირებთ მის განხორციელებას...“

„...თქვენს წინაშე ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა. მოგზაურობის მიზანია თქვენთვის უჩვეულო, უცნობი მიწა. გზა უძნელესი და უსასრულობაა... თან იქონიეთ ყველაფერი, რაც სჭირდება ამ მოგზაურობას.“

გაზომეთ თქვენი ძალები. გაწვდებიან ისინი მთელ მოგ-ზაურობას?

...წინ დიდი გზა გიდევთ. ეს თქვენგან ითხოვს პროპორ-ცილად დიდ მარაგს, — ეს მარაგი კი წინააღმდეგობაა, რო-გორც მოგზაურობის დროს, ასევე ამ მოგზაურობის მზადე-ბისას.

...ვაი თქვენ, თუ დასუსტდით და სახლის გზა დაგავიწყდათ, თქვენ ვერასოდეს ვერ შეძლებთ დაბრუნებას. მრავა-ლი უსიამოვნება ელოდება მარტოხელა მგზავრს, რომელმაც არ იცოდა გზა და ის მოულოდნელობები, რაც თან ახლავს ამ გზას“.

საჭიროა თითოეული ნაბიჯის გაკონტროლება.

... ნუ დაივიწყებთ მიზანს, რათა არ დაკარგოთ სწორი მიმართულება. გახსოვდეთ, არც ერთი მცდელობა არ იკარ-

გება უქმად“ (17,103-104).

ასტრალური მოგზაურობა განსაკუთრებულ ძალისხმევას, „უმაღლესი წესრიგის გამბედაობას“, სიმშვიდეს, შიშჩე გამარჯვებას, საკუთარი ძალების რწმენას მოითხოვს.

სიკეთეს ზიარებული სულის დისიპლინა იგივე ფრენის უნარია. საჭიროა ლოცვა სულის ფრთის გაძლიერებისთვის, საჭიროა სწრაფვა აბსოლუტისკენ... ფრენას სჭირდება ისე-თი სხეული, რომლითაც სულს არ ეშინია ფრენის. ფრთები იზრდება აზრით, შესაძლებელია გაფრენა ფიქრით“, გვმოძღვრავს ელენე რერიხი (13,122,124,523).

იოგების მიხედვით, ტრანსცენდენტურ პლანეტებზე გამგზავრებისთვის, სულიერი ზეცის მისაღწევად საჭიროა სულიერი სხეული.

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მსურველს ჰქვია „სარვა-გატა“, რაც ნიშნავს მას, „ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს“.

„შრიმად-ბჟაგავატამის“ II სიმღერაში აღწერილია სულიერი ზეცისა და მისი მცხოვრებლების ბუნება.

„ბჟაგავად-გიტაში“ დიდ მოგზაურობაზეა საუბარი. ჩვენ უნდა გადავლახოთ მატერიალური სამყარო და შევიდეთ სულიერ ზეცაში.

ეს შესაძლებელია არა კოსმოსური ხომალდებით, არა-მედ კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით.

სრულყოფილი იოგისთვის, რომელიც ცნობიერად ტოვებს სხეულს, პლანეტიდან პლანეტაზე გადასვლა ისევე ადვილია, როგორც უბრალო ადამიანისთვის მაღაზიაში შესვლა. უნდა მივიღოთ სულიერი სხეული.

„ჰპაერით მოგზაურობა იწვევს აზრის შეცვლას, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესირებას მენტალურ უნართა განვითარების გზით“ (18,304).

„მოგზაურობა, ხეტიალი ანტიურ და შუასაუკუნოებრივ პოემებში ერთ-ერთი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონის, ოდისევსის, ენეასისა, შუასა-

უკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა“ (18,212).

ნიკო სამადაშვილის მიზანი იყო მთების, წუთისოფლის, ვარსკვლავების გაღმა გასვლა, ყრმა მაცხოვრის ნაფეხურებზე გაყოლა ანთებული ლოცვებით (ისევ ვლოცულობ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს) (7,110,112), საკუთარი ჩრდილის (ორეულის) გაგზავნა „შებინდული პლანეტებისკენ“ (ჩემი ფეხის ხმა მთვარისკენ მარადისობის ნაკამარევი) (7, 143).

„სამყაროს მიღმა“ აღწევდა „ჩაფიქრებული „მისანივით“ (დარდი ბუხართან) (7,52), ნავარდობდა ლაუგვარდებში, „სივრცეთა მზვარები“, ეხსნებოდა ცა, ესმოდა „მარადისობის ბოხი ზარები“ თვითონაც შეეძლო ცის შეძვრა „მარადისობის ზარების ტაშით“ (მამადავითის მთაზე გაუხვევ) (8, 237).

ესმოდა „ღმერთის გაფრენა“, „ლაუგვარდების ცეკვა“, ლაუგვარდებში ეგულებოდა თავისი „დიდ ფიქრთა გუნდი“...

ამ ასპექტში ნიკო სამადაშვილის წინამორბედები არიან დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონი, ტერენ-ტი გრანელი, ანა კალანდაძე.

წმინდა მამებს სჯერათ ადამიანის ცადამალლების უნარის: „ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ საჭურველთაგან ნაკლულოვანია, გონების აღმატებულობით თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია“ (ნეტარი ავგუსტინე) (5, 264).

დანტე ალიგიერს „ცაში ეგულებოდა „იმ წიგნის სანუკველის“ (ღმერთის) სიქველე, „ნათელი ცისიერი, „ციური საზრდო“, უფლის ბალი, მებაღე (ღმერთი), როგორც ჭეშმარიტი არსებობის საწინდარი და ცაში მოგზაურობის შედეგი იყო სხვაგვარი მზერის, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრის გადალახვის უნარის მომადლება: „...სული ჩემი ცაში გადიდებული აღტყინდა უცებ, გადალახა სამანნი თვისი“.

დანტე უმღეროდა „სამყაროს რიცხვით მეორეს“, განწმენდილი და განსპეციაკებული სულის ცადამალლების „ნიჭს“ (19, 37).

„უსიერ ტყეში გზადაკარგული“ და გამოფხიზლებული პოეტი მგზავრობდა „ნდომით, სულის ფრთებით“, რეალურად ერთ ადგილზე შთენილი... ასე მიაღწია სულმა „ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს“, მეშვიდე სფეროს, პლანეტას — „გარდა-სულთა დღეთა მპყრობელად“ რომ მოიხსენიებს (19, 360).

იტალიელი გენიოსი ასკვნის: „ნუ გაოცდები, რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ ჭეშმარიტების მისტიურის ასე ჩან-ვდენა. ეს მან შეიძლო, ვინც იხილა ცათა საუფლო“ (19, 392).

ზეცისკენ ლტოლვა მიწის უგულებელყოფას კი არა, მის სრულყოფას ემსახურება.

წმინდა გრიგოლ პალამა წერს: „მხურვალედ ვითხოვოთ... ზეციური სიმაღლეები და მიველტვოდეთ სილაჟვარდეს, ვინძლო უწყინარად მოგვეცეს მიწიერი სიკეთე ამ საუკუნეები (14,388).

„ცათა შინა სწრაფვამ... კვლავ სამშობლოს გზაზე უნდა დაგვაყენოს“ (წმინდა გრიგოლ ნოსელი) (15, 397).

მაგიური მოქმედება მიიღწევა განვითარების უმაღლეს საფეხურზე. ასეთებს სულისგან სხეულის გამოცალეკება, ფრენა, „ლევიტაციის მოვლენა“ ხელენიფებათ.

ესპანეთის მეფე ფილიპე მეორე მეუღლესთან და დიდებულებთან ერთად ესწრებოდა ლევიტაციის მოვლენას, რომელსაც ასრულებდა დომენიკი, კარმელოტის მონასტრის ბერი.

ჯორდანო ბრუნო წერდა აქვინელის შესახებ: „როცა იგი თავისი სულიერი ძალისა და ღვთისმოსაობის წყალობით ზეცის აზრობრივ განჯვრეტამდე ამაღლდა, მაშინ მისი მგრძნობიარე სხეული მიწას მოსწყდა და ჰაერში აიჭრა“ (18,298).

ასეთი იყო ვინმე „შინდლერი, რომელსაც შეეძლო ორი-სამი საჟენის სიმაღლეზე ანეულიყო იატაკიდან (20, 299).

თომა ვქვინელის ბიოგრაფი (მე-13ს.) ადასტურებს: სალერნოს მონასტერის ბერებმა იხილეს საკურთხევლის წინ მლოცველი წმინდა თომა აქვინელი როგორ ასცილდა მიწას

და ლოცვის დროს ჰაერში გაჩერდა... სხეული მის სულს, რომელიც არ იყო დაზიანებული არავითარი ვნებათალელვით, მორჩილად მიჰყვებოდა, რადგან მან მისი მიღრეკილებები აღკვეთა“ (21,95).

კონფუცი აცხადებდა ლაო-ძის შესახებ: „...მე არ ვუწყი, როგორ მაღლება იგი ცად ქარსა და ღრუბლებში. მე ვნახე ლაო-ძი, იგი ნამდვილი დრაკონია. იგი ხან ხილულ არსებად წარმომიდგა, ხან ნისლეულ არსებად. მას ძალუძს ღრუბლებში სრბოლა და ინისა და იანის ციური სხივებით სუნთქვა. მისი შეჩერება შეუძლებელია“ (1,49).

ნიკო სამადაშვილი, როგორც მისტიკოსი, მისტერიების საიდუმლოებებს დაუფლებული, სულის თვალით მომადლებული და ცათა ცის მხილველი, ფლობდა სამყაროს იქით გაღწევის, დაუსაბამობის ხილვის, ასტრალური ორეულის უზენაეს ზეცაში გაგზავნის იშვიათ უნარს.

დამოწმებანი

1. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი შესავალი და კომენტარები ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1983
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქო, თარგმანი ვ. ბურკაძის, თბ. 1985
6. ელენე ბლავატსკაია, მდუმარების ხმა, თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა თ. თავაძემ, თბ. 2011
7. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, თბ. 2004
8. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ. 2010
9. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი

კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“,
თბ. 1994

10. არეოპაგიტული კრებული, თბ. 1981
11. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1961
12. Рамачарака, Основы миросозерцания Индийских иогов,
Петербург, 1913
13. Е.Перих, Мозаика Агии Иоги, КИ.И, Тбилиси, 1990
14. სიტყვა მართლისა სარწმუნოებასა, ტ. II, თბ. 1990
15. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ტ. III, თბ. 1991
16. რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუცია-
ზე, მთარგმნელები ზ. სარაძე, ა. ჯოხაძე, შემდგენელი,
რედაქტორი და შესავალი წერილის ავტორი გ. ნოდია,
თბ. 1994
17. გიორგი გურჯიევი, ჭეშმარიტების სამყაროში, თბ. 2000
18. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყვე-
ლება, თბ. 1991
19. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე
გამსახურდიასი, თბ. 1941
20. კარლ ბრანდლერ ბრახტი, ოკულტიზმი, მთარგმნელები
ლია ხუბაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, თბ. 1991
21. ვიქტორ რცხილაძე, სულთა გამოცხადებანი და სპირი-
ტიზმი, „სამშობლო“, თბ. 1992

თავი IV

სახისმატყველოს საკითხები

პირების პარადიგმა

ნიკო სამადაშვილის გამორჩეულობის საწინდარი იყო ზღვარის გავლება ეფემერულსა და მარადიულს, სიყალბესა და ჭეშმარიტებას შორის. პოეტს არასოდეს უკლია დინების მხარეს, არ დაუკარგავს სწორი გეზი, არასოდეს მდგარა აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების გვერდით, პირიქით, მისი უმთავრესი მახასიათებელია ბოროტების მხილება, სიმართლის, სიკეთის სულიერების, რწმენის მსახურება, თემიდას ერთგულება.

პოეტმა ავადსახსენებელი სოციალიზმის დროს, სისხლით, ტოტალიტარიზმით ცნობილ ეპოქაში იცხოვრა, მაგრამ არასოდეს გამრუდებია გზა, არ დაუკარგავს სწორი ორიენტირები, ზედმინევნით სწორად აფასებდა მოვლენებს და სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით ამხელდა მეფისტოფელის საუკუნეს.

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში ბოროტეული ძალების მახასიათებლებია ნიანგები, დათვები, ძალები, მგლები, ნადირთა ხროვა, გველი, ჭინკა, დევები, ალი, აფთარი, ალქაჯი, ტურა.

ამ სახეთა წინაპრებს მრავლად ვიპოვით ბიბლიის, საულიერო პოეზიის, ქართული თუ უცხოური კლასიკური მწერლობის წიაღში.

ბიბლიაში ღარიბი ხალხის მჩაგვრელები შედარებულნი არიან ლომსა და დათვთან: „რაღა მბრდღვინავი ლომი და ღრიალა დათვი და რაღა ბოროტეული ბატონი ღარიბ-ღატაკი ხალხისთვის“ (იგავნი სოლომონისა, 28,15) (1,636).

მთავრები, მსაჯულები გამოირჩევიან მხეცური მტაცებლობით, გაუმაძლრობით: „მისი მთავრები მბრდღვინავი ლომებია,... მისი მსაჯულნი მგლებია, დილისთვის ძვალსაც რომ არ ტოვებენ“ (სოფონია წინასწარმეტყველი, 3,1-3) (2,294).

ცრუნინასწარმეტყველთა, მთავართა მახასიათებელია ნადირის ინსტინქტები: „შეთქმულან აქ მისი წინასწარმეტყველი, ლომებით ბრდლვინავენ, ნადავლს გლეჯენ და ცოცხლად ჭამენ.“

„მათი მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისთვის“ (ეზეკი-ელ წინასწარმეტყველი, 25,27,28) (2,214).

გველის ფესვიდან გამოსული უნასის ნაშიერში გველე-შაპს ჭვრეტდა ესაია წინასწარმეტყველი: „... გველის ფესვი-დან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქ-ნება“ (4,29) (2,84).

წინასწარმეტყველი ესაია ჰელიონი: „ასპიტის კვერ-ცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ. მათი კვერ-ცხების მჭამელი კვდება და თუ გატყდა, უნასი იჩეკება“ (58,5) (2,117).

ბიბლიაში მრავალგზის გვხვდება სამოთხეში გველის სახით შეპარული მაცდური გველის ნაშიერი გველეშაპი.

ეგვიპტის მეფე, ფარაონი მოიხსენება, როგორც „დიდი გველეშაპი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29,35) (2,221).

გველეშაპისებური მტაცებელია ბაბილონის მეფე ნაბუ-ქოდონისორი: „შემჭამა, დამღეჭა ნაბუქოდონისორმა, ბაბი-ლონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გვე-ლეშაპივით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 51, 34) (2,77).

კერპების მოთაყვანე ისრაელის ხალხს, იერუსალიმს „ტურების ბუნაგად“ ქცევით, „მიწის მხეცების“ შესაჭმელად გამეტებით ემუქრება ღმერთი (იერემია წინასწარმეტყველი, 9,10,16,4)(2,134,140).

ბიბლიაში ურნმუნოთა სასჯელად მოაზრებულია უდაბ-ნოს მხეცების, ალქაჯების, ტურების, ველური ძალლების მოვლენება (ესაია წინასწარმეტყველი 13,21,22) (2,83).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში „დიდი წითელ გვე-ლეშაპს — ეშმაკს და სატანას ციდან გადმოაგდებენ მიქაელი და მისი ანგელოზი, ხოლო ბოროტების თაყვანისმცემლებად

გვევლინებიან ზღვისა და მიწის მხეცები (8,12,13) (3,501-507).

ბიძლიის კომენტატორები ზღვისა და მიწის მხეცების სახეებში ლენინისა და სტალინის არქეტიპებს ხედავენ (აპო-კალიფსი და დღევანდელობა) (4, 411).

მომნანიებელთ, სიკეთის გზაზე დამდგართ მხეცების-გან, უკეთური ძალებისგან დაცვას ჰპირდება ღმერთი (ეზე-კიელ წინასწარმეტყველი, 34, 25,28). (2,224).

ცოდვებისგან განკურნება ლომის ხახისაგან თავის დაღწევად წარმოიდგინება: „მე თავი დავაღწიე ლომის ხახას“ (პავლე მოციქული, II ტიმოთე,4,17) (3,461).

დავით წინასწარმეტყველი ევედრებოდა ღმერთს: „მიხ-სენი ლომის ხახისაგან და მარტორქისაგან გადამარჩინე.

„მათი შხამი მსგავსია გველის შხამისა, ყრუ ასპიტისა“ (ფს.21,22,68,32) (3,543,581).

არც „ლერწმიანის მხეცის“ „ოქროს ზოდებია“ დავინყებული: „შერისხე მხეცი ლერწმიანისა, ხარების ჯოგი ხბოებს შორის, რომლებიც ტრაბახობენ ოქროს ზოდებით“(ფს.68,31) (3,581).

აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების სახეები გვხვდება მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრი-გოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ოთარ ჭილაძის, გოდერძი ჩოხელის, რევაზ მიშველაძის შე-მოქმედებაში ეროვნულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ფილოსო-ფიურ ასპექტებში.

ნიკო სამადაშვილი ზედმინევნით იცნობდა წინაპართა ტრადიციებს.

პოეტს ესმოდა „ნადირთა ღრიალი, „ღამურების სისი-ნი“ (ტყე შრიალებდა) (5,230).

აძრწუნებდა ჭირისუფლად მოვლენილი მგლების ყმუი-ლი, სისხლიანი წლების მსხვერპლად მიიჩნევდა თავს: „ალ-ბათ შენს ცხედარს მოასვენებენ და ჭირისუფლად ყმუიან მგლები, შენ არასოდეს გაგიხსენებენ სისხლით დასვრილი ვერაგი წლები“ (გეჯა) (6,12).

თავისი ლექსების მკითხველებადაც ადამიანებად გარდასახულ მგლებს ხედავდა: „...აბა რათ მინდა წიგნის ფურცლებზე თავი ამოჰყონ ჩემმა ლექსებმა, იმატაციონ თავის ლექსებით და შარაგზაზე შეღრინონ მგლებმა. ჩემი ცხოვრება მუდამ ბნელოდა“ (უკანასკნელი ზარების რეკვა) (5, 34-35).

პოეტის სიმდიდრე მხოლოდ ლექსები იყო, მაგრამ სისხლიანი დინგებით ცნობილი ნადირებისგან კარგს არაფერს მოელოდა: „ამოუსვრიათ სისხლში დინგები, ნადირებივით შეჭამენ ლექსებს“ (კამარების შეჭმუხვნა) (5,3).

აღთქმის მხარის მაძიებელი, ნიანგებს აწყდებოდა ბარდებში, თავის საფლავზეც დათვები, ჯიბგირები ელანდებოდა: „რა უცნაური ყოფილა ყოფა, როგორ მფარავდა სიყალბის რიდე... როცა მირნევდნენ აკვანს ნანინით, ვფიქრობდი, მოვხვდი აღთქმის მხარეში, შემომიტყუეს, თურმე ნიანგებს შეუტბორიათ ქვეყნის ბარდებში. ანდა საფლავიც ნეტა რად მინდა, ილაზღანდარონ მომაკვდავებმა, ზედ დამაყარონ წუნკი შენდობა, გადამიარონ ღამე დათვებმა. ან ჯიბგირებმა მომინახულონ, ყომარი გახსნან, იქვე მწვანეზე... მივალ მოკლული დარდით, შეკუმშულ გულში ათევს ზამთარი, იტყვიან, მოკვდა შავი სახადით, მოვიდა, იყო, ეხლა არ არის“ (რა საოცარი ყოფილა ყოფა) (5,39).

ქარბუქში დაღუპვის მაცნედ ჩაესმოდა მგლების ყმუილი, გველის სისინი (კაცი, სადა ხარ? (5,23).

„ამქვეყნის უხალისო, უიღბლო მდგმურს“ წყვდიადი, ქარაშოტი ეღობებოდა, „ხალხის ზრიალს“ გველის ხვევნად აღიქვამდა (5,161).

მათხოვრების, ყორნის თანხლებით წარმოიდგენდა თავის გასვენებას, საფლავშიც გველის ჩაძრომას მოელოდა (წინათგრძნობა) (5,56).

გუბეში მდგარი ძველი საყდრიდან ტურის კივილი მოესმოდა (სინათლის მიმოქცევა) (5,244).

ცხოვრებას აღიქვამდა უდაბურ ტყედ, სადაც ნადირები, დევები ღრეობდნენ, კაცის შეჭამანდს მიირთმევდნენ,

თითქოს ალი, ალქაჯი ეპარებოდა ღამით, ესმოდა აფთრის ღმუილი, დაკარგული იყო ბილიკი და მხოლოდ ასწლოვან მუხაში ეძებდა თავშესაფარს (5,197-197).

მუხა ერის სულის სიმბოლოა გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში. ასეთი გააზრება აქვს ამ სახეს ნიკო სამადაშვილის პოეზიაშიც.

„წარმავლობის ტიალ ყორესთან“ ქვესკნელის გველები ბუდობდნენ (სამანი) (6,122). „ელამ ძეგლზეც კვერნაქის გველს“ ჭვრეტდა (ვილაც მგზავრი) (5,236).

გველი სიბრძნის სიმბოლოა ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელში“, გრიგოლ რობაქიძის დრამაში „ლამარა“, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ხოგაის მინდია“.

ნიკო სამადაშვილიც ანალოგიური შინაარსით მიმართავდა ამ სახეს: „მაღალ სიმშვიდეს ასე შეშლის გველით მისნობა“ (შეხვედრებიდან) (5,178).

ზემოხსენებული კლასიკოსების რემინისცენციას იწვევს გველის სიმბოლო ლექსში „სიზმრების ნაღვერდალი“: „ამ დროს ხელებში გველი გიჭირავს და თვალებიდან მოჩანს ფასკუნჯი“ (6,102).

წუთისოფლის ნადირ-მაიმუნებად მოაზრებული თანამედროვენი ნიკო სამადაშვილს დანაშაულად უთვლიდნენ ბუდა საკია-მუნისადმი ინტერესს: „როგორა გტანჯეს ღმერთო ჩემო, რა უმოწყალოდ, რათ გიყვარდაო-გაგინებდნენ საკია მუნი. რა ვერაგია ეს ტიალი წუთისოფელი, რა ნადირია, რა მშიშარა, რა მაიმუნი“ (ჩემ გივი ერეკლეს ძე ტატიშვილს) (5, 42).

პოეტს ესმოდა ხატის მიზეზით სახადშეყრილი ვარაზის მგლის ყმუილი (აქ წარმართები მუხლებს იყრიდნენ) (5,49).

ზიზლს გვრიდა ღვთისმბრძოლ ნადირთა ღრიალი, თავისი თანამედროვე კერპისმქნელი „წარმართების ლოცვა“ (ტყე, შრიალებდა) (5,230).

ჭალიდან „ჭინკის ქოქოლა“ არ ასვენებდა (ნახული) (6,121).

ერთმანეთს ენაცვლებოდა „ბალდახინის“ ხილვა, „ფე-

რად ჭინკების სრძოლა“, „სულშემხუთავი ძეძვივით დარდი და ჯოჯოხეთის პირქარი ხრჩოლა“ (დამშვიდობება და სინა-ნული) (7,129).

გველებიანი ქვესკნელის ასოციაცია უჩნდებოდა უნუ-გეშო მდგომარეობაში ჩავარდნილს (სამანი).

ცხოვრებას ალიქვამდა უდაბნოდ, სადაც წელზე გველი ეხვეოდა ქადაგს, „ნუპაკი მღვდელი“ კი წესის ამგები იყო (გეჯა) (6,18).

ეკლესიის წინ მლოცველი გველის სახეა ლექსში „სინა-ნული“ (5,111).

„საყდრის გადასწვრივ“ ჭინკას უპოვია ასპარეზი (ნას-თული) (6,121).

მგლებად გარდასახული ადამიანების სამყაროს სურა-თია ლექსში „გამხმარი კაცი“ (6,44): „ჩვენ ხომ ერთმანეთს ვჭამდით მგლებივით. იქ სურათია: დგას მხედარი, უჭირავს თეფში და ზედ ამხია კაცის თავი გველის ხვრელივით. თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება ღამე, ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოეწონება და მატლებდახურულ თვალებიდან გახედავს ბალებს“ (გამხმარი კაცი) (6,44).

გარემოს ზარავდა მგლების ყმუილი, ყვავების ჩხავილი (ცაცხვის ხე) (6,39).

ნიკო სამადაშვილის ირგვლივ გამუდმებით ყმუიან ავის მაცნე ძალლები, თითქოს ცხოვრება საძალლეთს დამსგავსე-ბია: „უკან სიცოცხლე ძალლივით მომდევს, სად შევაფარო თა-ვი საძალლეთს“ (მონასტერი ჩანს მთაზე ნისლივით) (5, 140).

წმინდა იოანე ოქროპირი ულირს კაცს ლეშის მჭამელ მგელს ადარებს: „უღირსებო კაცი ლეშის მჭამელ მგელს ჰგავს“ (8,98).

წმინდა ეფრემ ასური შენატრის „მართლმორნმუნე კაცს, რომელიც ვერ აცდუნა უწმინდურმა მგელმა: „კურ-თხეულ არს, ვინც წმინდა ეკლესია ირჩია. ესე არს კრავი, რო-მელიც ვერ წარიტაცა მგელმა“ (8,101).

წმინდა იოანე ოქროპირი საუბრობს „პატივმოყვარეო-

ბის საშიშ „კუნძულზე“ მცხოვრები ურჩხულების შესახებ და კითხულობს: „რა ურჩხულებია ასეთი?“ და პასუხი ასეთია: „ეს ურჩხულები არიან მრისხანება, სასოწარკვეთა, შური, მტრობა, ცილისწამება, განკითხვა, სიცრუე, თვალთმაქცობა, მზაკვრობა, გულძვირობა უდანაშაულო ხალხის მიმართ, სიხარული მტერთა გაჭირვების გამო, მწუხარება მათ კე- თილდღეობასა ზედა, თავის ქების სურვილი,.. სწავლება პირფერული, ალერსი თვალთმაქცური... უგულებელყოფა გაჭირვებულთა, მსახურება მდიდრებისა, ...მიწიერი შიში, გამბედაობა, მოჩვენებითი სიმდაბლე... სიმკაცრე უზომო უბ- რალო ხალხის მიმართ, ძლიერთა წინაშე უსიტყვობა. ამდენს კი არა, ამაზე მეტ ურჩხულსაც კი იტევს ის კუნძული და თუ- კი მათ ერთხელ მაინც მოიტაცეს ვინმე, ისე დაიმონებენ, რომ ბევრ რამეს, რაზედაც ახლა უხერხულია ლაპარაკი, ... გააკეთებინებენ“ (8, 160-161).

ნიკო სამადაშვილი ბინადრობდა არა „პატივმოყვარეო- ბის“, არამედ ჭეშმარიტების კუნძულზე. გაბედულად ამხელ- და თავისი თანამედროვე საუკუნის ნადირ-მხეცებს, თავის დიდ ნიჭს არასოდეს ახურდავებდა წარმავალ მოვლენებზე, უმაღლესი გადასახედიდან, მარადისობიდან ჭვრეტდა წუთი- სოფელს, ერთგულებდა საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვა- რულს, რაც გახდა მისი უკვდავების საწინდარი.

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994
5. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, თბ. 2004
6. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, თბ. 2006
7. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ. 2010
8. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991

და ყორნებივით ჩხაოდნენ ნლები

ყორნის, ყვავის, ჭოტის, ბუს, ღამურას სახეები ჯერ კი-დევ ხალხური პოეზიდან არის ცნობილი და ყველგან წევატიურ ჭრილში მოიაზრება.

ყორნის სახე ლიტერატურაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ამერიკელი პოეტის ედგარ პოს „ყორნის“ შექმნის შემდეგ.

ლექსი ქართველმა პოეტებმაც თარგმნეს და უურნალ „ოქროს ვერძში“ გამოაქვეყნა პაოლო იაშვილმა 1913წელს.

გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ტიციან ტაბიძის პოეზიაში მრავლად გვხვდება ყორნის სახე, მისი ვარიაციები.

ნიკო სამადაშვილის პოეზიას განსაკუთრებით მოერგო ეს პარადიგმები. პოეტი თავის თანამედროვე ეპოქას ყოველთვის უარყოფითად ახასიათებდა. ღმერთისუარმყოფელ, იარაღზე, ძალაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში გამუდმებით ყორნის ჩხავილი ჩაესმოდა: „ღმერთებს აბამდნენ ხის ქვეშ თოკებით, ქვეყანა იწვა გაყრილ ხიშტებით და ყორნებივით ჩხაოდნენ წლები“ (უსურათო) (1,201).

პოეტი საკუთარ გასვენებას მათხოვრების, ყორნის, გველების თანხლებით წარმოიდგენდა: „გამასვენებენ მათხოვრები გასვრილ ხელებით. მთვრალი ყორანი გრძელ ბრჭყალებზედ დაითვლის წამებს, გათხრილ საფლავში ჩაძვრებიან საყდრის გველები“ (წინათგრძნობა) (1,56).

ლექსში „წარწერა“ (2,17) ლექსს წარმოთქვამს არა პოეტი, რომელიც გიჟივით ლოდზე ზის, შთამაგონებელია არა ჩიტი, არამედ პოეტად გარდასახული ყორანი, მაგრამ საიქიოდან მსაჯულივით იმზირება ქრისტე: „მზე გადიოდა ცას ბორანივით, ტყეში შიმველი ქარი კიოდა. ლექსს იძახოდა ხიდან ყორანი, ქრისტე მოჩანდა საიქიოდან“. ბოლოს კიდევ ერთი პარადოქსია: „ჯიბგირების“ მიერ სიტყვის ნამდვილი ოსტატის ჩამოშორების მიზნით კუბოზე მიწერილი ლექსის ავტორის გვა-

რო: „...სადღაც ეშოვნათ კუბო ჯიბგირებს და მოეწერათ ზედ ჩემი გვარი“.

პოეტი საკუთარ გასვენებას მათხოვრების, ყორნის, გველების თანხლებით წარმოიდგენდა: „გამასვენებენ მათხოვრები გასვრილ ხელებით. მთვრალი ყორანი გრძელ ბრჭყალებზე დაითვლის წამებს. გათხრილ საფლავში ჩაძვრებიან საყდრის გველები“ (წინათგრძნობა) (1,56).

თუ ედგარ პოს „ყორანში“ მოლაპარაკე, უბედობის მაუწყებელი ყორანია, ნიკო სამადაშვილის ლექსში „გადმორჩენა სამყაროსკენ“ (1,...124-125), ასტალური მოგზაურობისას პოეტის გამპედაობით მოხიბლული მლოცველი ყორანია: „...და მე მლოცვავდა გზებზე ყორანი“.

ლექსში „ერთი იმათგანი“ (1,158), პოეტს ესმოდა ყვავის წყევლა, გზების ღრიალი, ძალლების ყეფა და სიონის ზარების გლოვა: „...ყვავი კი მინდვრად სწყევლიდა თელას, სწყევლიდა გამჩენს, კაცთა გასაგისს, ესმოდა შორეთს ღრიალი გზების, ძალლების ყეფა მარადისობის, სიონის მაღლა გლოვა ზარების“.

ყვავებზე შეტევა მაინც არ იყო გამოსავალი, რადგან ამ ავყია ფრინველს მგლების ყმუილი ენაცვლებოდა: „ყვავებს შეუტევ, მიაყრი რისხვას, ყმუილს მორთავენ გარშემო მგლები“ (ცაცხვის ხე) (1,39).

წამებით ცოცხლად დამწვარი პოეტი თითქოს კუბოში ჩასვენებული „ყვავის ბახალაა“ (ერთი კიდევ, თუ ღმერთი გწამს) (1,28-29).

უბედო პოეტს მტკვრის ფონზე ჭილყვავის გუნდი არდევნებია: „მტკვრის ფონს გაჰყვება ჭილყვავის გუნდი, უკან იყივლებს ფოთლების ღვარი და ჩემს ცხოვრებას ბედდაუნდობელს შენს კულულებზე გადასწერს ქარი“ (ტკაცუნი) (2,57).

პირქუშ დროში პოეტის ხვედრი ყოფილა „დუშმანის“ ადევნება, ქუჩაში ძილი, ძალლივით ყველგან „ძუნძული“, „ბნელი სიზმრები“, სიკვდილის მოლოდინი, პირქვე დაცემა, რაც აფიქრებინებდა, რომ „ყვავის ცხოვრება... სჯობიან“ მის „მნარე ხვედრს“ (დასასრული) (1,22).

„ატენის სიონში“ (3,9-10) ჯვრის, ანთებული ჭრაქების ფონზეც ჭოტის ავის მაცნე კივილი ისმოდა: „...მოჰქონდათ ჯვარი, ჭრაქები ენთო და დანახვისზე ჭოტი კიოდა“.

„ნაფოტებში“ ცინიკოსი ჭოტის დამცინავ, ავისმაუწყებელ ხმას შეეფარდება „პოეტების ნახირის“ ბლავილი: „ჭოტი დასცინის ბნელ არემარეს, მწყრის ქვითქვითია, ბიბინი ყანის, გაუსხეპავი ღამეა გარეთ და პოეტების ნახირი ბლავის“.

ორეულები, მეორე მე აინტერესებდათ რომანტიკოსებს, სიმბოლისტებს. ნიკო სამადაშვილის ორეული წარსულის „მეზარე“ და „ჭოტივით მკვნესარეა“: „მე ვნახე ორეული, ნიშანგამორეული, წარსულ დღეთა მეზარე და ჭოტივით მკვნესარე“ (ყველიერის შაირი) (2, 35).

ლექსში „მარადისობა და მესაფლავე“ (2,59) კუბოს მტრედები ეტანებიან, მაგრამ ისმის ჭოტის ძახილი და სახეზე „ათასი ღამის უდაბურება“: „ჭრელი მტრედები კუბოს ასწევენ, ... აქ ჭოტი ძახილს წყალში გაურევს, შეკრთება სადღაც მკვდარი ბუნება, უკან კი მძლავრად გაიხმაურებს ათასი ღამის უდაბურება“.

„ბედის ნაბიჭვრის“ ხევდრია ღამე, ლენცოფასავით ძვლების მკორტნელი დარდი, ქვეყნიერება თითქოს კაკანათია, რომელიც ჯვარცმას უმზადებს მაღალი იდეალების მსახურთ, ცინიკურია ჭოტის კივილს აყოლებული ნანგრევების ლოცვა: „გინახავთ ყმანვილი კაცის სახე, დარდებისგან დაკორტნილი? ო, როგორ არა... ბედის ნაბიჭვარი. ჭოტის კივილზე ნანგრევები მორთავენ ლოცვას. ჩაგენინდება ძველებში დარდი, როგორც ლენცოფა... ქვეყნიერება ჩვენ დაგვიგეს კაკანათივით. როგორ ჯვარს ვეცვით! გადავშენდებით!... როგორ ვუყვარდით მეგობარო ღრუბლნარა ღამეს“ (გული და ჯანდები) (2, 90-91).

ნიკო სამადაშვილი წარმართებს უნოდებს ქვეყნის სათავეში მოსულ არარაობებს, რომლებიც კერპებს ქმნიდნენ თავიანთი თავებისგან, აწამებდნენ მორწმუნეთ, მათ ხარხარს კი აკომპანიმენტად გასდევდა ჭოტის კივილი და არა საყდრის მტრედების ლოცვა: „...სოფლის ბოლოში ჭოტი კიოდა, საყდრის მტრედები ლოცვებს კენკავდნენ, ალი დასდევდა ციცი-

ნათელებს და ხარხარებდნენ ნაძვის ძირში ის წარმართები, მე რომ მღანძღავდნენ. მე გავატარე ბედი ტირილში და ჩემი ტან-ჯვით მაინც ვერ გაძლენ“ (წუხელის შეგხვდი) (1,25).

„ავდრებში“ ზეობს ტყის ჭინკა, ისმის ჭოტის კივილი და ყვავილების გოდება: „...ყვავილებს გააქვთ გოდება. ავდრები, ტყის ჭინკა, ჭოტის კივილი“ (აგარაკი) (2, 14).

„ღამეს, ჭინკის ქოქოლას, ჭოტის კივილს“ ენაცვლება დე-დის ვედრება ჩვენს ზეციურ დედასთან: „ღამე ჭალაში ჭინკის ქოქოლა, ჭოტის კივილი ჩვენ კაკლის თავზე, დედის ვედრება ღვთისმშობლის ხატთან“ (ნახული) (1,71).

ღამე, ქარი, ჭოტის კივილი, დამცინავი ყვავების მოვლი-ნება დაპედებია პოეტს: „ამოვა ქარი და დაბინდდება. ღამე კაკლიდან ჭოტის კივილი ჩემს მიწურ ქობზე გადაფრინდება. ცაცხვების შრიალს, ჩვენ ხშირ სამყოფელს, მოვლენ ყვავები და დასცინებენ“ (ფერფლი) (1,73).

უდაბურება და ჭოტის საბედისწერო ძახილია ლექსში „მარადისობა და მესაფლავე“ (1,75).

დასაბამიდან სამყაროს ძერაც ასდევნებია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს „ვერაგი ცეცხლით“ წანამები პოეტის მდგომა-რეობას: „...სადღაც უხილავ დასაბამთან ყიოდა ძერა, მე კი მე-კიდა ძვლების ფინჩხზე ცეცხლი ვერაგი“ (გადახვენილი შადრე-ვანი) (3, 252).

ტაძრის გუმბათზე ცალფეხა ძერას გამოჩენას მოსდევს „საშინელი, ვერაგი წვიმა“ (ეზო) (1,240).

ღვთისმგმობელ ეპოქაში სახეზე იყო „ავყია ქარების“ ქროლა, „ნადირთა ღრიალი“, „ღამურების სისინი“, „წარმართე-ბის“ (ეპოქის ურნმუნო, კერპისმქნელი მესაჭეების) მუქარა, მა-თი მოღვაწეობის შედეგად დადგმული კუბოები (ტყე შრიალებ-და) (1,230).

ღამურები, ბუები არ იძლეოდნენ მშვიდი ცხოვრების სა-შუალებას: „ცის მყუდროება თითქოს მიჰქონდათ ღამურებს, ბუებს და ჭრიჭინები ორღობებებთან უძახდნენ ხნიერ გამოქვა-ბულებს“ (ბუქზე) (1,100).

სიავის მაუნტებელი ფრინველის-ბუს მოძალება პირდა-პირ უკავშირდება ქარაგმად ქცეული სამშობლოს მიმართებას პოეტთან: „...ბუ ჩამცქეროდა ღია თვალებში, სამშობლო იყო ჩემი ქარაგმა“ (უკანასკნელი ზარების რეკვა) (1, 34-35).

სიბერეც სვავის ავბედით სახეს მოალანდებდა: „სიბერე მაინც სვავის ფრთებით წამომენია“ (მუხლდაქანცული მივყვებოდი ყაყანა ქარებს) (1,128).

„ბუერა დარდი“ მიემადლებინა პოეტისთვის განგებას (ეხლა კი) (... 167).

„დღე და ღამე დამტირიან გეთსიმანის ფრინველები“, ნათქვამია ლექსში „ალსარება“ (...132).

„გუგულის ხმაც“ დასაძლევი იყო, ხმებოდნენ ეზოს თელები (გამახსენდა) (1.140).

გაუძლისი ვითარება აიძულებდა პოეტს, გაუფასურებული სიცოცხლის დროებით დასავინყებლად სვავივით დასწრებოდა ღვინოს: „ღვინოს როცა ვსვამ, როგორც სვავი და სალახანა, მაშინ როდი ვგრძნობ, რომ სიცოცხლე ჩალის ფასია“ (სალამონ და განწყობილება) (1. 153).

ნიკო სამადაშვილის ანდერძის ადრესატი „ფერადი ფრინველები“ იყო: „ის შემთვრალ ანდერძს დაუტოვებს ფერად ფრინველებს, ცხედარს კი ქვევით ნიაღვრები ჩამოატარებს“ (გულთამხილავი) (1,12).

ლექსში „ის კიდევ წერდა ლექსებს“ (1.26) „უკურნებელი დარდი“ და საძაგელი ჭიაა უკუნეთის მოძულე და განთიადისკენ მიმსწრაფი ლირიკული პერსონაჟის მდგომარეობის მახასიათებელი: „დარდი მკორტნიდა უკურნებელი, თითქოს სხეული დაეხრათ ჭიებს. ღამეს დავცილდი-ტიალ უკუნეთს და განთიადებს ვერ დავეწიე“.

„გაყრაში“ (2.91) მოკლული ქედანის ბედთან არის ასოცირებული ლექსის პერსონაჟის ხვედრი: „ეს ბედი ჰგავდა გზად მოკლულ ქედანს“ (გაყრა) (3.91).

„განწირული“, „სახრეგადანნული“ მგოსნის ყურისმგდებელი მხოლოდ ჩიტუნა იყო (წეტავ იცოდე კითხვა, ჩიტუნავ).

მას გულში არა მტაცებელ ფრინველებს, არამედ უწყინარ ბეღურებს ეძინათ: „...ჩემს გულში ბუღურებს სძინავთ, მხოლოდ ჩიტები მეგუებიან“ (მარად) (3.135).

ცისფერ აისებს, გაფრენილ ბეღურებს და ტოროლებს ეთაყვანებოდა პოეტი: „...ძუძუს რომ ვწოვდით ცისფერ აისებს, ჩვენ ხომ გაფრენილ ბეღურებს ვგავდით და ტოროლებით და-ხუნძლულ ნისლებს“ (...206).

მხოლოდ ჩიტი და მისი მადლიანი სიმღერა ენუგეშებოდა ეულს, მარტოსულს: „...ჩიტო მიმღერე, ღვთის მადლი გფარავს, შენს ცხოვრებასთან დანტეც მიჰქარავს“ (ჩიტი-ჩიორა) (3.245).

პოეტი მტრედის სიზმრებში ხედავდა „ფიქრების ჩრდილთა გოგმანს“: „შენი ფიქრების ჩრდილთა გოგმანი მტრედის სიზმრებში მომიპარია“ (ხე ეკლესიის მათსავარს ჰგავდა (...114).

„ფიქრების ჩრდილთა გოგმანის“ ხილვა მხოლოდ ერთეულთ, სულინმიდისგან ხელდასხმულთ ხელენიფებათ.

ლაო-ძი გვმოძლვრავს: „...ვისაც სიცოცხლე შეუცვნია და დაუთმენა: მისთვის ვეფხვსა და მარტორქას არ უვნია...“

„...ვინც დაეუფლა დეს: „...ქვეწარმავალი მას ვერ დაგესლავს. ნადირი მას ვერ დაგლეჯს. ყვავ-ყორანი ვერ დაფლეთს“ (4, 216).

დამოწმებანი

1. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, საარქივო გამოცემა, შპს „ფორმა“, თბ. 2004
2. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006
3. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ. 2010
4. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართვლეო“, თბ. 1983.

„3060 გრიგალეგის სიმღერებს მოჰყვა“

ქარით დაინტერესებას იჩენდა ბიბლია, ფილოსოფია, ფოლკლორი, ლიტერატურა. ეს ცნება ყოველთვის იძლეოდა მრავალმნიშვნელოვანი გააზრების საფუძველს.

ჯერ კიდევ ინდოელთა ფილოსოფიაში ქარი ოთხი მთავარი ელემენტის შემადგენელი ნაწილი იყო მინასთან, წყალთან, ცეცხლთან და მიიჩნეოდა სამყაროს მამოძრავებელ ძალად.

ინდური მოძღვრების მიხედვით, თვით სამყაროა გრიგალივით მოძრავი და ეს გრიგალია აქტიურობა, აზროვნება, ღმერთით გაპირობებული გონიერი მისწრაფება.

სული წარმოედგინათ, როგორც ფრინველი, წერო, გრიგალი, ცეცხლებრივი სუნთქვა, ნაკვერჩხალი, აჩრდილი (ვიქტორ ნოზაძე) (1,322,335).

„ანტიკის ხელოვანთა ნაწარმოებებში გრილი ნიავი გაპიროვნებული იყო და მისი სახით რომელიდაც სილფს (ქალს) ეთაყვანებოდნენ.

ოვიდიუსი ასე მოუხმობს ნიავს მეტამორფოზებში: „აურა... მოდი... ნიავო ჩემო, გამაგრილე, ჩამიკარ გულში“ (ლესინგი) (2,79).

ნიცშე ქარს ადარებს ზარატურტრას: „ძლიერი ქარია ზარატუსტრა ყველა დაბლობთან“ (3,77).

ცოდვების ზღვაზე ამაღლებული ზარატუსტრა დაჰქრის სამხრეთის ქარივით: „თბილ ზღვებზე დავქრივარ, როგორც მძიმე სამხრეთის ქარი“ (3,133).

ნიცშესთან ქარიშხალი სულია, რომელიც აღელვებულ ზღვაზე ცოდვებს ამარცხებს: „ქარიშხლით, რომლის სახელი სულია, დავბერე შენს აღელვებულ ზღვას, განვაბნიე ყოველი ღრუბელი შენ ზედა, დავარჩვე თვით მახრჩობელა, რომელსაც ცოდვა ეწოდების“ (3,169).

„ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ავტორი აცხადებს: „კურთხეული იყოს ეს კეთილი... ველური, ლალი ქარიშხლის სული“ (3,219).

ნიცშესთან ყურადღებას იქცევს „მოლაპარაკე“, ქარი: „ქარი შემოიჭრა გასაღების ხვრელში და მითხრა: „წამოდი“ (3, 123).

ასევე, აქცენტირებულია კეთილის მაუნყებელი მომავლის ქარები: „მომავლით იძვრიან ქარნი ფრთხების იდუმალი შრიალით და მახვილ ყურთ აღწევს კეთილი უწყება“ (3,63).

გალაკტიონის მიხედვით, პოეტის სული „გრიგალია, შერყვევა“, პოეტების მეფე ქარია: „ეს მე ვარ ქარი“, ასევე, ის არის „ქარული: „ვიცი, რადა ვარ ასე ქარული“ (დადგა აგვისტო) (4,380).

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში „დიდი პოეტი გრიგალს ეძახის“, ქარია მისი „ცხოვრების ლერძი“, „ქარები სულში მღერიან“.

კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობის“ მიხედვით, „ჯადო აქვს მწერლის სიტყვას, მას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია“.

მიხეილ ჯავახიშვილის მიხედვთ, „მწერალი ჰეგას ბერძნულ მითიურ არსებას, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვეღარ დააწყნარა“ (როგორ იწერებოდა არსენა მარაბდელი).

უოტ უიტმენი მიმართავდა ქარებს: „მე თქვენთან ვრბოდი მძლავრო ქარებო, ზვირთებთან ერთად ვესალბუნე ზღვების ნაპირებს“ (მისალმება სამყაროსადმი) (5,13).

შარლ ბიდლერის პოეზიაში „პოეტი ღრუბლებს მბრძანებლობს და გრიგალთან ღამეს ათენებს“ (ალბატროსი) (6,56).

ვაჟა-ფშაველას „უილბლო ილბლიანის“ პერსონაჟი საბრალო მთის ქარია.

„დაჩაგრულ მესტვირეში“ ვაჟას სტვირის ხმა არის „ვით მთის ნიავი“.

„მთათა ერთობაში“ ნიავი მთის შვილია, მთის შიკრიკი.

პოემაში „სული ობლისა“ ობლის სული ჰაერში მყოფი უსახო ჰაერია: „ობლის სული ჰაერად იყო ჰაერში, სახე არ ებედებოდა“.

ბიბლიაში ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანის გაცოც-

ხლება მასში ქარის, ნიავის შთაბერვად მოიაზრებოდა, ხოლო სახარებაში შთაგონების მომნიჭებელი სამების მესამე წევ-რის-სულინმინდის მოვლინება გაიგივებული იყო ნიავის და-ბერვასთან.

ასეთ ჭრილში გაგებული ქარი გვხვდება სასულიერო პოეზიაში „საღმრთო ნიავის“ სახით (ბასილი, გალობანი ეფ-თვიმი მთაწმინდელისანი) („ჩევენი საუნჯე“) (7,508).

გალაკტიონის შემოქმედებაში ოცნებას, პოეზიას პირ-დაპირ უკავშირდება ქარის დაბერვა: „დაბერა ქარმა და ოც-ნება ააჩანჩქარა“, „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი... ვერ-ხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“ (ვერხვები), „.... ჩემი ლურჯა ცხენები ჰქონდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით“ (ეფემერა).

ასეთივე გაგებისაა ტერენტი გრანელის „უხილავი ქა-რები“.

ამ ასპექტში უნდა მოვიაზროთ აკაკი წერეთლის „სუ-ლიკოს“ მახარობელი ნიავი.

„ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია: „რომელმან შექმნა სამ-ყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“.

ამ „სულს“ სულინმინდად მიიჩნევს ზვიად გამსახურდია და აღნიშნავს, რომ ტერმინები: „ბერვა, შთაბერვა“, „მობერ-ვა“ ტრადიციულად იხმარება ღვთისმეტყველებაში სულინ-მინდასთან დაკავშირებით. ვ. ლოსკი იმოწმებს ნაზიანზელს, რომელიც ამბობს სულინმინდაზე, რომ „ეს არის სული, რო-მელიც უბერავს ყველგან და ყოველი მიმართულებით, ყოვე-ლივეს აძლევს ნათელს და ცხოვრებას“.

„ეჭვგარეშეა, რომ „ბერვა“ დაკავშირებულია ძველი აღ-თქმის შესაქმისას სულის „შთაბერვასთან“ (შესაქმე, 11,7).

„ამასვე უკავშირდება ისიც, რომ „მოციქულთა საქმეში“ სულინმიდის მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან“. „ახალ აღთქმაში ქრისტე არის „მომბერი“ სულისა, აღნიშ-ნავს ზვიად გამსახურდია, ... იოანეს სახარებაში, აღდგომის

შემდგომ მაცხოვარმა მოწაფეებს „შეპპერა და ჰირქუა: მიიღეთ სული წმიდაი“ (იოანე, 2,20).

ზვიად გამსახურდია აქცენტს უკეთებს დიონისე არეოპაგელის შრომების იგივე ტერმინებს: „საღმრთო მობერვა“ და „მღვდელმთავრობითი მობერვა“ და „მობერვას“ უკავშირებს სულიწმინდას (8,190).

„საღმრთო სულითაა გაპირობებული „ღვთიური მობერვა, ზემთაგონება“, წერს გრიგოლ ნოსელი (პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის) კომენტარებში გაიგივებულია „სული მობერვა, შთაგონება“ (9,60).

ნიჭთა და მადლთა გამნაწილებელი არის სულიწმინდა (პავლე მოციქული, კორინთელთა, 12,7-11) (10,374).

ვაუა ფშაველას „ბუნების მგოსნებაში“ სულიწმინდა ჰაერთან შეზავებლად წარმოდგება.

მის „ქებათა ქებაშიც“ სულიწმინდის პერსონიფიკაცია ნიავია: „ნიავიც მიდუდუნებდა ველებზე სულიწმინდადა, იგივე იყო უცვლელად, რაც ათასის წლის წინადა“.

შთაგონების ქარების მოვლინებაზე მრავალგზის კეთდება აქცენტი ანა კალანდაძის პოეზიაში.

„წარუვალის და მარადქარულის“ სახით ეცხადება პოეტს შთაგონების, ნიჭის მომმადლებული სულიწმინდა: „მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და მარადქარული, მაღალ-მაღალი განახვენ ბჭენი, შენთა პალატთა, ო, სიხარულო“ (მომიცავს იგი).

„ქართ მიმობერვის“ ანუ მუზის წყალობისთვის აუცილებელია „სუფთა თვალები“, სუფთა სული: „ცას სუფთა თვალით უნდა ვუმზიროთ და შორით ვჭვრეტდეთ ქართ მობერვას“ (გვეამაყება).

ანა კალანდაძე განუმეორებელი სახეებით განგვაცდევინებს თავის შინა სამყაროში „ძლიერ ქართა“ და მკვიდრებას, რაც „სამუფო ლუსკუმის“ გახსნის, „დაუშრეტელი ცეცხლის“ (ღმერთის) მოვლინების ტოლფარდია და სიკვდილის დამმარცხებელი: „გადავივიწყე ქვეყნად სიკვდილი... გავხსენ ლუსკუმა

მე სამეუფო, ქართა ძლიერთა გულისმიერი, მეუფლა ცეცხლი დაუშრეტელი“ (აპა, გვირგვინი ვარდის შტოთაგან).

ამ საღვთო მობერვის მიზანია სიყვარულის მსახურების მისის განხორციელება მხატვრული სიტყვით: „იალალებით მობერილ ვარ სიყვარულისად“ (გამომეცხადა რჩეული ჩემი).

პოეტი ქალი ეთაყვანება „ამაყ, მაღალ ქარიშხლებს“, უსაზღვრობას.

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში ქარი მრავალნაირ ჭრილში მოიაზრება, მისი ფილოსოფიური ლექსი „მარად“ ეხ-მიანება ინდურ მოძღვრებას: „.... პლანეტის უკან ქარბუქი მღერის, დასაბამიდან, სულ გამუდმებით“ (11,131).

ქარის ერთ-ერთი მნიშვნელობა შთაგონების მომნიჭებელ სულინმინდას უკავშირება.

„ფერისცვალების“ ავტორის შემოქმედებაში ერთდრო-ულად გვხდება „ზენა ქარი“ და „საწუთოს ქარი“. პირველი შთაგონების მონიჭებელი სულინმინდის მოვლინების მაცნეა, მეორე — საწუთოს მნგრეველი ბოროტი ძალა: „შენ ზენა ქარი სახლშიც გიბერავს, ხშირად გაღვიძებს გულის ტირი-ლი, გახსოვს, საწუთოს ქარმა რომ უცბად განათებული ცა გადაგლიჯა“ (წაშლილი კვალი) (11,141).

ქარცემული პოეტის „ავადმყოფობა“ იყო ლექსები: „შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს, თუმცა სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი, ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, ტანზე გამონაყარი“ (ბუღალტერ ნიკო სამადაშვილს პოეტ ნიკო სა-მადაშვილისგან თუ პირიქით) (12, 105-106).

ლექსში „არავის ერჩის“ (13,41) ქარიშხლებთან ღამის-მთევარი ბოგანო „მწუხარ არიას“ მღერის, მთებით, ლაჟვარ-დებით მოხიბლული, მაშხალასავით ანთებული და ბეთხოვე-ნის ჰანგების მომლოდინე: „ის ბოგანოა, ხვალ შემოივლის და გამაგონებს მწუხარ არიას... ვერ მიუხვდები: მთებმა მოხიბ-ლეს, თუ ლაჟვარდების უცნაურობამ!!! ის ხან ღამეებს უთევს ქარიშხალს, ის ხან ანთია მაშხალასავით და ხან ბინ-დივით ელის ბეთხოვენს“.

პოეტი ლოცვის მოთხოვნილებას გრძნობს, ქარი კი იმის ამხსნელია, რატომ ისმის სამარიდან ბეთხოვენის ხმა: „ჩემს საკუთარ ჩრდილს წამოვისხამ ზამთრის ღამეში, გამოვალ გარეთ, მყინვარები ლოცვას მომთხოვენ. ქარი ამიხსნის: რო ყვირიან აქ, სამარეში, გიუ ღმერთები დასევიან საწყალ ბეთხოვენს“ (კარების გაჯახუნება) (13,80).

„ქარის სიმღერის“ ლოდინია ლექსში „ხეებთან“ (13,47): „მელოდებოდი ფოთლებთან ერთად, თხელ სივრცეებში ხედავდი ბილიკს, თან ყურს უგდებდი ქარის სიმღერას და წუთისოფელს სულ ხმაგაქმენდილს.“

შემოქმედებით პროცესზე მიგვანიშნებს „ჰანგების დაფნა, შთაგონების ყრუ აგარაკი, ბეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი, ყვავილთა მწუხრი, სიზმრები, ქარის ბალადა, განგების ჩრდილი, ლოცვა, ქარი, სიჩუმე, ქუხილი, ლაჟვარდების გაგიუება“, რაც ლექსებით სრულდება: „...გადმოვარდება მაღლობიდან ღრმა მდუმარება, ბუჩქებთან ქარში დაიბუდებს ჩემი სიჩუმე. თბილისი სადღაც დაიჭუხებს, გაავდარდება და ლაჟვარდების გაგიუებას ლექსებს აჩუქებს“ (სტვენა თბილისამ-დე) (12,6).

ქარის-შთაგონების მოვლინებას უკავშირებს „ზღაპრებს“ — მხატვრულ გამონაგონს: „...მიყურებს ქარი. ჩიფჩიფებს რაღაც დაბურულ ზღაპრებს“ (მოკვდები, წავალ, ვინ მომიგონებს) (12, 124-125).

მუზის სტუმრობას გვაუწყებს ქარში ხეზე „დამსხდარი“ ლექსები: „...როცა ქარია და ხეებზე სხედან ლექსები“ (მე ვიცი) (12,231).

ასეთივე ჩანაფიქრის მატარებელია „ხმაჩახლეჩილი ქარის სიმღერა“ (მომენატრება სიცოცხლე ძვირი) (12,118), „სიოს არაკი“ (აგარაკი) (12,67).

სულში „ზენა ქარი“ (შთაგონება) ჩაბუდებოდა, ღამე ნაკადულს ესაუბრებოდა, (ნაკადული საღმრთო სახელია), მაგრამ „საწუთოს ქარი განათებულ ცას“ ემტერებოდა და პოეტს ამქვეყნად მოვლინების აზრს აძებნინებდა: „შენ ზენა

ქარი სახლშიც გიბერავს, ხშირად გაღვიძებს გულის ტირო-ლი. ღამე ნაკადულს ესაუბრები და დილით მიხვალ ხმაჩან-ყვეტილი. გახსოვს საწუთოს ქარმა რომ უცებ განათებული ცა გადაგლიჯა... დარდი: დედამიწაზე ნეტავი რისთვის შემო-ვეხეტე?“ (ნარსულის კვალი) (12,79).

პოეტი ებრძოდა „ავყია ქარებს“, ამავე დროს გვევლი-ნებოდა, როგორც „ქარების მხედარი“: „მუხლი მწყდებოდა ქარების მხედარს“ (ის კიდევ წერდა ლექსებს“ (12,126).

„ეს მე ვარ, ეს მე ვარ ქარი“, აცხადებდა გალაკტიონი.

ნიკო სამადაშვილი გვევლინება, როგორც „ქარბუქი“, თავისი გამორჩეული ნიჭით გასალკლდევებული, ქარბუქის ძალის: „...ბინდში ელავდნენ გრიგალებივით ბინდმორეული საფეხურები. სადღაც ქარბუქი ლექსებს ამბობდა და ყურს უგდებდნენ სველი მტრედები“, ნათქვამია „დაუსაპამობის ხილვაში“ (12,172-173).

ლექსში „გიშერი“ (12,45) ისევ პოეტია ქარბუქის ადრე-სატი: „...ამაღამ ალბათ ნიკოც ილოთებს, კარს შემოალებს, როგორც ქარბუქი“.

„ფერისცვალების“ ავტორისთვის ორგანულია „ქარის სიმღერა“, გრიგალივით დაუმარცხებელი პოეზიის შექმნა. პოეტი მესამე პირით განგვაცდევინებს თავისი სტრიქონების ძალას: „... ვინც გრიგალების სიმღერებს მოჰყვა“ (მე ვიცი მხოლოდ შენი ნუგეში) (12,177).

გალაკტიონი იყო მზითშემოსილი, სიხარულშემოსილი ანუ ღმერთშემოსილი, ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული ნიკო სამადაშვილის „მოსასხამი“ ქარია. საო-ცარი ყოვლისშემძლეობის დასტურია მისი სტრიქონები: „მთვარეზე დავალ ჭადარივით ქარწამოსხმული“ (ჩუმი ფე-ხის ხმა მთვარისაკენ მარადისობის ნაკამარევი“ (12,143).

პოეტს „ზღაპრების დისკო, ფიქრების ჯანღი და ქარიშ-ხლების ჯილაგი“ მოსდევს (გიის ავტოპორტრეტი) (12,61).

„თამარის მღვიმეში“ (11,136) „ჰანგების დაფნა“, ბეთხო-ვენის ფრთხილი ნაბიჯი, ყვავილთა მწუხრი, სიზმრები, განგე-

ბის ჩრდილი, „ქარის ბალადა“ აედევნება შთაგონებულ პოეტს.

ერთგან შთაგონება — „ქარი ბურტყუნებდა დედის ბალადას, ხან კი მწირივით ყაყანებდა ხნიერ ცაცხვებზედ“ (მანიას მეუღლეს) (12, 163).

მთვარე, შუქი, სისხლი, ქარში აგზნებაა პოეტის ხვედრი: „...თითქოს ქადაგად დავცემულიყავ საკუთარ ბედის ანთებულ ხატთან და ბნელ მთიების მამლის ყივილზე ავგზნებულიყავ ქარში თანდათან... სადღაც კიაფობს მთვარის ბულული, შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს. თითქოს მე ვიყვე გამოქვაბული და ჩემ ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს“ (ქაოსებს შორის) (12,269).

ლამეებს, ბოროტ ქარიშხლებს დაცილებული, „ქარის მხედრად“ ქცეული პოეტი განთიადებს ეძებდა და ღვთისმშობლის სიბრალულს იმკიდა (ის კიდევ სწერდა ლექსებს)(12,26).

შავი ლამისგან, გრიგალისგან განშორებული, ლურჯ მინდვრებში დავანებული ყაჩალივით მღვიმარე პოეტი ბედუინის სულში პალმა (სიცოცხლის ხის სიმბოლოა) შრიალებდა „გრიგალებს სძინავთ... იმღერე, დროა, პალმა შრიალებს და ყაჩალივით სძინავს ბედუინს“ (პალმებთან) (11,74).

სამყაროს, არსებულის გალმა გაღწევის იმპულსი იყო მწვანე სიზმარი, ქუხილის შუქი, ქარი, აფრა (სულინმინდა):„გულზე ხავსივით მწვანე სიზმარი... ქუხილის შუქი... ქარი ნავიდან აგლეჯილ აფრებს მოაქვს და ტანზე ნელა გაფარებს... რა გენალვლება, შენს კარმიდამოს თრთვილივით ედოს პოეტის ნიჭი. თუ უკვდავებამ სადმე მიკითხოს: „ნეტა სად არის ახლა ის ბიჭი? მოუყევ; ქარებს გადაჲყვა ღამე, რაღაც საოცრად წაიმხედრულა, ორჯერ იკივლა სამყაროს გალმა და უკან აღარ დაბრუნებულა“ (ლია ბარათი) (11,149-150).

ნიკო სამადაშვილი „გრიგალების სიმღერებს მოჲყვა“ (მე ვიცი მხოლოდ ჩემი ნუგეში) (12, 177).

პოეტი ხან ქარის თანამგზავრია, ხან „ქარების მხედარი“, ხან „სულში ღვივდება ქარების თესლი“ (მზრუნველი

თვალი) (12, 11).

„ის ყურს უგდებდა ქარის სიმღერას“ (ხეებთან) (12,47), „ქარბუქში... სიცოცხლის აზრს“ ეძებდა (გათხრები) (13,85).

პოეტს „ქარიშხლების ჯილაგი“ მოსდევს. შემოხვევია „ხმაჩახლეჩილი ქარის სიმღერა“ (მომენატრება სიცოცხლე ძვირი), „ქართან შრიალებს... კამკამა ცრემლები“ (წარწერა).

ნიკო სამადაშვილი „იდუმალ ზარებს“ რეკავდა (სიზმრების ნალვერდალი) (12,149), „ქარის ბალადას“ ქმნიდა (თამარის მღვიმე) „სიოს არაქს“ „უსმენდა, „ჯოჯოხეთის პირქარ ქროლას“, ქვესენელს თვალს უსწორებდა, „ქარშეშლილ ღამეებს“, „ბნელ გრიგალებს“ არ უშინდებოდა, მისტერიები „ამორძალებად“ დაჰყვებოდნენ.

თვით პოეტი იყო „ლოცვებით მთვრალი ქარბუქი“, რომელიც „ლექსებს ამბობდა და ყურს უგდებდნენ სველი მტრედები“ (დაუსაპამობის ხილვა) (12, 142-173).

მაგრამ ტანჯავდა შეუცნობლობა, დაუნახაობა, ირგვლივ გამეფებული უგულებელყოფის დუმილი: „გადაყრილ ნიჩბებს ატივტივებს ბედი ვერაგი, თვალი ვერ მოჰკრეს, ისე შეწყდა ფიქრების წარლვნა და ტალღებიდან აქოჩრილი ქარის პერანგი“ (სიმღერები გამოქვაბულიდან) (12, 258).

ქარის პერანგიანი არსება ისევ პოეტია, „ფიქრების წარლვნით“ გამორჩეული.

„ფერისცვალების ავტორს ესმოდა „უსასრულობის ქარბუქების ომუილი“ (დამასაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს) (11, 156).

ასტრალურ მოგზაურობას უკეთებს აქცენტს ლექსი „მარადისობის ნაკამარევი“ (12,143): „მთვარეზე დავალ ჭანდარივით ქარწამოსხმული“.

„მშფოთვარე ქარს“ „მძლავრ ძმას“ უწოდებდა და ერთგულებას ეფიცებოდა გალაკტიონი (ზღაპრებიდან) (14,173-174).

ლექსში „გზათ დაგასვენეს სამრეკლოს ჩრდილში“ (12,102) ქარი მიცვალებულის თანამგზავრია, რომელსაც ძმას უწოდებს ნიკო სამადავშილი“. „...მარტო სწევს კუბოს

გიუი პოეტი, უკან ქარბუქი მიჰყვება ნელა. მე კი არავინ არ მიპატრონებს, შენ შემიბრალებ, ძმაო ქარბუქო“.

პოეტი ქვესკნელს თვალს არ არიდებდა, მაგრამ „ბნელ გრიგალებს წინ ეგდოთ, ქარებსაც შეეკრათ კრიჭა“ (უკუღ-მართობა) (12,256).

„მე ვიყავ ბედით გაოგნებული და ძვლებში მწარედ მივ-ლიდა ქარი“, ნათქვამია ლექსში „ალიონამდე“ (12, 60).

წუთისოფლის გრიგალები შიშს იწვევდა: „ჩვენ გვეში-ნოდა ლია კარებთან აქ წუთისოფლის, იქ გრიგალების“ (ფილტვების სიყვითლე) (11, 133).

ის „ბნელ გრიგალებს“ ვერ შერიგებოდა (გზათ -ვალა-ლობა) (12, 54-55).

„დაშლილ ტივს“ „ქარების ტაში“ მოსდევდა, „ვიღაც ხრჩოლავდა ქარში“ (სტრიქონექბის ქარაფი. ციალა თოფუ-რიძეს) (12, 69-70).

„ქარები სპობდნენ მისასვლელ ბილიკს“ (რას დაეძებდი, შე უბედურო) (12,28).

ქარები ემტერებოდნენ „მზის ლიანდაგს“.

პოეტს ეჩვენება, რომ „ქარში ძაგძაგებს დაუმარხავი პოეტის გვამი“ (ჩაეფლათ მაინც) (11,147).

„ღრმა წყვდიადი და ქარაშოტია“ ირგვლივ (12,161), ლაუგარდის ველი ვერ იტევს „ნაქარევ ფოთლებს“ (თავის მინებება) (240)

„ჯოჯოხეთის პირქარში“ ბალდახინები, ფერადი ჭინკე-ბი, სულისშემხუთველი „ძეძვივით დარდია“ (დამშვიდობება და სინანული) (11,129).

„ქვენა ქარებით“ აბუჩად აგდებული პოეტი გოდებს: „როცა სალამო მოვა ხოლმე ქვენა ქარებით, თითქო ბედს ვყავდე აგდებული ძალზე აბუჩად“ (სალამო და განწყობილება) (13,96-97).

„ორტოტა ქარის“ ვერაგობის მოლოდინია ლექსში „სი-ნანული“: (13,111): „ორტოტა ქარი ჩაქოლავს თალებს, იმ კვალს გადაშლის, ჩვენ რომ ვიარეთ“.

პოეტი წუხს, რომ „ვერ მოაგლიჯა სიბნელე ქარმა“ (შთაგონება) (12,28).

გრიგალებში ქარდაქარ მავალს, ბუს მზერა რგებოდა და ეს უბედურება სამშობლოსკენ არის გადამისამართებული: „მე მოვდიოდი და გრიგალები მეღობებოდნენ მუდამ ქარდაქარ, ბუ ჩამცქეროდა ღია თვალებში, სამშობლო იყო ჩემი ქარაგმა“ (უკანასკნელი ზარების რეკა) (12,34-35).

გრიგალების ადრესატი ლექსების მეუფე, გაწამებული პოეტისთვის ისევ მისი თანამედროვეობაა: „წუ მოიგონებ წამებულ პოეტს, ვინც გრიგალებმა დაანაფოტეს, ვის სიმღერებზე ნარი დაამყნეს, ლექსის მეუფე დასცეს და გარყვნეს“ (იქვე).

„ტყის ქარიშხლების“ კვალი პირდაპირ მიდის სამშობლოსკენ, რომელსაც სრულიად უსამართლოდ გაუწირავს „მარადისობის კოშკების“ პატრონი პოეტი: „...ჯერ კიდევ თითქმის დედიშობილას ტყის ქარიშხლები მაღვამდნენ შავებს, ეხლაც არ ვიცი, ჩემი სამშობლო რას მერჩის, ნეტავ რა დაუშავე?! ასე მეწერა ალბათ, მე ცოდვილს-მარადისობის კოშკების პატრონს“ (თელა და ჩიტი) (12, 20-21).

შეუბრალებელი დრო „ჯანდაბამდე“ გზას უჩვენებდა სულთამხუთავით, მხოლოდ ქარები მოევლინებოდა „საპანაშვიდოდ“, ასეთი იყო პოეტის ირგვლივ შექმნილი რეალობა (წავლენ დღეები) (12, 22).

ნიკო სამადაშვილის ლექსის პერსონაჟი მოუხმობდა თავისი „ლექსების ბრძენ ვაზირს“, დაეცვა ქარბუქიანი ღამისგან, მგელ-გველებისგან, მაგრამ ქარში დაკარგვულის საფლავიც კი „ქარის ფეხებით“ იტკეპნებოდა (წავლენ, დღეები) (12, 22).

გრიგალების კივილში პოეტისთვის „დაიკარგა ბედის მშვენება“ (წვიმა) (12,24).

ქარიშხლები „უდაბნოს ხვითქში გაზრდილ მასხარებად“ აღიქმება ლექსში „განკითხვა“ (13, 72).

ქარი ემტერებოდა მარადიულ ფასეულობას-პოეზიას: „საკუთარ ლექსებს ჩემს ძვლებზე ვაფენ, ამ სარეცხს მუდამ

ძირს მიყრის ქარი“ (მწუხრი) (13, 67).

პოეტი თავის თავს ადარებდა „ბნელი ქარებით წაქცე-
ულ კანდელს“ (თამაზი) (...65).

პოეტი ასკვნიდა: „პირქვე დაცემულს ქარიშხალიც ვერ
ამაყენებს“ (დასასრული) (12,22).

პანაშვიდზეც ქარებს ელოდებოდა (წავლენ მუხთალი)
(12,22)

„ქვენა ქარების“ მსხვერპლი „იქარვებდა ღვინით ბნელ
ფიქრებს“ (საღამო და განწყობილება) (12,153).

„ხალხიც ქარს მიაქვს სადღაც, ბზესავით“, წუხდა პოე-
ტი (რა შეშლილების კუნტრუში მეფობს) (12,159).

გულქვა საწუთროში გამეფებულიყო ავისმომასწავებე-
ლი გრიგალი, გადანგრეულიყო ცა, ქარს ტყვიასავით მიჰ-
ქონდა ადამიანები, ნისლიანი, მთვარეული, ქარაგმად ქცეუ-
ლი დედამიწა: „სადღაც ქვასავით იდგა საწუთრო და გრიგა-
ლივით სუნთქავდნენ გზები. ის ტყვიასავით წაიღო ქარმა,
დილით ცა ჩანდა გადანგრეული, ნისლეთი იყო იმის ქარაგმა
და დედამიწა კი მთვარეული“ (ზეკაცი და ნისლოვანება) (11,137).

„ქარები სპობდნენ მისასვლელ ბილიკს“ (რას დაეძებდი
შე უბედურო) (12,28).

„ქარი მართმევდა გზების სიმშვიდეს და მე ვგოდებდი
საქართველოში“ (იქით) (13,55)., გვამცნობს პოეტს.

„ასე მგონია, ჩემს თავის ქალას თითქოს ქარები აგორა-
ვებენ“ (მონასტერი ჩანს მთაზე ნისლივით) (12,140), ასეთ
შემზარავ განცდას ქმნის ქარების სახეში მოაზრებული
მტარვალის სახე.

ნიკო სამადაშვილის ლექსის პერსონაჟი „გრიგალების,
შუალამის მძევალია“ (გამიშვით) (12, 106).

ზარს ქარიშხლებში ხმა ეკარგება (ხანდახან გხედავ)
(12,183).

„უკაცო ქვეყანაში“ ქარის კივილია (გათხრები) (12,63).

„ქარბუქი ნთქავდა ზეცის კადეებს, ნანგრევზე ეგდო

სამრეკლოს ზარი“ (თვალს არ აშორებდა) (12,253).

გაუთენებელ ღამეში მხოლოდ „ბნელ გრიგალების“ ფე-
ხის ხმა მოისმის (ხე შრიალებდა, ხე მოთქვამდა, ხე ქვითინებ-
და) (12,105).

„ქარები ქუჩის არამზადებია“ (ნაცარი) (12,129), ქარი
ყეფს ხიდზე ძალლივით (სიზმრების ნაღვერდალი) (12,149).

ქარს გულში უტრიალებს „შავი ბოლმა“, „ბოროტების
მუშტები“ აქვს შემართელი (12,116).

„გრიგალები“ განსაკუთრებით პოეტებს, მათ შედევ-
რებს ემტერებიან: „ნუ მოიგონებ წამებულ პოეტს, ვინც გრი-
გალებმა დაანაფოტეს, ვის სიმღერებზე ნარი დაამყნეს, ჰან-
გების მეფე დასცეს და გარყვნეს“ (უკანასკნელი ზარების
რეკვა) (12, 34-35).

„ქარები“ პანაშვიდზე ცხადდებიან, სიმართლის მსა-
ხურთა საფლავებს ტკეპნიან, მგლების დაუნდობლობა ახა-
სიათებთ, გველური შხამი აქვთ (კაცო, სადა ხარ? (12,23).

მაგრამ ცხედარი ქარში სიტყვას ამბობს (მარადისობის
უარყოფა) (12, 254), რადგან პოეტური სიტყვა ქარზე ძლიერი
და დაუმარცხებელია.

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში სახეზეა „ბნელი გრიგა-
ლების“, „ბნელ გრიგალებით შემოკვართული“ ვაიადამიანის
— „ავყია ქარების“ მხილება, ლანძღვა (შადრევნის სიმღერა,
გახსენება) (12,183, 187), თვით კი არის „ქარნამოსხმული“,
„უსასარულობის ქარბუქების“ თანამდევი (დაგასაფლავეს მე-
გობრებმა და მიგატოვეს“ (11,156).

ლექსში „ის დაიბადა მხოლოდ იმიტომ, რომ არასოდეს
არ მომკვდარიყო“ (12,180-180), „ქაჯთა სიმაგრეს წააწყდება
ფასკუნჯი ქარი“, ანუ აქცენტი კეთდება ამ ძალის დაუმარ-
ცხებლობაზე, მარადიულობაზე.

კაკლის ხეები ბავშვებივით კივიან ქართან ჭიდილში
(გადამეყვლიფა გული დარდებით) (12,157), „ქარის კვალზე
დადის ბალი“ (მილოცვა) (12,27-28).

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ და შარლ ბოდლე-

რის „მშვენიერების“ ასოციაციას ერთდროულად იწვევს ნიკო სამადაშვილის ლექსი „ბალახი როცა ამოვა“, რომელშიც მკვდარს ქარბუქმა უნდა მიაყაროს ქვიშა, ხოლო თავის ქალაში მინდვრის ბალახმა უნდა იპოვოს ადგილი: „...მკვდარს დაგეყრება თებერვლის ნავლი და ქარბუქისგან მიყრილი ქვიშა. ქარი საფლავში ჩაგიგებს ბუმბულს, სიმსივნით გული გაიბერება. შენს თავის ქალას, ჯირკთან მიგდებულს, მინდვრის ბალახი გამოერევა“ (13,77).

ქარი ხან მასხარაა, ავყია, მოლაპარაკე, ხან აბურძვნილი, ყაყანა, ბურტყუნა, ბნელი, დაძინებული, აძუნძულებული, აცეკვებული, ხმაჩხლეჩილი, აყვირებული, ონავარი, ცერებზე დამდგარი, აცრემლებული, აღრიალებული, კრიჭაშეკრული, გაცრეცილი, ღრუბლიანი, ამღერებული, ჩაცინებული, გაფრენილი, აკივლებული, შეციებული, ყვავილებიანი, შლეგი, შუქიანი, ბნელი, ქვენა ძალა....

საუბარია ქარების დოლზე, ქარების მხედარზე, ქარიშხლის ჯილაგზე, ქარის თესლზე, ქარის ტოტზე (შდრ. გალაკტიონი: „...ტოტი ქარისა აქანებდა მთვარესა“...).

ქარი ცეკვავს ვერხვების დიდ უზუნდარაზე, ქარი ძუნძულებს.

„ნიავის თეთრი ნაფეხურები“ შეიმჩნევა ყანებში (გასეირნება) (13,101).

გალაკტიონთან გვხვდება ფერადი ქარები, წითელი ქარი, თეთრი ქარი, ტერენტი გრანელთან — უხილავი ქარი.

ნიკო სამადაშვილის პოეზიის ქარი ხან ბნელია, ხან „სულ ბაჯალლოა, მარმარილო და მინანქარი“ (ძველი სამყარო დაუძლურდა, გამოჩერჩეტდა) (12,156).

პოეტის იდეალია არა ქარიშხლებს დამონებული, არა-მედ ქარის დამურვებელი „ქარების მხედარი“, ხოლო ქარიშხლებისაგან თავდასალწევ გზად ესახება რწმენა, საყდარი: „...მნათე, ძველი საყდარი, კაცი ქარიშხალს რომ გამოსტაცოს“ (კაცის გუნება) (12,142).

ნიკო სამადაშვილი სულ ქარის პირისპირ, ანუ დინების

წინააღმდეგ მავალი ოპოზიციონერი პოეტი იყო, რაც გახდა მისი უკვდავების საწინდარი.

გადაიარეს ეპოქის ავტელითმა გრიგალ-ქარებმა, გაიფანტა მრუმე წყვდიადი და სამშობლომ გვიან, მაგრამ მაინც მოიკითხა თავისი ლირსეული, უნიჭიერესი შვილი: „...ლრუბელი ლელავს, ძირს ქარბუქია და საქართველო მაინც მეძახის“ (მაინც) (12,175).

დამოწმებანი

1. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963
2. ლესინგი, ლაოკოონი ანუ მხატვრობისა და პოეზიის შესახებ, თბ. 1986
3. ფრიდონ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ. 1993
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
5. უოტ უიტმენი, ბალაზის ფოთლები, თბ. 1966
6. ფრანგი პოეტები, თარგმანი გ. ძელაძის, თბ. 1984
7. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1960
8. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბ. 1984
9. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989
10. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
11. ნიკო სამადაშვილი, პოეზია, თბ. 2010
12. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, თბ. 2004
13. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, თბ. 2006
14. გალაკტიონ ტაბიძე 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993

ნისლეშვამოსილი

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში ცხოვრებას „მრავალგზიანი“ ეწოდება, ხოლო მისი ერთ-ერთი მახასიათებელია ნისლი, ღრუბელი, ჯანლი, გააზრებული როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ჭრილში. ხშირად ნისლით პოეტი ჭეშმარიტი ნიჭის იგნორირებაზე, შეუცნობლობაზე მიგვანიშნებს.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი ნისლში სუფევს და მოკვდავთათვის დაუნახავია. მხოლოდ ებრაელთა წინამძღვრლი მოსე, როგორც წმინდა ადამიანი, ახერხებდა შეელნია საღვთო ნისლში: „მოსე მიადგა ნისლს, სადაც ღმერთი იყო“ (1, 2021).

„ზეშთაარსების ნისლის“ ხილვას ცდილობდა დიონისე არეოპაგელი: „ზეშთაარსებისა იგი ვიხილოთ ნისლი ყოვლის-განვე არსთა შორის ნათლის დამალული“ (2,201).

ჰიმნოგრაფები — იოანე მტბევარი, ეზრა, იოანე მინჩხი ელტვოდნენ „შეუვალსა ნისლსა ღვთისასა“.

სასულიერო პოეზიაში ნისლი ასევე გაიაზრება ცოდვის, წვალების, ვწებისა და უღმერთობის სიმბოლოდ.

მრავალნაირ კონტექსტში წარმოაჩინეს ნისლი ვაუაფშაველამ, გალაკტიონმა, ნიკო სამადაშვილმა.

„ფერისცვალების“ ავტორის ლექსში „ლიახვის ნაპირები“ (3,12) ნისლი წარმოიდგინება, როგორც დაისის მთების „ზედაშე“: „... ნისლის ზედაშეს სვამენ და დაისს მთები კენკავენ“.

ერთგან „მონასტერი ჩანს მთაზე ნისლივით“, სიცოცხლე, ქვეყანა კი საძალლეთს ჰგავს (4, 140).

მინდვრებზე, გორაკებზე მგზავრთათვის გზების ამრევი ნისლია: „...მინდვრებს, გორაკებს ნისლი სცემდა ფრთებს, რომ პირქუშ მგზავრებს გზა არეოდათ“ (გზათ-ვალალობა) (4, 54-55).

უმეგობრობის, ბრბოში ცხოვრების მახასიათებელი ნისლია ლექსში „დაითენთა“: „...ბრბომ შეუბდალა მაღალი გრძნობა. ნისლივით იდგა უმეგობრობა“ (5,46).

ამაღლებული იდეალების მიუხედავად, ნისლებს დამ-

გვანებია პოეტის ცხოვრება: „...ნისლეთი იყო იმის ცხოვრება და შთაგონების გუდამაყარი“ (თებერვლის ამინდს ჩუმად ეღვიძა (4, 139).

„ნისლებს შორის“ მოქცეულ მგზავრებს „ქვესკნელთ გალობა“ მოესმით(შეხვედრები დღის ბოლოს) (2,123).

„ნისლოვანებაში“ (4, 250) ქარაგმაა ნისლეთი, დედამიწა კი მთვარეული: „ნისლეთი იყო იმის ქარაგმა და დედამიწა კი მთვარეული“.

მაწყევარი, არაკეთილმოსურნე მწყემსის როლში მოვლენილი ნისლია მთელი ოჯახის თანამდევი ლექსში „ალსარება“ (4,18).: „ნისლები მოვლენ მთიდან ბუზღუნით, დაიჩოქებენ და დამწყევლიან, ნისლი მწყემსავდა სარქალივით ჩემ ნორჩ პატარებს“.

მწუხარების, შინაგანი ფორიაქის მაუწყებელი ნისლია ლექსში „ნუთუ ის აღარ განმეორდება“: „...სახეზე მუდამ ნისლი ებურა და წმინდანებმაც ვერ დაამშვიდეს“ (4,241).

ბუ ამგზავრებია, სამშობლო „ქარაგმად“ ქცევია, ნისლი დაღუპვას უქადის ლირიკულ პერსონაჟს ლექსში „უკანასკნელი ზარების რეკვა“: „...ბუ ჩამცქეროდა ღია თვალებში, სამშობლო იყო ჩემი ქარაგმა. ძველი ხალათი, ქუდი და კუბო, ამით ვეწვევი მარადისობას და იქ, ნისლებში რომ დავიღუპო“ (4,54).

ცრემლი ნისლად დგას ლექსში „ელდა“ (3,43): „...შენ ჩემი ცრემლი არ დაგენანა, ცრემლი, შენს ახლოს დამდგარი ნისლად“.

გუბე გაუვსია პოეტის ცრემლებს, მაგრამ ის მაინც ნისლით იფარება, ანუ შეუცნობელია: „ის კამკამებდა, ვით ცრემლის გუბე, ის ნისლებს ჰგავდა გულის საყარზედ“ (წარწერა) (5, 168).

ნისლით დაფარული შემოქმედის ნუგეში მხოლოდ ღვინოა, მისი ხვედრი მხოლოდ ვარამია: „...ღვინო დარდისფრად ეკიდებოდა, ნისლში ბუუტავდა გზათ ვალალობა“ (ერეკლე ტატიშვილს) (3,45).

ავდრების მომასწავებელი, აცეკვებული ნისლია ლექ-

სში „ლოცულობს ყველა:“ „ნიშა ტალღების ზვიად ფერხულ-ზე იცეკვებს ნისლი — ავდრების დარი“ (3,15).

„ფეხმძიმე ნისლების“ წყევლაა ლექსში „თვალს არ „აშორებდა“ (ც(4,101).

„დასწყევლოს ღმერთმა, რაღა ნისლებს დაუმეგობრდი“, მიმართავს პოეტი ერეკლე ტატიშვილს ლექსში „შენ რომ მოკვდები, მაშინ შეირყევი“ (4, 49).

„მოგონებაც ნისლივით გრილია“ (დამშვიდობება და სინანული) (6,64-65).

„ჯანლი უკუნია“ ირგვლივ (გადამეყრები, ერთად წავიდეთ) (4, 138).

უბედობის მაცნე ნისლის კვამლია თვალებშიც: „ბეც თვალებიდან შავი კვამლი ამოგდიოდა“ (სმენა) (4,85), ასევე, „უთქმელ ლექსების კვამლი“ ანამებს პოეტს.

„სალახანას პორტრეტში“ საყურადღებოა ვაიპოეტის „ნისლობა“ (4, 98-99).

„მუსულმანთა შეთქმულ ნისლობაზეა“ საუბარი ლექსში „საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა“ (4, 269). ნისლობა ნეოლოგიზმია.

„შერისხული ნისლებია“ ლექსში „თვალს არ აშორებდა“ (4,255).

პოეტის თანამგრძნობელი ნისლი და ღრუბელია ლექსში „გული და ჯანლები“: „ვინ დაგვინანებს, მხოლოდ ნისლი დაგვაყრის ნაღველს, როგორ ვუყვარდით, მეგობარო, ღრუბლნარა ღამეს, როგორა გრძნობდა ჩემი გული ბედის ნაბიჭვარს“ (4,137).

ნისლების მიუხედავად, „ბედის აღვირი“ მაინც ნიჭით გამორჩეულთ ეპყრათ ხელთ (ერეკლე ტატიშვილს) (4,77).

ბინდი, უსამართლო „მინის ადათები“ პოეტს ხელს ვერ უშლიდა ეხილა „ზეცაზე ზეცა“, ანუ ბიბლიის „ცანი ცათანი“, რაც რჩეულთა, ღვთისგან მომადლებულთა ხვედრია (ის განთიადის წინ დაბინდდება) (4,183).

განდიდების მანიით შეპყრობილთა, „პოეტების ნახირ-

თა“ მცდელობით, ნიკო სამადაშვილს ხშირად ებურა შეუც-ნობლობის ნისლი, მას სპეციალურად აფარებდნენ ნისლის, ღრუბლის, „სიყალბის რიდეს“, რაც ხშირად შემოქმედთა ხვედრია და რასაც სხვა სიტყვის ოსტატებიც ამხელდნენ.

დიდოსტატ ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში ღრუბელ-ნისლთა მთელი ლეგიონია, განსაკუთრებულ ყურადღებას კი იქცევს ბოროტთა და შურიანთა, არასრულფასოვანთა მიერ გამოყენებული ნისლი „იალბუზში“. ეშმაკთან წილნაყარი, შურით მონათლული მთები გაღიზიანებული არიან გოლიათი იალბუზის სახელ-დიდებით, მაგრამ რაკი მისი დაშლა -დან-გრევა არ შეუძლიათ, გადაწყვეტენ მეტოქისთვის ღრუბელ-ნისლის, ჯანლების მოხვევას, რათა უჩინარი გახადონ, სიბნე-ლეში მოაციონ მისი სიმაღლე-სიდიადე. ამ განზრახვას კი-დეც მოიყვანენ სისრულეში და მთელი წელი ჯანლებში მოქ-ცეული იალბუზი თითქოს ასპარეზიდან ქრება. იალბუზმა დაასკვნა: „მიზეზად მძულვარებისა ჩემი სიდიდე ვცანია. აღარც ეს მინდა, თუ მისგან შემიძულებენ ძმანია!“ ის ღმერთს ევედრება: „გთხოვ, გამასწორო სხვებთანა და შე-მიმციორო ტანია, მით მოვსპოთ საშუალება შურისა მოსაყვა-ნია“ (6, 253,254).

სამართლიანი ღმერთი მართალი იალბუზის მხარეზე აღმოჩნდა. მან ანგელოზის ნასროლი შურდულით ჯოვო-ხეთში ჩააგდო ეშმაკი, იალბუზს მოაცილა ღრუბელ-ნისლე-ბი, ხოლო შურიან მთებს ჩაუნერგა სიკეთე, „დიდებული მოძ-მის“ პატივისცემა და ამიერიდან მთებს ანგელოზი დაეპატ-რონა (6,260-261).

ვაჟა-ფშაველამ „იალბუზის სიმღერაში“ ქარით და ნამ-ქერით განამებულ იალბუზს ათქმევინა: „იქნებ სიმაღლემ მიმრავლა საგრძნობი-საწუხარია!“ ამ ლექსში ნისლი იალბუ-ზის მანუგეშებელია გულგატეხილორბის უამს.

მრავალგზის გამოიყენა ვაჟა-ფშაველამ ღრუბელ-ნის-ლი სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით და ამ მაგალითებით ჰომეროსს შეხვდა უნებურად.

ჰომეროსის „ილიადაში“ ტიდევსის პირმშოს ღმერთი იცავს, მხარებზე ნისლს დაუფენს, რათა ისარი ააცილოს (7, 84).

ზევსი ჰერას ოქროს ღრუბელს მოახვევს, რათა სხვა-თათვის უჩინარი გახადოს მათი შეხვედრა.

ასევე ღმერთი გაფანტავს ჯადოსნურ ღრუბელს აქი-ლევსის თვალთა წინაშე (7, 394).

„ოდისეაში“ ტელემაქე და ოდისევსი ათინამ ნისლით შებურა და უგრძნეულოდ გაიყვანა ქალაქიდან (8,3741).

ნიკო სამადაშვილის პოეზიის ნისლები და ღრუბელ-ჯან-ლები უმეტესად პოეტის უგულებელყოფას, შურს, შეუცნობ-ლობას უკავშირდება და აქ, იგი, როგორც თავის დიდ ქართველ წინამორბედს-ვაჟა ფშაველას, ისე გენიალურ ჰომეროსს შეხ-ვდა უნებურად, თანაც ჭეშმარიტი ოსტატის დონეზე.

„ფერისცვალების“ ავტორს „სამყაროს ნისლმოდებუ-ლი კალთების შეშრიალება“ ხელენიფებოდა (ქარაგმა).

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
2. ფსევდო დიონისე არეოპაგელი, შრომები, თბ. 1961
3. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006
4. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, „ლიტერატურის მა-ტიიანე“, თბ. 2004
5. ნიკო სამადაშვილი, წუთისოფლიდან უკვდავებამდე, „ნა-კადული,“ თბ. 1989
6. ვაჟა ფშაველა, ხუთტომეული, ტ. 3, თბ. 2011
7. ჰომეროსი, ილიადა, ძველბერძნულიდან თარგმანი რ. მი-მინოშვილის, თბ. 1990
8. ჰომეროსი, ოდისეა, თარგმანი ზ. კიკნაძის და თ. ჩხერიე-ლის, თბ. 1975

V თავი

ეპოქის კონტურები

სისხლით დასვრილი ვერაგი ცლები

ნიკო სამადაშვილმა სისხლით, ერთი მხრივ, ეპოქა დაახასიათა, ამასთან, შემოქმედების საიდუმლოებაში ჩაგვახედა და გაიზიარა წინაპართა აზრი, რომ „შემოქმედება გულის სისხლს მოითხოვს საფასად“ (კონსტანტინე გაშაბურდია), რომ ჭეშმარიტი პოეტს „ცრემლი და სისხლი“ (ტერენტი გრანელი) სჭირდება ღირებული ნიმუშის შესაქმნელად.

„ფერისცვალების“ ავტორს მაღალი იდეალებისთვის მსხვერპლის გაღება ჯვარცმად გაუაზრებია.

სისხლის და ძვლების მსხვერპლი სჭირდება ღირებული სიტყვის მიგნებას „...უკეთებ ძვლებს და ქვაბი თუხთუხებს, შიგ შენი სისხლის ზედაშე დუღდა“ (მწუხრი) (3, 67).

გარიყული, შერისხული, უმეგობრო პოეტი ჩიტს უზიარებდა თავისი სისხლებით ნაწერი ლექსების ტკივილებს: „...ნეტავი, იცოდე კითხვა ჩიტუნავ, ნაიკითხავდი სისხლებით ნაწერს, ყურს მიაპყრობდი ვარდების ტუტუნს, შემიბრალებდი სახრე-გადაწნულს“ (თელა და ჩიტი) (120-21).

„პოეზიის დიდ ნათესებს“ სჭირდება „სისხლის ენდროში“ ამოვლება (შენი სურათი) (1, 171).

გაუძლისი ტკივილების, ჯვარცმის ტოლფარდი წამება აიძულებდა პოეტს ერჩია მავანისთვის, მის ნაკვალევს აღარ გაჰყოლოდნენ: „მბუუტავ სიზმრებთან ლოცვა წმინდანის და ამღვრეული ნათელი ირგვლივ. იქვე წარწერა სისხლიან დანით: ჩემ ნაკვალევზე ნუდარ გაივლიდა“ (მანიას. მარიამ ამანათაშვილს, პოეტის მეუღლეს) (1, 46).

უზენაესისგან ხელდასხმულს, მზის და მთვარის ნათლულს, შთაგონების გამოქვაბულში დავანებულს, სისხლის მდინარის ქუხილი ესმოდა: „...სადღაც კიაფობს მთვარის ბულული-შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს. თითქოს მე ვიყვე გამოქვაბული და ჩემ ქვეშ სისხლის მდინაგე ჰქონდეს“ (ჩემი

პორტრეტი) (3, 14).

„სისხლის ჭოჭი“ იღვრებოდა ამ განსხვავებული პოეტის არსებიდან: „...გინახავთ კაცი, საუკუნეს ხმითაც არ ჰგავდეს და ყოველ დილით სისხლის ჭოჭი ღვაროს სახლიდან, ან სინათლეში მოიწყინოს, მერე გათავდეს. ასეთი ყოფა ცხენზე შემჯდარ ეშმაკს დალლიდა“ (მათრახები) (3, 89).

„სისხლის სქელი ლავებია“ ამ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრესი მახასიათებელი: „...გაუხვევ სადღაც, აგერევა გზა და გონება, გული გადმოლვრის თვალებიდან სისხლის სქელ ლავებს, არსად, არასდროს მე არავინ არ მეყოლება და ჩემ მკვდარ სხეულს ჩემი ხელით დავასაფლავებ“ (კარების გაჯახუნება) (3,80).

გაუძლის გარიყულობაზე, წვალებაზე ლალადებს „აჭრილი სისხლი“ ლექსში „ფერისცვალება“: „...ჩუმად იცლები აჭრილ სისხლისგან, გადასჩვევიხარ ლანდებთან ბაასს, გზებზე სუყველას ჩაუნიხლიხარ, უმზერი კედლებს, უცქერი საათს. გარინდებალა დაგრჩა წვალებად, თითქოს ანდერძიც გადნება ხელში. ასე თავდება ცის ეღვარება, ასე ლამდება ერთ სიცოცხლეში“ (ფერისცვალება) (3,81).

სხვაგან „სიცოცხლეგაბეზრებული“ ჩივის: „სისხლი მიშრება, ვატყობ, ვფითორდები“ (დარდი ბუხართან) (3,27).

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში მრავალგზის ჩნდება ქრისტეს სისხლიანი პერანგის, მდუღარე სისხლის სახე, რადგან პოეტი ორმაგად ჯვარცმულია, როგორც შემოქმედი და როგორც ტოტალიტარული ეპოქისთვის მიუღებელი პერსონა: „მხოლოდ ეს გული ეგდოს რიყეზე, ვით სისხლიანი ქრისტეს პერანგი. მივალ, გიტოვებ გულს ქრეძაგლეჯილს, ლოკე და ლოკე მდუღარე სისხლი“ (ლოცულობს ყველა) (1, 235).

მერე პირადი ტრაგედია მთელ პლანეტაზე განზოგადდება: „...პრბო, კოშმარები. ჩვენი პლანეტა ღრიალებდა სისხლში მოსვრილი“ (საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა) (1,264).

ჯვარცმული პოეტისთვის ორგანული გამხდარიყო სისხლის გაღება: „ო, ნარიყალავ, მოვალ, ზედაშეს ჩემი სისხლით

გაგილიცლიცებ“ (სახლი ნარიყალაზე) (1, 244).

სისხლიანი ეპოქის შვილს ჭირისუფლად მხოლოდ მგლები ელანდებოდა: „...ეს შენი გული არყის ქვაბია და ქვეშ უნთია შენი ლექსები. ალბათ შენს ცხედარს მოასვენებენ და ჭირისუფლად ყმუიან მგლები. შენ არასოდეს გაგიხსენებენ სისხლით დასვრილი ვერაგი წლები... წელში გადავწყდით ამდენ ვედრებით, რა ეშველებათ აპყრობილ ხელებს?“ (გეჯა) (3,18).

სიმართლის მსახურთა ხვედრი, ტირან ხელისუფალთა შურისძიება ობიექტურ სიტყვის ოსტატთა მიმართ კარგად ჩანს შემდეგ სტრიქონებში: „...შენ განამებდნენ წიხლით, ფურთხებით, გულგალელილი იდექი ძმაო. სისხლში იდექი შიშველ ფეხებით“ (ო, რა მწარეა) (3,21).

სისხლში მოსვრილი დინგებით ცნობილი ნადირები ემტერებიან პოეზიას, სიმართლეს. ლექსში „კამარების მეჭმუხვნა“ ისევ და ისევ ეპოქის უსამართლო კანონმდებლები არიან: „ამოუსვრიათ სისხლში დინგები, ნადირებივით შეჭამენ ლექსებს“ (1,31).

თვალი რომ გადავავლოთ სანდრო ახმეტელთან, მიხეილ ჯავახიშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, ნიკო სამადაშვილთან მტარვალ ხელისუფალთა დამოკიდებულებას, სრულიად მართებულად მიიჩნევა ეს სტრიქონები.

და გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულიც“ ხომ სულის-შემძვრელ სურათებს გვაწვდის იმ რეპრესიების შესახებ, რომელიც დაუნდობლად ანადგურებდა ყველა მართალ შემოქმედს, ვინც იმ ჯოჯოხეთური ვითარების გამართლებას არ ცდილობდა.

„სისხლნარწყევი“ პოეტი მაინც აღიარა მომდევნო დრომ.

პოეტი ჰგავდა „ბნელი ქარებით წაქცეულ კანდელს“, „თოვლზე გადაღვრილ ლვინოს“ (თამაზი).

უბინაო, ქუჩას შეფარებული, რისხვის და ტყვიის მომლოდინე ცრემლიანი პოეტი გვამცნობს: „...გარიყულ პოეტს მტკვრის ნაპირზე მიხდება წოლა... დავალ, თვალებში ჩამჭედია რისხვა და ტყვია, შევალ ოჯახში სხვილ ცრემლებით ჩაუქრო-

ბელი“ (სესხი).

სიყალბეზე, სიცრუეზე ორიენტირებულმა ხელისუფლებამ, რომელმაც მძევლად აქცია სიმართლეზე მღალადებელი ნიჭიერება, ნიკო სამადაშვილს ათქმევინა: „...მე შუალამის მძევალი მქვითა... ძვლებზე ლექსების სარეცხი მოჩანს, თან აფრიალებს ჩემს ლექსებს ქარი... მეყასმედ ჯობდა, რომ ვგდებულიყავ, ანდა მეარღნედ ოჩას დუქანში. მე გრიგალების მძევლად ვიყავი და ლექსს მაჭრიდნენ ტანზე დუქარდით“ (გამიშვით).

მგოსნის გაუძლის ხვედრზე ლალადებს შემდეგი სტრიქონები: „ჩემი სამშობლო მექცა კატორღად, ხელფეხზე მადევს მსხვილი ბორკილი, ეს პოეზია და დარჩეს ოხრათ, თუ ჩამასვენეს მე გათოვილი. თუ არ მაღირსეს, მემღერა ჩარად, პირი ამიკრეს, სული შეხუთეს და კუბოს ფული თუ არ გაგვაჩნდა, დედა ეძებდა, გადაყრილ ყუთებს. მე მათხოვრებმა დამასაფლავეს“ (რევიზიის დროს), ასე წარმოესახა პოეტს ამქვეყნიდან გასვლა.

სატანური ხელისუფლება მედროვეთ, თავისი ავკაცობის თანაზიართ ორდენ-მედლებს ჰკიდებდა მკერდზე, განცხრო-მით აცხოვრებდა, ხოლო ნიჭიერთ, გულმართალთ, ქუჩაში ტოვებდა: „...ნუთუ ბოსელშიც არ გვექნდა წილი, ლოცვებს ვთვლით, მაინც ვუბედურდებით“ (ფრესკები ჩონგურზე).

ჰიპერბოლა სულაც არ არის ასეთი განაცხადი: „და მაჯაჯია სისხლის პერანგი“ (გადამეყვლიფა გული დარდებით).

პატიმრობა, ჯვარცმა არ ასცდა „გზებშერისხულს: „მე ბნელ საკანში ღამებს ვთვლიდი... როგორ ჯვარს ვეცვით, სულ გამნარებით“ (ჩემს ვახტანგს).

არა „მზიანი ღამე“, არა „ცისფერი ღამე“, არამედ ჯოჯოხეთური შავი ღამე იყო ყველგან: „და ისევ ღამე, კუნელის ფერი, შავი, ბეუღრია, ვით ჯოჯოხეთი“ (ფრესკები ჩონგურზე).

გულიდან, თვალებიდან სისხლი იღვრებოდა, როგორც სისხლიანი კოშმარებით ცნობილი დროის მახასიათებელი: „გული გადმოვრის თვალებიდან სისხლის სქელ ღავას. არსად, არასდროს მე არავინ არ მეყოლება და ჩემს მკვდარ სხეულს ჩემი ხელით დავასაფლავებ“ (კარების გაჯახუნება).

დამოწმებანი

1. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, საარქივო გამოცემა,
„ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004
2. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ. 2010
3. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006

ՇԵՇՐՈՅՆ ԿՎԵԼԱ ՇԵՇՐՈՅՆ

յարտպություն პոյթիամու դաշտու ցուրամուշվուլուգան, տեղմու-
րած პորզելուգան, քյորենքու ցրանելուգան մոպոլյենուլո,
մրացլագ արան մարդուսուլո, ցայլակեռենուլո პոյթիամու, մաց-
րամ արազու ուս մծագրագ, տանմումդեզրուլագ ար ցամուխա-
բազու Շերուսելունունու, ցարուպուլունու, դաշնակառունու սեւգա,
րոցորու նոյու սամաճաշվուլու. մուն Շեմոյմեդենաչու դաշուրզե-
ծա նատելու եցու ոմ մոնիթենու, րապ ասմուլյենու պոյթիս աս ս մծագրագ ցազալագ, ասետո ցուլուսիւկուզուլու երանենենունա
լմերտսցանշորենուլո, սաբանաստան Շեռուպուլո ելուսուգ-
լունու, ու մեժրուզ ցամոյմոյմեդտա սաեց դա եասուտո. ամ
մերուց, „օգորուպալունու“ ապորմա տցու ցամունցուալուս-
թենուց նայան համութուզ.

Պոյթիո նարմոհնեցա, րոցորու „Շուաճամու մծեցալո, ցրո-
ցալյենու մծեցալո“, րագան մեյսանեց դա մեարդնեց ցուա-
սենդա ցինեռ, ցայլուսուգլունա (ցամունու) (1,106).

„մարդու ցոյպազ, արազոն մպազդա մե լցուու մեթիո սեզա քափ-
րոնու“, հիունա դաշտու ցուրամուշվուլո.

յացտացան յակագրոնու մոցդենուլո նոյու սամաճաշվուլո
յարս մոնիենունու մմագ: „...մե կո արազոն ար մոկագրոնենունու,
մեն Շեմունալուն, մմառ յարենույշու“ (ցիատ դացասվենու սամրեց-
վլուս հրդուլուն) (1,102).

Պոյթիո ցայլունունուն, րոցորու „ցայխարելո, դացալու-
լո, հրդուլունումուրուլո“ (դաշուլուպենու) (1,219).

„նամքուրալունու“ Պոյթիու ցուլուն ՝կանուսա դա վարամու“,
ագամունուն յագանու յագանու յագանու յագանու յագանու յագանու,
տցու կո տուտյու սակուտար ցեցարս մուսաւենունու: „ծոլմա
կամլունու մեցենու յացունու, որցունու ըուպա, յագանու յաց-
ենո. ուս դաշտու ամ յացունուն, տուտյու սակուտար ցեցարս
մուցունուն. տուտյու մե ցուպա ցամոյմունուլո դա հիմ յացունու սու-
ելուս մդունար էյշեցու“ (հիմու պորդութիո) (1, 223).

տուտյու յացունուն, „սամաճլունու“, սագապ արազոն եցավս

„მწირ, უპატრონო, ყაყანა, ბოგანო“ პოეტს, ხმის გამცემი კაციც არსად არის (მე ვიცი დიდი დარღების თოში (1,147).

უპინაოს, საკინძჩამოხეულს, როგორც ბოგანოს, არამზადას ისე უყურებენ, ქარი კი ყეფს ძალლივით (მოსალამოვდა) (1,150).

პოეტს სათნოების არსებობის რწმენას უკარგავდა ირგვლივ დაბუდებული „ჭორი და ქვები“ (ნუთუ სიკვდილსაც აღარ ჩამაცეცხლებენ“ (1, 133).

ირგვლივ იყო „ლოდები, ავდრების წუმპე“ (ფიქრებს იქით) (1,108).

პოეტს ფარდის იქით, სცენის უკან, არაგვის ქვები ელოდებოდა: „გადასწევ ფარდას და სცენის უკან თავს ამოჰყოფენ არაგვის ქვები“ (გაგელვიძება დატანჯულ პოეტს“) (1,154).

ქვასავით უგრძნობელ საწუთროში ნისლშემოხვეულს (ზეკაცი და ნისლოვანება) (1,173), ისღა დარჩენოდა, უსულო კენჭებთან ეკამათა: „ვეკამათები კენჭებს გზადაგზა, სიცოცხლეს მაინც რა არ სჯობიან, რომ ამ დასაქცევ დედამინაზე ბედნიერებაც დასაგმობია“ (გული და ჯანღები) (1, 707).

„გზებშერისხული“, „ხალხისგან თავლაფდასხმული“, შუალამის მსგავს დღეში მცხოვრები პოეტი ასკვნის: „ო, რა ბნელია, რა გულცივი კაცის ბუნება“ (სალამო და განწყობილება) (1,153).

„ამ ქვეყნის „უხალისო, უიღბლო მდგმურს“ „წყვდიადი და ქარამოტი“ ემოსა, „გველივით“ ეხვეოდა ხალხის ზრიალი და ასკვნიდა: „არავინ მყავდა, ან თავს ვიღას შევაბრალებდი“ (1, 161).

„ბინდები“ და „ნამქერი“ დახვდა სიმღერისთვის დაბადებულს, „ბნელი ქარებით წაქცეულ კანდელს, თოვლზე გადაღვრილ ღვინოს“ ჰეგავდა (თამაზი) (1,169).

მარტოობა აიძულებდა ფოთლებთან ელაპარაკა: „გულს უღონებდა დარდების ლაქა. ფოთლებთან დიდხანს ილაპარაკა. მას არ ექვავა ღარიბი ოდაც“ (ჩაეფლათ მაინც) (1,83).

მხოლოდ „ერთგული ნაძვები“ ეიმედებოდა.

უკაცო, უმეგობრო ქვეყანაში, სიცარიელე, ქაოსი და ქვესკნელი იყო, ბრძოსგან იბლალებოდა მაღალი გრძნობა: „...ბრძომ შეუბლალა მაღალი გრძნობა, ნისლივით იდგა უმე-გობრობა. ქაოსთა გროვა, სიცარიელე, ქვესკნელის ხიდი“ (ის გასცქეროდა მომავალ შარას) (1,267).

არ სცილდებოდა „ბრძო, კოშმარები“ (საუკუნის ნახე-ვარზე მეტი გავიდა (1,269).

ჭოჭში ჩაძინებულს, ჩიტების ჭიკიკი ალვიძებდა, ნუ-გეშდანატრებულს სახრეგადაწნულს, ბელურას ბედი ენატ-რებოდა: „ჰო, იჭიკიკიკე, ჩემო ბულურავ, თელას ფოთლები რას დაგიშლიან, მე ყველამ კარი გამომიხურა, იცი, ნუგეში როგორა მშიან? ბედი გქონია, რომ ჩიტად გაჩნდი, რო აფ-რინდები, თანატოლს ეძებ, ეძებ და გიცემს გული ალალი. მე კი სიცოცხლეჩაძმარებული, ბნელ ფიქრებს ვმწყემსავ ჭმუნ-ვის სარქალი... მე მყუდროებაც დამანატრულეს, ბოლო მო-მიღეს ჰანგებით მდიდარს. ნეტავ იცოდე კითხვა, ჩიტუნავ, წაიკითხავდი სისხლებით ნაწერს, ყურს მიაპყრობდი ვარდე-ბის ტუტუნს, შემიბრალებდი სახრეგადაწნულს. მე ლექსებს ვწერდი ქართა ყაყანზე, ეს იყო ჩემი ძუძუ და ხსენი, მაგრამ ამ პირქუშ კაცთ სამყაროდან თავი ვერაფრით ვერ დავიხსე-ნი. ჯერ კიდევ თითქმის დედიშობილას, ტყის ქარიშხლები მაცმევდნენ შავებს“.

ლექსის ბოლოს კონკრეტდება ადრესატი ამ უბედურე-ბათა მომტანისა, რომელიც „მარადისობის კოშკების პატ-რონს“ არათუ არ აფასებს, მის გულღვიძლს ხანჯლით უპი-რებს ამოფატვრას და სასაფლაოზე მომსვლელად მხოლოდ უბოროტო ჩიტუნა ეიმედება: „ასე მეწერა, ალბათ, მე ცოდ-ვილს, მარადისობის კოშკების პატრონს... და როცა ჩემო, ერთ სისხამ დილით გულღვიძლი ხანჯლით ამომიფატრონ, მოდი იქ, სადაც ჩამფლავენ, ჩიტო, არ შეკრთე, ძეგლი დაკ-რიჭავს კბილებს, მიუალერსე, ნუკი იტირებ, შენი ნისკარტით დარგულ ყვავილებს“ (თელა და ჩიტი) (1,20-21).

პირქუშ დღეებში „დუშმანის ჩრდილი“ აედევნებოდა,

შიშით განამებული ასკვნიდა, რომ ყვავის ცხოვრება სჯობდა მის მწარე ხედრს, სიზმრებშიც სიკვდილი ევლინებოდა და მზად იყო, „ყასბის დანით, წალდით“ მოელო ბოლო თავისი ულიმდამო სიცოცხლისათვის (დასასრული) (1,22).

შეუბრალებელ დროში სულთამხუთავი ელანდებოდა, პანაშვიდებზე ქარის ბალადა ჩაესმოდა (წავლენ დღეები) (1,22).

ვერ ივიწყებდა სამშობლოს უსამართლო საზღაურს: „სამშობლოსაგან გული წყდებოდა, საქართველოში გრძნობდა სიცივეს, ისე ანამეს, ისე ჩანიხლეს...ო, ერთხელ ხელიც კი სტაცეს მკვდრებმა. ვერ მოისვენა იმ უბედურმა, სადღაც ეძებდა ტაძარს, სიმშვიდეს. სახეზე მუდამ ნისლი ებურა და წმინდანებმაც ვერ დაამშვიდეს. ის დადიოდა მწირი, დევნილი, კარსაც არავინ უკაუნებდა, ის მთების იქით გადაიხვენა“ (ნუთუ ის ალარ განმეორდება) (1,24).

ჭოტის კივილი, ალი აედევნებოდა, ურწმუნონი, თავიანთ თავისიგან კერპების მქნელი „წარმართები“ ვერ ძღებოდნენ მისი ტანჯვით, ვერავის ხედავდა ირგვლივ, ვინც გულიდან მარწუხებს მოაცილებდა (წუხელის შემხვდი) (1,25).

„ხალხი ცეკვავდა და ხარხარებდა, მე კი ვკვნესოდი საქართველოში“, ამბობს პოეტი ლექსში „როცა ჭალაში ვუდექი ხარებს“ (1,9).

ბრბოსგან გარიყული, უმეგობრობის ჯანღში მავალი, მიუსაფარი, „ჭმუნვის სარქალი“ „ცამდე მართალი“ იყო (დაითენთა) (1,58).

უდაბნო და გრიგალი ემტერებოდა, ირგვლივ მგლების ღმუილი ჩაესმოდა, ნარეკლიანი იყო მისი გზები (გაჭვავება) (1,59).

სისხლისგან იცლებოდა სუყველასგან ჩანიხლული, საბედისწერო ზარის ხმა ესმოდა (ფერისცვალება) (1,62).

გაუცხოებული იყო როგორც ადამიანი, როგორც პოეტი, სისხლიანი დინგების პატრონებს არ სჭირდებოდათ მართალი სიტყვა: „...რა ჭირათ უნდათ ლექსის ბაჯაღლო ან მღვიმეების სანთლების მწუხრი... რა კარგს ჩაიდენ, თუ შენს

ნაჯლაბნებს მშიერ ქარბუქებს გზათ გადაუყრი. ამოუსვრიათ სისხლში დინგები, ნადირებივით შეჭამენ ლექსებს. ზეცაზე ზეცა გადაფრინდება, თურმე ამისთვის ჩამოგათესლეს“ (კა-მარების შეჭმუხვნა) (1,31).

მშობლიური ქალაქისგან უგულებელყოფილი და შიმშილისთვის განწირული, მთელ სამყაროს, მარადისობას უტევდა: „...როგორ მიყვარდა ჩემი მტკვარი, ჩემი თბილისი. ჩემმა თბილისმა მაშიმშილა, ბოლო მომიღო, არ შემიბრალა, არ დამინდო, არ შემიფარა. სულ ლრუბლების ქვეშ მივდიოდი დალონებული, ავდრების თავსხმამ ამიტაცა და შემიყვარა. წყეული იყავ, შე ოხერო მარადისობავ, ჩაგინყდეს ეგ ხმა, ეგ ზარების მძიმე გრიალი, შენს გზებზე უშნო ხეტიალით რად დამაოსე, რაზე დამჭიდე ეს უდაბნო და ეს გრიგალი. ვალებში ჩაფლულს რა მეშველება, ეს გულის წყლული პოეზიით ვერ მოვიშუშე. მთელი გულლვიძლი ქარიშხლებმა ამომიძოვეს“... (შიმშილი) (1,27-28).

„გულქვა საწუთროში“, „ყინულივით ცივ ქვეყანაში“ ცხოვრება დაპედებოდა (უკუღმართობა) (2,24).

აწამებდა უბედურების მოლოდინი: „...უნახავი შიში დამჩემდა, ქრისტეს ჯვარივით ჩემს ლექსებზე გადაზნექილი“, ამბობს პოეტი (დასასრული) (1,22).

სამშობლოს უგულისყურობიდან გამომდინარე, მთელი „ვერაგი სამყარო“ სასაფლაოდ ესახებოდა: „ტყე აშრიალდა, აშრიალდნენ ჩემი ფიქრებიც. ასე ტყვექმნილი ნეტა კიდევ სანამ ვიქნები? ჩემი სამშობლო ჩემს ნახვაზედ იქმუხნის წარბებს, კაცი არ არის, რომ მომხედოს, როგორ მანამეს. მე რომ მოვკვდები, მინდა ძველები შორს გადაყარონ, სასაფლაო ეს ვერაგი მთელი სამყარო“ (ტყე აშრილდა, აშრიალდნენ ჩემი ფიქრებიც) (1,120)

„ტყვექმნილი“ შემთხვევით არ იხსენება. პოეტი, მიუხედავად იმისა, რომ არაფერს უბეჭდავდნენ, ორჯერ იყო დაპატიმრებული, ერთხელ პოლიტიკური ბრალდებით, ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის, მეორედ-როგორც რევიზორ-ბუღალ-

ტერი, იმიტომ, რომ ქრთამი არ აიღო. ტაძარში დვთისმშობელს ჭვრეტდა სულის თვალით და „ყრმა მაცხოვრის ნაფეხურებს“ ხედავდა, „ანთებული ლოცვები“ დაჰქონდა, სამშობლო მაინც ემტერებოდა, „პოეზიის გერის“ ზედმეტსახელით მოიხსენებდა: „....ზედმეტსახელად პოეზიის გერი დამარქეს, თითქოს ჩემს მრწამსში არ დვიოდა გუდამაყარი. ჩემო სამშობლოვ, ნეტა რაზე გადამემტერე? იცოდეს ღმერთმა, რომ ცრემლებსაც კი გარიდებდი“ (ისევ ვლოცულობ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს) (1,110-111).

„წარმავლობის ტიალი ყორე, უსინდისობა“ „სადღაც ლაფში“ მიათრევდა (1, 128-130). ბრბო უტევდა, ეპოქის ქარი კალამს აგდებინებდა ხელიდან, რწმენას უკარგავდა: „....ქორების ჭორი, ძახილი: ვის გაუვარდა ქარში კალამი? ბრბოს შემოტევა“ (პირქვედამხობილ ლამებს უმზერ) (1,122).

სამშობლოსაგან მოძულებულ პოეტს ვითარება სიკვდილისკენ, იუდასკენ უბიძგებდა: „მე შევიჯავრე ჩემი სამშობლო, რადგან სამშობლოს ვძულდი სულ მუდამ. გზა სიკვდილისკენ რომ დავიმოკლო, ჩემზე ჯვარს იწერს მგონი იუდა“ (მე შევიჯავრე ჩემი სამშობლო) (1,223).

ისლა დარჩენოდა, დაესკვნა: „საქართველოში წყლის მიტანას ნუ ელოდები“ (ნაწყვეტი) (1,225).

კიდევ ერთხელ გამოუტანს ეპოქას განაჩენს და „ლექ-სის ნათლია“ სისხლიანად მონათლავს თავის თანამედროვეობას: „.... რათ ეცლებოდა ქვეშ მთა და ბარი, ჰკითხეთ ეპოქებს... როს საუკუნე სამინე თვალებს არ აშორებდა სისხლების ლელეს, რათ ეცხო სისხლი ნაოფლარ მკერდზე“ (ნეტავი რაზე დარდობდა კაცი) (1,222).

„გარიყული პოეტის“ ლამის გასათევი ადგილი იყო მტკვრის ნაპირი (სესხი) (1,229).

„სიდამპლის სუნს“ შეიგრძნობდა „უუმურ, გულცივ ქვეყანაში“ (უკუღმართობა) (1,256).

„უბე ლექსები, ზამბახთა ჩრდილი“ არაფრად მიიჩნეოდა, რაც საშინელ ალსასრულს მოალანდებდა: „ჩამაძალლებენ, ალ-

ბათ, სადმე ხრიოკ ბორცვებთან, ლექსის ფარაონს ჯიბგირობას დამაბრალებენ“ (გადახვეწილი შადრევანი) (1,252).

ნიჭიერთა ჩაძალლების მაგალითები მართლაც მრავ-ლად იყო მის თვალწინ.

აბუჩად აგდებულ, „ფრინველივით გზადაკარგულ“ პო-ეტს თავის საფლავშიც „საყდრის გველები“, მათხოვრების თანხლებით გასვენება ელანდებოდა (წინაგრძნობა) (1,119).

საოცარი პირდაპირობით ამხელს ტოტალიტარული ეპოქის მუხანათობებს, რომელიც განადგურებას უქადის, თუ არ შეიცვლის ხმას, იერს, თუ დინების საწინააღმდეგოდ გააგრძელებს სვლას: „... ხედავ, სამშობლომ დედა გიტირა, თავი გიტკიცა სამიკიტნოში, ვიღაც ტინგიცა გაგატრიზა-ვებს და დაგფლითავენ საქართველოში. კმარა, შესდექი, მო-ეშვი წერას... ხმაც შეიცვალე, სახის იერიც, რა მიქარვაა ეს ბედისწერა, იქნები ვირი თუ მეცნიერი?“ (უჯიშო ხიდან გა-მოთლილი ხარ) (1,31).

სახელისუფლო, გონებაშეზღუდული ტირანია კრძალავ-და საბჭოთა საზღვრების იქით გახედვას, საგულდაგულოდ რკინის კარებით კეტავდა იმპერიის საზღვრებს, დანაშაულად უთვლიდა მსოფლიოში ცნობილ მოძღვრებათა გათავისებას: „როგორა გტანჯეს, ლმერთო ჩემო, რა უმოწყალოდ, რათ გიყ-ვარდაო, გაგინებდნენ, საკია მუნი! რა ვერაგია ეს ტიალი წუ-თისოფელი, რა ნადირია, რა მშიშარა, რა მაიმუნი“, წერს პოეტი ერეკლეს ტატიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში (1, 42).

ნიკო სამადაშვილი გვეცნაურება, როგორც „გარეთ გა-დაყრილი ნაცარი“ (დამშვიდობება და სინანული) (1,211-212), „ბნელი ქარებით წაქცეული კანდელი“, „თოვლზე გადაღვრი-ლი ღვინო“ (თამაზი) (1,65), „ქუჩის ბოგანო, გზების აბეზარი“ (მაინც) (1,175).

უკაცო ქვეყანაში ქარი კიოდა ცის ტატნობზე (გათხრე-ბი) (1,66) პოეტის „ბედი ჰეგავდა გზად მოკლულ ქედანს“ (გაყ-რა) (1,941).

ანამებდა უსინდისობა, „უნდობლობა ყველა უნდობის“

(სტრიქონების ქარაფი. ციალა თოფურიძეს) (1, 10-14).

ბრძოს საზღაური იქნებოდა ქაოსი, ქვესკნელი, ბალდა-სინი, „სულშემხუთველი ძეხვივით დარდი“, „ჯოჯოხეთის პირქარი ქროლა“, „ფერადი ჭირკები“ (დამშვიდობება და სი-ნანული)(1,129).

სფინქსად ესახებოდა უსაზღვროება, ქვეყნიერება — კაკანათად და გადაშენებას მოელოდა: „...ყვითელ სფინქსებ-თან ყრუთ იალებს უსაზღვროება, მარადისობის სვეტებამდე ადიდებული. ქვეყნიერება ჩვენ დაგვიგეს კაკანათივით. გა-დავშენდებით ...ჩვენს ნაბიჯებს ვინ გამოიკვლევს“ (გული და ჯანლები) (90-91).

პოეტი ძალზე ხშირად წარმართებად მოიხსენიებდა ქვეყნის სათავეში მოქცეულ არარაობებს, რადგან ისინი წარ-მართებივით კერპებს ქმნიდნენ თავიანთი თავისგან და მა-სებს აიძულებდნენ თაყვანისცემას, ხარხარებდნენ სხვათა უბედურებაზე: „... ხარხარებდნენ ნაძვის ძირში ის წარმართე-ბი, მე რომ მლანძლავდნენ. მე გავატარე ბედი ტირილში და ჩე-მი ტანჯვით მაინც ვერ გაძლენ. ო, ღმერთო ჩემო, რას მოვეს-წარი, ვინ მომაცილებს ამდენ მარწუხებს“ (წუხელის შეგხვდი).

არა და არ მთავრდებოდა პოეტის გაუგონარი უბედუ-რება: „ლექსის მეუფევ... შენ განამებდნენ წიხლით, ფურთხე-ბით, გულგალელილი იდექი, ძმაო, სისხლში იდექი შიშველ ფეხებით“ (ო, რა მწარეა).

ვერა და ვერ ძლებოდნენ ეს ნადირები ადამიანთა სის-ხლით: „მხოლოდ ეს გული ეგდოს რიყეზე, ვით სისხლიანი ქრისტეს პერანგი... მივალ, გიტოვებ გულს ქერქდაგლეჯილს, ლოკე და ლოკე მდუღარე სისხლი“... (ლოცულობს ყველა).

აწამებდა საშინელების მოლოდინი: „...ირგვლივ დარ-დები შემომაშენეს, თვალის სინათლეს მწუხრნი კენკავენ, ჩე-მო ლიახვო, ალბათ მე და შენ სამშობლოს იქით გადაგვრეკა-ვენ“ (ლოცულობს ყველა).

მაგრამ პოეტს სჯეროდა, რომ უკეთურნი მიზანს ვერ მიაღწევდნენ: „... ლამები შენზე ინადირებენ, მაგრამ კარგო,

ვერ დაგიჭერენ. მოქნეულ ქამანდს გაუსხლტები და აორ-თქლდები“ (ნაწყვეტი).

გუდამაყარივით, ბახტრიონივით მაღალი ოცნების პო-ეტს, ღრუბელ-ქარების მიუხედავად, სამშობლო მაინც დაა-ფასებდა, შესაფერ ადგილს მიუჩენდა, ამის რწმენა ასულ-დგმულებდა: „...ქუჩის ბოგანოს, გზების აბეზარს ჩემი სამ-შობლო რას მომინელებს... ღრუბელი ღელავს, ძირს ქარბუ-ქია და საქართველო მაინც მექანის“ (მაინც) (1,175).

უბედურების მოლოდინს აქარწყლებდა იმის რწმენა, რომ სიკვდილის შემდეგ ცხედრის სიტყვა ქარში გაიხმიანებ-და: „...ცხედარი ქარში სიტყვას ამბობდა და ყვავილები მიჰ-ქონდათ ქარებს“ (გადახვენილი შადრევანი) (1,252).

იდუმალი ხმა ავალებდა, არათუ თავის სამშობლოს, მსოფლიოს განდობოდა თავისი სათქმელით: უნდა მსოფლი-ოს კიდევ გაენდო“ (დაუსაბამობის ხილვა) (4,43-44).

დაღუპვის წუთებში თავის ახლოს ქრისტეს ხედავდა: „ვიცი, სულ მალე დავიღუპები... ქრისტე ჩემს ახლოს დაინ-ყებს ყიალს“ (ფიქრებს იქით) (2,108).

ზეცით მომადლებული ნიჭით შექმნილ ლექსებს ცაში, ღმერთის სავანეში, მარადიულობაში ხედავდა: „... შუქი და-მექებს, უნდა რომ სწუხდეს“, წერდა პოეტი, შუქი კი საღვთო სახელია.

ანუგეშებდა არა მინიერი ბედნიერება, არამედ ბახტრი-ონივით მაღალი ოცნება: „მწამს, რომ ფანჯრებთან იელვებს უცბად, ჩემი ოცნება, ვით ბახტრიონი“

დამოწმებანი

1. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, საარქივო გამოცემა, შპს, „ფორმა“, თბ. 2004
2. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, შემდგენელი მზია სამა-დაშვილი, „ინტელექტი“, თბ. 2006

თავი VI

ეროვნული გადასახელი

ჩემი სამშობლო არის სიმღერა

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში მრავალ პრობლემათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ეროვნულ-პატ-რიოტული წაკადი.

ერთი მხრივ, პოეტისთვის ამოსავალია უშორესი წარ-სულის უცდომელი გააზრება, მისი სულიერ-ინტელექტუა-ლური კულტურის, ტრადიციების შემოქმედებითი გათავისე-ბა, მესიანისტური იდეის გაზიარება, გარდასული საუკუნეე-ბის ტრაგედიათა გაბედული მხილება, მტერმოყვრისათვის თავისი სახელის დარქმევა, რევოლუციებისა და სოციალიზ-მის ეპოქისადმი ოპოზიციური დამოკიდებულება, ათეიზმზე, დესპოტიზმზე დაფუძნებული ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკა, მომავალში ჭვრეტა.

„ფერისცვალების“ ავტორს არაფერს უბეჭდავდნენ, მაგრამ ეს უგულებელყოფა არ ნიშნავს, რომ ჯაშუშის „მესა-მე თვალი“ გაფაციცებით არ შიფრავდა მის ჩანაფიქრსაც კი.

ნიკო სამადაშვილის პატრიოტული ლირიკა ამ სფერო-შიც ზედმინევნით აკმაყოფილებს დიდი ლიტერატურის კრი-ტერიუმებს.

გოეთე წერდა: „პოეტს, როგორც ადამიანს და მოქალა-ქეს, თავისი სამშობლო უნდა უყვარდეს, მაგრამ მისი პოეტუ-რი ძალების სამშობლო, მისი პოეტური შემოქმედების მამუ-ლი გახლავთ სიკეთე, კეთილშობილება და მშვენიერება... პო-ეტი ემსგავსება არწივს, რომელიც მაღლიდან ზვერავს მთელ-ქვეყნიერებას.

„თუ პოეტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდი-ლობდა მავნე, ცრუ რწმენები დაეძლია, სიხარბე დაეგმო და დაეთრგუნა, თავისი ხალხის გემოვნება დაეხვენა, მისი ფიქ-რი და მისწრაფებანი გაეკეთილშობილებინა- რა უნდა გაეკე-

თებინა ამაზე უკეთესი? როგორ უნდა წარმართულიყო მისი პატრიოტული მოღვაწეობა ამაზე უფრო სწორად და კარგად?“ (1,234-235).

ვფიქრობთ, ეს სიტყვები ზედმიწევნით მიესადაგება ნიკო სამადაშვილის შემოქმედებას. ამ დიდი მიზნებისათვის ნიკო სამადაშვილი ნამდვილი მამულიშვილივით იღწვოდა, მიმართავდა წარსულის მისაბაძ მაგალითებს, ებრძოდა ნეგატიურ მოვლენებს, ემსახურებოდა მარადიულ მშვენიერებას, მარადიულ იდეალებს, რაც შესაძლებლობას აძლევდა, მერმისშიც გადაეხედა.

პოეტი თავისი ერის არსებობის ათვლას იწყებდა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვამდელი საუკუნეებიდან და ქართველ ხალხს მიიჩნევდა ბიბლიური ხეთების, ქალდევლების მონათესავედ, როგორც ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ანა კალანდაძე, ვაჟა ეგრისელი. აზიარებდა მესიანისტურ იდეას და ჩვენი ერის არსებობას უკავშირებდა ქრისტეს და მარიამ ღვთისმშობელს, საქართველოს, ატენის სიონს ქრისტიანობის პირველაკვნად მიიჩნევდა: „უფლის ნათელი დაბარბაცებდა გაუთენარი გზების ბოლომდე... წმინდა ნინოს ნაფეხურები ჰეგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს. ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს. მოხუცი ღმერთის აქ ნათქვამ ლოცვებს სამრეკლო ღამე იმეორებდა. ჯილა ცაცხვები იდგნენ ყორესთან, ვით ხანშესული ქალდევლები, მოჰქონდა ჯვარი, ჭრაქები ენთო და დანახვისზე ჭოტი კიოდა“ (ატენის სიონი) (2, 205-206).

ეს ლექსი საყურადღებოა ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, ვინაიდან აქ გამოთქმული შეხედულების მიხედვით, ქართველთა შორეულ წინაპრებად ბიბლიური ქალდევლები მიიჩნევიან.

ნიკო სამადაშვილს თავისი მოძღვარი და მეგობარი ერეკლე ტატიშვილი „შუბლმაღალ ხეთებს“ აგონებდა: „როცა გხვდებოდი, ჩემს საგონებელს ვფიქრობდი, ვუმზერ შუბლმაღალ ხეთებს, შენ რომ წახვედი, ასე მგონია, მთელი ქვე-

ყანა თან გაიხვეტე“ (ერეკლეს) (2,269).

სხვაგანაც ჩვენს წინაპრებად ხეთები მიიჩნევიან: „....აქ ამოხეთქა ხეთების სისხლმა, ამ სისხლს ხმარობდნენ მელნად დედები“ (რა შეშლილების კუნტრუში მეფობს) (2, 195)

გრიგოლ რობაქიძე იზიარებდა იმჟამად საისტორიო მეცნიერებაში გავრცელებულ აზრს, რომ ქართველთა უძველესი სამშობლო იყო ქალდეა (გველის პერანგი).

ეს თვალსაზრისი მომდინარეობს როგორც ქართველი და უცხოელი ისტორიკოსებისგან, ისე ეროვნული მწერლობისგან.

შემერებთან, ქალდეველებთან ქართველთა ნათესაობის საკითხს სპეციალური ციკლი უძღვნა ტიციან ტაბიძემ „ქალდეას ქალაქების“ სახელწოდებით.

„მეც წავუკითხავ და ვუმდერებ ჩემს ქალდეაზე, ჩამავალი მზის გაგვაბრნების ჩვენ სილამაზე“, წერდა პოეტი. ამავე თემას ეხება ტიციან ტაბიძის „ქალდეას მზე“, „ქალდეას ბალაგანი“ (3, 77, 167).

მაგრამ მაშინ ჩვენი საკუთარი ფესვების მოძიება კი არა, ეროვნული გადაგვარება-გადაშენება იყო რუსეთის იმპერიის მიზანი და ამ ასპექტის წარმოჩენას მხოლოდ ცინიკურად ხვდებოდნენ.

ამ ირონიას ეხმაურებოდა ტიციან ტაბიძე: „...ეს გილგამეში და ეს ბიბლია, სოციალიზმის შენების ტემპი. მესმის უწყალო კრიტიკოსის ხმა: შენ ძმაო, მაინც ძველ გზებსა სტკეპნი“ (სომხეთში).

ანა კალანდაძე თანმიმდევრულად, მრავალგზის ამახვილებდა ყურადღებას ქართველების ხეთებთან და ქალდეველებთან ნათესაობაზე.

„ჩვენი მზე ქალდეური“, წერს პოეტი ლექსში „ციცინა-თელა ჩუმად მისდევს ხეების აჩრდილს“.

იგივე აზრია ლექსში „სასაფლაოზე ქარი დაძრნის“: „დუმს სასაფლაო სევდიანი, ვით ძველ ქალდუ, გულში ინახავს კაეშანს ფარულს. კითხულობს მთვარე ქვის ძეგლებით უძველეს ქართულს -ნუსხურს და მთავრულს“.

პოეტს მთიულეთში, მზენვერზე ევლინება ბიბლიურ ქალდეველებთან ნათესაობის აზრი, ხედავს „ქებრონის კარს, აბრაამის ფარას“ და წუხს, რომ არ ჩანს „კეთილი მწყემ-სი“ (მზენვერზე, მთიულეთი) (4,147).

ვაჟა ეგრისელს მთელი ციკლი აქვს ამ თემაზე შექმნი-ლი: „ჩემს ძველ კოლხეთს და ბაბილონს, მთვარის ღმერთი დასცეკერს ქალდუ. უამი სვლას კი არ ანელებს. ტიგროსს, ევ-ფრატს და ფაზისთან ვჭვრეტ წინაპარ ქალდეველებს“.

პოეტის აზრით, პელაზგებიც ქალდეველები არიან, შუ-მერი და ქალდეა ერთი და იგივე ქვეყანაა. გილგამეში კოლ-ხია (გილგამეში).

ვაჟა ეგრისელის აზრით, კოლხეთი უკავშირდება „ოქ-როს საწმისს“, მისტერიულ სიბრძნეს, როგორც ამას ამტკი-ცებენ რუდოლფ შტაინერი, ზვიად გამსახურდია, ნიკო სამა-დაშვილი: „გამსხსნელი კი არა ჩანს ფარდის, მიტომ ათას-წლეულები კოლხეთის ცის ქვეშ მისტირიან: „ოქროს საწ-მისს“, „ჯვრის და ვარდის“ და კოლხეთის მისტერიას“ (კოლ-ხური ფსალმუნები) (5, 153, 213, 231, 235, 237, 243, 282, 283, 527).

„ერეხეთიც“ ერაყს დაუკავშირა.

ბიბლიურ ქალდეველებთან ქართველების ნათესაობის აზრს იზიარებს პროფესორი კლიმენტი შელია ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით (5,6).

მეცნიერს ამ შეხედულებას კიდევ უფრო განუმტკი-ცებს შევიცარიელ მეცნიერთა სენსაციური აღმოჩენა, რომ ეგვიპტელი ფარაონები, თანამედროვე ევროპის მკვიდრთა ნახევარზე მეტი გენეტიკურად კავკასიელები არიან.

„ფესტოსის დისკო“, რომელიც კუნძულ კრეტაზე, ქ. ფესტოსში აღმოაჩინეს, ოთხი ათასი წლის წინანდელი კოლ-ხური დამწერლობაა, ეს გაშიფრა გია კვაშილავამ და პროტო ქართულ ენაზე აალაპარაკა დღემდე გაუშიფრავი იბერიული ფირფიტა.

შოთა ხვედელიძემ ქართული დამწერლობის წარმოშო-ბა 3479 წლით გადასწია (კლიმენტი შელია, შვეიცარიელ მეც-

ნიერთა სენსაციური აღმოჩენა — ეგვიპტელი ფარაონები და თანამედროვე ევროპის მკვიდრთა ნახევარზე მეტი გენეტიკურად კავკასიელები არიან).

ქართველთა, იბერიელების წინაპრად ქალდეველებს ასახელებს ვლადიმერ ვახანია (8, 291, 295, 297)..

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ნააზრევში ვხვდებით ებრაული მესიანიზმის იდეას, რომ ამ ხალხის წიაღში დაიბადებოდა ხალხთა მხსნელი, მესია.

ეს იდეა ერის რჩეულობისა გამოვლინდა ბიზანტიაში, რუსეთში, პოლონეთში, სომხეთში, მაგრამ მერიანიზმი დიდი ქვეყნებისთვის მსოფლიო ბატონობის, იმპერიული ზრახვების იმპულსი ხდება, პატარა ერებისთვის თვითდამკვიდრების, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება-განმტკიცების სტიმული.

ქართველი ხალხი, თავისი მცირერიცხოვნების გამო, მუდმივ ძნელბედობაში ცხოვრობდა. მას განსაკუთრებით სჭირდებოდა მესიანისტური იდეა, რადგან „ეს იდეა ერის თვითგანმტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს, ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას“ (აკაკი ბაქ-რაძე, დავინწყებული იდეა) (9,45).

ბიბლიურ ქალდეველებს ქართველთა წინაპრებად მოიაზრებენ აკაკი გელოვანი (მითოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1983), ზურაბ ქაფიანიძე, თეიმურაზ მიბჩუანი (შუმერების ანბანი-ქართული ასომთავრული, თბ. 1977), დენიზა სუმბაძე „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“ (გაზ. „ქალდეა“, 2011, გვ. 2) (9).

ნიკო სამადაშვილს მხნეობას მატებდა ის გადმოცემა, რომ მცხეთაში დაიმარხა ქრისტეს პერანგი და იქ აშენდა ლვთის სახლი-სვეტიცხოველი, რომ იქ განისვენებს ქრისტიანობის ერთგული მეფე პატარა კახი, მაგრამ ათეისტურმა მეოცე საუკუნემ ბრძოლა გამოუცხადა რწმენას და „ხატებს თხუპნიდნენ მურით, ნახშირით“ (სვეტიცხოველი) (2,15).

პოეტს საქართველოს სიდიადის რწმენას განუმტკი-ცებდა ის გადმოცემა, რომ ჩევნი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვდომილია, თბილისი-ქურუმების, სულიერების სავანე: „ჩემ საქართველოს სიდიადეს რა შეედრება, ღვთისმშობლის დარად რომ უჭირავს ხელში თბილისი. აქ გაისმოდა ქურუმე-ბის მწველი ვედრება, ზარების ლხინი, ღმერთო ჩემო, რა სი-სარულით“ (ჩემი თბილისი) (2, 224-245).

ტაძარში ღვთისმშობელი ევლინებოდა, ძე ღმერთის აკ-ვნის რწევა ესმოდა, ლოცვებით მთვრალი ყრმა მაცხოვრის ნაფეხურებს მიჰყვებოდა: „...ვლოცულობ ჩემთვის და ანთე-ბული ლექსები მომაქვს ბრმა წმინდანებთან, როგორც ჩემი გულის ნაქარი. გარეთ ღამეა, შიგ ტაძარში ღვიძავს ღვთის-მშობელს, აკვნის რწევა კი განუწყვეტლივ ისმის და ისმის. გინახავთ კაცი, ტაძრის ზღურბლით ლოცვებით მთვრალი, ყრმა მაცხოვარის ნაფეხურებს რომ გაჰყოლოდა“.

მაგრამ „იღრუბლებოდა“, ათეისტურ ეპოქას არ სჭირ-დებოდა ღმერთი, ლოცვები, პოეტის მაღალი მრნამსი (ისევ ვლოცულობ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს“ (2,110-111).

ნიკო სამადაშვილის წარმოსახვა გამუდმებით ქრისტეს უკავშირდებოდა: „...საყდრის წინ იდგა ყრუ აკაცია, ქრისტეს ბავშვობის გზა და მანძილი“ (ნუთუ ის აღარ განმეორდება) (2,24).

სიზმარშიც დედა-ძე ევლინებოდა: „...მტკვარი, ვერხვე-ბი. ფანჯრებთან ატმის ტოტი ჰყევაოდა და ღვთისმშობელი ყრმას დაჰყებოდა“ (იცი, რა იყო ჩემი სიზმარი?) (2,15).

ხაზს უსვამდა არმაზის კერპის გადაგდებას (როგორც ვასილ ბარნოვი), სვეტიცხოვლის სიდიადეს, რაც დაკავშირე-ბული იყო მესიანისტურ იდეასთან: „ქრისტიანები... აი, აქ გა-ლობდნენ, აი, აქ დამარხეს ქრისტეს პერანგი“ (სვეტიცხოვე-ლი) (8,51).

სვეტიცხოვლიდან მნათეს მიერ დარეკილი ზარების ხმა ესმოდა, გომბორზე ცისარტყელას ხედავდა: „...სვეტიცხო-ველში ზარებს რეკავდა შეშლილი მნათე. ცისარტყელას

ტოტს უკოცნიდა გაშმაგებით ცივი გომბორი“ (არმაზის კერ-პი დაღმარს დაჲყევა პიტიახშებით) (2, 74).

ლექსში „მაისის დილა ჩამოივლის სანაპიროზე“ (2, 117) თბილისი მოიხსენება, როგორც „საქართველოს კვართი, მო-რონი“.

მაგრამ სათნოება გამქრალიყო პოეტის ეპოქაში, ჭორს და ქვებს დაებუდებინა ირგვლივ, მხოლოდ დედა-ძის თანად-გომა, ქრისტიანული მოძღვრება იყო მისი არსებობის, მხატ-ვრული სიტყვის სტიმული: „არ სწამდა, არა, არც სათნოება, ირგვლივ ბუდობდნენ ჭორი და ქვები. მისი სხეული იყო სა-თონე და ძვლებზე ჩუმად ისხდნენ ლექსები. ღვთისმშობელს ქრისტე კვლავ უჩურჩულებს, ცოდოა, ცოდოა, არ გაიმეტო“ (ნუთუ სიკვდილსაც აღარ ჩამაცეცხლებენ) (2, 133).

თითქოს ღვთისმშობლის ნაკვალევსაც ხედავს ეროვ-ნულ შემოგარენში: „აქ ღვთისმშობელი დადიოდა ადრიან დი-ლით“ (შენ ნამოდგები, განთიადზე ზარებს დარეკავ“ (2, 154).

უკეთურნი კაკანათებს აგებდნენ, მაგრამ პოეტი აღ-თქმული ბილიკების, წმინდანების ერთგული რჩებოდა: „ქვეყ-ნიერება ჩვენ დაგვიგეს კაკანათივით... აღთქმულ ბილიკებს მივყვებოდით გაბმულ ღაღადით და წმინდანები მოგვყვებოდ-ნენ საქართველოდან“ (გული და ჯანდები) (2,70-71).

მიზანი უნდა ყოფილიყო მსოფლიო საგანძურის გათა-ვისება, „მაღალი ფიქრების“ აღმოსავლეთში, თბილისში „გადმოწინდვა“ (საქართველოდან პარიზისაკენ) (2,8-9).

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში განსაკუთრებული ადგი-ლი ეთმობა ადგილის დედას, პოეტის ხსოვნაში სამუდამოდ შემორჩენილა „ჭადრების ბინდი, კაკლების წენგო, ფერის-ცვალება, იების გუბე“ და ნატვრა: „როგორ მიყვარდა ჩემი სოფელი, როგორ მინდოდა, აქ მომკვდარვიყავ“ (ჩემი სოფე-ლი) (18, 127-128).

პოეტი იხსენებს ობლობას, სოფლის სიყვარულს: „მამა-ჩემს დავრჩი ბიჭი ობოლი, მე მზრდიდა ვერხვის ფოთლების ტაში, როგორ მიყვარდა ჩემი სამშობლო და წეროების ძახი-

ლი ცაში“ (2,193).

ლიახვის ნაპირებთან ბავშვობაზე ფიქრს გადაეფსკვნება საკუთარი ლექსების ბედი: „...მე — გზების ავყია... შევყურებ ზვირთებს გაოცებული, ვით ბრუტსაბმელის შეშლილ სარანგებს. ლოდებს ხავსის ქვეშ შექვავებიან ნეტარ ბავშვობის ტანტარა წლები. ჩემი ლექსებიც აქ ჩაქრებიან, როგორც გარეჯის ხელნაწერები“ (ლიახვის ნაპირები) (2,112).

ამავე დროს, აღაშტოთებს ტრადიციების, ადათების გადაგდება, სინდისის ღალატი: „...რა ეშველება დალუპულ ადათს, ან ასე მწარედ გარეცხილ სინდის... გატეხილ სარკეს, დამსხვრეულ საათს დრო არ დაგიდევს, დრო მაინც მიდის“ (ფერისცვალება) (2,62).

თბილის სიყვარულს ეფიცებოდა, მისი კალთის ქვეშ გამოდარებას ელოდებოდა, შთაგონება ევლინებოდა: „...შენმა ღრუბელმა ცრემლზე მსხვილი წინწკლები იცის და ზენაქარმა სიმღერები აურაცხელი. ჩემო თბილისო, მუხლმოყრილი სიონს გაფიცებ, ბინად მომეცი შენი კალთა და სანწახელი... შენთან მღეროდა ბედნიერი ვაჟა-ფშაველა, შენში დარდობდა შენი ტატო ბარათაშვილი. აქ თამადობდა ჯიხვის ყანით თურმე მხარგრძელი, სადღაც მღვიმეში დაღმუოდა ბედს მთაწმინდელი. წყეულმც იყვეს სამუდამოდ ამ ქვეყანაზე, თბილისო ჩემო, შენს შუქს იქით გამოღვიძება“.

მაგრამ პოეტს გონებას უმღვრევდა ტრაგიკული წარსულის ნაკვალევი დედაქალაქში: „ეს მინარეთი შენს ღრუბლებთან რას აფხორილა, იქნებ თაკილობს, ნარიყალა რომ ემდურება? დიდხანს შერჩებათ ნაცარივით ქართლის ხეხილებს, რაც მაჰმადებმა დაგვატეხეს უმედურება“ (ჩემი თბილისი) (2,86-87).

მთაწმინდაზე ცა ეხსნებოდა, მარადისობის ზარები ეს-მოდა, ილიას სამარესთან მუხლს იყრიდა, მის პოეზიას ეზიარებოდა, წინამურის გახსენებაზე ცრემლებს ღვრიდა, ამ ადგილს „სამშობლოს სიმღერას“, ცრემლს კი წინამურს უკავშირებდა, აქვე ბარათაშვილზე ფიქრი აემგზავრებოდა, ღვთაებრივ სიჩუმეს, ღვთაებრივ ქვითინს უსმენდა, სჯეროდა ბედის

სიწმინდე: „...შენს სამარესთან მოვიყრი მუხლებს... ცა გაიხ-სნება და უცბად, მძლავრად აგრიალდება მარადისობის ბოხი ზარები. შენ პოეზიას ვეზიარები და წინამური მომგვრის ცხელ ცრემლებს. ჩემი ოცნების დიდო გენია. ჩემი სამშობლო არის სიმღერა, ცრემლი კი მარად წინამურია... შენს სამარეზე ბარათაშვილის წვეთები უონავს. აქ არის ჩემი ბედის სიმშინ-დე... რა ღვთაებრივი სიჩუმე სუფევს, რა ღვთაებრივი ქვითინი ისმის“ (მამადავითის მთაზე გაუხვევ) (2, 237).

ერის სულიერი მამა ესახებოდა სამშობლოს სიყვარუ-ლის, მისი უანგარო მსახურების შეუდარებელ ნიმუშად: „...თბილისი შენთვის რომზე დიდია. ფხიზლობ მეუფევ და გულისყური სულ საქართველოს გულზე გიდვია. გინდა, რომ ოფლი სულ არ შეგამრეს, გაჰყვე ეპოქებს, ვით ძლევის სფინ-ქსი. თბილისი-შენი ფიქრთა ზედაშე, შენი შუბლი და შენი სინდისი“ (მამადავითი პანთეონი. ილია ჭავჭავაძე) (2,157).

თბილისში ეწვეოდა შთაგონება, რასაც ბედის წყალო-ბად მიიჩნევდა: „გადმოვარდება მაღლობიდან ღრმა მდუმა-რება, ბუჩქებთან ქარში დაიბუდებს ჩემი სიჩუმე. თბილისი სადღაც დაიქუსებს, გაავდარდება და ლაჟვარდების გაგიჟე-ბას ლექსებს აჩუქებს. სისხლების თქეში მქრალ ბილიკებს ააწიოკებს. თურმე ჯერ ბედი სულ არ ჩამქრალა“ (სტვენა თბილისში) (2,16).

პოეტს ქრისტიანული რწმენა, სამშობლოს შვილთა დიდი ინტელექტი ამხნევებდა, დედ-ძის მოვლინება ესახებოდა ბო-როტების, სულიერი, პოლიტიკური ავდრების დამარცხების ძალად: „ტაძრის გუმბათზე ჩამოჯდება ცალფეხა ძერა და და-ინყება საშინელი, ვერაგი წვიმა. გამოქაბული, ირემი, ორტო-ტა ავდრები, ილოცებ დიდხანს და ღვთისმშობელი კი სარ-კმლიდან აშარ სეფისკვერს ქრისტეს ჩუმად გადააწოდებს“.

...ისევ და ისევ ღვთისმშობლის მოვლინება ენუგეშებო-და: „აქ ღვთისმშობელი დადიოდა ავდრიან დილით“ (შენ წა-მოდგები, განთიადი ზარებს ჩამოჰკრავს) (2,154).

ნარსულის საოცარი, დამამწუხრებელი ხილვა ეწვევა

პოეტს ბეთანიაში: „ახლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზე ჯალა-ლედინის შემოკრულ სილას“, რაზედაც როსტომ ჩეიძე ძალ-ზე მიგნებულ პარალელს პოულობს: „პოეტი (ნ. სამადაშვილი) თვითმხილველივით განიცდის ძლევამოსილი ქართული სა-ხელმწიფოს დამხობას და პოეტური წარმოსახვა „ეხლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზედ ჯალალედინის შემოკრულ სილას“ გვაგონებს გიორგი ლეონიძესთან შეხმიანებას თემურ ლენ-გის შემოსევის გამო: „თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა და ერთი ფეხით ვერ მივუსწარი“ (11,23).

თავისი დროის წარიყალა პოეტმა განჭვრეტა, „ვით დი-დების სვეტი, მისნობა“ (იცი, რა იყო ჩემი სიზმარი?) (2,5).

თითქოს „ქარის მოთქმა მამაპაპურიც“ იმაზე აკეთებს აქცენტს, „რაც მაკმადებმა დაგვატეხს უბედურება“ (ო, რო-გორ მიყვარს) (2,249).

მთაწმინდაც შაჰ-აბასის ვერაგობებს ამოატრიალებდა ხსოვნაში (მთაწმინდა) (2, 262).

იყო წუთები, როცა პოეტს, მთები „კაცობრიობის ჩან-ჩების გროვად“ ეჩვენებოდა, მტკვრის პირზე აზიდული ხერთვისი „როგორც სამშობლოს ტანჯვა და გლოვა“ (რევი-ზიის დროს) (2,41).

გარეჯის მონასტერში ექვსი ათასი უდანაშაულო ბერის ბარბაროსულ ამოწყვეტას შაჰ-აბასის ბრძანებით და ჯალა-თი ვეზირის მიერ ამ საზარელი ტრაგედიის შემდეგ „მხენე ბალდადურის“ წამოწყებას თვით მსოფლიო მასშტაბით არ გააჩნია ანალოგი და მარადიულად დაისმება უპასუხო კით-ხვა: რა დაგიშავეთ?“.

„...ექვსი ათასი კელაპტარი“ ექვსი ათასი ბერი... ვერაგ სპარსელებს რომ ქართველები ქვესკნელისკენ გადაერეკათ. ასავსავებდენ სამიწე ხელებს. სულ ამოწყვიტეს, რომ დაკ-ლულთა საამურ ხრიალს აქ ვუსმენდე! გესმით! სწრაფად! ბრძანა მტარვალმა. ექვსი ათასი ბერი დაკლეს ბასრი ბებუ-თით, თვით მონადირეც არ დახოცავდა ექვსი ათას მწერს. ამ მწუხარებას ათას წლებში რა დამავიწყებს, ამ სისხლის მო-

რევს ჩემს გარეჯში ვინ დაივიწყებს... ურდონი ჩოხის კალთა-ზე იწმენდნენ ბერის სამოსზე სისხლით გასვრილ ტურტლიან ხელებს. კვნესოდა მთელი მონასტერი გულამოსკვნილი, განუკითხავი, უსაშველო და უბედური. ცაზე წამლადაც არ მიჩანდა ერთი ვარსკვლავი. მხოლოდ შაპ-აბასის ვეზირს წამოეწყო მხნე ბალდადური... რა დაგიშავეთ? ვერაგ სპარსელებს ექვსი ათასი საუკუნე შეეკითხება. ქვეყნიერების დასასრული ერთხელ კიდევ “... (გარეჯი) (2.,

ნარიყალაში ისევ შაპ-აბასის „დურდლო ჩრდილი“, ქართველების ბედითი წარსული აძრწუნებდა: „ჩვენ შახაბასის დურდლო ჩრდილი შეგვაურიალებს. ხან წარსულ დღეთა მორევებში ჩავიძირებით. ო, ნარიყალავ, ერეკლეს ბიჭი შეინახე-მაცხოვრის მზვარა. მოვალ, ზედაშეს ჩემი სისხლით გაგილიცლიცებ, ჩემი თბილისი შენს ცრემლებით ბევრჯერ დამწვარა. ო, ნარიყალა, შენი ციხიდან გაბლაოდნენ და გაჰყიროდნენ საუკუნენი, რაც გადახდათ ქართველებს წინათ“ (სახლი ნარიყალაზე) (2,244).

თბილისში, ნარიყალასთან, შაპ-აბასის აჩრდილი, „წარსულის თალხი“ ევლინებოდა, არაქართული ხმები, ზურნის, საზანდარის ხმა ესმოდა, მაგრამ ეამაყებოდა მისი დიდება, სიბრძნე: „დღეს ნარიყალას თალხი წყალში გადაუყრია, ის ამარულა, ვით დიდების სვეტი, მისნობა“ (სახლი ნარიყალაზე ნუკრიას) (2, 113-114).

ნიკო სამადაშვილის ლექსების უდიდესი ნაწილი თავისი თანამედროვე, საქართველოდან გაუცხოებული, გარიყული პოეტის უმძიმესი ტრაგედიის ამრეკლავია, საყვედურია ქვეყნისადმი, რომელსაც კავშირი გაუწყვეტია ყოველივე ქრისტიანულთან, ჰუმანურთან, მიზანში ამოუღია ყველა ღირსეული, ჭეშმარიტების მსახური შემოქმედი და მხოლოდ მედროვეთ, მლიქვნელთ, „სისხლით დასვრილი ვერაგი წლების“ გამმართლებელთ წყალობს.

ნიკო სამადაშვილი არ იყო, ვერც იქნებოდა ისეთი სულიერი წყობის ადამიანი, სატანური, სისხლისღვრით მოსუ-

ლი და სისხლის ტბების დამყენებელი ხელისუფლების მეხოტბე გამხდარიყო.

პოეტი არ იყო არცერთი პარტიის წევრი (თუმცა იმ დროს მხოლოდ კომუნისტური პარტია იყო, ისიც ნიჭიერებაზე „მზრუნველი“), რაც მისი, როგორც პოეტის წისქვილზე ასხამდა წყალს. ის პოლიტიკაში არ ერეოდა, მაგრამ ამითაც ამტკიცებდა, რომ თავისი თანამედროვე კერპების მქნელ ხელისუფლებას უპირისპირდებოდა. მის მიერ სამშობლოს მისამართით გამოთქმული საყვედურები მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სათავეში მოქცეულ ტირან ხელისუფალთ მიემართება და არა მსოფლიო კულტურის შემქმნელ, სულიერებით გამორჩეულ ერს.

გოეთე წერს: „პოლიტიკა ბედისწერაა. თუ პოეტი პოლიტიკაში გარევას მოინადინებს, ის რომელიმე პარტიაში უნდა შევიდეს, მაშინ ის დაკარგულია, როგორც პოეტი. მაშინ ის უნდა დაემშვიდობოს თავის თავისისუფალ სულს, მიუკერძოებელ თვალსაზრისს და დაიხუროს რაღაც სიჩლუნგის, სხვათა მიმართ ბრძა სიძულვილის ჩაჩი.

„პოლიტიკა ქანცავს, შეიკლავს პოეტს, რომელიმე პარტიის წევრობა და ყოველდღიურ მღელვარებაში მონაწილეობა არ არის პოეტის ფაქტზე ბუნების საქმე. თავის სიმღერას დაემშვიდობება და ეს გარკვეულწილად დასანანებელია“ (1, 234-236).

ნიკო სამადაშვილის განდგომა პარტიული წრეებისგან ნიშნავდა მის სწორ პოზიციას, პოეტს თავისი წევატიური აზრი ჰქონდა იმათზე, ვინც სისხლისღვრას, ტერორს, დაუნდობლობს ახვევდა თავზე ხალხს, მთელ ერს.

„ფერისცვალების“ ავტორი ერთ-ერთი ძალზე გამოკვეთილი ოპოზიციონერი პოეტი იყო, პარტიული წრეების, ქვეყნის სათავეში მოსული „თავადების“ მუხანათობების მამხილებელი. მის მიერ სამშობლოსადმი გამოთქმული საყვედური უნდა აღვიქვათ, როგორც კრიტიკა იმ ფანატიკოსებისა, რომლებიც აგრესით, სისხლისღვრით მოვიდნენ ხელისუფლებაში და მერე თვით იქცნენ ხალხის მტარვალებად და არავის აძ-

ლევდნენ განსხვავებული აზრის გამოთქმის საშუალებას.

ამიტომ გრძნობდა ნიკო სამადაშვილი სამშობლოსგან სიცივეს, წამებას, ჩანიხლვას (ნუთუ ის აღარ განმეორდება) (2, 27), მდურვას (პალმებთან) (2,192), მისი ამ მდგომარეობის გამომხატველი ეპითეტებია: „ბორკილდადებული, გათოკილი, სულშეხუთული“.

„ჯოჯოხეთის პირქარი ქროლა“ არ ასვენებდა, თითქოს საკუთარ ცხედარს მიჰყვებოდა (ჩემი პირტრეტი) (2, 223).

მამულის, მისი წარსულის, კულტურის, სულიერი სიდიადის, დიდი ეროვნული პოტენციის ჩვენების პარალელურად, ნიკო სამადაშვილს აქვს არა სახოტბო, არამედ ხელისუფლების პოლიტიკის, დიქტატურის, ტირანიის მამხილებელი ლექსები, რომლებშიც ის პირუთვნელად წარმოაჩენს ამა ქვეყნის ფეოდალთ, რომლებიც არა ინტელექტის, ნიჭის მიხედვით აფასებენ შემოქმედთ, არამედ მლიქვნელობის, სიყალბის, შავის თეთრად გამსაღებელთ, ფსევდოხელოვანთ სწყალობენ, ორდენ-მედლებს ჰკილებენ, პრემიებს ურიგებენ სიცრუის, უსამართლობის აპრილოგეტებს. ეს იყო საუკუნის ბოროტება, რასაც შეეწირნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მუდმივ დევნას განიცდიდნენ კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი. ხოლო გალაკტიონი გადაარჩინა ერთგვარმა კომპრომისმა.

ამიტომ ურჩევდა გალაკტიონი ნიკო სამადაშვილს, არა-ფერი დაებეჭდა, რათა მისი შემოქმედებაც არ შეერყვნა პოლიტიზირებულ, ანუ როგორც კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა, „ქორმეძებრებიან ცენზურას“.

ნიკო სამადაშვილს არაფერს უბეჭდავდნენ, მისი აუდიტორია იყო სამიკიტნო, ვიწრო სამეგობრო წრე, „მოგვების“ წრე, სადაც ჭმუნავდნენ „ავდრებზე“.

გალაკტიონი „ავდრის მოლოდინში“ პოლიტიკურ ავდარს გულისხმობდა, სულს უხურავდა „მებალის“ — ღმერთის უარყოფა.

ტერენტი გრანელსაც ურნმუნოება, ზემინიერი ძალე-

ბისგან მოწყვეტა ამგლოვიარებდა: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

ნიკო სამადაშვილი ჯვარცმულად გრძნობდა თავს (შდრ. გალაკტიონი: „ბავშვობიდანვე, იყავი მარტო, ჯვარზე გაკრული“), „პირქუშ კაცთ სამყაროდან“ თავის დახსნას ცდილობდა „მარადისობის კოშკების“ პატრონი.

თავისი თანამედროვეობა, ოფიციოზი „პოეზიის გერად“ მიიჩნევდა, პოეტი ცდილობდა „მონადირეთა“ ქამანდს გასხლტომოდა, ბორკილები აეყარა. სამშობლოდან გაძევების, სადმე ჩაძალლების შიში აეკვითებოდა, ქარაგმად ქცეოდა სიცოცხლე, სამშობლო ...ღრუბლები, შეუცნობლობის ნისლი, დაუნდობლობა, შიმშილი აწამებდა ორჯერ პატიმრობაში ნამყოფს, გარიყულს.

სასაფლაოდ აღიქვამდა მთელ სამყაროს, ნადირების, მგლების, ნიანგების ასოციაციას უჩენდა შექმნილი ვითარება, კატორლას უმზადებდა ცხოვრება (რევიზის დროს) (2,41)

ერთგან თითქოს თვითონაც სიძულვილისთვის გაემეტებინა „დედინაცვლად“ მოვლენილი სამშობლო: „მე შევიძულე ჩემი სამშობლო, რადგან სამშობლოს ვძულდი სულ მუდამ“.

„ლექსის ფარაონს“ ეშინოდა, რომ „ჯიბგირობას“ დააბრალებდნენ და სადმე ჩაძალლებისთვის განირავდნენ.

საქართველო „ალისფერი დარდი“ იყო პოეტისთვის (ოდესალაც ახლობელს).

მაინც სჯეროდა, რომ მამული მოიძიებდა მისი „ლექსების ბაჯაღლოს“, და შორიდან გრძნობდა თავის ღირსეულ აღიარებას: „...ღრუბელი ღელავს, ძირს ქარბუქია და საქართველო მაინც მეძახის“ (მაინც).

დიდი წინამორბედების, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის დარად, პოეტს სწამდა საქართველოს მარადიულობა: „უმანკო მიწავ, წინაპართ მოდგმავ, იქნები, სანამ მტკვარი გცემს ტალღებს, სანამ ქართველებს სული უდგიათ და ნ იავქარი შენს იალაღებს“ (საღამო თბილისში) (2,146).

დამოწმებანი

1. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა, ბათუმი, 1988
2. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004
3. ტიციან ტაბიძე, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ. 1985
4. ანა კალანდაძე, ლექსები, „მერანი“, თბ. 1982
5. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, „ივერიონი“, თბ. 2016
6. კლიმენტი შელია, კოლხეთი-ჩვენი სამყაროს კარიბჭე, პუბლიცისტური ნარკევი, თბ. 2008
7. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2011წ. 29 აგვისტო — 4 სექტემბერი, №5
8. ვლადიმერ ვახანია, კოლხეთ-საქართველოს ეპოსი. ქრისტეს ბოლო სიტყვები. ლაზარეს აღდგენა, თბ. 2011
9. აკაკი ბაქრაძე, რწმენა, თბ. 1990
10. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2006
11. ნიკო სამადვშილი, შეხვედრები და სინანული, „მერანი“, 1995

და საქართველო მაინც მეძახის

ნიკო სამადაშვილმა ტოტალიტარული საბჭოთა იმპერიის პროვინციადქცეულ საქართველოში იცხოვრა. სისხლით, ტირანიით, ახალი კერპების შექმნით, ყალბი ორიენტირებით ცნობილი ეპოქა არა პრინციპულ, ობიექტურ, სიმართლის მსახურ შემოქმედთ, არამედ მედროვეთ, უნიჭოთ, ხელისუფლების მეხოგბე — მეტაშეთ სწყალობდა. იდევნებოდა მართალი სიტყვა, დროის უკუღმართობა — უკეთურობათა მამხილებელთა თავზე დამოკლეს მახვილი ეკიდა.

ნიკო სამადაშვილი იყო ამა ქვეყნის თავადთა უკომპრომისო ოპოზიცია: „ის არ ცეკვავდა ფეხის ცერებზე, არც ყურს უგდებდა ეპოქის ჭიდილს“ (ლვინის სარდაფში) (1,56).

თავის გამორჩეულობას პოეტი თვითონვე უსვამდა ხაზს: „გინახავთ კაცი, საუკუნეს ხმითაც არ ჰგავდეს და ყოველ დილით სისხლის ჭოჭი ღვაროს სახლიდან? ან სინათლეში მოიწყინოს, მერე გათავდეს. ასეთი ყოფა ცხენზედ შემჯდარ ეშმაკს დალლიდა“ (გათხრები) (1,66).

ნიკო სამადაშვილი ეზიარა არა წუთისოფლის წარმავალ, ეშმაკეულ სიბრძნეს, არამედ საღვთო, მარადიულ ჭეშმარიტებებს.

გენიის მომმადლებელი, ნიჭის მზრდელი უზენაესია - დიდი წუგეში და ნათელი, ქაოსებში მოარული სულის შუქი და სასოება, წმინდა სულებისთვის ხელის შემშველებელი: „შენ ელვარებდი ნაღვერდალივით, შუქს სცემდი ღამეს და სასოებას, რამდენი შვება მოჰქონდათ, ღმერთო, შენს გულს, შენს ფიქრებს, შენს მყუდროებას... ო, რა წუგეშით შემოვცქეროდით ქაოსის იქით გაშვერილ ხელებს. ტყის ყვავილების სუნთქვით დაგვზარდე, თან დედასავით გვაყრიდი ნათელს, ისეთი გზნებით რეკდი დიდ ზარებს, როგორც ხატისგან შეშლილი მნათე“.

პოეტის რწმენით, თვით სამარის ლოდიც ვერ დაფარავს სულის სამრეკლოს და ახალ სიტყვებში განსხეულებულ ქვეყ-

ნიერებას: „დავიხოცებით, დაგვსუნთქავს ლოდი, გარემო ყვითლად დაიფერება, შორს გამოჩნდება ჭროლა სამრეკლო და შენი ჩუმი ქვეყნიერება“ (გენია და სამრეკლო) (1,67-68).

მორწმუნეობა, მაცხოვრის მორალის გათავისება, ეროვნული იდეალები როდი იყო მთავარი ათეიზმის ბაცი-ლებით დასწებოვნებული, სისხლით მოსული ტირანების-თვის: „გინახავთ კაცი, ტაძრის ზღურბლით ლოცვებით მთვრალი, ყრმა მაცხოვარის ნაფეხურებს რომ გაჰყოლოდა. შორს იღრუბლება. ანთებული ლოცვები დამაქვს, ვით ნაწვი-მარი მთების ზვავი, გულის ნაქარი. ზედმეტსახელად პოეზი-ის გერი დამარქვეს, თითქოს ჩემს მრნამსში არ ღვიოდა გუ-დამაყარი... ქართულ აგურის იატაკზე დამხობილ პოეტს ორ-ტოტა ცეცხლი მეკიდება, ვატყობ, ვრინდდები“ (ისევ ვლო-ცულობ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს) (1, 110).

პოეტის უმთავრესი ესთეტიკური პრინციპების გამ-ჟღავნებაა შემდეგი სტრიქონები: „...სიზმრების ნიშზე ანთე-ბული მგზავრის ფარანი. განცდების ზვარი. ლაჟვარდების უსურვაზებში მივარდნილი ქვეყნიერება, ულეველ გზებზე ატეხილი მშვენიერება“ (სტრიქონების ქარაფი, ციალა თო-ფურიძეს) (2, 69-70).

სიზმარს, გამონაგონს დიდი ხელოვნების ერთ-ერთ უმ-თავრეს ინგრედიენტად მიიჩნევდნენ სტეფან ცვაიგი, დოს-ტოევსკი, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი.

პოეტი მოგზაურია მიწაზე, ზეცაში, ცათა ცაში, ქვეს-კნელში, უდაბნოში, მიღმურში, სულის ლაბირინთებში, ის არის უდაბნოს „ბედუინი“, როგორც გალაკტიონი.

დიდი შემოქმედი, კლასიკური მწერლობის მიხედვით, ხალხის მოძღვარია, მართალი გზების მაჩვენებელი, ზნეობ-რივი მასწავლებელი.

ნიკო სამადაშვილისთვის პოეტი მარადისობის გზებზე მოარული, მთელი კაცობრიობის სიბრძნის მომხელთებელი „მოგვია“, „ასურეთელი მოგვის დარი ფარეში ... გულთამხი-

ლავი“ (სახლი ნარიყალაზე) (1, 244).

მისი „ლექსის ფარანი“ ხილვაა, ზმანება.

პოეტი ხედავდა სხვათაგან უხილავს: „...ბინდების გაღ-
მა წყალივით ჩანდა მარადისობის ჩუმი უდაბნო“ (ფილტვე-
ბის სიყვითლე) (1,51).

დიდი პოეტები ხომ საღვთო სიბრძნის ადეპტები, „ფიქ-
რგანდობილები“ (გალაკტიონი) არიან, რომლებმაც მსოფლი-
ოს უნდა ამცნონ ბედის საზღვრის, ხილული სამყაროს მიღმა
მოხელთებული ჭეშმარიტებები, კოსმიურის, დაუსაბამოს,
პლანეტებს იქით დაფარული საიდუმლოებები და „უხილავი“
შთაგონებდა თითქოს: „...უნდა მსოფლიოს კიდევ, გაენდო“
(დაუსაბამობის ხილვა) (1,43).

ნიკო სამადაშვილი ერთდროულად იყო მომადლებული
ჭვრეტის, სმენის განსაკუთრებული უნარით: „...აქ არის ხილ-
ვა, ზარების სმენა და პოეზიის გადარჩენა“, ამბობს ერთგან
(1,231).

პოეტს ესმოდა ათასწლეულების ხმები, ანამებდა აე-
თისტური ეპოქის ტრაგედიები: „...ისმის ზუზუნი ათასი წლე-
ბის. მას უწოდებდნენ ფიქრების ფარეშს და ჩაძმარებულს
ბინდების ნარჩედ. ის ჰგავდა ღმერთის გლოვის აფიშას, გაკ-
რულს ამ ტიალ დედამიწაზე“ (საით, ვინ იცის) (1, 217, 218).

„წუთისოფლის გაღმა“ დარეკილი ზარებით, ხილვების
სამყაროში დავანებული ლანდებით, სიზმრებით ივსებოდა
ყოველი ღამე: „ყოველ ღამე სიზმრებში ვარ, გულს ლოცვე-
ბით ვატიალებ. საყდარი სჩანს, ზარებია და მეც ლანდებს
დავტირიალებ. სადღაც მნათე ზეცის თაღს რეკს, წუთისოფ-
ლის კარგა გაღმით... ქაოსები გზებს კენკავენ, ასე ხდება ყო-
ველ ღამით“ (მილულვა) (1, 91).

ნიკო სამადაშვილის „შთაგონების აგარაკში“ ისმის „ბეთ-
ხოვენის ფრთხილი ნაბიჯი, ელდაშეწნულ ყვავილთა მწუხრი...
პანაშვიდებთან ქარის ბალადა“, იხილვება „გუბე- გუბე განგე-
ბის ჩრდილი. მონასტრის ეზო“ (თამარის მღვიმე) (1,68).

პოეტს ესმოდა „უსასრულობის ქარბუქების ღმუილი“

(დაგასაფლავეს დიდ მუნათით და მიგატოვეს) (1,156), „ცი-სარტყელების ცეკვა“ (ფილტვების სიყვითლე) (2,133).

ნიკო სამადაშვილის ლექსებში შეიგრძნობა „დაკარგული, ღიმშეშლილი და გადარეული გრძნობა“ (ნიკო იაშვილს) (1,210).

„უსაზღვრების დაბლობებს შუა ჩანდა ბინდების გრძე-ლი ორლობე“, წერდა ლექსში „იცოდე“ (1, 142).

ნიკო სამადაშვილისთვის პოეზია იყო ბედისწერაზე გა-მარჯვების გზა: „მძიმე სახადის დარად მღრღნიდა ეს პოე-ზია, თითქოს რაღაცას მოველოდი, ბედის დამთრგუნველს“ (მუხლდაქანცული მივყვებოდი ყაყანა ქარებს) (1,128).

შემოქმედის ურთულეს გზებზე მიანიშნებს ბინდები, ნამ-ქერი: „სადღაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი, ვინც სამ-ყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა“ (არავის ერჩის) (1,195).

პოეტის შუბლის ფიცარზე მთელი სამყაროს ტრაგედი-ები ირეკლებოდა და დედამიწიზე ადამიანის მოვლინების აზრს ეძებდა: „...საკინძგახსნილმა შუბლის ფიცარზე ვის არ უყურე, ვის არ ეხვეწე, ბოლოს კი დარდი: დედამიწაზე ნეტა-ვი რისთვის შემოვეხეტე?“ (წაშლილი კვალი) (2,141).

ნიკო სამადაშვილს ეიმედებოდა მომავლის მართალი მსჯავრი, რომ საუკუნეები მიაშუქებდნენ მის ნალვანს „სან-თლებს, ჩირალდნებს“: „ჩემს სიმღერებში შეანთებენ საუკუ-ნენი სანთლებს, ჩირალდნებს, ფეხაკრეფით, ჩუმის ზმანე-ბით“ (დაჯდება მარტო) (1, 215).

ის იყო „ლაჟვარდების სხვენის“, ქვესკნელის, კოსმიურის ჭვრეტის უნარით მომადლებული, ლოცვით, მარტვილობით გაბრძნობილი: „შენ კი მწირივით მიიღტვოდი მღვიმეებისკუნ, მისტერიები დაგყვებოდნენ ამორძალებად, თვალი გეჭირა ქა-რებშეშლილ ლამეებისკუნ და მათხოვრობდი ეზო-ეზო მარადი-სობას“ (საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა) (1,269).

„გულის გეჯიდან“ ნახადი სტრიქონებიდან მოდიოდა „წმინდა და საკვირველი სერენადები“: „რა კარგი იყო, რა კე-თილი ფიქრების შარა“ (პოეტესა) (1,170), ამბობს პოეტი.

თითქოს საკუთარი პოეტური პორტრეტი შექმნა ერეკ-

ლე ტატიშვილისადმი მიძღვნილ შემდეგ ტაეპში: „ის კამკა-მებდა, ვით ქრისტეს ლოცვა, ბნელ გრიგალების კოშკების იქით, ტანზე კვირაძლის სიმღერა ეცვა, თან შრიალებდა, როგორც ტირიფი“ (ერეკლე ტატიშვილს) (1,126).

წმინდა წერილის მიხედვით, ნიჭი სამების მესამე წევ-რის — სულინმინდის მადლია (პავლე მოციქული, I კორინ-თელთა, 1,10) (3,374).

შთაგონების მოვლინება შუა საუკუნეების ესთეტიკაში ქარის დაბერვის, საღვთო ნიავის, სიოს მოვლინების სახით გამოიხატებოდა.

შთაგონებაზე მიგვანიშნებს ვაჟა-ფშაველას „ციური ნი-ავი“, აკაკი წერეთლის „მახარობელი ნიავი“ „სულიკოში“, გა-ლაკტიონის „მზერადიადი სიონი“, „ლურჯა“ „ცხენების“ „ეფემერული და ფერადი ქარები“, ქარის დაბერვა და ოცნე-ბის აჩანჩქარება“, ტერენტი გრანელის „იდუმალი ქარი“.

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში გამუდმებით უბე-რავს „ზენა ქარი“ ანუ ევლინება შთაგონება (ნარსულის კვა-ლი) (1,79).

„ზენაქარის აურაცხელი სიმღერებია“ ლექსში „ჩემი თბილისი“ (1,92-93).

„შერყეულივით მიმაქვს ქონება. მიყურებს ქარი. ჩიფჩი-ფებს რაღაც დაბურულ ზღაპარს“, წერს ლექსში „მოვკვდები, ნავალ, ვინ მომიგონებს“ (1, 183).

„როცა ქარია და ხეებზე სხედან ლექსები, შენს სამყა-როსთან რომ მოვიდე, განა ღირსი ვარ“, ნათქვამია ლექსში „მე ვიცი“ (1, 231).

„ის ყურს უგდებდა ქარის სიმღერას. მისი სხეული იყო სათონე იყო და ძველებზე ჩუმად ისხდნენ ლექსები. ღვთისმშო-ბელს ქრისტე კვლავ უჩურჩულებს, ცოდოა, ცოდო, არ გაიმე-ტო“ (ჭანდრებთან) (1, 131), ასე უკავშირდება ერთმანეთს უფა-ლი და მის მიერ მოვლენილი შთაგონება, როგორც წყალობა.

ლექსში „ნაშლილი კვალი“ ერთდროულად ფიგურირებს შთაგონების ზენა ქარი და საწუთროს მნგრეველი ქარი: „შენ

ზენა ქარი სახლშიც გიბერავს, ხშირად გაღვიძებს გულის ტი-
როლი. გახსოვს საწუთროს ქარმა რომ უცბად განათებული
ცა გადაგლიჯა“ (წაშლილი კვალი) (2, 141).

სულ შორს და წინ ისტრაფოდა ფართო თვალსაწიერის
პოეტი: „შენ შორს მიდიხარ და ერიდები გზის ნაპირებთან
ხრამსა და ფლატეს, ნუ მეშინიან, წინ გასწი მარდად, განთია-
დებმა თუ გიღალატეს“ (შენ შორს მიდიხარ) (1,236).

ერთი მხრივ ებრძოდა ცოდვების ზღვას, ამასთან, უყ-
ვარდა „სიზმრის ჩვენება“, პოეზია და „ოკეანეს სიმფონია“
(ნაწყვეტები სინანულიდან) (1, 191).

პოეტი აცხადებდა: „პოეზია გულამოსკვნილი სიმღერა
არის, ის ხელოვნების ცისკრის ციმციმზე და მარადისობის
ატეხილ ზარების ჰანგებზე როკავს. პოეტი ქარივით ამოვარ-
დება, რომ სამყაროს ნისლმოდებული კალთები შეაშრია-
ლოს“ (ქარაგმა) (2, 73).

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში უმთავრესია მარადიული
პრობლემების დასმა და მათზე დამაჯერებელი პასუხების
ძიება: „მარადისობა დიდხანს მეფობდა. პოეზია მარადისო-
ბამ დაასწეულა“ (მთვლემარე ცისკარი) (4,27).

ძალზე ხშირად იხსენება ქართველი პოეტის შემოქმე-
დებაში პაგანინი, ბეთხოვენი, ბახი, არც „ზღვის სიმფონიის“,
„ზამთრის სიმფონიის“ ხსენებაა შემთხვევითი.

„ამბობენ: მუსიკამ შობა ქვეყნიერება! ვინ იცის?... რო-
ცა სამყაროს აშენებდნენ, ხუროთმოძღვრები თურმე დაი-
ქანცნენ. ხელები დაუდუნდათ. ამ დროს ცის ოთხივ კუთხით
მუსიკის ჩანჩქერები აგუგუნდნენ, ყველას ძალლონე გაუას-
კეცდა, საწუთროს მოჩუქურთმება დაამთავრეს და ჭერი
ჰანგების დუღაბით გადახურეს. იმასაც დასძენენ, რომ ვარ-
სკვლავები მოქანდაკეთა ცრემლებიაო.

„მუსიკამ შეიტყუა ადამიანი დედამიწაზე. მუსიკას შეს-
წევს უნარი ადამიანის დამყაყებული სულიდან გამოხადოს
სიხარულის უშრეტი სურნელება.

„...ჩვენი დედამიწა... რა კარგი საკონცერტო ადგილია,

მაგრამ... რამდენმა მოდგმამ ისე უფერულად ჩაიარა, ისე უშ-ნოდ იტორლიალა, რომ ერთი სალამურიც არ დაუკრავს, ერთი სტვირიც არ ჩაუბერია“, წერს პოეტი (შადრევანთან) (4, 58).

„...ხანდახან სივრცეების გასწვრივ ჩამორეკილ ზარის ნიაღვრებს მერცხალივით უნდა ჩაუქროლო“, ამბობდა „ფე-რისცვალების“ ავტორი და „სალამო ხანი ზარებს რეკავდა, ურუანტელს გვრიდა ცის ხმის სიამე!“...

ნიკო სამადაშვილის ერთ-ერთი კუმირი ფრიდრიხ ნიც-შე „ყველა ნაწერებიდან“ „სისხლით დაწერილს“ გამოარჩევ-და.

„ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად“ (დი-დოსტატის მარჯვენა), აცხადებდა კონსტანტინე გამსახურ-დია. „ვწერდი სისხლით“, ნათქვამია გალაკტიონის „ხელოვ-ნებაში“, „ცრემლი და სისხლი“ ილვრება ტერენტი გრანელის პოეზიიდან.

ნიკო სამადაშვილის ლექსები „ამოვლებულია სისხლის ენდროში“ (შენი სურათი) (1,171). „სისხლების თქეშია მისი ლექსების ბილიკებზე“ (ხვალ) (1,160). „და მაჯაჯია სისხლის პერანგი“, აღმოხდება „ბედგაძარცულ პოეტს“ (გადამეყვლი-ფა გული დარდებით) (1,157).

„ყველი ლექსი გულის კურთხეულ სისხლში უნდა იყოს ამოვლებული ...ქაღალდზე დაცემული დიდი შემოქმე-დების სისხლის წვეთი გერჩივნოს უნიჭო ადამიანების აჭრე-ლებულ თაბახებს“, ხაზგასმით ამბობს პოეტი (1,61).

გულის სისხლთან ერთად, ძვლიდან გამოთლილი სალა-მურია ნიკო სამადაშვილის პოეზიის მეტაფორული მახასია-თებელი: „ათასი წლების ნახირი ნავა, ძოვით შუქს გაღმა, სივრცეებს იქით, მაგრამ, ვერავინ ვერ დარწმუნდება, ძვლი-დან სალამურს როგორა ვთლიდით“ (გრძნობა) (1, 234).

თითქოს შუქია პოეტის მიერ დათხეული სისხლის საფა-სური: „შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს, თითქოს მე ვიყო გამოქვაბული და ჩემს ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს“ (ჩე-მი პორტრეტი) (1, 223).

პოეტს სჯეროდა მხატვრული სიტყვის ყოვლისშემძლეობა, ესმოდა მარადისობის ზარები, ხედავდა ცის გახსნას, ხვდებოდა მზეს, ლაუგარდებში ნავარდობდა: „ცა გაიხსენება და უცბად, მძლავრად აგრიალდება მარადისოდის ბონი ზარები... მე შემიძლიან ზეცა დავქორო მარადისობის ზარების ტაშით. მე შემიძლიან, რომ ცას დავეყრდნო და მზეს შევხედე. რომ ცის ლაუგარდებს გავუხვიო ჩემით იმედით და ლაუგარდები დაგიგო ქვეშ და დაგიფინო, როგორც მწუხრი“ (მა-მადავითის მთაზე გაუხვევ) (1, 237- 238).

ბედის ღრუბლის გაფანტვის მაცნე იყო პოეტის სამრეკლოდან მომავალი ზარის ხმა: „ბედის ღრუბელი პინდის იქით ყრუთ იფლობოდა, გაოგნებული სამრეკლო კი რეკდა და რეკდა“ (დამასაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს“ (1,261).

ნიკო სამადაშვილის ლექსებში გამუდმებით ირეკება მრავლისმთემელი ზარი: „ისეთი გზნებით რეკდი დიდ ზარებს, როგორც ხატისგან შეშლილი მნათე“ (გენია და სამრეკლო) (1,52).

ლექსში „სიმართლე“ (1,170) პოეტის უმთავრეს დანიშნულებად მიჩნეულია არა მიუღებელი ცხოვრებისათვის ზურგის შექცევა, არამედ რიურაჟების ხილვა, სიმართლის მსახურება: „ვინ მისცა პოეტს ან უფლება, ან სამართალი, რომ დაემდუროს ამ თვალუწვდენ კაცობრიობას. ან გაებუტოს ბნელ ფიქრებით შემოკვართული, ან დაემსგავსოს ძველი ბოსლის ხნიერ ობობას. თავში ქვა იცეს, როგორც უნდა წარმართოს ბედი, თუ რიურაჟებსაც ზურგს შეაქცევს, მოიღრუბლება, ასეთი კაცი იყურყუტებს ხრიოკ ქედივით, როგორც ცრემლებით მოქსოვილი ქარის თქმულება“.

გალაკტიონმა პოეტს „გრიგალი-შერყევა“ უწოდა (კოსმიური ორკესტრი), ნიკო სამადაშვილი ამბობს: „პოეტი ქარივით ამოვარდება, რომ სამყაროს ნისლმოდებული კალთები შეაშრიალოს“ (ქარაგმა) (4, 73).

„ფერისცვალების“ შემქმნელი ლოცულობდა ლიტერატურაზე, ამასთან, დანტესის სახით შეაჩვენებდა ყველა უკეთურს,

სიტყვის ოსტატთან დაპირიპირებულ ჯალათს: „ლოცულობს კაცი და ავედრებს დალუპულ ლექსებს, დიახ, ოდესდაც ისიც ენთო სინათლის დარად, ის დაღმუოდა მტკვრის ნაპირზე ვერაგ დანტესებს“ (პოეტის ლოცვა) (1, 185).

ცხოვრებისა და პოეზიის, ამაღლებული იდეალებისა და პრაგმატიზმის დაპირისპირება მრავალგზის იჩენს თავს ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში: „...ახლა დავდივარ ბედგაძარლული... ჩემი ლექსები ხეზე შეფრინდნენ, მათი ჟივილი სადღა არ ყრია, მთელი მსოფლიო მართლაც ბინდდება, ქვეყანა მხოლოდ ბაყლებს უპყრიათ“ (გადამეყვლიფა გული დარდებით) (1, 155).

„ბრმა წმინდანების“ გაგების იმედი არ ჰქონდა, სანთელივით მანათობელი სიტყვების, გუდამაყარით მაღალი მრნამსის პატრონის: „...ვლოცულობ ჩემთვის და ანთებული სანთლები მომაქვს ბრმა წმინდანებთან, როგორც ჩემი გულის ნაქარი, ზედმეტსახელად პოეზიის გერი დამარქვეს, თითქოს ჩემს მრნამსში არ ღვიოდა გუდამაყარი“ (ისევ ვლოცულობ) (ჟ1, 110-111).

„ლექსის ფარაონს“ ეშინოდა, რომ „ჯიბგირობას“ დააბრალებდნენ (ლეოს წერილი) (1, 96).

„მარადისობის მღვიმეების ბინადარს“ ბრბო ამაოდ ურჩევდა: „კმარა, შესდექი, მოეშვი წერას... ხმაც შეიცვალე, სახის იერიც“ (უჯიშო ხიდან გამოთლილი ხარ) (1,31).

ჯვარცმულ პოეტს ქვებზეც გამანადგურებელი წარწერა ელანდებოდა: „რომელი ჯვარცმა შეედრება ამ ჩემს წამებას... დაიკარგეო, ქვებზე ელამს ცუდი წარწერა“ (ჩემი დღე) (1,18-19).

„მარადისობის კოშკების“ პატრონი, „ჰანგებით მდიდარი“, პოეზიისთვის სისხლდათხეული პოეტი „სახრეგადაწნული“ იყო, „ტყის ქარიშხლების“ სამიზნედ ქცეული, სამშობლო არ ცნობდა, პირიქით, ემტერებოდა (თელა და ჩიტი) (1,20-21).

კატორლად ქცეოდა მამული, შებორკილი და ჩანიხლული იყო უკეთურთაგან (რევიზიის დროს) (1,41).

„გულქვა მსოფლიო“ აიძულებდა „უბე ლექსები, „ზამბახ-

თა ჩრდილი“ გადაეყარა, მაგრამ მომავლის უტყუარი მსჯავრი ანუგეშებდა: „ცხედარი ქარში სიტყვას ამბობდა და ყვავილები მოჰქონდათ ქარებს“ (მარადისობის უარყოფა) (1,254).

ნიკო სამადაშვილი ამხელდა განდიდების მანით შეპყრობილთა „დაფხრენილ ფიქრებს“, „სიყმაწვილეს, ქცეულს ფუტუროდ“ (მოგონება და სინანული) (1,239)., თვითონ კი „მარადისობის ზარებს“ რეკავდა, „გამოქვაბულში“ ზარებს აგუგუნებდა.

„მღვიმეში“ დაოსებულიყო შემოქმედებით და იქაც მთვარე უნათებდა (თვალს არ აშორებდა) (1,253).

მისი სულის შუქი არა ვიწრო, ლოკალურ არეალს, არა-მედ მარადისობას ანათებდა: „...მე ვანათებდი ჭრელ თვალების მეტეორივით, მარადისობის ხშირ მარგილებთან) (მარგილები) (1,260).

ყოფითობაში „მოკლული ქედანივით“ უილბლოს, ბახტრიონის სიმაღლე-სიდიადის პოეზია ადიადებდა: „მწამს, რომ ფანჯრებთან იელვებს უცპად ჩემი ოცნება, ვით ბახტრიონი“ (გაყრა) (1,21).

შეუცნობლობა — დაუნახაობით გაწამებულს, პოეზიის გერად მიჩნეულს, სჯეროდა, რომ თავის კვალს დატოვებდა მისი „ფიქრების ნარღვნა“ და მომავალი კუთვნილ ადგილს მიუჩენდა: „პოეზიის გერი დამარქვეს... გადაყრილ ნიჩბებს ატივტივებს ბედი ვერაგი. თვალი ვერ მოჰქრეს, ისე შეწყდა ფიქრების ნარღვნა და ტალღებიდან აქოჩრილი ქარის პერანგი. ვიღაც მომნახავს, ჩემი ცოდვით დაიფერფლება...“

მართლაც, ახდა პოეტის წინაგრძნობა, არათუ შეამჩნია ობიექტურმა მკითხველ-სპეციალისტმა მისი პოეზია, განსაკუთრებით გამოარჩია, გაითავისა და თანამდევად გაიხადა მისი ,ფიქრების ნარღვნა, ფიქრთ გაზაფხული, ფიქრების დიდი ხმელეთი, ლექსების ნალკოტი, სიტყვის ბაჯალლო“...

„პოეზია მარადისობის ატეხილ ზარების ჰანგზე როკავს“ (ქარაგმა) (4,7), ამბობდა „მარადისობის კოშკების“ პატრონი ნიკო სამადაშვილი, ზოგადსაკაცრობრიო იდეა-

ლებზე უტყუარი პასუხების მიმგნები, როგორც ეროვნული, ისე მსოფლიოს მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ჭეშმარიტი ოსტატი.

„ბედმოკრძალებით“ დალუპული პოეტი წინასწარ ხე-დავდა, რომ მისთვის „კიაფობდნენ შორს ვარსკვლავები, მა-რადისობის ჭუჭრუტანები (მოსწყდა) (1, 158).

ნისლის, „ბნელი გრიგალების“ მიუხედავად, „პოეტის სიმღერა და უკვდავება“ მაინც გახმიანდებოდა დროთა ვი-თარებაში, უზენაესისგან მომადლებული ნიჭის შემოქმედება, მისი პოეზია ზეცაში დაივანებდა სამარდისოდ, ასეთი იყო მაღალი იდეალებისთვის მსხვერპლშემნირველი ავტორის რწმენა: „...გაივლის დრო და დიდი ხნის მერე, ღმერთი იტ-ყვიან, ნიკო გვენვია, შემოეხვევა ცის უწვდენ მერქანს ჩემი ცხოვრება და პოეზია“ (გაივლის დრო და) (1, 213).

პოეტის „ფიქრების დიდი ხმელეთი“ (შდრ. გოეთეს „სულთა დიდი სანერგე ბალი“) ჩვენი მარადიული პოეზიის დიდი სიამაყეა.

დამოწმებანი

1. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, საარქივო გამოცემა. „ლიტერატურის მატიანე“. თბ. 2004
2. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ. 2010
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
4. ნიკო სამადაშვილი, შეხვედრები და სინანული, „მერანი“, თბ. 1995

Poetry of Niko Samadashvili

Synopsis

Luara Sordia

Niko Samadashvili is one of the brightest representatives of 20th century Georgian modernist poetry. His poetry is based on high criteria typical of classical literature, the main postulates of which are religiosity, objectivity, movement upstream, acceptance of the whole national and world sorrow, and contemplation of the future. And such requirements can meet only the artists, being dedicated to the Holy Spirit, endowed with the phenomenon of clairvoyance, clairaudience. Niko Samadashvili never changed his civic and poetic position, he was never a praise of tyrannical power, for which he was in constant persecution. He was imprisoned twice, and in 1963, he left the world without printing anything. His audience was a narrow circle of friends.

Niko Samadashvili's poetry is the best sample of creative synthesis of Eastern and Western cultures, evidence of the poet's broad vision.

This work shows that the poet could not accept the orders of the authorities, the dogma of socialist realism. He himself set new standards, shared eternal truths through crucifixions, succeeded in infallible reading of the Divine Consciousness, the Akashi Chronicles.

One of the most interesting problems of Niko Samadashvili's poetry is the attitude of atheistic epoch to Christian religion. On the one hand, the poet showed the tragedies of the God-denying epoch, alienated-from-faiths dark soul, devoid of humanism, on the other hand, the search for the Almighty and the return to the centuries-old religion.

At the same time, the poet was thoroughly familiar with Buddhism, the teachings of the Gautama Buddha and sought points of contact with the Christian faith, which does not mean complete

alienation from his native religion.

The poetry of Niko Samadashvili is rich in divine symbols and symbols of the Mother of God, the sources of which can be found in the Holy Scripture, religious prose and poetry, in the works of the classics of the Renaissance XIX – XX centuries.

Niko Samadashvili was dedicated to the mysteries of Christianity, the wisdom of priests, magi, like augurs, he learned the secrets of the supernatural, earth and sky, the visible and invisible world.

His poetic philosophical lyrics are unusually remarkable. He could unmistakably read the "map of fate", neglect the pragmatic, materialistic interests of the world, faithfully serve the eternal ideals, judge events from the point of view of God, sacrifice, dedicate his life to his main hobby – poetry, which could provide him with immortality.

The poetic formula of Niko Samadashvili's happiness was to serve the truth, the eternal ideal – the artistic word, living a high moral life, fully devoting itself to it. Not millions and billions, not even gold, but the "word gold", "the dream as high as Bakhrioni as Gudamakari" were his ideals; not the "towers of peace", but the mission of building the "towers of eternity" was entrusted to him by Divine providence, and he never changed his appeal.

Day after day he made special reference to the relationship between the government and the artists, seeing well that only shackles, chains, bullets from the strongest of this world awaited uncompromising artists, but he overcame his fear and never deviated from the right path. He foresaw untimely death of his own, which came true.

With his all-seeing eyes the poet perceived not only the secrets of life, but also the world of Hades. He believed that only the body is mortal, and that the sublime, sinless soul dwells in the sanctuary of the Holy Spirit in the "heaven of the promised" after it will befall the judgment of God. In the works of Niko Samadashvili there is no

Chinese wall between the two worlds, the living appear in the afterlife and, conversely, the spirits of the dead interfere with the worldly life.

High moral life, the heavenly gift inspired the poet's soul, giving him the opportunity to explore the whole planet, to travel astral and to become an impulse to realize universal problems.

Niko Samadashvili impartially reflected his modernity, tyrannical epoch, "bloody years", intolerance, alienation that brings the poet closer to existentialism.

~My homeland is a song," the poet said and bowed to the masters of the Georgian word, the eternal wisdom inherent in their work.

The poet shared the Messianic idea that Georgia is a country, a legacy of the Virgin Mary, that Christ's garment is buried in Mtskheta, that we had mystical schools as a monastery of divine wisdom.

He agreed with Georgian and foreign historians that the Georgians were descendants of the biblical Chaldeans.

The poet, persecuted by the opposition and authorities, called his modern Georgia a "stepmother," but believed that the time would come when his primary poetry would be discovered and recognized, and later all this was indeed justified.

Niko Samadashvili used biblical paradigms to show the degeneration of the leaders of that era, created in the image of God. The poet used the faces of a crocodile, bear, wolf, deer, hyena, and snake to expose an immoral liar.

He considered the complexes of crow, flower, choty, zeera, owl, bat a characteristic feature of his time and worshipped the embodiment of the Holy Spirit _ a pigeon, nightingale and mourned heartache along with a sparrow.

The multifaceted cycle of wind, whirlwind, storm, hurricane is very remarkable, thought out in national, political, social, philosophical aspects, both in terms of evil and in terms of good.

Of particular interest is the aesthetics of fog. The poet often imagined himself to be caught in the mist, thrown by envious people. This way _ to hide a person behind the veil of envious mist _ is remarkable in Homer's "Iliad" and "Odyssey", Vaja-Pshavel's "Yalbuz" and "Yalbuz Song". In this case, we are dealing not with influence, but with the genius ability of vision and knowledge of Niko Samadashvili, who is equal to the great predecessors.

The reminiscence of great Georgian or foreign masters is manifested many times in the understanding of the peculiarities of Niko Samadashvili's poetry, which is the prerogative of future research ...

There is no doubt that the Georgian poet's work deserves attention not only on the national but also on the global scale and, if translated correctly, will certainly deserve the close attention of foreign readers.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვისაძის №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com



ლუარა სორდია არის ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მისი კვლევის სფერო მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის პრობლემები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები.

სრულიად საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირის მეცნიერ და ჯილდობულია პოეტის სახელობის მედლითა და პრემიით. ასევე, საქართველოს მეცნიერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ მიღებული აქვს ტერენტი გრანელისა და ბევან ხარაიშვილის სახელობის პრემიები.

ლუარა სორდია აფტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, „განათლება, თბ. 1991 (დამხმარე სახელმძღვანელო პრეზენტის გამოყენების სტილური და კონტენტური მეთვალყოფის აღმოჩენის მიზანთ)“, სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკას მეცნიერების სტუდიაში მიმღები მინისტრის მიღებული აქვს ტერენტი გრანელისა და ბევან ხარაიშვილის სახელობის პრემიები.

ლუარა სორდია აფტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სფინქსი (დაკავშირებები ტერენტის გრანელის პოეზიაზე), უცნობის სფინქსი (დაკავშირებები ტერენტის გრანელის პოეზიაზე), „ალასარა“, სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკას მეცნიერების მიზანთ შემოცემის მიზანთ და მემხმარე სახელმძღვანელო, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკისა საკოთხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), რევაზ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქამები, სატოვანი თქმები, ფრაზები, „ობოლი მარგალიტი“, თბ. 1999, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2001, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიოურ-ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2005 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოცემებითი ნათესაორის საკითხები), „შერიდიანი“, თბ. 2005, ნერილები, ბიბლიის ერთი კონცეფციია, აპოკალიფური სახები, გრაალის იდეალი, „უნივერსალი“, თბ. 2009, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ქრისტიანული სახისმეტყველების საკოთხები XX საუკუნის ქრისტულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ. 2009, გოდერძი ჩიხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახები), „უნივერსალი“, თბ. 2009, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ. 2011, ტერენტი გრანელის ბედისწერა, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეოცე საუკუნის პიეველი ნახევრის ქართული ოპზიტიციური ლირიკა, „უნივერსალი“, თბ. 2011, ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, „უნივერსალი“, თბ. 2011, ქართველი მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე (მსოფლიოში მოგზაურ და მსოფლიოს რეკორდს მენჯუმბერ ლეჟავას ფენომენი), WWW.Sou.edu.ge 2012. ქრისტეს მხედვარი კოლხეთიდან (ვაჟა ეგრისელის „კოლხეური ფსალმუნები“) WWW.Sou.edu.ge 2012. ქართული სულის კოლიზებმი (ვაჟა ეგრისელის პოეზია) „უნივერსალი“, თბ. 2015, მადლშემოსილი (გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა), „უნივერსალი“, თბ. 2015, ბევან ხარაიშვილი-ქართული პოეზიის მიმწონი, „უნივერსალი“, თბ. 2016, ტერენტი გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ. 2016, მერაბ კოსტაგას პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2017, გრაალის ორდენის რაინდი — გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობისა და სახისმეტყველების ზოგიერთი პრობლემა, „უნივერსალი“, თბ. 2017, გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო, „უნივერსალი“, თბ. 2018. ოეგანდელაკის პოეზია, ნერილები, WWW.Sou.edu.ge 2020.